ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

სარკე

ფასი: 1 ლარი

№13

27.III-2.IV 2013

„ჯიდიესი“ შოუბიზნესს 50 ახალ კლიპს შემატებს

გვ.38

„ხალხს ჰგონია, თავში გვიქრის“

გვ.24

რა პრეტენზიები აქვს ნანიკო ხაზარაძეს ნიკა ლომიძესთან

„სიმღერა არც გამსახურდიას დროს დამიწყია, არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის და არც ივანიშვილის. ჩემი თავის გამგებელი თვითონ ვარ“

გვ.10

„არ ვიცი, მამულიჩას გარდა რომელი კაცი აიტანდა ჩემს ახირებებს“

გვ.14

შალვა ნათელაშვილის ბიჭმა მამის მანქანა აჭცივებს შესწირა

ლელა წურწუმია: „ფულს კაცივით ვშოულობ“

გვ.6

ანი მიროტაძე: „ზოგი ფიქრობს, პარტიაში ლამაზი თვალების და ფეხების გამო შემიყვანეს“

გვ.20

სოსო თოლორაია: „ჩემი და თიკო საღუნიშვილის დაშორება საზოგადოების ბრალია“

გვ.30

რისთვის დაჯილდოვა ბაჩო ახალაიამ „კომეედი შოუს“ მსახიობები იარაღით

ISSN 1987-9369

9 771987 936002

ასევე ხდება როგორ იქცა კონკია მოღალატე ცოლად გვ.48

ლაქტაციდი

ეს, რაც ყველა ქალს სჭირდება!

ჰიგიენა მედიცინის დარგია, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებებს შეისწავლის. იგი ასევე დაავადებათა პროფილაქტიკის გზებს და ჯანმრთელობის შენარჩუნების მეთოდებს გულისხმობს. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ მედიცინის დოქტორი, ექიმი-რეპროდუქტოლოგი მაკა გეგეჭკორი გვესაუბრება.

რას გულისხმობს ქალის ინტიმური ჰიგიენა?

ჰიგიენა არის გარკვეულ ღონისძიებათა ნუსხა, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ დღის წესრიგი, ელემიენტარული ქცევის წესები, კვების რეჟიმი და მათ შორის სისუფთავის დაცვა.

დღეს ჩვენ ინფექციების ერაში ვცხოვრობთ და ინფექიის ინიციაცია, გარდა სქესობრივი ცხოვრებისა, ჰიგიენურ თავისებურებებთანაც ასოცირდება. პირადი ჰიგიენა დასაცავია არა მხოლოდ სქესობრივად აქტიურ ადამიანებში, არამედ ბავშვებში, მოზარდებში, გვიან რეპროდუქციულ ასაკშიც.

მოზარდობის პერიოდში ჰიგიენას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რადგან ის სისტემები, რომლებიც ორგანიზმის მიერ გამომუშავებულ დამცავ ორგანიზმებს გულისხმობს, ამ დროს ყალიბდება. ასევე ბიოლოგიურად აქტიური პერიოდია მენსტრუაცია, როცა ცვლილებებს განიცდის დამცავი სისტემები, ორსულობა, მშობიარობა და, რა თქმა უნდა, გვიანი რეპროდუქციული ასაკი და მენოპაუზა, როცა ორგანიზმი უკუგანვითარებას განიცდის და ქალი ინფექციის პირისპირ აღმოჩნდება ხოლმე.

რატომ არის მნიშვნელოვანი ჰიგიენის დაცვა?

ქალის ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი ეტაპი ამ სფეროს უკავშირდება. ეს არის მისი მენსტრუაციული ფუნქცია, ორსულობა, მშობიარობა და გვიანი რეპროდუქციული ასაკი. ქალის პირველი შემხები ზედაპირი ინფექციასთან ანატომიურად, ეს არის საშოს კარიბჭე, რომელიც აღჭურვილია დამცავი სისტემებით.

შეიძლება თუ არა, არასწორმა ჰიგიენურმა პროცედურამ დააზიანოს საშოს მიკროფლორა?

რა თქმა უნდა. ქალი უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ დაბანით და არა გამორეცხვით.

რა შეიძლება გააკეთოს ქალმა ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად?

ითვლება, რომ ყველაზე კარგი ხარისხის საპონიც კი ქალის გენიტალიების მტერია. ის ქმნის ისეთ გარემო პირობებს, რომელიც ხელს უწყობს მთვლემარე მიკროორგანიზმების გაღვიძებას. ამიტომაც არსებობს ინტიმური ტერიტორიების დასაბანი ძალიან მრავალფეროვანი ასორტიმენტი, რომლებიც შეიცავენ სწორედ იმ ნივთიერებებს, რაც დამცავ მექანიზმს ქმნის. ერთ-ერთი ასეთი იდეალურია ფრანგული წარმოების ლაქტაციდი.

ლაქტაციდი არის ინტიმური ტერიტორიების დასაბანი საშუალება, რომელიც შეიცავს რძის ექსტრაქტებს და ჩვეულებრივი საპნისაგან განსხვავებით ინარჩუნებს ბუნებრივ ინტიმურ ბალანსსა და უზრუნველყოფს არამხოლოდ სისუფთავეს, არამედ დაცვას გაღიზიანებისა და უსიამოვნო სუნისაგან. ლაქტაციდი დამზადებულია რძის მჟავასა და რძის შრატისგან, რომელსაც შეიცავს ქალის ორგანიზმი, ამიტომ, ფაქტობრივად, ბუნებრივ დასაბან საშუალებას მოვიხმართ.

როგორ უნდა მოვიხმაროთ ლაქტაციდი?

ლაქტაციდი არ არის წამალი, რომელსაც მოხმარების წესები და დოზები აქვს. შეგვიძლია გამოვიყენოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც დაგვჭირდება. მოზარდობის პერიოდში, როცა საოფლე ჯირკვლები გაძლიერებულად მუშაობს, შესაძლებელია სხეულის სხვა ტერიტორიებზე მოხმარებაც. ასევე რეკომენდებულია კაცებისთვის გარეთა სასქესო ორგანოების დასაბანად.

GE.LAC.13.02.01

SANOFI

სანოფი-ავენტისის წარმომადგენლობა საქართველოში

მის.: მეტეხის ქ. N 22 ტელ.: 227 36 91 ფაქსი: 277 16 02

ნომერში

მთავრობის სახე

ანი მირიტაძე: „ზოგი ფიქრობს, პარტიაში ლამაზი თვალების და ფეხების გამო შემიყვანეს“ 6

ოჯახური სიხარული

თამრიკო ჭოხონელიძე მეორე შვილიშვილს ელოდება 7

სამართალი

გვანცა ყუფარაძე: „მოგონება ცხენში გატარებულ წლებზე ჩემი კარგი მეგობარია“ 9

ეტაპი

ლელა წურწუმია: „ვიღაცეებს უნდოდათ, რომ ჩვენი ოჯახი დანგრეულიყო“ 11

გულახდილი საუბრები 12-13

მაესები და შვილები

შალვა ნათელაშვილის ბიჭმა მამის მანქანა აქციებს შესწირა 14

პოლიტიკა

- კახი კალაძე: „ვმუშაობთ, რომ ტარიფები კიდევ შემცირდეს“ 16
- კახი კახიშვილი: „მინისტრები ნაცმოძრაობის კითხვებს პასუხობენ, საზოგადოებისას კი — არა“ 17
- გიორგი ყაშაძე: „19 აპრილს ხელისუფლებას გამოვაფხიზლებთ, რომ საქმის კეთება დაიწყოს“ 19

ცხოვრების გაკვეთილები

სოსო თოლორაია: „ჩემი და თიკო სადუნაშვილის დაშორება საზოგადოების ბრალია“ 20

გახმაურებული საქმე

ნიკა ლომინაძის მკვლელობის გახსნით სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გადაფარვა სურდათ?! 22

ტანდემი

რა პრეტენზიები აქვს ნანიკო ხაზარაძეს ნიკა ლომიძესთან 24

ილბლიანი

ახალგამომცხვარ მილიონერს 300 ათასამდე ვალი აქვს 26

მოზარდები 28-29

შოუს ბიჭები

რისთვის დაავჯილდოვა ბაჩო ახალაიამ „კომედი შოუს“ მსახიობები იარაღით 30

ავტომოყვარული

გიორგი მარკოიშვილმა თავისი პირველი მანქანა 8 მარტს დაამტვრია 31

საკონკურსო ვნებები

- რუსა მორჩილაძე: „იურმალასთვის მაია ყიფიანის რჩევები არ მჭირდება!“ 32
- რატომ არ მონაწილეობს მამუკა ღლონტის რისკიან პროექტში მარინა ბერიძე 33

გზა ტაძრისაკენ

მოძღვარი, რომელსაც პატრიარქი საკუთარი ხელით აცმევდა კაბას 34

სამზარეულო

რას გვთავაზობენ ცნობილი ქალები სამარხვო სუფრაზე 35

კარგი ამბები

- ნუცა შანშიაშვილმა ამერიკაში ბიჭი გააჩინა 36
- გიგი დედალამაზიშვილი პირველი დისშვილის ბიძა გახდა 36

სამოსი

თეა გობეჯიშვილი მაღაზიებიდან ჯიბედაცარიელებული გამოდის 39

ცხოვრება ჩემოდნებზე

რაში გამოტეხა ამერიკელმა სომეხმა იური მეჩითოვი 45

მეგზური

ვარნა — იქროს სანაპიროს მიზიდულობის ძალა 47

მხოლოდ ქალებისთვის 50

დედიკოების სკოლა 51

ჩემი მშვენიერი ლედი 52

სპორტის მილვა 53

იყავით ჯანმრთელი 58-59

ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-12) 66
- ლელა ცუცქირიძე — „ქმარი, რომელიც გაქრა“ 68

წმინდანები 71

ჩვენ წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლაც ღვთის პროგრამის ნაწილია, ჩვენდა სასიკეთოდ მომართული 72

კითხვები მოძღვარს

„უცხოური სერიალებით ჩვენში უცხო სული შემოდის“ 74

მადლიანი საქმე

როგორ გაშენდა საპატრიარქოს წალკოტი 75

3 აპრილიდან ჟურნალ „სარკესთან“ ერთად

„ქართული კულტურის ოქროს ფონდი“

ტომი 2

მიხეილ ჭიაურელი

ქართული კულტურის ოქროს ფონდი

2

ცხოვრების ისტორიის დეტალები

მიხეილ ჭიაურელი

№13(779) 27 მარტი — 2 აპრილი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 25.03.2013, 21.00 სთ-ზე.

1 წლის გოგიტა აბაშიძის ტრაგედია — დაგვიანებული განგაში მთელი საქართველოსთვის

ამ დღეებში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველოში 1 წლის ბავშვი შიმშილისაგან გარდაიცვალა, მთელი ქვეყნის მასშტაბით რეზონანსი მოჰყვა. გაიმართა საპროტესტო აქციები, განხილვები თემაზე, რატომ შიმშილობენ ბავშვები, პოლიტიკოსებმა, ცნობადმა თუ არაცნობადმა სახეებმა თავი ვალდებულად ჩათვალეს, ამ ხმაურში „თითო აგური" ყველას ჩაედო და ა.შ.

■ გოგიტა აბაშიძე

ტრაგედიის გულთან მიტანა და თანაგრძნობა კარგი საქმეა, მაგრამ მთავარია, იმავე საზოგადოებამ, რომელმაც ხმაური ატეხა და იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც სწორედ ასეთი უბედურებების პრევენციისთვის არიან შექმნილი და დაფინანსებული, პრაქტიკულ, ქმედით ნაბიჯებს მიმართონ, რომ ტრაგედია აღარ განმეორდეს. ურემი რომ გადაბრუნდა, მაშინ გამოჩნდა, რომ გარდაცვლილი გოგიტა აბაშიძის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი რატომღაც სოციალურად დაუცველთა სიაში არ იყო.

როგორც „სარკეს" გაარკვია, გოგიტა დედამ სახლში, ექიმების დახმარების გარეშე გააჩინა 2012 წლის 19 მარტს და ეს მისთვის პირველი შემთხვევა არ იყო. უფროსი ქალ-ვაჟიც ასეთ ვითარებაში გაუჩენია. გოგიტას დაბადებისას ოჯახმა სასწრაფო დახმარება კი გამოიძახა, მაგრამ დაგვიანებით მისულ ექიმს ჩვილი დაბადებული დახვდა. თურმე დიდი თოვლი იყო და სასწრაფო დახმარების მანქანას სახლამდე მისვლა გაუჭირდა.

ბიჭუნა ავად პირველად გასული წლის ოქტომბერში გახდა და კუჭ-ნაწლავის პრობლემით ინფექციურ საავადმყოფოში მოხვდა. როგორც დედა ინგა დავითიძე აღნიშნავს, ბავშვი ხშირად იყო მშიერი, რადგან ოჯახს არ ჰქონდა ის საკვები, რაც ამ ასაკის ბავშვს სჭირდებოდა. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ კვების პრობლემა ოჯახმა ვერ მოაგვარა. ამას მამის ავადმყოფობაც დაემატა.

როცა ბავშვი მეორედ გახდა ცუდად, ამ ამბავს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი შემთხვევით შეესწრო და სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანა. ექიმები ორი დღის განმავლობაში ცდილობდნენ ბავშვის გადარჩენას, მაგრამ დასუსტებულმა ორგანიზმმა ამის საშუალება არ მისცა. რომ არა ხელისუფალი, რომელიც იქ შემთხვევით აღმოჩნდა, ვერც ვერავინ გაიგებდა, რატომ დაიღუპა 1 წლის გოგიტა.

ბათუმის საავადმყოფოს სამედიცინო დასკვნით, პაციენტს დაუდგინდა პნევმონია, ფიქსირდებოდა ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენა, 2 დღე იმყოფებოდა ხელოვნურ სუნთქვაზე, ჩაუტარდა მკურნალობის კურსი, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

— ბავშვი შემოიყვანეს უკიდურესად მძიმე, შოკურ მდგომარეობაში. გამოხატული იყო წონის მკვეთრი დეფიციტი, ასევე ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენა. მისი დაბადების წონა იყო 4 კილო, ხოლო 1 წლის ასაკში 4 კილო და 200 გრამი ფიქსირდებოდა. ამ ფონზე ნებისმიერი დაავადება მძიმედ მიმდინარეობს. ბავშვი იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე, მაგრამ, მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, გარდაიცვალა, — ამბობენ ექიმები.

ცეზარ ჩოჩელის ბიზნესჯგუფი ბიძინა ივანიშვილს დახმარებას სთხოვს

ცეზარ ჩოჩელის ბიზნესჯგუფი, რომლის შემადგენლობაში „ბარამბო", „მიქსორი", „რკინაბეტონის შპალის ქარხანა" და ქართული ლუდის კომპანია ლუდსახარში „ზედაზენი" შედის, საქართველოს პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით მიმართავს და დახმარებს სთხოვს.

■ ცეზარ ჩოჩელი

წერილში ნათქვამია, რომ ბიზნესჯგუფი ზეწოლის ქვეშაა. კერძოდ, „შემოსავლების სამსახურმა „ბარამბოს" სრულიად უსაფუძვლოდ დაუყადღაღა უძრავი და მოძრავი ქონება. „რკინაბეტონის შპალის ქარხანაში" ბოლო პერიოდში თითქმის ყოველდღე შედიან სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოები, კერძოდ, 19 მარტს შევიდა ფინანსური პოლიცია, 20 მარტს — შემოსავლების სამსახური და ეს მაშინ, როცა აღნიშნულ საწარმოში სულ ახლახან, 2013 წლის 18 იანვარს დაასრულა ანალოგიური შემოწმება შემოსავლების სამსახურმა და მას შემდეგ წარმოებას არ უმუშავია".

„გვრჩება შთაბეჭდილება, ჩვენი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ჯგუფის ერთ-ერთი დამფუძნებელი ყოფილი გუბერნატორია, რომელიც წარმატებული ბიზნესმენი იყო პოლიტიკაში წასვლამდე. გთხოვთ, დაინტერესდეთ ჩვენი ჯგუფის ირგვლივ განვითარებული მოვლენებით და აღმოგვიჩინოთ მხარდაჭერა ამ მეტად რთულ ვითარებაში, რათა საშუალება მოგვეცეს, განვაგრძოთ საქმიანობა", — ნათქვამია მიმართვაში.

მიმართვას ხელს აწერენ „ბარამბოს" დირექტორი იაგო ჩოჩელი, „მიქსორის" დირექტორი ლაშა ჩოჩელი, „რკინაბეტონის შპალის ქარხნის" დირექტორი ილია შიხაშვილი, ქართული ლუდის კომპანია ლუდსახარში „ზედაზენის" დირექტორი ვასილ სულხანიშვილი.

საქართველო მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა იყოს

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე ყურადღება ქვეყნის საფრთხეებზე გაამახვილა. მისი თქმით, საფრთხეების ანალიზი მიანიშნებს, რომ საქართველო მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა იყოს.

— ბოლო ერთი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სადაზვერვო თანამეგობრობის მონაცემები, ვითარება პრაქტიკულად არ შეცვლილა. სიტუაცია მძიმდება იმით, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში დამატებითი საიერიშო ნაგებობები და ბაზები ჩნდება როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონში. სწორედ ამაზეა მორგებული თავდაცვის დოქტრინა. საფრთხეების ანალიზი მიანიშნებს იქითკენ, რომ საქართველო მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა იყოს, ბოლო მოლაპარაკებებმა სავაჭრო რეჟიმთან დაკავშირებით კი საბრძოლო მოქმედებების განახლების პოტენციური შესაძლებლობა შეამცირა. ჩვენი მთავარი ამოცანაა, შეიარაღებული ძალები მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში გვყავდეს. ამ კუთხით ჩვენ კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამთ.

პრობლემად რჩება უკვე დაგეგმილი ოლიმპიადის წინააღმდეგ ტერორიზმის შესაძლო საფრთხე. აქედან გამომდინარე, ჩვენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გვაქვს კოორდინირებული ქმედება, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყველა შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებაში მაქსიმალურად ჩაერიოს, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

ეკა „სარკე"
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კაკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ჯღენტი, მია ფიფია. კორექტორა — ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარედაქციო სამსახური — მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში" გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

Cyan Magenta Yellow Black

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲣᲕᲘᲖᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის, ალექსანდრ ლუკაშევიჩის განცხადებით, რუსეთი მზადაა, საქართველოსთან უვიზო რეჟიმი შემოიღოს და დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს.

— ჩვენ ვიყავით და ვართ დაინტერესებული რუს და ქართველ ხალხს შორის ურთიერთობის გამყარებით. ჩვენ თანახმა ვართ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი შემოვიღოთ. ამისათვის აუცილებელია, ქართულმა მხარემ საიმედო სამართლებრივი პირობები უზრუნველყოს, რაც საქართველოში ჩასულ რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების გარანტიას უზრუნველყოფს. ჩვენ ასევე ვთავაზობთ ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას, — აცხადებს ლუკაშევიჩი.

ᲓᲔᲜᲘ ᲜᲐᲒᲐᲕᲡ ᲐᲦᲐᲠ „ᲓᲐᲜᲕᲐᲕᲡ“

ნაგვისა და ელექტროენერგიის გადასახადი ერთმანეთზე მიბმული აღარ იქნება. გადაწყვეტილება პარლამენტმა უკვე მიიღო. კანონპროექტი უმრავლესობის წევრ თინა ხიდაშელის ინიციატივაა.

ახალი კანონით, დასუფთავების გადასახადზე ზღვრული მოსაკრებელი დაწესდება — თვეში ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარი, იურიდიული პირებისთვის კი 1 კუბურ მეტრ ნაგავზე გადასახადი 25 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. სიახლეა ისიც, რომ კანონპროექტის თანახმად, „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ კანონით სოციალურად დაუცველთა ფაქტორის გათვალისწინებაც მოხდება. მოსაკრებლის ოდენობა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, კანონმდებლობით დადგენილი სიღატაკის ზღვრის მაჩვენებლის შესაბამისად, დიფერენცირებული უნდა იყოს.

ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲔ

ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲔᲡ 80 ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ

20 მარტს დიდ ქართველ მწერალს, პროზაიკოსს, პოეტსა და დრამატურგ ოთარ ჭილაძეს 80 წელი შეუსრულდებოდა. მწერლის იუბილე მოკრძალებულად აღინიშნა. მისი მეგობრები და ოჯახი წევრები წიგნის სახლში შეიკრიბნენ და თანამედროვე კლასიკოსის განვლილი გზა გაიხსენეს. საზოგადოებას კი წარუდგინეს ახალი აუდიოწიგნი „ოთარ ჭილაძის პოეზია“, სადაც ლექსებს გოგი ხარაბაძე კითხულობს.

თარიღს პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილიც გამოეხმაურა.

— ძნელია წარმოიდგინო ქართული მწერლობა მე-20 საუკუნის დიდი კლასიკოსის, ოთარ ჭილაძის გარეშე. მან არამარტო უდიდესი საგანძური დაუტოვა შთამომავლობას, არამედ თავისი ნაწარმოებებით დაამშვენა და გაამდიდრა მსოფლიო ლიტერატურა. მისი შემოქმედება ეპოქის სულის გამოძახილია, ფილოსოფიური განსჯაა, ერის ბედის გააზრებაა, ადამიანის სულის წვდომაა. შეუძლებელია მისმა ნაწარმოებებმა არ შეგძრას, არ დაგაფიქროს, გულგრილი დაგტოვოს და სამუდამოდ არ დარჩეს შენში...— აღნიშნულია პრემიერის განცხადებაში.

ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

საქართველოში მარტის თვეში ლამაზ ფესტივალს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ახალგაზრდა არსტიტების წარმოჩენას ისახავს მიზნად. სახელწოდებაც შესაფერისი შეურჩიეს — ფანარტი, ხოლო მთელ იმ პერიოდს, რაც ფესტივალი გაგრძელდება — 24 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით, მარტისტების კვირეული უწოდეს.

ფანარტი ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გაიხსნა და ახალგაზრდა კომპოზიტორებს, ჯაზმენებს, როკერებს, ლიტერატორებს, მხატვრებს, ფოტოგრაფებს, დიზაინერებს, მსახიობებსა და კინორეჟისორებს მასპინძლობს. ეს ფესტივალი იმ ადამიანებს ეხმარება, რომელთაც შესაძლებლობა არ აქვთ, თავიანთი ნამუშევრები ფართო საზოგადოებას გააცნონ. იდეა მუსიკოს ნიკოლოზ რაჭველს გაუჩნდა, რადგან თავის დროზე მსგავს ფესტივალში თავადაც მონაწილეობდა. განაცხადების შეტანა 15-დან 28 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შეეძლოთ. სულ 200-მდე აპლიკაცია შევიდა, საიდანაც საუკეთესოები სპეციალურმა ჟიურიმ აარჩია — გურამ წიბახაშვილმა, ლევან წულაძემ, ლადო ბურდულმა, ნიკა კოჩაროვმა, ოლეგ ტიმჩენკომ, ნიკოლოზ რაჭველმა, პაატა შამუგიამ, როსტომ ჩხეიძემ, დათო ევგენიძემ, სიმონ მაჩაბელმა, დიმიტრი ტატიშვილმა, დათო ჯანელიძემ.

ფესტივალის გახსნას დაესწრო მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი. მისმა მოადგილემ რატი ბრეგაძემ მადლობა გადაუხადა „სარკესა“ და სხვა მხარდამჭერ ორგანიზაციებს, ასევე ფესტივალში მონაწილე ახალგაზრდებს.

ᲥᲐᲠᲛᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐᲐᲖᲐᲠᲐᲚᲐ

ᲨᲢᲝᲠᲛᲘ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ

23-24 მარტს სტიქიამ საქართველო მნიშვნელოვნად დააზარალა, ძლიერი ქარი ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქროდა, დიდი ზიანი გორს და კახეთს მიადგა, მაგრამ სტიქიამ ყველაზე მეტად შავი ზღვის სანაპიროს შეუტია. 24 მარტს, ღამით, შტორმმა ბათუმში 6 ბალს მიაღწია, რის გამოც წყალმა ქალაქის მთელი სანაპირო ზოლი ჩარეცხა. მსგავსი შტორმი აჭარაში ბოლო 10 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა. განსაკუთრებით დაზიანდა ახალი ბულვარის მიმდებარე ტერიტორიები. ზღვის პირზე დაიტბორა ქუჩები და რესტორნები. ღელვამ მთლიანად ამოავსო კოლექტორები, რომლებიც ქალაქიდან წყალს ზღვის მიმართულებით ატარებდა. არის მსხვერპლიც — შტორმის დაწყებამდე ზღვაში ერთი მეთევზე დაიკარგა.

სტიქიას ზარალი საქართველოს დედაქალაქშიც მოჰყვა. ისნის რაიონში რამდენიმე ოჯახი საცხოვრებლის გარეშე დარჩა, ძლიერმა ქარმა ორსართულიან სახლებს სახურავები მთლიანად გადახადა, ნუცუბიძის ქუჩაზე კი ათსართულიანი შენობის სახურავი ეზოში გადმოაგდო. დააზიანა თბილისში იუსტიციის სახლის შენობაც.

ხელისუფლებამ საგანგებო შტაბი შექმნა, რომელსაც ვიცეპრემიერი კახი კალაძე ხელმძღვანელობს. საგანგებო შტაბი შეიქმნა აჭარაშიც. ზღვისპირა რეგიონში ზარალის ოდენობა, წინასწარი მონაცემებით, 2 მილიონ ლარზე მეტია.

სტიქიით დაზარალებული რეგიონები უკვე მოინახულეს საგანგებო შტაბის წევრმა მინისტრებმა. გორში იმყოფებოდა ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, რომელმაც ქალაქის დაზიანებული ადგილები დაათვალიერა. სოფელ მუხრანში ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე ჩავიდა და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლებთან ერთად დაზიანებული მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი მოინახულა. დაზარალებულ მოსახლეობას გორში პრემიერმინისტრი შეხვდა. ადგილობრივების თქმით, ასეთი სიმძლავრის ქარი გორში ათწლეულებია არ ახსოვთ. ერთი ადამიანი დაშავდა.

პრემიერის თქმით, მთავრობა სრულად არის მობილიზებული, რათა სტიქიის შედეგები უმოკლეს დროში იყოს ლიკვიდირებული და სწრაფად დაიწყოს აღდგენითი სამუშაოები. მისივე თქმით, 23-24 მარტის სტიქია არ იყო განსაკუთრებით მასშტაბური, მაგრამ ამგვარი შედეგები გორში მხოლოდ იმის გამო მივიღეთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში გადახურვითი სამუშაოები მეტისმეტად უხარისხოდ იყო შესრულებული.

— რაც ნახეთ, თქვენც კარგად ამჩნევთ, რომ არ არის დაცული ტექნოლოგიები. არც ერთი ხეა მოტეხილი, არც ერთი ხე — მოთხრილი. ძლიერი ქარის შემთხვევაში, კარგად იცით, როგორ ზიანდება ბუნება. აქ ყველაფერი გასაგებია, რომ არ გააკეთეს სწორად და შედეგიც მივიღეთ. მთავარია, რომ ამდენი სახურავი გადმოცვივდა და არავინ დაშავდა. კარგია, რომ მსხვერპლი არაა. უნდა გავაკეთოთ სწორად, ტექნოლოგიები უნდა დავიცვათ, სპეციალისტებმა უნდა იანგარიშონ და არა — ერთმა კაცმა. ყველაფერი სპეციალისტმა უნდა გააკეთოს და აღარ მივიღებთ ასეთ შედეგებს, — დაასკვნა ბიძინა ივანიშვილმა.

სინოპტიკოსები გამოდარებას თვის ბოლომდე არ ვარაუდობენ. ფიქრობენ, რომ 27 მარტიდან ამინდი ისევ გაუარესდება, მათ შორის — თბილისშიც.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲑᲔᲠᲔᲖᲝᲕᲡᲙᲘ

ᲑᲔᲠᲔᲖᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ — ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲣ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ?

რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან დაპირისპირებული ოლიგარქი, მილიონერი ბორის ბერეზოვსკი, 23 მარტს ლონდონში, საკუთარ სახლში, აბაზანის ოთახში გარდაცვლილი იპოვეს. მის სიკვდილთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, მან თავი მოიკლა, რადგან ხანგრძლივი დეპრესია აწუხებდა. ამ ვერსიას ბერეზოვსკის ერთ-ერთი მეგობრის ინტერვიუ ამყარებს, რომელმაც „გარდიანთან“ საუბრისას განაცხადა, რომ ბიზნესმენს თვითმკვლელობაზე მასთან არაერთხელ უსაუბრია.

მეორე ვერსიით, ცნობილი ბიზნესმენი მოწამლეს. სამართალდამცავებმა სპეციალისტები გამოიძახეს, რათა დაედგინათ, იყო თუ არა ოლიგარქის გარდაცვალების მიზეზი ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერებით მოწამვლა ან რადიაცია.

მესამე ვერსიით კი, ის გაგუდეს. ამ ვარაუდის საბაბს აბაზანაში ნაპოვნი შარფი იძლევა.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ნაკლებად მის ბუნებრივ გარდაცვალებაზე საუბრობენ.

ოფიციალური განცხადება ბრიტანეთის პოლიციას ჯერ არ გაუკეთებია.

Cyan Magenta Yellow Black

ანი მიროტაძე:

„ზოგი ფიქრობს, პარტიაში ლამაზი თვალების და ფეხების გამო შემიყვანეს“

„ჩემი ჩჩეული ჩემს გამოსვლებს პარლამენტში ყოველთვის უყურებს"

პარლამენტის დეპუტატი ფრაქცია „ეროვნული ფორუმიდან“, ანი მიროტაძე, 15 წელი აქტიურ ჟურნალისტიკაში იყო და ეს პროფესია დღესაც ძალიან უყვარს. პოლიტიკოსობაზე არასოდეს უფიქრია, მაგრამ კახა შარტავამ და გუბაზ სანიკიძემ დაითანხმეს. ოჯახის შექმნას არ ჩქარობს. ის, რომ ქალია, პოლიტიკაში მისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი არ არის და არც სხვა საქმიანობაში უგრძვნია თავი გენდერულად დაჩაგრულად, რადგან თვითონ არის ძლიერი და სიძნელეებს არ უშინდება. თუმცა ქალური თვისებებითაც უხვად არის დაჯილდოებული.

დეპუტატის პირადი ცხოვრება ამ ეტაპზე დინამიკურობით არ გამოირჩევა. ოჯახის შექმნას არ ჩქარობს და მალავს იმ მამაკაცის ვინაობას, ვინც გვერდში უდგას და მის საპარლამენტო გამოსვლებს ერთგულად უყურებს.

— ანი, პირველ რიგში, გკითხავთ, ჟურნალისტიკა არ დაგესანატ, როცა პოლიტიკაში წახვედით?

— ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, ჟურნალისტიკა. 15 წელი აქტიურად ვმუშაობდი ამ სფეროში. აქედან 4 წელი ახალი ამბების სააგენტო „პირველს“ ხელმძღვანეობდი, რომელიც ჩემი შექმნილია. ბეჭდური მედიიდან დაწყებული, ტელევიზიით დასრულებული, ყველგან ვმუშაობდი. „პირველ არხზე“ გადაცემა „პრეს ეკრანის“ ავტორი და წამყვანი გახლდით. ფეხი გაზეთ „ახალ თაობაში“ ავიდგი, რომელიც სულ მახსოვს, როგორი კარიერული წინსვლაც უნდა მქონდეს. ბევრი მომცა ამ გაზეთმა და მისმა მთავარმა რედაქტორმა, სოსო გოგინაშვილმა. მისი ყველა რჩევა და გამხნევება მახსოვს. როცა შენიშვნას მაძლევდა, თან ამატებდა, რომ ხვალ და ზეგ უფრო კარგი ვიქნებოდი. მერე ტელევიზიაში წავედი. რადიოშიც ვმუშაობდი.

„მინდა, ქართველ მამაკაცებს ვუჩჩიო, რომ არ შეუშინდნენ ძლიერ ქალებს, ჩადგან მათთან უთანიერთობა ბევრად ადვილია. ასეთი ქალები ჭირვეულები არ არიან".

ვარდების რევოლუციის მერე პროფესიული ტაიმ აუტი ავიღე, რადგან მოსულ ხელისუფლებას არ თანავუგრძნობდი. გვერდზე გავდექი და ჩავთვალე, რომ უნდა დავკვირვებოდი მათ, რათა საკუთარი თავისთვის ობიექტური დასკვნების გაკეთების საშუალება მიმეცა. ძალიან მალე ყველა მიხვდა, რომ ეს არ იყო ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ენდობოდნენ. მერე რამდენიმე პარტიისგან მქონდა შემოთავაზება, რომ პოლიტიკაში წავსულიყავი. თავიდან ამაზე არ ვფიქრობდი, მაგრამ გადაწყვეტილება მას მერე მივიღე, რაც კახა შარტავამ და გუბაზ სანიკიძემ შემომთავაზეს „ეროვნულ ფორუმში“ მისვლა. ეს მათ მიმართ დიდმა ნდობამ განაპირობა. მიმაჩნია, რომ კახა შარტავა ქართულ პოლიტიკაში ყველაზე სუფთაა.

— როცა გუბაზ სანიკიძის საუბრის ცნობილი ფარული ჩანაწერი გავრცელდა, სადაც ის მილიონის მოპოვებაზე საუბრობს, რა რეაქცია გქონდათ?

— გუბაზ სანიკიძე ყველაზე გულწრფელი პოლიტიკოსია. ეს ჩანაწერი ერთხელ მაქვს მოსმენილი და მაშინაც ძალიან არასერიოზულად შევხედე. ცუდია, თუ საზოგადოებამ ეს დაიჯერა.

— თქვენი ჯერ არცთუ დიდი გამოცდილების გათვალისწინებით, რა სართულესთანაა დაკავშირებული ზოგადად პოლიტიკოსობა, განსაკუთრებით კი ქალისთვის?

— არ ვიცი, ვინ როგორ უყურებს, მაგრამ ჩემთვის გენდერული დაყოფა მისაღები არ არის. ქალებსაც შეუძლიათ, ძალიან მაგარი პოლიტიკოსები იყვნენ. აქ მთავარი ჩემთვის ვალდებულებაა. ბევრი ჰაერიდან მოტანილი ჭორი გამიგია საკუთარ თავზე, განსაკუთრებით, პოლიტიკაში მოსვლის მერე, რომ ვიღაცამ ლამაზი თვალების ან ფეხების გამო შემიყვანა პარტიაში და ა.შ. მაგრამ მსგავს აზრს მხოლოდ პოლიტიკაში გაუცნობიერებელი ადამიანი გაივლებს. ამ სფეროში ლამაზი თვალების გამო არავინ მოგიყვანს.

პირადად ჩემთვის პოლიტიკა ჩარჩოა, რომელშიც უნდა ჩავჯდე. ბევრჯერ მქონია ცდუნება, საჯარო გამეხადა ინფორმაცია, რომელიც გავიგე. ეს ჟურნალისტური ჩვევაა. მერე კი მივმხვდარვარ, რომ უნდა გავჩერებულიყავი, რადგან ამის უფლება აღარ მქონდა.

„ცუდია, თუ ანა მინაშვილი ასე მოიქცა. თვითონ ამტკიცებს, რომ ჩემთვის არ შეუგინებია. თუ ვინმე დაუზარალა ამ კადრებმა, მხოლოდ ის".

— როგორი დამოკიდებულებას გრძნობთ მამაკაცი კოლეგებისგან?

— საქართველოში მამაკაცები ქალებს ოდითგანვე სცემენ პატივს. პარლამენტში რომ შევდივარ, ყველა ცდილობს, თავაზიანი იყოს, კომპლიმენტი მითხრას და ეს ყველა ქალ დეპუტატზე ვრცელდება.

— უმცირესობის წევრებიც გამოირჩევიან თავაზიანობით?

— უმცირესობასთან კოჰაბიტაციის პრობლემა გვაქვს, რაც კომპლიმენტებზეც ვრცელდება, მაგრამ ყოფილა გამონაკლისი შემთხვევები, როცა მათგანაც მიმიღია კომპლიმენტები.

— და არამარტო კომპლიმენტები. პარლამენტში თქვენი გამოსვლისას კამერამ დააფიქსირა, რომ ნაციონალმა დეპუტატმა აკაკი მინაშვილმა აგრესიული მიმიკით უცენზურო სიტყვებით მოგმართათ.

— ბევრმა მკითხა ამის შესახებ. პარლამენტში ლაპარაკი რომ დავასრულე, დაახლოებით ათ წუთში ჩემი ტელეფონი „აფეთქდა“ — ყველა მეკითხებოდა, რა უნდოდა, რატომ გაგინებდა, ეგ ხომ არ გაგიჟდაო. როცა კადრი ვნახე, მისი პირის მოძრაობით თუ ვიმსჯელებთ, ეტყობა, რომ უცენზურო სიტყვებს ამბობს. ცუდია, თუ აკო მინაშვილი ასე მოიქცა. თვითონ ამტკიცებს, რომ ჩემთვის არ შეუგინებია. თუ ვინმე დაუზარალა ამ კადრებმა, მხოლოდ ის. შეიძლება შენს ოპონენტს არ ეთანხმებოდე, მაგრამ შეგინება ურთიერთობის ფორმა არაა. ბევრს ამ ჩანაწერის ნახვის მერე ცუდი რეაქცია ჰქონდა მინაშვილთან

„პოლიტიკა ჩემთვის ჩაჩჩოა. ბევჩჯეჩ მქონია ცდუნება, საჯაჩო გამეხადა ინფოჩმაცია, ჩომეეიც გავიგე. ეს ჟუჩნალისტუჩი ჩვევაა. მეჩე კი მივმხვდაჩვაჩ, ჩომ ამის უფლება აღაჩ მქონდა".

დაკავშირებით, რადგან ქართველმა მამაკაცმა იცის, რომ ქალი პატივსაცემია და მას შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენო. სხვათა შორის, აქვე აღვნიშნავ, რომ ძალიან შეურაცხყოფილი ვიყავი, როცა ჩიორა თაქთაქიშვილზე ფიზიკურ ზეწოლას ჰქონდა ადგილი.

— მოგისადათ ბოდიში აკაკი მინაშვილმა?

— არ მოუხდია.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ მასთან?

— ერთად ვართ საგარეო საქმეთა კომიტეტში. მოკითხვით ვიცნობთ ერთმანეთს. იმ ამბის მერე არ შევხვედრივარ.

— მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსი გახდით, რამდენად გრჩებათ დრო ქალური სისუსტეებისთვის, მაგალითად, თავის მოვლისთვის, შოპინგისთვის?..

— ამისთვის დრო ყოველთვის მრჩება.

Cyan Magenta Yellow Black

თამრიკო ჭოხონელიძე მეორე შვილიშვილს ელოდება

კოკო როინიშვილი: „მამაჩემს უნდა, ბავშვი მის დაბადების დღეზე გაჩნდეს“

■ რძალ-დედამთილი

ახალგაზრდა მსახიობის, კოკო როინიშვილის ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი ცვლილებაა: ერთი — პოპულარულ სერიალში „შუა ქალაქში“ ახალ პერსონაჟად შევიდა, მეორე და მთავარი — მალე მამა გახდება.

კოკომ არტისტი დედ-მამის, თამრიკო ჭოხონელიძისა და გია როინიშვილის ტრადიცია გააგრძელა და თავადაც მსახიობი მოიყვანა ცოლად — ანი იმნაძე. ახალგაზრდები შვილის გაჩენას არ ჩქარობდნენ, რასაც დედამთილის პროტესტი მოჰყვა — თამრიკო ჭოხონელიძეს შვილიშვილი უნდოდა. კარგმა ამბავმაც არ დააყოვნა და ახლა ოჯახში სასიხარულო მოლოდინია, რაზეც კოკო და ანი თავად გვიამბობენ.

ანი: პატარას ველოდებით, მაგრამ გოგოა თუ ბიჭი, ჯერ არ ვიცით. თავიდან გადავწყვიტეთ, რომ, მინიმუმი, ერთი წელი შვილი არ გვინდოდა და ზუსტად ასე მოხდა.

კოკო: არანაირი მნიშვნელობა არ

→ 8

პატივს არ ვცემ იმას, ვინც ვერ ახერხებს თავის მოვლას, რადგან ის საზოგადოებას არ სცემს პატივს. მიმაჩნია, რომ, როგორი დაკავებულიც უნდა იყოს, ქალმა საზოგადოებას უნდა სცეს პატივი და კარგად გამოიყურებოდეს. დარწმუნებული ვარ, ვინც შემომხედავს, არავინ იტყვის, რა მოუწესრიგებელიაო.

— გარეგნობას, ეტყობა, მართლაც დიდ ყურადღებას აქცევთ. ტელეკომპანია „მაესტროს“ კადრებშიც დაფიქსირებულია, როგორი მონდომებით ისწორებთ თმას კამერის წინ ეთერში გასვლამდე. მერე ეს მწარულ კურიოზად გაყოცელდა. როგორ გადაგიღეს ეს კადრი და რა რეაქცია გქონდათ, როცა თავად ნახეთ?

— ეს ჩემგან დამოუკიდებლად მოხდა. გადაცემის პირველი სტუმარი იყო ბატონი პაატა ზაქარეიშვილი, რომელიც სხვა სტუდიაში იმყოფებოდა, მე გადაცემის მეორე ბლოკში უნდა შევსულიყავი ეთერში და სხვა სტუდიაში ვიჯექი. ბუნებრივია, ასეთ დროს ყველა ემზადება. „ყური“, რომელიც დამამაგრეს, მაწუხებდა და ამიტომ მის გასწორებას ვცდილობდი. საბოლოოდ თმა გავიშალე, რომ ამ „ყურს“ არ შევეწუხებინე. თურმე რეჟისორმა დაუშვა შეცდომა, პულტი აერია, კადრი გაიპარა და ეს ყველაფერი პირდაპირ ეთერში ჩანდა. გადაცემის დასრულების მერე მთელი „მაესტრო“ გარეთ დამხვდა. ყველა ძალიან შეწუხებული იყო და ათას ბოდიშს მიხდიდა. მერე ბევრმა ჩემმა კოლეგამ დამირეკა და მითხრა, არ ინერვიულო, ასეთი რამ ხშირად ხდებაო.

— პოლიტიკამ თქვენს გარეგნულ სტილში კორექტივები შეიტანა?

— პირველ რიგში, შეიცვალა ჩაცმის სტილი. როცა საზოგადოების დაკვირვების ქვეშ ექცევი, ყველა დეტალს აკონტროლებ. ძალიან ბევრი პიჯაკი გაჩნდა ჩემს გარდერობში, ჯინსებზე კი უარი ვთქვი. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების შეყვარება არ მომიწია, ისედაც სულ მაღლებზე დავდიოდი. მოიმატა ჩემი კაბის სიგრძემ. უარი ვთქვი მასიურ სამკაულებზე. არასოდეს მიყვარდა მკვეთრი მაკიაჟი. ვცდილობ, როცა პარლამენტში ვარ, კლასიკური ვარცხნილობა მქონდეს.

— რა ფერები გიყვართ ტანსაცმელში?

— ძალიან მიყვარს შავის და თეთრის კომბინაცია. ამ ბოლო დროს ლურჯი ფერი შემიყვარდა.

— ანუ „ქართული ოცნების“ დროშის ფერი თქვენს გემოვნებას დაემთხვა?

— ასე გამოვიდა!

— რა ახალი თვისებები აღმოაჩინეთ საკუთარ თავში პოლიტიკაში მოსვლის მერე?

— ეს არის მოთმინება. იმერელი ვარ. მამა ძალიან ფიცხი მყავს. ადრე მეც მქონდა ხასიათში ეს თვისება. მერე კი მივხვდი, რომ პოლიტიკაში არ წამადგებოდა. ხასიათის კონტროლი და ემოციების მართვა ვისწავლე.

— რა არის თქვენი ქალური ჩვევა პარლამენტში შესვლის წინ?

— აუცილებლად ვიყურები სარკეში და ვამოწმებ, როგორ ფორმაში ვარ. პასუხისმგებელი ვარ ჩემს ვიზუალზე საზოგადოების წინაშე.

— გიყვართ სარკე?

— არა. სარკის წინ ძალიან ცოტა დროს ვატარებ.

— და მაინც, როცა სარკის წინ დგახართ, რა აზრები გიტრიალებთ თავში?

— ძალიან კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ. არ ვამბობ, რომ ცუდი გარეგნობა მაქვს, მადლობა უფალს ჩემი გარეგნობისთვის, მაგრამ მაინც კრიტიკულად ვაფასებ ხოლმე თავს. საბოლოო ჯამში კი, სარკიდან მიყურებს ადამიანი, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნას — იყოს ფორმაში.

— კანი, თმა, წონა... ამ ყველაფერს როგორ უყლით?

— თმას და კანს ძვირადღირებული საშუალებებით ვუვლი. თუ შესაძლებელია, ამაში ფულის გადახდა არ უნდა დაგენანოს. წონის პრობლემა არასოდეს მქონია. დიეტას არ ვიცავ.

— პარლამენტში თქვენი გამოჩენის მერე თაყვანისმცემლების რაოდენობამ იმატა თუ იკლო?

— რა თქმა უნდა, ინტერესი მაღალია.

— ოდესმე გიგრძნიათ, რომ თქვენი ჟურნალისტობა ან პოლიტიკოსობა მამაკაცებს აფრთხობთ?

— კი, ასეა. როცა მამაკაცს ძლიერი ქალის წინაშე კომპლექსი უჩნდება, ეს მისი პრობლემაა. მინდა, ქართველ მამაკაცებს ვურჩიო, რომ არ შეუშინდნენ ძლიერ ქალებს, რადგან მათთან ურთიერთობა ბევრად ადვილია. ასეთი ქალები ჭირვეულები არ არიან.

— თქვენ ძლიერი ხართ?

— ვფიქრობ, რომ ვარ. სიძნელეების არასოდეს შემშინებია. შეცდომა არ მაშინებს და მის გამოსასწორებლად გზას ვეძებ.

— პირად ცხოვრებაში თქვენს სიძლიერეს ხელი შეუშლია?

— კი, მაგრამ არასდროს მინანია, რადგან იმ მამაკაცის გვერდით ვერ ვიცხოვრებ, რომელიც ისეთს ვერ მიმიღებს, როგორიც ვარ. ვერ გადავკეთდები.

— ამ ეტაპზე არის თქვენს ცხოვრებაში მამაკაცი, ვისაც თქვენი სიძლიერის არ ეშინია?

— კი. ცნობილი სახე არაა. ჩემს გამოსვლებს პარლამენტში ყოველთვის უყურებს, მამხნევებს.

— დაქორწინების დრო ჯერ არ დგიდგათ?

— ამის დრო არის, მაგრამ ჯერ არ მიფიქრია.

— ვინ არიან თქვენი უახლოესი ადამიანები, ანუ ოჯახის წევრები?

— ვცხოვრობ მშობლებთან ერთად. დედა ელენე მიროტაძეა, მამა — სიმონ მიროტაძე. მყავს და თეა და ძმა ლევანი. რძალი და ორი პატარა ძმისშვილი მყავს, მარიამი და სანდრო. და-ძმაზე უფროსი ვარ, ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა 2-2 წელია.

„ძალიან ბევრი პიჯაკი გაჩნდა ჩემს გარდერობში, ჯინსებზე კი უარი ვთქვი. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების შეყვარება არ მომიწია, ისედაც სულ მაღლებზე დავდიოდი. მოიმატა ჩემი კაბის სიგრძემ. უარი ვთქვი მასიურ სამკაულებზე.

„თმას და კანს ძვირადღირებული საშუალებებით ვუვლი. თუ შესაძლებელია, ამაში ფულის გადახდა არ უნდა დაგენანოს“.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

აქვს, გოგო გვეყოლება თუ ბიჭი, თუმცა ახლა, როცა ვფიქრობ, რომ მამა გავხდები, ყოველთვის გოგო წარმომიდგენია. ჩემს დას (მომღერალი მარიამ როინიშვილი. ავტ.) ჰყავს პატარა ელენე, რომელზეც ვგიჟდებით. ის ჩვენი შვილიც არის და ვერც წარმომიდგენია, საკუთარი შვილი მასზე მეტად როგორ უნდა შემიყვარდეს. მეუბნებიან, რომ გაგიჩნდება, ნახავ, როგორ შეგიყვარდებაო.

ანი: ტყუპები გვინდოდა, მაგრამ არ გამოვიდა, ერთია.

კოკო: მეც მინდოდა ტყუპები, საყვარლები არიან.

ანი: მარიამი ამბობს, მგონია, რომ ბიჭი იქნებაო. ვნახოთ, რამდენად გამართლდება მისი წინასწარმეტყველება.

— კოკო, დედათქვენის ემოციები როგორია მეორე შვილიშვილის მოლოდინში?

კოკო: თამრიკო ძალიან ბედნიერია. ჯერ არ იცის, როგორ მოეფეროს. გვეუბნება, სქესს რომ დაადგენთ, მერე უფრო მოვეფერებიო. ახლა უბრალოდ ანის მუცელზე ხელს გადაუსვამს ხოლმე და ძალიან ბედნიერია. მამაჩემი გიაც ასეა. ჩვენი პატარა ოქტომბერში უნდა დაიბადოს. 22 ოქტომბერს გიას დაბადების დღეა და უნდა, რომ შვილიშვილი მის დაბადების დღეზე გაჩნდეს.

■ კოკო და ანი ქორწილის დღეს

კოკო: „თამრიკო გვეუბნება, სქესს რომ დაადგენთ, მერე უფრო მოვეფერებიო. ახლა ანის მუცელზე ხელს გადაუსვამს ხოლმე და ძალიან ბედნიერია".

თამრიკოს ძალიან სწრაფად უნდოდა მეორე შვილიშვილი და გვთხოვდა, გააჩინეთო.

ანი: ჩემს მეგობრებს რომ ვუყურებდი, რომლებმაც დაქორწინებისთანავე გააჩინეს ბავშვი... მინდოდა, ცოტა ხანს არ გვყოლოდა. როცა ცოლ-ქმარი რაღაც პერიოდი მარტო ცხოვრობენ, ამას თავისი ხიბლი აქვს.

კოკო: ბავშვი რომ ჩნდება, გარკვეული შეზღუდვა იწყება შენს ცხოვრებაში.

ანი: ისედაც, ოჯახს რომ ქმნი, ახალი ცხოვრება იწყება და უცბათ ბავშვიც სირთულეებს იწვევს. მგონი, ჩვენ ცუდად არ მოვიქეცით.

— ამ ერთმა წელმა, რაც ორმა ერთად გაატარეთ, რა მოგცათ ურთიერთობაში, როგორ გაგაცნოთ ერთმანეთი?

ანი: 23 თებერვალს ერთი წელი გახდა, რაც მე და კოკო ერთად ვართ.

კოკო: ეს — რაც არაოფიციალურად ვართ ერთად, ოფიციალური ქორწინებიდან ჯერ ერთი წელი არ გასულა. ჩვენ ადვილად გავიარეთ ადაპტაცია და იოლად შევეგუეთ ერთმანეთს. მანამდეც არ იყო ცოტა ხანი გასული, რაც ერთმანეთს ვიცნობდით და მაშინვე ღია ვიყავით ერთმანეთისთვის.

ანი: ასე რომ, ერთად ცხოვრების შემდეგ ერთმანეთში განსაკუთრებული სიახლეები არ აღმოგვიჩენია.

კოკო: პირიქით, მე უფრო კარგი ტიპი აღმოვჩნდი. ანიც უფრო კარგი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. მაგარი ცოლია! ყურადღებიანი, თბილი და საყვარელია.

— სანამ ოფიციალურად დაქორწინდებოდით, საცდელი პერიოდი გქონდათ?

ანი: არა. უბრალოდ, დადგა დრო, როცა ჩვენ ერთად უნდა გვეცხოვრა. მივხვდით, რომ სხვანაირად აღარ შეიძლებოდა. მშობლების ხელშეწყობით დავიწყეთ ერთად ცხოვრება. საცდელი პერიოდი არ გვქონია, ქორწილი მალევე გვქონდა.

— მშობლებთან ხშირად მიდიხართ?

კოკო: დედაჩემის მეზობლები ვართ. თამრიკო ისედაც საოცრად ყურადღებიანია და აქ რომ ვართ, ძალიან ბედნიერია. ძირითადად მასთან ვსადილობთ.

ანი: ამ პერიოდში განსაკუთრებით სულ მასთან ვსადილობთ.

კოკო: თამრიკოსნაირი ყურადღებიანი ადამიანი ყველამ უნდა ინატროს. ანისთანაც საოცრად თბილია, მამაჩემიც ძალიან თბილია.

ანი: შესანიშნავი დედამთილ-მამამთილი მყავს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მეგობრები არიან. მათთან ერთად ყოფნა და საუბარი მიყვარს.

— თურმე დედამთილმა ხაჭაპურების ცხობა გასწავლათ. კიდეც რა ისწავლეთ მისგან?

ანი: მისგან ბევრი ვისწავლე. რამის გაკეთების სურვილს რომ გამოვთქვამ, ძალიან უხარია. სამზარეულოში საქმიანობა მიყვარს, მაგრამ ახლა სუნი მაღიზიანებს, არ მსიამოვნებს, სახლში რამე რომ მზადდება.

კოკო: დაახლოებით 6 თვე კიდევ ეგრე იქნება.

— ანი, თქვენი ქმარი დედამისს უფრო ჰგავს თუ მამამისს?

ანი: გარეგნობით თამრიკოს დედას ჰგავს.

კოკო: რაც შეეხება ბუნებას, ორივე მშობლისგან კარგი მაქვს აღებული!.. რა თქმა უნდა, ვხუმრობ, მაგრამ მიხარია, რომ მეც და ჩემს დასაც გვაქვს ზრდილობა და ოპონირების, ჩვენი აზრის გამოთქმის უნარი. ჩვენი მშობლების დამსახურებაა, რომ ვაზროვნებთ.

ანი: მინდა, ჩვენი შვილი კოკოს ფერებში იყოს.

კოკო: თვალებით — მამას და დანარჩენით დედას უნდა ჰგავდეს.

ანი: იმედია, ჩვენი შვილიც ორივე მშობლებისგან კარგს აიღებს.

კოკო: კოკოს მსგავსადო, უნდა თქვა!.. თამრიკო ისე მოგაწოდებს თავის აზრს, რომ გგონია, შენ თვითონ მოიფიქრე.

ანი: კოკომაც საინტერესოდ იცის თავისი აზრის მოწოდება და სიამოვნებს, თუ მის მხარეს დადგები.

— კოკო, ბოლო დროს სერიალში „შუა ქალაქში" გამოჩნდით. მიგიწვიეს თუ თავად შესთავაზეთ საკუთარი თავი?

კოკო: მეც დამირეკეს და ანისაც, კასტინგზე მოდითო.

ანი: კოკოს დაავიწყდა, ეთქვა, ჩემი ცოლი ფეხმძიმეადაო.

კოკო: კასტინგი გავიარეთ და ანიზე აღარ გაამახვილეს ყურადღება, რადგან გაიგეს, რომ ფეხმძიმედ იყო.

ანი: შეიძლება მე არც მოვეწონე, რა იცი... ათას კასტინგზე ვყოფილვარ და არავინ იცის, რის გამო არ ამირჩიეს. რომ მივედი, ვუთხარი, ფეხმძიმედ ვარ-მეთქი და მიპასუხეს, კასტინგი მაინც გაიარეო.

კოკო: ორი კასტინგი გავიარე და მიხარია, რომ ამ გუნდში აღმოვჩნდი. ორ თეატრშიც ვთამაშობ თითო-თითო სპექტაკლს. სარეჟისოროზე, მაგისტრატურაში ვსწავლობ და მინდა, სპექტაკლი დავდგა.

— თქვენს სპექტაკლში ცოლისთვისაც გექნებათ როლი?

კოკო: ნაკლებად. ვფიქრობ, ანი თავისი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მსახიობია და ამას, როგორც ქმარი, ისე არ ვამბობ, მაგრამ მე რომ დავაკავო სპექტაკლში, ვიღაც იფიქრებს, რომ პრივილეგირებულია.

— ანი, ახლა სულ სახლში ზხართ თუ გაქვთ რამე როლი?

ანი: ეს სამი თვეა სახლში ვარ, რადგან სულ მეძინებოდა და არსად გასვლა შემეძლო. კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლ „ზავავში" ვარ დაკავებული და თვის ბოლოს გასტროლზე მივდივართ ანკარაში. ახლა ცოტა აზრზე მოვედი და სახლიდან გასვლა მომინდა. ჭამაც მინდება და ნორმალური ცხოვრების რეჟიმს ვუბრუნდები.

ანი: „ტყუპები გვინდოდა, მაგრამ არ გამოვიდა, ერთია".

— კოკო, ანის მიზეზობამ ცოტა ხომ არ დაგაბნიათ?

კოკო: ანის ამ მდგომარეობის გამო არ დავბნეულვარ. პირიქით, უფრო მობილიზებული გავხდი და ახლაც ასე ვარ.

ანი: თუ ქალი ინატრებს, ნეტავ, ჩემი ქმარი ასე იქცეოდესო, კოკო ზუსტად ასეთია. ჩემ მიმართ საოცარ ყურადღებას იჩენს. დილაობით მაკანკალებდა, ვერ ვდგებოდი და კოკოს ვეუბნებოდი, მშია-მეთქი. საუზმე საწოლში მოჰქონდა. ძალიან მზრუნველია.

— საქორწინო მოგზაურობაში იყავით?

კოკო: ქორწილამდე ვიყავით ინგლისში გასტროლზე. ჩემი ჯგუფის სადიპლომო სპექტაკლი წავიღეთ და ანიც წავიყვანეთ. ისე მოხდა, რომ ანისაც მოუწია ეპიზოდური როლის თამაში.

ანი: ერთ-ერთი მსახიობი ვერ წამოვიდა და მოულოდნელად მე მათამაშეს. მერე მე და კოკო შანხაიშიც ვიყავით. მინდა, ყველას ვუთხრა, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემათ, იქ წავიდნენ. ფანტასტიკური ქალაქია!

კოკო: შანხაიში თეატრალურიდან გამიშვეს, მე და თამრიკომ ბევრი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ანი ჩემთან ერთად წამოსულიყო. დედაჩემმა ირბინა, სპონსორები მოიძია, რომ ანი ჩემთან ერთად გამოეშვა.

შანხაი სხვა განზომილებაა. იქაურები ჩვენთან ერთად იღებდნენ სურათებს. არიან ჩინელები, რომლებსაც ევროპელები არ უნახავთ. ამ ქალაქში ოფიციალურად 25 მილიონამდე ჩინელი ცხოვრობს და არაოფიციალურად რამდენია, ღმერთმა იცის.

ანი: ჩვენ რომ ადრე ვუყურებდით შავკანიანებს, ისე არიან, ჩვენკენ თითებს იშვერდნენ, ეცინებოდათ.

კოკო: მე განსაკუთრებით დამცინოდნენ. მათთვის საოცრად სასაცილო ვინმე ვიყავი.

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

გვანცა ყუფარაძე: „მოგონება ციხეში გატარებულ წლებზე ჩემი კარგი მეგობარია“

საქმე, რომელიც ქართული მართლმსაჯულების განაჩენად იქცა

■ გვანცა ყუფარაძე

„სანდრო გირგვლიანის განაჩენი ქართული მართლმსაჯულების განაჩენია. გვანცა ყუფარაძის განაჩენიც არსებობს. ჩვენ ამის აღიარებით უნდა დავიწყოთ და შემდეგ ერთად ვიფიქროთ, როგორ გამოვასწოროთ“, — ეს სიტყვები იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მაშინ წარმოთქვა, როცა 16 მარტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილსა და მოსამართლეებს შეხვდა.

„სტრასბურგის სასამართლოში თქვენი გადაწყვეტილებების კითხვაში 10 წელი გავატარე“, — მიმართა თეა წულუკიანმა მოსამართლეებს და ამით ხაზი გაუსვა, რომ ისინი უსამართლო გადაწყვეტილებებს იღებდნენ. ამ შეხვედრაზე მან კონკრეტული საქმეები გაიხსენა, რომლებიც საქართველოდან სტრასბურგში ჩადიოდა და სწორედ ამ კონტექსტში ახსენა გვანცა ყუფარაძისა და სანდრო გირგვლიანის საქმეები. თეა წულუკიანმა ამაზე კოტე კუბლაშვილის განცხადების შემდეგ ისაუბრა, როცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მოკლედ მიმოიხილა ის რვაწლიანი პერიოდი და მუშაობა, რაც სასამართლოში გაკეთდა.

■

■ თეა წულუკიანი

თეა წულუკიანი: „ყუფარაძის საქმეში არაერთი მასალა ადასტურებს, რომ ის უდანაშაულო იყო, მაგრამ არც ერთმა სასამართლომ და მათ შორის მოსამართლე დალი მეტრეველმა თავის განაჩენში არ ახსნა, რატომ გაითვალისწინა პროკურატურის არგუმენტები და არაფრად ჩააგდო ექსპერტიზის დასკვნა“.

გვანცა ყუფარაძე 2006 წლის 9 ნოემბერს დააპატიმრეს. ბრალად თანაკლასელ თორნიკე ტყემალაძის განზრახ მკვლელობის მცდელობა წაუყენეს. გოგონა მაშინ 14 წლის იყო. ის მაშინდელმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო. მოსამართლე დალი მეტრეველმა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, აქედან 5 წელი — საპატიმროში ყოფნა, 5 წელი კი — პირობითი სასჯელი. გვანცამ საპატიმროში სასჯელი მთლიანად მოიხადა, პლუს 2 წელი პირობითი სასჯელიც, ამნისტიის შედეგად კი დარჩენილი 3 წლიანი პირობითი სასჯელი გაუუქმდა და დღეს თავისუფალია. ის თავს დამნაშავედ არ ცნობს. ამ საქმის მთავარი ხარვეზი ის არის, რომ გვანცა ყუფარაძე მხოლოდ ერთი პიროვნების, დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე დაიკავეს.

საქართველოს პარლამენტის მაშინდელი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე ამ ისტორიით პირადად დაინტერესდა და, როცა საქმეს გაეცნო, მასში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა. დეპუტატი აპროტესტებდა გამოძიების დასკვნას და სასამართლოს განაჩენს, კერძოდ იმ ბრალდებას, რომელიც გვანცა ყუფარაძეს წაუყენეს და რომლის მიხედვითაც კაფანდარა 14 წლის გოგონამ თავის ტოლ ბიჭს დანით ათეულობით ჭრილობა მიაყენა სხეულზე.

2009 წელს საქმე სტრასბურგის სასამართლოში გაიგზავნა.

ყუფარაძის საქმეში დარღვევებზე ჯერ კიდევ 2 წლის წინ, მისი საპატიმროდან გამოსვლიდან რამდენიმე დღეში ისაუბრა თეა წულუკიანმა „სარკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ახლანდელი იუსტიციის მინისტრი მაშინ უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გახლდათ.

— გვანცა ყუფარაძეს მსჯავრი ისე დაედო, რომ სისხლის სამართლის მასალებით მისი ბრალეულობა არ დასტურდებოდა. ყუფარაძის საქმეში არაერთი მასალა ადასტურებს, რომ ის უდანაშაულო იყო, მაგრამ არც ერთმა სასამართლომ და მათ შორის მოსამართლე დალი მეტრეველმა თავის განაჩენში არ ახსნა, რატომ გაითვალისწინა პროკურატურის არგუმენტები და არაფრად ჩააგდო ექსპერტიზის დასკვნა, — ამბობდა მაშინ თეა წულუკიანი.

2013 წლის 16 მარტს მოსამართლეებთან შეხვედრისას ამ ფაქტის გახსენებას მოსამართლე დალი მეტრეველი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მის მიერ გვანცა ყუფარაძის მიმართ გამოტანილი განაჩენი სამართლიანი იყო.

— მინისტრის ამ განცხადებას არ შევაფასებ. ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით როცა ვისაუბრე, აღვნიშნე, რომ ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო. მე ასე მიმაჩნდა და ამიტომ მივიღე ეს გადაწყვეტილება, რომელიც შემდეგში სხვა ინსტანციებშიც ძალაში დარჩა. ასე რომ, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით შეფასებას ვერ გავაკეთებ, — აღნიშნა მეტრეველმა.

სწორედ ამ განცხადებას მოჰყვა ყოფილი პატიმრის, გვანცა ყუფარაძის რეაქცია.

— განაჩენი თავისუფლების აღკვეთის შესახებ საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ დალი მეტრეველმა გამომიტანა. მისი განაცხადი მოვისმინე. მიუხედავად ყველაფრისა და იმისა, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო და რა შთაბეჭდილება შეიძლება მქონდეს მის მიმართ, მისი პასუხით იმედგაცრუებული ვარ, ასეთ დაბალ დონეს არ ველოდი. როგორც ჩანს, ბევრად უფრო მაღალი წარმოდგენა მქონდა მოსამართლეთა მსოფლმხედველობაზე. მოსამართლემ თქვა, რომ ამაზე საუბარი არ სურდა, რომ მას თავისი შეხედულება განაჩენში ჰქონდა ასახული და თუ ვინმეს მისი აზრის გაგება სურდა, განაჩენში უნდა ჩაეხედა და თავად განესაჯა. ეს ძალიან სუსტი პასუხია და ვფიქრობ, მოსამართლის კარიერაში ეს სიტყვები ძალიან დიდი ჩავარდნა უნდა იყოს.

მოსამართლისთვის განაჩენიდან რაღაც ფრაზის ციტირება მაინც არ უნდა ყოფილიყო მისთვის პრობლემა, მისთვის არც ის უნდა ყოფილიყო პრობლემა, თუნდაც პირდაპირ ეთქვა, რომ ის გვანცა ყუფარაძეს შინაგანი რწმენით დამნაშავედ თვლიდა. მან საზოგადოება იმის ღირსადაც არ ჩათვალა, რომ ეს პასუხი გაეცა ან უბრალოდ ვერ თქვა. როცა მოსამართლის გადაწყვეტილებაში სიტყვა ვერ ფიგურირებს, ეს უკვე სირცხვილია. ის არგუმენტად იყენებს, რომ მისი გადაწყვეტილება შემდეგი ინსტანციის სასამართლოებში გასაჩივრდა და უცვლელი დატოვეს. სწორედ ამიტომ ზოგადად საქართველოს სასამართლო სისტემაშია პრობლემა. სამწუხაროა, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც მოსამართლენი ეწოდებათ და ასეთი თვისებები აქვთ, — ეს კომენტარი გვანცა ყუფარაძემ „სარკესთან“ გააკეთა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმე სტრასბურგის სასამართლოშია გაგზავნილი.

— იქ ჩემი საქმე კანონის შესაბამისად, საქართველოში სამივე ინსტანციის გავლის შემდეგ იქნა გადაგზავნილი. სასამართლომ საქმე წარმოებაში ამავე წელს მიიღო. პასუხი ჯერ ჩამოსული არ არის, რადგან ეს მრავალწლიან პროცედურას მოითხოვს. ვფიქრობ, საბოლოო პასუხს, გადაწყვეტილების სახით, მალე მივიღებ. რასაკვირველია, ეს ერთ და ორ კვირაში შეიძლება არ იყოს. სტრასბურგის სასამართლოდან ველოდებით გადაწყვეტილებას, სადაც მითითებული იქნება, რომ მე უდანაშაულო ვარ, — ამბობს გვანცა და იუსტიციის მინისტრის კომენტარს ეხმაურება, — დიდი მადლობა ქალბატონ თეა წულუკიანს, რომ მას არც ერთი ადამიანის ტკივილი ავიწყდება. ის ჩემს საქმეს ძალიან კარგად იცნობს, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, 10 წლის განმავლობაში სტრასბურგში საქართველოს წარმომადგენელი იყო. სწორედ ამ პერიოდში გაიგზავნა იქ ჩემი საქმე.

პატიმრობის პერიოდში გვანცა ყუფარაძე სტუდენტი გახდა. ამჟამად გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსზე სწავლობს. „სარკესთან“ მან პატიმრობაში გატარებული დღეებიც გაიხსენა:

— ეს იყო ძალიან რთული პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ჩემთვის რთული გადასატანი იყო, იქ გატარებული ყოველი წუთი მახსენდება და ცუდად — არა. მაშინდელი ფრაგმენტების გახსენება კონკრეტული სწორი გადაწყვეტილების მიღებაში მეხმარება. ის წლები მოგონების სახით ჩემი კარგი მეგობარია, რომ ჩემი ცხოვრება შედგეს, — ამბობს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების მომლოდინე გვანცა ყუფარაძე.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

ლელა წურწუმია: „ვიღაცეებს უნდოდათ, რომ ჩვენი ოჯახი დანგრეულიყო“

„ფულს კაცივით ვშოულობ“

ამაკაცური აზროვნება, პასუხისმგებლობის გრძნობა და შრომისმოყვარეობა — მომღერალი ლელა წურწუმია თავის წარმატებას ამ თვისებებს მიაწერს. ბუნებით ლიდერია და ამ პოზიციას არც ოჯახში თმობს. ერთადერთ შვილს, მარიამს, დედამთილი უზრდის. ამბობს, რომ შვილი კარიერას შესწირა, მაგრამ სხვა არჩევანი არ ჰქონდა. 40 წელს კარგახანია გადააბიჯა და საკუთარ თავს მოდუნების უფლებას არასოდეს აძლევს. ის ყოველთვის ახერხებდა კომფორტულად არსებობას ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში მაშინ, როცა შოუბიზნესი საქართველოში მუდამ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე იყო დამოკიდებული. შეიცვალა თუ არა მისი მდგომარეობა საქართველოში ახალი პოლიტიკური რეალობის დადგომის შემდეგ?

ლელა წურწუმიამ პრესასთან ხანგრძლივი დუმილი დაარღვია და „სარკეს“ თავის ამჟამინდელ ცხოვრებაზე ესაუბრა. ჩვენს შეხვედრას, როგორც ყოველთვის, მისი ქმარი და პროდიუსერი მამულიჩაც ესწრებოდა.

— ლელა, დაიწყეთ იმით, რაც ჩვენს პოლიტიზირებულ საზოგადოებას ალბათ ძალიან ინტერესებს. ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ძველებურად ინარჩუნებთ წამყვან პოზიციებს? საერთოდ რიგორ გრძნობთ თავს ახალ რეალობაში?

— ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ მომღერლებს მთავრობის რომელიმე წარმომადგენელი ამღერებს. სიმღერა არც გამსახურდიას დროს დამიწყია, არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის და არც ივანიშვილის. ჩემი თავის გამგებელი თვითონ ვარ, ეს

> **„სიმღერა არც გამსახურდიას დროს დამიწყია, არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის და არც ივანიშვილის. ჩემი თავის გამგებელი თვითონ ვარ“.**

არის ჩემი ძირითადი შემოსავალი, ამიტომაც სულ ვმუშაობ. პოლიტიკური მოვლენები და ზოგადად ქვეყანაში არსებული ვითარება, რა თქმა უნდა, არამარტო ხელოვნებაზე, არამედ ყველა დარგზე აისახება. ვცდილობ, ჩემი საქმე ვაკეთო.

გარდა იმისა, რომ საქართველოში ვმუშაობ, საზღვარგარეთაც ხშირად მაქვს გასტროლები. 17 წელია, რაც ისრაელში ჩავდივარ, მათთვის ვმღერი და არა მარტო იქ, სადაც ქართველი ემიგრანტები არიან, კონცერტებს ყველგან ვმართავ. მართალია, პატარა ქვეყანაში პოლიტიკის ნაწილი მეტნაკლებად ხდები, მაგრამ ვფიქრობ, ადამიანის ბედი მისსავე ხელშია, თავის ცხოვრებას თავად უნდა განაგებდეს. დიდად პოლიტიზირებული ადამიანი არ ვარ, ყოველთვის ვიცავ სუბორდინაციას. მყავს ჩემი აუდიტორია, ჩემი მაყურებელი, მაქვს ჩემი ცხოვრება. ვერავინ იტყვის, ლელა წურწუმია მე მოვიყვანე შუობიზნესში, მე გავუკეთე რამეო. დიახ, საკუთარ თავს თვითონ გავუკეთე ყველაფერი, ყველაფერი ჩემი შრომით შევქმენი.

— პოლიტიკური ცვლილებები რაიმე ფორმით შეგეხოთ ან მომღერლებისგან არაკოლეგიალური დამოკიდებულება გიგრძნია?

— რა ვიცი, ეჭვი გაქვთ, რომ ვინმე მებრძვის? ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ ვინმეს ხარჯზე არაფერი მიკეთებია, არასოდეს არავინ შემიზღუდავს, გვერდით არასოდეს არავინ გამიწევია, პირიქით, ყველამ იცის, რომ ახალგაზრდა თაობას გვერდში ვუდგავარ. ყოველთვის ჩემს გზაზე მივდივარ.

— ის მომღერლები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს კონცერტებში არ მონაწილეობდნენ, უფრო სწორად, იბოიკოტებდნენ, თეთრი და შავი სიების არსებობაზე საუბრობენ. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— არ ვიცი, მე მაგ სიებში არასოდეს ჩამიხედავს. ზოგადად, ასეთი სიების წინააღმდეგი ვარ. ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი კარგი მომღერალია, სამწუხარო კი ის არის, რომ პატარა ქვეყანაა და ამდენი სამუშაო არ არის. ბევრი კარგი მომღერალი თავისი სიზარმაცის გამო არ ჩანს, ვიღაცას რაღაც პრობლემა აქვს და ა.შ. ამ პრობლემაზე რომ ვილაპარაკო, სწორი არ იქნება. ჩემთან პრეტენზიებით ვერავინ მოვა, კონცერტებს მე არ ვაკეთებდი და არც არანაირ სიებს ვადგენდი. მეგობრები პოლიტიკური შეხედულებით ნამდვილად არ ამირჩევია.

— ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ერთ-ერთ საიტზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სიმღერეთში აპირებდით გადადგომას. ამ ამბავს რეალური საფუძველი ჰქონდა?

— ეს ინფორმაცია რუსულ საიტზე გავრცელდა. 9 იანვარს ჟურნალისტები დამიკავშირდნენ, მითხრეს, თურმე გითქვამთ, გულისწყრომას გამოხატავთ, რომ საქართველოში არ გაფასებენ და სამშობლოში არ დაგედგომებათო. იმ საიტზე ისიც ეწერა, რომ ქვეყანა 8 იანვარს დავტოვე. მოკლედ, 9 იანვარს ჟურნალისტებს შევხვდი და ვუთხარი, 8 იანვარს რომ წავსულიყავი, დღეს აქ არ ვიქნებოდი-მეთქი. ეს არის ტყუილი, მსგავსი რამ არ ყოფილა და ჩემთან კომენტარის ჩასაწერადაც

> **„ამჯერად მხოლოდ ბოტოქსს ვიკეთებ... ოცა ადამიანი ლიპოსაქციას იკეთებს, მის ჰეაბილიტაციას, მინიმუმი, 3 თვე სჭირდება. ფიზიკურად დგომ არ მქონდა, ომმ ეს გამეკეთებინა“.**

არავინ მოსულა. საიტზე ეწერა, რომ მქონდა შემოთავაზება მონღოლეთიდან, ამერიკიდან და სომხეთიდან.

ჩემს ქვეყანასთან, ჩემს ხალხთან ნამდვილად არ მაქვს პრეტენზია, არ დამაფასეს კი არა, ძალიანაც დამაფასეს. მე დღეს აქტუალური ვარ, ხალხს ვუყვარვარ და ამის გარკვევა ძალიან ადვილია. როცა შენს კონცერტზე ბილეთი იყიდება, დარბაზი ივსება და იმ გადაცემას, სადაც გინვევენ, მაღალი რეიტინგი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ აქტუალური ხარ. გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქვეყანა ინგრეოდა და აქ ცხოვრება მართლა გაუსაძლისი იყო, გაცილებით ახალგაზრდა ვიყავი და მეტი შანსი მქონდა, საქართველოდან რომელიმე სხვა ქვეყანაში წავსულიყავი. მაშინ არ მიმიტოვებია სამშობლო და დღეს რატომ უნდა დავტოვო?!

— ვის რაში სჭირდებოდა თქვენთვის ამ ყველაფრის დაბრალება?

— არ ვიცი, ვის დასჭირდა, მაგრამ ერთს გეტყვით, ასეთი პიარში ადამიანები ფულს იხდიან. ერთ-ერთმა ძალიან ჭკვიანმა ქალმა თქვა, არ აქვს მნიშვნელობა, რას ილაპარაკებენ, მთავარია, ილაპარაკონო... მართალი გითხრათ, ამის გამო გულისწყრომაც არ მქონია. ეს ვინც დაწერა, იმდენად უგნურია, ისიც ვერ მოიფიქრა, ამბავი რეალობასთან ახლოს ყოფილიყო და, მაგალითად, სომხეთის ნაცვლად ისრაელი დაეწერა. წლებია ამ ქვეყანასთან მაქვს ურთიერთობა. აი, მონღოლეთში რა მინდა, ნამდვილად არ ვიცი!

— შემოქმედებითი კუთხით რა სიახლეები გაქვთ?

— მუშაობას ჩვეული რიტმით ვაგრძელებ. ახალ ალბომზე ვმუშაობ. ახლახან ჩემი სოლო ალბომი გამოვიდა, რომელიც ორ ვერსიად გაკეთდა, პირველი — 2011 წლის 8 ოქტომბერს დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული კონცერტის ვრცელი ვერსიაა და მეორე, სიდი ვერსია, რომელშიც 13 ახალი სიმღერაა შესული. ახალი ალბომისთვის უკვე 4 სიმღერა მაქვს მზად. ეს არამარტო ჩემს ხმის ჩამწერ სტუდიაში კეთდება, სტუდია „სანოსთანაც“ ვთანამშრომლობ. დღემდე მივმართავ რუსა მორჩილაძეს, ლილიკო ნემსაძეს, მაიკო კაჭკაჭიშვილს. ეს ის ხალხია, ვისთან ერთადაც წლებია მოვდივარ. ჩემს ალბომში პირველად შევა დათო არჩვაძის ძალიან ლამაზი სიმღერა. იმედია, ალბომი მალე გამოვა.

მინდა აღვნიშნო, რომ 31 მარტს დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება საქველმოქმედო კონცერტი, შემოსული თანხა მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად გადაირიცხება. ეს საღამო ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

— საქართველოში ალბომის გაყიდვა მიმგებიანია?

— დღეს ეს მომგებიანი არ არის. სოლო ალბომს უფრო სარეკლამო დატვირთვა აქვს, ინტერნეტმა ჩვენს ისედაც პატარა ბაზარზე ალბომის შეძენის მოთხოვნილება უფრო შეამცირა.

— კონცერტებს რა სიხშირით მართავთ?

— 8 მარტს კლუბ „რუმბაში“ მინი ბენდთან ერთად ალბომის

Cyan Magenta Yellow Black

პრეზენტაცია მოვაწყვე. საქართველოში კონცერტები არ ტარდება, ვფიქრობ, რომ ჩვენს სფეროში ნამდვილი კოლაფსია. გასვლითი კონცერტები უფრო მაქვს. დღეს მარტო ლელა კი არა, ჩემი ბევრი კოლეგა არ ჩანს.

— თქვენს კოლეგები ამბობენ, თავისუფლები ვართ და გაიკეთოთ ის, რაც ჩვენ გვინდა.

— გაიკეთონ მერე, ვინ უშლით ხელს?! მე მინდოდა კონცერტი და 8 მარტს გავმართე კიდეც. მით უმეტეს, თუ არის თავისუფლება და მათ, ვინც ადრე შეზღუდულები იყვნენ და დღეს აღარ არიან, რა უშლით ხელს? გააკეთონ კონცერტი, გამოუშვან ალბომი, ჩაწერონ ახალი სიმღერები!

— ქართულ შოუბიზნესში თქვენ და მამულიჩა ერთ-ერთი გამორჩეული წყვილი ხართ. თქვენმა ურთიერთობამ ალბათ ბევრი ეტაპი გაიარა. ახლა როგორი პერიოდი გაქვთ?

— სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებთ, ძალიან გთხოვთ, დაწეროთ, მე არ მაქვს „ფეისბუქი“. ის რამდენიმე ლელა წურწუმია არის ვიღაც და არა — მე! არ ვარ ინტერნეტმომხმარებელი, რადგან ვფიქრობ, ეს ზედმეტი ინფორმაცია ზედმეტი ნერვების გლეჯაა. ვიღაცამ თურმე „ფეისბუქზე“ დაწერა, ლელას და მამულიჩას სიყვარულის ამბავი იმდენად ამოგვიყვანეს ყელში, მათი სასიყვარულო ისტორია ეროვნული გამოცდების ტესტებში ხომ არ შევიტანოთო. ამაზე ბევრი ვიცინე და ეს აზრი მომეწონა.

17 წელია, რაც მე და მამულიჩა ერთად ვართ. გარდა იმისა, რომ ჩვენ ერთი ოჯახი ვართ, ერთი საქმითაც ვსუნთქავთ. ჩვენი ოჯახის სიმტკიცე ამანაც განაპირობა. ისეთ ასაკში დავქორწინდით, რომ ზუსტად ვიცოდით, რა გვინდოდა, თუმცა ეს არ არის აქსიომა, მრავალწლიანი ოჯახებიც ინგრევა. ჩვენ რაღაცნაირად დავაბალანსეთ ურთიერთობა, კარგად შევისწავლეთ ერთმანეთი. კამათი როგორ არ მოგვსვლია, მაგრამ როცა არის სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და მეგობრული დამოკიდებულება, შეთანხმებას ყოველთვის მიაღწევ.

რაც დრო გადის, სიყვარულის გარდა პასუხისმგებლობა იზრდება. ჩვენს ასეთ დამოკიდებულებას ისიც განაპირობებს, რომ ძალიან ტრადიციული ოჯახებიდან მოვდივართ. სადილად ყოველთვის ერთად ვსხდებოდით, მაგიდასთან ყველას თავისი ადგილი ჰქონდა. არაჩვეულებრივი დედამთილ-მამამთილი მყავს. ჩემმა დედამთილმა სამსახურს თავი დაანება, რომ ოჯახს მომსახურებოდა, დღეს ჩემს შვილს ზრდის.

— ჭორაობდნენ, რომ ლელას და მამულიჩას ოჯახი მალე დაინგრევა. გიფიქრიათ, რატომ ვრცელდებოდა ეს ხმები?

— ვიღაცეებს უნდოდათ, რომ ჩვენი ოჯახი დანგრეულიყო. ზოგიერთს მხოლოდ ის ფუნქცია აქვს, რომ იჭორაოს და სხვისი ცხოვრებით იცხოვროს. მათი პრობლემა ის არის, რომ თავიანთი პირადი არ გააჩნიათ. ჩემი აზრით, ასეთი ადამიანები შეუმდგარი პიროვნებები არიან.

— ყველგან ერთად დადიხართ, სულ თვალებში შესცინინებთ ერთმანეთს. ოჯახურ თემებზე უფრო ხშირად კამათობთ თუ საქმეზე?

— ეგრეა, მამულიჩ? თვალებში შევციცინებთ ერთმანეთს? საქმის დროს ვკამათობ, პირად ცხოვრებაში კი პრობლემები არ გვაქვს. მარტივი ადამიანი არ ვარ, ჩემი გაძლება იოლი ნამდვილად არ არის. ცოტათი კაცის ტვინი მაქვს, შეზღუდვებს ვერ ვიტანთ. ფულს კაცივით ვშოულობ. არ ვიცი, მამულიჩას გარდა რომელი კაცი აიტანდა ჩემს ახირებებს. ძალიან ჯიუტი ვარ. „არა“-ს რომ ვიტყვი, უნდა იყოს „არა“!

— ქმარი თქვენს სიჯიუტეს ემორჩილება?

— ხშირ შემთხვევაში — კი. რომ არ დაემორჩილოს, ერთად ვერ ვიქნებოდით. არც მამულიჩაა მარტივი, თავისი გამოკვეთილი ხასიათი მასაც აქვს, ჯერ ერთი, კაცია...

— ოჯახში ლიდერია?

მამულიჩა: (იცინის)... არა!

ლელა: ჩვენს ოჯახში არ არის ისეთი ურთიერთობები, კაცმა მაგიდაზე ხელები უბრახუნოს და ბრძანებები გასცეს. საკმაოდ ცივილური ურთიერთობა გვაქვს.

რამდენიმე კვირის წინ სარვამარტო გამოკითხვა იყო და იქ ზოგიერთი მამაკაცი ამბობდა, ქალი სამზარეულოში უნდა იყოს ცხვირპირმოსვრილიო. უკაცრავად, პატივცემულო მამაკაცებო, ქალები რომ კაცებივით შრომობენ და გადახიზნულები არიან უცხოეთში, ქმრები კი წამოპლაკულები ხართ და „სემიჩკის“ ფურთხებასა და დომინოს თამაშში ატარებთ დროს, ეს სადაური წესია?! ან ქალი კბილებამდე „შეიარაღებული“, სავსე ჩანთებით რომ ბრუნდება შინ, ეს სადაური წესია?!

„ბევრი ჯიგი მომღერალი თავისი სიზარმაცის გამო არ ჩანს... ჩემთან პრეტენზიებით ვერავინ მოვა, კონცერტებს მე არ ვაკეთებდი და არც არანაირ სიებს ვადგენდი. მეგობრები პოლიტიკური შეხედულებით არ ამიჩევია“.

სხვა ცხოვრება მოვიდა. ქალმა ძალიან ბევრი რამ იტვირთა და საკუთარ თავზე ბევრი პასუხისმგებლობა აიღო. ამის ფონზე მაინც დიდი პრეტენზიები აქვთ მამაკაცებს — ქალო, შენ იქ არ წახვალო. რას ჰქვია, არ წავა?!

■ ლელა და მამულიჩა

„არ ვიცი, მამულიჩას გარდა რომელი კაცი აიტანდა ჩემს ახირებებს“.

შენი საკუთრებაა?! გენეტიკურ ნათესავს ვერ ირჩევ, მაგრამ ქმარს, ცოლს და მეგობარს — კი.

— მეორე შვილის ყოლა ყოველთვის გინდოდათ. ალბათ გული გწყდებათ, რომ არ გააჩინეთ.

— ამის საშუალება არ იყო და ასე მოხდა, ეს ალბათ ღვთის ნებაც იყო. ჩემმა პროფესიამ მეორე შვილის გაჩენის საშუალება არ მომცა. ერთი შვილი მყავს და იმასაც ბებია ზრდის. რომ მეუბნებით, ყოველთვის აქტუალური ხართო, იმიტომ ვარ, რომ შვილი ჩემს კარიერას შევწირე. შეიძლება ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ასეა.

— მერე ეს ამად ღირდა?

— არ ვიცი, ამად ღირდა თუ არა, მაგრამ სხვა არჩევანი არ მქონდა.

— სიმღერის გარდა რისი კეთება შეგიძლიათ?

— დიზაინში ვცდიდი ბედს, ასევე — ვიზაჟში. სხვათა შორის, ძალიან მაინტერესებს სოფლის მეურნეობა.

— არ გიფიქრიათ საჯარო სამსახურში მუშაობაზე?

— არა, თუმცა ძალიან კარგი ხელმძღვანელი ვიქნებოდი. მობილიზებული ვარ და წესრიგი ძალიან მიყვარს. ჩემს სახლში ზუსტად ვიცი, სად რა მიდევს. 12 წელი ამატომაც მყავს ერთი მომსახურე პერსონალი, რომელმაც ზუსტად იცის, სად რა მიდევს. დავუშვათ, მეგობრები საზღვარგარეთ მივდივართ, ყველას პასპორტი მე მიჭირავს, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება მიყვარს. ძალიან ოპერატიული ვარ, საქმის გადადება არ შემიძლია. დროს ვუფრთხილდები, მით უმეტეს, რომ 40 წელს გადავაბიჯე.

— თაყვს როგორ უყვლით? წინაში საგრძნობლად დაიკეთეთ და ფიგურის შენარჩუნება შეძელით. ამბობენ, რომ ლიპოსაქცია ერთ-ერთ ძვირადღირებულ კლინიკაში გაიკეთეთ.

— თუ პლასტიკური ქირურგიული ჩარევა დამჭირდება, ამაზე უარს არ ვიტყვი. ამჯერად მხოლოდ ბოტოქსს ვიკეთებ. თავს მარტივად ვუვლი, ამაში გენეტიკაც მიწყობს ხელს. მართლაც, ამბობდნენ, რომ შვეიცარიაში ვიყავი და ძალიან ძვირადღირებულ კლინიკაში გავიკეთე ოპერაცია. არა, ბატონო, არანაირი ოპერაცია არ გამიკეთებია! როცა ადამიანი ლიპოსაქციას იკეთებს, მის რეაბილიტაციას, მინიმუმი, 3 თვე სჭირდება. ფიზიკურად დრო არ მქონდა, რომ ეს გამეკეთებინა. იმ პერიოდში ინტენსიურად ვმუშაობდი ფილმზე „დარჩი ჩემთან“. ამის გამო წონაში დაკლება დამჭირდა და ეს იყო ძალიან სერიოზული მოტივაცია.

5 წელი საკმაოდ მომატებული ვიყავი, ერთი პერიოდი მოვეშვი და ზედმეტი კილოგრამები არ მაწუხებდა. სიგარეტს დავანებე თავი და პირველად მაშინ მოვიმატე. სპორტულ ცხოვრებას შევეშვი. უცებ 17 კილოგრამი დავიკელი და ამას ისეთი რეაქციები მოჰყვა, რომ ის 5 წელი ამად ღირდა. რეჟისორ ზაზა ურუშაძეს რომ შევხვდი, მითხრა, უნდა გახდეო. მისი სიტყვები ჯადოსნური გამოდგა. მომერიდა, შემრცხვა. შეურაცხმყოფელიც იყო კაცისგან ეს ფრაზები, ამას კარგი გაგებით ვამბობ. ზაზას პირობა მივეცი, რომ დავიკლებდი. შიმშილი 27 მაისს დავიწყე და 5 ივნისს 10 კილო მქონდა დაკლებული. იმ პერიოდში, მინიმუმი, 12 საათი ვმუშაობდი. მოტივაცია იმდენად დიდი იყო, რომ საკვების მიმართ ზიზღიც კი გამიჩნდა. მხოლოდ წყალს და შაქრიან ხსნად ყავას ვსვამდი, რომელიც ძალიან არ მიყვარს. ბოლოს მამულიჩა მოხარშული კვერცხით და კიტრით დამდევდა, მეხვეწებოდა, პირი გამეღო. 75 კილოდან 58 კილოზე ჩამოვედი.

„ვიღაცამ თუმცა „ფეისბუქზე“ დანერა, ლელას და მამულიჩას სიყვარულის ამბავი იმდენად ამოგვიყვანეს ყელში, მათი სასიყვარულო ისტორია ეროვნული გამოცდების ტესტებში ხომ არ შევიტანოთო. ამაზე ბევრი ვიცინე და ეს აზრი მომეწონა“.

— ამ ასაკში ცხოვრებისგან რა გაქვთ ნასწავლი?

— რაც დრო გადის, მით მეტად ვგრძნობ პასუხისმგებლობას. ხშირად ვამბობ, ჩემი პასუხისმგებლობა შემიწირავს-მეთქი. ადამიანისთვის ეს თვისება ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრი უნდა იშრომო, იაზროვნო, იფიქრო იმაზე, რომ ენის წინ კბილებია. ადამიანს საკუთარ თავზე დიდი მტერი არ ჰყავს! თქვენ ისე ვერ მიმტრობთ, როგორც შეიძლება მე ვუმტრო საკუთარ თავს. ამ წლების განმავლობაში ცხოვრებამ მართლაც ბევრი რამ მასწავლა.

✓ ლანა კენჭოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

„ყოფილ ქმარზე ვეჭვიანობ“

ომავალმა ქმარმა მომიტაცა. სხვა ბიჭი მიყვარდა. ამიტომ სულ ვაყვედრიდი, რომ ცხოვრება ამირია. ვთვლიდი, რომ ქმარმა ბედნიერება წამართვა. მის ოჯახშიც არეული სიტუაცია დამხვდა. მის მშობლებს გაუთავებელი ომი ჰქონდათ ერთმანეთთან. ჩემს მამამთილს საყვარელი ჰყავდა და ამის გამო ერთმანეთს ხოცავდნენ.

ქმარს ძალიან ვუყვარდი. ყველა სურვილს მისრულებდა. რას არ აკეთებდა, რომ ჩემი გული მოეგო. მეუბნებოდა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შეგიყვარდეო. ჩემი გული კი ვერ გაალღო. ცალკე რომ გვეცხოვრა, შეიძლებოდა ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო. იქნებ ჩემი ქმრისთვის სხვანაირად შემეხედა, მის მიმართ მეტი სითბო გამომეჩინა. მერე კი ჩვენი ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. ერთხელ, ჩხუბისას მითხრა, ყინულივით ქალი ხარ, იმდენი მოახერხე, შენი მიკარების სურვილი დამიკარგეო. ჩვენი უთანხმოება ძალიან გაღრმავდა, ჩემს ქმარსაც ზედმეტი მოუვიდა, ის იკადრა, რისი ღირსიც არ ვიყავი, ამიტომ მისი სახლიდან წამოვედი.

შერიგება ბევრჯერ სცადა. მთხოვდა, მისთვის ყველაფერი მეპატიებინა და ცხოვრება თავიდან დაგვეწყო, მაგრამ ამის გაგონება არ მინდოდა. პირდაპირ მივახალე პირში, რომ არ მიყვარდა და არც არასოდეს მყვარებია.

რამდენიმე ხნის წინ გავიგე, რომ სხვა ქალზეა შეყვარებული და მის ცოლად მოყვანას აპირებს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავმწარდი! საშინლად ვეჭვიანობ. არ მინდა, რომ მის ცხოვრებაში სხვა ქალი გაჩნდეს. აღმოვაჩინე, რომ თურმე მიყვარს და მის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. მესიჯი გავუგზავნე, მოვიკითხე. მან ცივად, ორი სიტყვით მიპასუხა, რომ კარგად იყო. მივწერე, რომ მენატრებოდა, მაგრამ არაფერი მომწერა. აღარ ვიცი, რა გავაკეთო, რითი დავიბრუნო ყოფილი ქმარი და მისი სიყვარული.

„სარკის“ მკითხველი

გამოხმაურება

„ოჯახს გავუმხილე, რომ გეი ვარ“

ადლობა ჟურნალ „სარკეს“, რომ არსებობს და ყოველთვის ასეთი საინტერესოა. მადლობა იმისთვის, რომ ყველას გვაძლევთ საშუალებას, ჩვენი აზრები და გულისტკივილი გამოვთქვათ, ერთმანეთს გავუზიაროთ.

მინდა, გამოვეხმაურო მე-11 ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — „ძმაკაცებმა არ იციან, რომ გეი ვარ“. კარგად მესმის შენი. ორი წლის წინ მეც ასეთივე მდგომარეობაში ვიყავი. მეშინოდა იმის აღიარება, რომ ბიჭები მომწონდა. იმაზე ფიქრიც კი არ მინდოდა, თუ ვინმე გაიგებდა, ამას რა მოჰყვებოდა. მეშინოდა ოჯახის წევრების და მეგობრების დაკარგვის, მაგრამ აღარც ტყუილში ცხოვრება მსურდა.

ბოლოს გადავწყვიტე, რომ ოჯახისთვის სიმართლე მეთქვა. კარგად ვაცნობიერებდი, რომ შესაძლებელი იყო, ყველა დამეკარგა და სახლიდან წამოსვლაც მომიწევდა. სამაგიეროდ კი თავისუფლებას მივიღებდი და ტყუილების თქმა აღარ მომიწევდა.

ერთ დღეს ოჯახში გავამხილე, რომ გეი ვიყავი და თუ ვინმეს ვუყვარდი, ჩემზე გული შესტკიოდა, ისეთს მიმეღებდა, როგორიც ვიყავი. რა თქმა უნდა, ამის გაგება ყველასთვის მძიმე დარტყმა იყო, განსაკუთრებით — დედასთვის. ჩემმა ძმამ სიმართლე რომ მოისმინა, მითხრა, ისეთი გვეყვარები, როგორიც ხარო. ამის თქმაზე დედასა და ჩემს ძმას ტირილით ჩავეხუტე. მაშინ მივხვდი, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი, სიმართლე რომ ვთქვი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გამიგეს და ისეთი მიმიღეს, როგორიც ვარ.

მინდა, გირჩიო, ჯერ კარგად დაფიქრდი და ისე გადაწყვიტე, თქვა თუ არა სიმართლე. ნურც იმის გეშინია, რომ მეგობრები ზურგს შეგაქცევენ, თუ მათ უყვარხარ და პატივს გცემენ, მიგიღებენ.

მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

„ჩემი ქმარი საპატიმროში ილუპება!“

ვარ 18 წლის, აფხაზეთიდან დევნილი ოჯახიდან. ერთი წლის შვილი მყავს. ჩემი ქმარი, აკაკი ანზორის ძე თოხაძე, პატიმარია. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არის უკიდურესად მძიმე. ყველა დაავადების ჩამოთვლას, რაც მას აწუხებს, ალბათ ვერც მოვახერხებ — აქვს ტუბერკულოზი, გასტროფტოზი, ქრონიკული გასტრიტი, ქრონიკული ბულბიტი, პერსონოლოგიური აშლილობა, „ცე“ ჰეპატიტი, მწვავე ბრონქიტი... პირიდან აქვს სიხლდენები, ღვიძლის უკმარისობის გამო ვერ იღებს საკვებს. ციხეში სასტიკი მოპყრობის შემდეგ ფეხი დაუზიანდა, რის გამოც დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს, ინვალიდის ეტლში ზის. ორივე ფეხში მგრძნობელობა აქვს დაკარგული. სასწრაფოდ სჭირდება ქირურგიული ჩარევა. ორჯერ სცადა თვითმკვლელობა.

ჰპირდებიან, რომ გამოკვლევაზე წაიყვანენ, მაგრამ ატყუებენ, არ გაჰყავთ. მასთან შევიდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც, დახმარებას შეგპირდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ვის აღარ მივმართე თხოვნით, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევს. ომბუდსმენის აპარატშიც ვიყავი მისული, სასჯელაღსრულების დეპარტამენტშიც მივედი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტსაც მივმართე, მაგრამ ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა. ჩემს ქმარს სასწრაფო დახმარებას თუ არ გაუწევენ, დაიღუპება!

არ ვითხოვ არანაირ ფინანსურ დახმარებას, მიუხედავად იმისა, რომ არც ბინა მაქვს და არც რაიმე შემოსავალი. ჩემი შვილი ყველანაირად დაუცველია, ჩემი მშობლების იმედად ვართ, ისინი გვარჩენენ. არაფერს ვითხოვ, მხოლოდ ერთს გევედრებით, რომ ჩემს პატიმარ ქმარს მიხედოთ! ჟურნალ „სარკის“ იმედი მაქვს, თუ ამ წერილს გამომიქვეყნებთ, იქნებ ყურადღება მოგვაქცინ.

ნათია არჩაია

Cyan Magenta Yellow Black

„მეშინია, შვილი ჩემს ქმარს არ დაემსგავსოს“



თქვენს ჟურნალს ხშირად ვკითხულობ. აქ მოყვანილი ისტორიები ერთმანეთს ძალიან ჰგავს, რადგან ყველას ერთი საერთო აქვს — ტკივილი და სევდა. სევდის საფუძველი კი ისევ და ისევ ტკივილია... გულწრფელად მსურს, ამ ადამიანებმა იპოვონ ძალა სულიერი იარების მოსაშუშებლად. რატომღაც მეც მომინდა, ჩემ შესახებ მომეწერა.

სიცოცხლის სავსე, ხალისიანი გოგო ვიყავი. მყავდნენ კარგი მეგობრები, ოჯახის წევრები, არც თაყვანისმცემლების ნაკლებობას განვიცდიდი, მაგრამ იოლად არავის ვენდობოდი. ცივი, ამაყი ადამიანის როლს ვთამაშობდი. ურთიერთობაში გულწრფელობას ვეძებდი და არა — სიყალბეს... ცხოვრება მწარედ მომექცა, არჩევანის საშუალება წამერთვა.

ერთ დღეს სრულიად უცნობმა ადამიანმა მომიტაცა. ჭორების შემეშინდა, ვიფიქრე, რომ ჩემზე ათას საშინელებას იტყოდნენ და თავი ვაიძულე, მასთან დავრჩენილიყავი. ქმართან ხორციელად დავრჩი, სულიერად კი გარდავიცვალე, რადგან მისმა ძალადობამ გამანადგურა. ახლა მიკვირს, როგორ ვაპატიე. იმას ვერ დავწერ, დღემდე რა ტკივილის გადატანა მიწევს. უღირსი კაცის გვერდით ვცხოვრობ, მაგრამ ყველაფერს ვითმენ, რადგან შვილი მყავს. ზოგჯერ ძალიან ვნერვიულობ, რადგან შეიძლება ერთხელაც ქმარს შემოვაკვდე. ხომ იცით, კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანს.

თითქოს ორ სამყაროში ვცხოვრობ — რეალურში, რომელიც სავსეა დამცირებით, ცრემლით, ფიზიკური და სულიერი ტკივილით და არარეალურში, როცა წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ შეიძლებოდა მეცხოვრა, ბედს ჩემთვის არჩევანი რომ არ წაერთმია. ვგრძნობ, რომ მეტი აღარ შემიძლია. ეს შეგრძნება მაშინ უფრო მიმძაფრდება, როცა სიცოცხლის დაკარგვის საფრთხეს ვგრძნობ. არ დამიჯერებთ, მაგრამ ქმარიც მეცოდება, ასეთი უღირსი რომ არის. ის ხომ ჩემი შვილის მამაა.

რა არ ვცადე, როგორ არ მივუდექი, რომ გამოსწორებულიყო, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მან არამარტო საკუთარი თავი, ჩემი პიროვნებაც გაანადგურა.

კიდევ ერთი სადარდელი მაქვს, ჩვენი შვილიც მისნაირი არ გაიზარდოს, ფსიქიკა მასაც არ მოეშალოს. როგორ ვოცნებობ, ქმარი ჩემი მეგობარი იყოს, ჩემს ღირსებებს გაუფრთხილდეს, მაგრამ, როცა კაცისთვის ღირსება მეათეხარისხოვანია, ქალისას როგორღა გაუფრთხილდება?! მითხარით, ამ შემთხვევაში რა გამოსავალი არსებობს? მივყვე ცხოვრების უშინაარსო, ნებაწართმეულ, საშიშ დინებას თუ შევებრძოლო? მაინც რომ ვერაფერი შევცვალო? მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

„სარკის“ მკითხველი

„საყვარელმა ბიჭმა ორსული მიმატოვა“

„სარკეს“ ხშირად ვკითხულობ, ვიცი, რომ ერთმანეთს რჩევებით ეხმარებით. გაჭირვებული ადამიანისთვის კი რჩევა ძალიან მნიშვნელოვანია. მეც ამისთვის გწერთ, ახლა მეც მჭირდება თქვენი მკითხველების თანაგრძნობა, დახმარება.

მიყვარდა ბიჭი, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასი და ახლობელი იყო. უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით, მაგრამ დაოჯახებაში ხან რა გვიშლიდა ხელს, ხან — რა. მისგან დავორსულდი. ვიცი, ბევრი სიძნელის გადატანა მომიწევს, მაგრამ აბორტის გაკეთებაზე არ ვფიქრობ. მან მითხრა, ახალი ცხოვრება დავიწყოთ, შენ შენთვის იყავი, მე ჩემთვის ვიქნებიო.

არავისგან არაფერს ვითხოვ, გარდა რჩევისა. მინდა, ისეთი ადამიანი შემეხმიანოს, ვინც გვერდით დამიდგება და უბრალოდ თბილად დამელაპარაკება. თუ ვინმე გულშემატკივარი გამომიჩნდება, რედაქციაში ვტოვებ ჩემი ტელეფონის ნომერს და გთხოვთ, შემეხმიანეთ!

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„მძიმე მშობიაროობისას მოძღვრის ლოცვა შემეწია“

ვინდა, იმ სასწაულზე გიამბოთ, რისი მომსწრეც ყველა ქალი ხდება, როცა მშობიარობს. გაზაფხულის ამ ლამაზმა დღეებმა გადამაწყვეტინა, ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი და ლამაზი დღის შესახებ მომეყოლა. ის სასწაულიც გამეხსენებინა, რაც თავს გადამხდა.

ორსულობისას ჩემმა უფროსმა ღვთისმშობლის მსწრაფლშემსმენელი ხატი მაჩუქა, რომელიც ორსულების შემწე და დამხმარეა. სახლში ხატების კუთხე კი მაქვს, მაგრამ ეს ხატი ჩემს საძინებელში, სასთუმალთან დავაბრძანე. ჩემი და ჩემი შვილის შემწეობას მას ვევედრებოდი. მშობიაროობამდე ხუთი დღით ადრე წამიყვანეს სამშობიაროში. ქმარს ვთხოვე, ჩემთვის სწორედ ის ხატი მოეტანა, რომელიც სასთუმალთან მქონდა დაბრძანებული. პალატაში ამ ხატის წინაშე ლოცვა არ შემიწყვეტია. სამშობიარო ბლოკში რომ შემიყვანეს, ხატი იქაც წავაბრძანე, გულიდან ვერ ვიშორებდი.

2008 წლის აგვისტოს ომი ახალი მომხდარი იყო. ჩემთან ერთად ახალგაზრდა ქვრივი მშობიაროობდა, რომლის ქმარიც ომში დაიღუპა. მას ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, მამა ზაზა (სამწუხაროდ, გვარი არ ვიცი) პატრონობდა. მოძღვარი სამშობიარო ბლოკში შემოვიდა. მე პრობლემური მშობიაროობა მქონდა, ვთხოვე, დაველოცე. ჩემს სასთუმალთან ხატი რომ დაინახა, ძალიან გაუკვირდა, მითხრა, ეს იშვიათი ხატიაო. დამლოცა და მკითხა, შვილს რას არქმევო. ვუთხარი, ნიკოლოზს-მეთქი. მამაომ მუცელზე სამჯერ მომადო ჯვარი და ბავშვს მიმართა, ნიკოლოზ, დედას ნუ აწვალებ, მალე მოევლინე ამქვეყანასო.

ექიმები ამბობდნენ, რომ დაახლოებით 4-5 საათში დედა გავხდებოდი. მოძღვრის დალოცვის შემდეგ კი სასწაული მოხდა, ზუსტად 20 წუთში ვიმშობიარე და თანაც ყოველგვარი გართულების გარეშე. ჩემი შვილი, ნიკოლოზ კვიცარიძე, 2008 წლის 5 ოქტომბერს, დილის 10 საათსა 20 წუთზე მოევლინა ქვეყანას.

პალატაში ის ქალიც ჩემ გვერდით იწვა, რომელსაც მოძღვარი უყურადღებოდ არ ტოვებდა. ორივე მოგვინახულა. ჩემი შვილი დალოცა და მითხრა, ეკლესიაში მოიყვანე და ნათლობის რიტუალს მე ჩავატარებო. დღემდე ვნერვიულობ, რომ მამაოს ეს კურთხევა ვერ შევასრულე, რისთვისაც პატიებას ვთხოვ. ჩემი ნიკოლოზი კი მოვნათლე, მაგრამ სხვა ეკლესიაში და ნათლობაც სხვა მოძღვარმა აღასრულა. „სარკის“ საშუალებით მამა ზაზას დიდ მადლობას ვუხდი გულისხმიერებისთვის და იმისთვის, რაც ჩემთვის და ნიკოლოზისთვის გააკეთა.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

Cyan Magenta Yellow Black

შალვა ნათელაშვილის ბიჭმა მამის მანქანა აქციებს შესწირა

ლეიბორისტული პარტიის ბობოქარ ლიდერს, შალვა ნათელაშვილს, არ სურს, მისი ორი შვილი, ბექა და დარეჯანი, მამის კვალს გაჰყვნენ. იმ იმედგაცრუებებისა და სიძნელეებისთვის არ ემეტება, რასაც თვითონ უძლებს. 19 წლის ბექა მომავალი იურისტია, 18 წლის დარეჯანმა კი ფილოსოფია აირჩია და ხელოვნებისკენ ამჟღავნებს მიდრეკილებას — წერს და ხატავს. და-ძმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, რითიც მათი მამა ძალიან ამაყობს.

საჯაროდ ხმაურიანი პოლიტიკოსი, შვილების დახასიათებით, შინ ძალიან მშვიდი და გაწონასწორებულია. ეს ალბათ იმის კომპენსაციაა, რომ ბავშვები თითქმის მის გარეშე გაიზარდნენ. ბატონი შალვა ამბობს, რომ ბექას და დარეჯანის მამობა ღმერთისგან პატივად ერგო.

■ შალვა ნათელაშვილი შვილებთან ერთად

— ბატონო შალვა, წამოზრდილი ქალ-აჟეის ბედნიერი მამა ხართ. როგორ გახსენდებათ ის წუთები, როცა თქვენი შვილები ქვეყანას მოეკლინენ?

შალვა: ბექა 13 ოქტომბერს დაიბადა, მახსოვს ის მზე და ის ღრუბელი, რაც იმ დღეს იყო. ის წუთებიც მახსოვს, სამშობიაროში ხელში პირველად რომ ავიყვანე. ბექამ ყურადღებით დამათვალიერა. ვკითხე, როგორ იმგზავრე-მეთქი. ექიმებმა მითხრეს, ჩვილი ვერ ხედავს, ვერ დაგათვალიერებდაო, არადა ნამდვილად ვიცი, რომ დამათვალიერა, განსაკუთრებით ჩემი წითელი ჰალსტუხი მოეწონა.

ბექა: „მამისთვის ბევჰჯეჰ მითქვამს, ნავიდეთ ამ ქვეყნიდან, სხვაგან ვიცხოვროთ-მეთქი, მაგრამ ის ყოველთვის უარზეა".

დარეჯანი რომ დაიბადა, საპარლამენტო სესიაზე ვიყავი და ქალიშვილის დაბადება ედუარდ შევარდნაძემ მომილოცა. ბელა (შალვა ნათელაშვილის ცოლი ბელა ალანია. — ავტ.) რომ მშობიარობდა, მე სესიაზე სიტყვით გამოვდიოდი.

— ბექას დაბადების დროსაც არ იყავით სამშობიაროში?

შალვა: არა, არც ერთი შვილის დაბადებაზე სამშობიაროში არ ვყოფილვარ. ჩემთვის გაუგებარია, როგორ ესწრებიან მამაკაცები ცოლის მშობიარობას.

— შვილების მოვლა-გაზრდაში ჩართული იყავით?

შალვა: ვერ ვიტყვი, რომ მათ აღზრდაში დიდი როლი მიმიძღვის. მათი მამობის პატივი უფალმა დამდო და ამისთვის მადლობას ვწირავ ღმერთს. ბავშვები ფაქტობრივად უჩემოდ გაიზარდნენ. ინდივიდუალური პიროვნებები არიან. თუ როგორი მამა ვარ, ეს ჩემმა შვილებმა გითხრან.

— ბექა და დარეჯან, მამის დახასიათება რომ დაგეწერათ, მის რომელ თვისებებს გამოყოფდით?

ბექა: თუ როგორი მამაა, ამაზე პასუხის გაცემა ცოტა მეუხერხულება, მაგრამ ვთვლი, რომ, როგორც პოლიტიკოსს, ბადალი არ

შალვა: „მახსოვს ის მზე და ის ღრუბელი, ჰაც ბექას დაბადების დღეს იყო. ის წუთებიც მახსოვს, სამშობიაროში ხელში პირველად ჰომ ავიყვანე. ბექამ ყურადღებით დამათვალიერა. ვკითხე, ჰოგოჰ იმგზავრე-მეთქი".

ჰყავს. მისთვის ბევრჯერ მითქვამს, წავიდეთ ამ ქვეყნიდან, სხვაგან ვიცხოვროთ-მეთქი, მაგრამ ის ყოველთვის უარზეა.

დარეჯანი: მამა ჩვენთვისდიდი ავტორიტეტია, მეგობარიცაა, მრჩეველიც. საწყენია, რომ მას, როგორც ძლიერ პოლიტიკოსს, სათანადოდ ვერ აფასებენ.

— ბატონო შალვა პოლიტიკაში ძალიან ბობოქარი და აქტიურია, სახლში როგორია?

დარეჯანი: დემოკრატი მამაა. სახლში ძალიან მშვიდი და გაწონასწორებულია, არაფერს გვიკრძალავს.

შალვა: ბიჭის აღზრდა ყველა ეტაპზე რთულია, მაგრამ ბექასთან პრობლემები არასოდეს მქონია. მამას ჩემი აღზრდისას ხმა არასოდეს აუწევია, მით უმეტეს, ცემაზე ლაპარაკი ზედმეტია. ის ძალიან გამგები და დამთმობი გახლდათ. მეც ასეთი მამა ვარ.

შალვა: „ჩემმა შვილებმა საჯაჰო სკოლა დაამთავჰეს. დამისახელეთ ეჰთი პოლიტიკოსი, ჰომლის შვილიც საჯაჰო სკოლაში სწავლობს. განათლების ჰეფოჰმას ჩვენთვის ატაჰებენ და თავიანთთვის პჰივილეგიჰებულ სკოლებსა და ინსტიტუტებს იჰჩევენ".

ბექა: მამასთან უთანხმოება არასოდეს მომსვლია, მუდამ გვერდში მიდგას. ოჯახში დედა პოლიციის უფლებებს ითავსებს, აღმასრულებლისას კი — მამა.

— ბატონო შალვა, რა მოგწონთ და რა — არა თქვენი შვილების თაობაში?

შალვა: როგორ წესი, მოდაშია ამ ფრაზების თქმა — აი, დრო გაფუჭდა და ცუდი ახალგაზრდობა მოდისო, რასაც არ ვეთანხმები. სასწაულად კარგი თაობა მოდის, ყოველ შემთხვევაში, ჩემს თაობასთან შედარებით. ძალიან ყურადღებიანები, დაფიქრებულები, განათლებულები, ინტელექტუალები, მოსიყვარულეები არიან.

— რომელი შვილი უფრო მეტად გგავთ?

შალვა: ორივე შვილში ვპოულობ მსგავსებებს.

— მათაც თქვენსავით კარგი იუმორი აქვთ?

შალვა: ბექა არამცთუ მგავს, გაუმჯობესებული ვარიანტიც კია.

ბექა: მამის თანდასწრებით ხუმრობა არ მიწევს, ის შინ გვიან ბრუნდება და ჩემი ხუმრობებით არ ვაწუხებ.

შალვა: ნოდარ დუმბაძის ქვეყანაში შეუძლებელია, იუმორში პირველი ადგილი მე მეკავოს.

— ბატონო შალვა, შვილების პროფესიულ არჩევანშიც ისევე არ ჩარეულხართ, როგორც მათ აღზრდაში?

შალვა: შვილებს ჩემს აზრს ვეუბნებოდი, მაგრამ იქვე ვამატებდი, თქვენ რომელი სფეროც მოგწონთ, ის აირჩიეთ-მეთქი. ბექას იურიდიული ფაკულტეტი ვურჩიე. ბიზნესის სპეციალობაზე უნდოდა ჩაბარება, მაგრამ მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, რომ ბიზნესი არ არსებობს სამართლის გარეშე და სამოქალაქო სამართალი იგივე ბიზნეს-სამართალია, კონსენსუსი შედგა და იურიდიულზე ჩააბარა.

დარეჯანი გაცილებით თავისუფალი იყო არჩევანში. მას ფილოსოფიური თემები უფრო აინტერესებდა და ამიტომაც თვითონ გადაწყვიტა ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩაბარება.

ჩემმა შვილებმა საჯარო სკოლა დაამთავრეს. დამისახელეთ ერთი პოლიტიკოსი, რომლის შვილიც საჯარო სკოლაში სწავ-

დაჰეჯანი: „ვხატავდი ცხენზე ამხედჰებულ მამას ხმლით ხელში, მედმივად მებჰძოლს".

ლობს. განათლების რეფორმას ჩვენთვის ატარებენ და თავიანთთვის პრივილეგირებულ სკოლებსა და ინსტიტუტებს ირჩევენ. მიხარია, რომ ჩემი შვილები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. უცხოეთში სწავლა არ გაუჭირდებოდათ, სამი უცხო ენა იციან — ინგლისური, გერმანული და რუსული, მაგრამ ძალიან მინდოდა, ქართული განათლება მიეღოთ, ქართული სულით ესუნთქათ.

— ბატონო შალვა, შვილები თუ სარგებლობენ თქვენი სამსახურებრიკი მანქანით ან დაცვა თუ ჰყავთ?

შალვა: მათ არც დაცვა ჰყავთ და არც ჩემი სამსახურებრივი მანქანით სარგებლობენ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობენ, ბექა ხშირად ველოსიპედით დადის.

ბექა: ხმამაღლა ვამბობ და, თუ გინდათ, ყდაზეც გამოიტანეთ, რომ მამა ჩემთვის მანქანას არ ყიდულობს!

— რატომ არ ყიდულობთ ავტომობილს?

შალვა: მიუხედავად სააკაშვილთან „გა-

Cyan Magenta Yellow Black

რიგებებისა“, რასაც მრავალი წელია, მაბრალებენ, მანქანის ყიდვის საშუალება არ გვაქვს და ბექასაც ამ სურვილს ამიტომ ვერ ვუსრულებ.

— თქვენი შვილების მომავალს პოლიტიკაში ხედავთ?

შალვა: სიმართლე გითხრათ, ამის სურვილი არ მაქვს.

— რატომ?

შალვა: არ მინდა, ის ტანჯვა და წამება გაიარონ, რაც მე გამოვიარე, მაგრამ ბექა მაინც გამექცა. წინასაარჩევნოდ სტუდენტური აქციების ერთ-ერთი ლიდერი იყო. სწორედ ამ აქციებს შესწირა პარტიის მანქანა. სტუდენტებმა ჩვენი ავტომობილი გამოიყენეს, რომელიც აქციას წინ უძღოდა. ორატორს ხომ სჭირდებოდა ტრიბუნა? ჰოდა, „კაპოტი“ გამოიყენეს ტრიბუნად. მაინცდამაინც არ ვნანობ, რადგან ის ავტომობილი საქმეს შეეწირა. ახლა ისეთი მანქანით დავდივარ, რომ ძრავა ცალკე დადის, საბურავები — ცალკე.

ბექა: ჩვენს მანქანაზე ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელი ავიდა და მოუწოდებდა ხალხს, მათ შორის ერთ-ერთი მოძღვარი იყო... ის ავტომობილი ნახევარ ფასში გავყიდეთ.

— დარეჯან, თქვენ ოჯახში „განსხვავებული“ წევრი ხართ, ტრადიციას გადაუხვიეთ.

დარეჯანი: მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ყველა იურისტია (ქალბატონი ბელას მეორე პროფესია იურისტობაა. ავტ.), ეს სფერო არასოდეს მიზიდავდა. ხელოვნება, ლიტერატურა მიყვარს, ჩანახატებს ვწერ, ვხატავ.

— მამა დაგიხატავთ?

დარეჯანი: კი, ძალიან ბევრჯერ დამიხატავს. ბავშვობაში ნაპოლეონის სურათს რომ ვუყურებდი ცხენზე ამხედრებულს, მის ადგილას მამას წარმოვიდგენდი ხოლმე. ვხატავდი ცხენზე ამხედრებულ მამას ხმლით ხელში, მუდმივად მებრძოლს.

შალვა: მისი ნახატებიდან ყველაზე მეტად კოპლებიანი ძროხა მომწონს, რომელიც ჯაკუზიში წევს და ჩლიქით კოქტეილის ჭიქა უჭირავს. სულ მშურდა ამ ძროხის.

— ბატონო შალვა, რამდენიმე წლის წინ თქვენს ოჯახს ძალიან მძიმე პერიოდი ჰქონდა, როცა თქვენ აგენტად გამოგაცხადეს და დასჭერად დაგდევდნენ. თქვენი შვილები მაშინ პატარები იყვნენ. ახსოვთ ის დღეები?

შალვა: 2007 წლის 7 ნოემბერს სპეცრაზმი რომ შემოგვივარდა სახლში, ჩემი ოჯახი ორი კვირა დევნილი იყო, კახეთში გავხიზნე. ეს ის დრო იყო, როცა ივანიშვილი მერაბიშვილს ურეკავდა და ეკითხებოდა, ნათელაშვილს რატომ არ იჭერთო. ეს ერთ-ერთ ინტერვიუში თვითონ თქვა.

ბექა: „ბამუდმებით ვკითხულობდი, მამას ხომ ახ მოკლავენ-მეთქი. ის დღეები მძაფრად მახსოვს... ძალიან განვიცადე, როცა ტელევიზიით გამოაცხადეს, შალვა ნათელაშვილს სამშობლოს ღალატისთვის 25 წელი მიესაჯაო“.

შალვა: იმ მძიმე დღეებში ჩემი ცოლშვილი თქვენი ერთ-ერთი კოლეგის ოჯახმა შეიფარა და ამის გამო მთელი ცხოვრება მათი მადლიერი ვიქნები.

დარეჯანი: მაშინ პატარა ვიყავი. როცა კახეთში მივდიოდით, გამუდმებით ვკითხულობდი, მამას ხომ არ მოკლავენ-მეთქი. ის დღეები მძაფრად მახსოვს. მთელი დღე სახლში ვისხედით, გარეთ ვერ გამოვდიოდით, გვეშინოდა, ვინმეს არ დავენახეთ.

ბექა: ის პერიოდი ცუდად მახსენდება. მამასთან არანაირიკონტაქტი არ გვქონდა. მის ამბებს საინფორმაციო გამოშვებებიდან ვიგებდით.

შალვა: „დარეჯანი ხომ დაიბადა, საპრეზიდენტო სესიაზე ვიყავი და ქალიშვილის დაბადება ედუარდ შევარდნაძემ მომილოცა. ბელა ხომ მშობიარობდა, მე სესიაზე სიტყვით გამოვდიოდი“.

■ ცოლ-ქმარი — ბელა და შალვა

შალვა: „ასე მგონია, ბელას ყოველთვის ვიცნობდი და მთელი ცხოვრება ერთად ვართ. ქართულად ჯარგად ჟღერს სიტყვა „მეორე ნახევარი“ — ჩვენ ერთი მთლიანობა ვართ. მას არასოდეს დაუწუწუნია, პოლიტიკაში რა გინდოდაო. ისიც ჩემსავით აზარტულია. შვილები უფალმა მაჩუქა და დღემდე ღვთისთვის მყავს მიბარებული. მინდა, მათ და ქვეყანას ქარიშხლები ასცდეს.

ბექა: „პოლემიკის ღროს ყოველთვის ვიჩაგრები. მამა დებატებში მუდამ მჯობნის“.

ბექა: „ბატონო შალვა, ახლა როგორი პერიოდია თქვენს ცხოვრებაში?“

შალვა: ასე მგონია, ბელას ყოველთვის ვიცნობდი და მთელი ცხოვრება ერთად ვართ. ქართულად კარგად ჟღერს სიტყვა „მეორე ნახევარი“ — ჩვენ ერთი მთლიანობა ვართ. მას არასოდეს დაუწუწუნია, პოლიტიკაში რა გინდოდაო. ისიც ჩემსავით აზარტულია. შვილები უფალმა მაჩუქა და დღემდე ღვთისთვის მყავს მიბარებული. მინდა, მათ და ქვეყანას ქარიშხლები ასცდეს.

ახლა საქმეს ისევ თითქმის ნულიდან ვიწყებ და ამის არ მეშინია. ვიცი, გამოვა. კიდევ უამრავი რამ მაქვს გასაკეთებელი.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

კახი კალაძე: „ვმუშაობთ, რომ ტარიფები კიდევ შემცირდეს“

საქართველო ელექტროენერგიის ექსპორტიორი ქვეყანა უნდა გახდეს — ასეთი ამბიცია აქვს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძეს. კონკრეტული დოკუმენტი, როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკა, მალე დაიდება, მანამდე კი მინისტრის სიტყვებს უნდა დავჯერდეთ. საუბარი კახი კალაძესთან ყველაზე მტკივნეული თემით, ტარიფებით დავიწყეთ.

— ბატონო კახი, ელექტროენერგიაზე ტარიფის შემცირებას კიდევ აპირებდით. არის ამ მხრივ რამე საახლე?

— ჯგუფს, რომელიც ტარიფების შემცირებაზე მუშაობს, ჯერ კიდევ არ დაუსრულებია სამუშაო, მასში ჩართულია ჩემი მოადგილეც და სემეკ-ის წარმომადგენელიც. ერთ კვირაში იქნება კონკრეტული სურათი, თუ მოხდება კიდევ შემცირება, მაგრამ თუ არ გამოინახება რესურსი, დარჩება 3,54 თეთრი, ოღონდ გაფორმდება გრძელვადიანი ხელშეკრულებები. ისე, ძალიან მაინტერესებს, სად მიდიოდა 3,54 თეთრი. გარწმუნებთ, ამას გამოძიება აუცილებლად დაადგენს.

— მაგრამ მოსახლეობას ის უფრო აინტერესებს, დაპირებული განახევრების ნაცვლად მხოლოდ 10 პროცენტით რატომ გაიაფდა გაზი.

— კარგად მოგეხსენებათ, რა ვითარებაში უწევდა მუშაობა „ქართულ ოცნებას“ არჩევნებამდე. იყო განსაკუთრებული ზეწოლა წევრებზე, მომხრეებზე. ჯგუფსაც, ვინც ტარიფებზე მუშაობდა, არ მიუწვდებოდა ხელი ტარიფის რეალურ შემადგენლობაზე, არც კონტრაქტებზე.

— ექსპერტი დემერ გიორგლიძე, რომელიც ასევე იყო იმ ჯგუფში, დღემდე ამტკიცებს, რომ 10 პროცენტიანი შემცირება ძალიან ცოტაა.

— მოვუწოდებ ბატონ დემურს, მობრძანდეს ჩვენთან სამინისტროში და თვითონვე დარწმუნდება, რომ სულ სხვა სიტუაციაა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ მოსახლეობას. ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებში საუბარი არ არის ხოლმე ტარიფების დაკლებაზე. იქ ისეთი პირობებია, მისი გადახდა ხალხს არ უჭირს, ამიტომაც, პირველ რიგში, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ქვეყანაში ისეთი ეკონომიკური სიტუაცია შევქმნათ, გადახდასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები არ იყოს.

— აბონენტები დისკრიმინაციულ მდგომარეობაზეც ჩივიან.

— სოციალურ ქსელებშიც ხშირად არის ამაზე საუბარი. წერილები მომდის, რომ არის დისკრიმინაციული დამოკიდებულება, ანუ აბონენტებს, რომლებიც 2008 წლამდე არიან ჩართული ქსელში, აქვთ განსხვავებული ტარიფი — 50 თეთრი, ხოლო 2008 წლის მერე ვინც არიან, იხდიან მეტს — 51, 55, 60 თეთრს... ერთ კუბ გაზზე. სამინისტრო მუშაობს ამ მიმართულებით და ვეძებთ, რა საშუალება შეიძლება გამოინახოს, რომ ტარიფი იყოს ერთნაირი.

— გაზზე ითქვა, რის სარჯზე მოხდა ტარიფის დაწევა, მაგრამ „თელასის“ შესახებ არ თქმულა. რატომ?

— კომპანიების უმეტესობა ითხოვს, არ იყოს გასაჯაროებული მემორანდუმები. ეს, რა თქმა უნდა, სამინისტროშიც გარკვეულ პრობლემებს ქმნის, რადგან

„ქვეყნის ბუნებრივი ჩესუჩსების 65 ჰოცენტი აუთვისებელია. უფრო მეტიც, ზამთრის ჰეიოდში გვინდა ელექტროენერგიის ყიდვა ჩესეთისგან, საუბარი 200-250 მეგავატზეა. გვინდა, ისე გავაკეთოთ, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს ექსპორტიორი — ვანარმოოთ ელექტროენერგიის გაყიდვა“.

საჯარო სამსახური ვართ და ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, ყველაფერი გამჭვირვალე იყოს. მაგრამ, როცა დაიდება გრძელვადიანი ხელშეკრულება ტარიფებთან დაკავშირებით, მაქსიმალურად ვეცდებით, მემურანდუმი იყოს საჯარო.

— რეგიონებში დენის მრიცხველების დადგმა როდის დასრულდება?

— წინა ხელისუფლება ამაყობდა, რომ 2015 წელს უნდა დასრულებულიყო. ჩვენ მივმართეთ „ენერგოპროს“, „თელასს“ და აღმოჩნდა, რომ არანაირი მემორანდუმი, ხელშეკრულება არ არსებობს, ეს პროცესი 2015 წელს დამთავრებულიყო. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, წინა ხელისუფლება ხალხს როგორ ატყუებდა. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და გავაფორმებთ ხელშეკრულებას, რომ იყოს დოკუმენტური, ჰქონდეს გარკვეული ძალა, რათა არშესრულების შემთხვევაში პასუხი მოვთხოვოთ. მეგობრობითი, კაიბიჭობით და ძმური დამოკიდებულებით ასეთი საქმეები არ კეთდება, ამიტომ ისეთი სახე უნდა მიეცეს, როგორიც განვითარებულ ქვეყნებშია.

— კომუნალურ გამრიცხველიანებას რა ეშველება, რამაც მეზობლები ერთმანეთს წაჰკიდა?

— ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მხრივ ვმუშაობთ და გვინდა, ამ პრობლემის მოგვარება რაც შეიძლება მალე, 2013 წელს მოხდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, მომხმარებელი იხდის პირველ კატეგორიაში. თუ ინდივიდუალური გამრიცხველიანება იქნება, უკვე გადაიხდის კონკრეტული გრაფიკით. ესეც გასათვალისწინებელია.

— გაზიფიკაციის სამუშაოები წინასაარჩევნოდ ბევრ ადგილას დაიწყო, მაგრამ არ დამთავრებულა. რას ველოდოთ?

— წინასაარჩევნოდ მართლაც ბევრი სამუშაო იყო დაწყებული, რომ მოსახლეობისთვის ეჩვენებინათ, რაღაცას ვაკეთებთო. რეგიონები გადათხრილი იყო, მილები იქვე ეყარა. ჩვენ „სოკარს“ მივეცით დავალება, რომ დაწყებული სამუშაოები დაამთავრონ და თანხმობა მივიღეთ. ასევე ველაპარაკეთ, რომ კიდევ 30 ათასზე მეტ ოჯახში შეიყვანონ ბუნებრივი აირი. პარალელურად ვგეგმავთ, რომ სახელმწიფო კომპანიებმა გააკეთონ ეს საქმე. არიან კომპანიები, რომლებიც გაცილებით იაფად გააკეთებენ, ვიდრე ეს დიდ კომპანიებს, მაგალითად, „სოკარს“ უჯდება.

— საინვესტიციო ვალდებულებების კუთხით რა მდგომარეობაა?

— ყველა საინვესტიციო ვალდებულება, რომელიც დაგვხვდა და წლების წინ იყო დადებული, ისევ დარჩება ვალდებულებაში. ეს იყო ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მერე ჩანაცვლდა თბოსადგურით, ვგულისხმობ „ინტერაოს“, 2014 წლამდე უნდა დასრულდეს. ასევე არის ვალდებულებაში ქსელების რეაბილიტაცია, რომლებიც თანმიმდევრულად მიმდინარეობს. სწორედ ამიტომ გახშირდა ელექტროენერგიის გათიშვა დედაქალაქსა და რეგიონებში. მაგალითად, ახლა ბათუმის ქვესადგურის რეაბილიტაცია სრულდება და ზაფხულში ბათუმის მოსახლეობას შუქის პრობლემა აღარ ექნება. გვქონდა შეხვედრა „თელასის“, „ენერგოპროს“ წარმომადგენლებთან და მოვთხოვეთ გეგმა, რომელშიც კონკრეტულად იქნება გაწერილი საგაზაფხულო, საზაფხულო სამუშაოები, რათა პრობლემები არ შეგვექმნას ზამთარში.

— ჯითომ მართლა ამას დაკაბალანსი, სტატისტიკა. ამაზე დავიწყეთ მუშაობა, ამაში ჩართულია ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტო და ექსპერტები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ზოგადად ენერგეტიკის განვითარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მე თუ მკითხავთ, ეკონომიკურ განვითარებასაც კი უნდა უსწრებდეს. ძალიან ბევრი წინადადება შემოდის, რომ ქვეყანაში აშენდეს სხვადასხვა გადამამუშავებელი ქარხანა, მაგრამ იმის გამო, რომ არ გვაქვს საკმარისი ელექტროენერგია, უარს ვეუბნებით.

— როგორც აღნიშნეთ, წინა ხელისუფლებისგან ბევრი ცუდი დაგვხვდათ. უფრო კონკრეტულად?

— 30-მდე მემურანდუმი, რაც უკვე დადებულია, შინაარსობრივად ძალიან ცუდია და მიდგომაც იყო ძალიან ცუდი. კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ხდებოდა შერჩევა, საბანკო გარანტია გახლდათ და არა — გამოცდილება

„წინა ხელისუფლება ამაყობდა, რომ მიიცხვეღების დადგმა 2015 წელს უნდა დასრულებულიყო. აღმოჩნდა, რომ ჰიანაირი ხელშეკრულება ჰი ჰისებობს, ეს ჰროცესი 2015 წელს დამთავრებულიყო. ეს ჰის მაგალითი, ხალხს როგორ ატყუებდნენ“.

ამ სფეროში, ან ვინ იდგა ამ კომპანიების უკან, ან რა თანხები შემოდიოდა. ვმუშაობთ, რომ მემორანდუმები შეიცვალოს და ყველაფერი კონკრეტულად იყოს მითითებული, როდის უნდა დაიწყოს ტექნიკურ-ეკონომიკური საძიებო სამუშაოები და გარემოზე ზეგავლენის შეფასება წარუდგინოს გარემოს დაცვის სამინისტროს. ამავე სამინისტროს მიეცეს გარკვეული დრო, რომ შეაფასოს ეს დოკუმენტი და ამის მერე გაფორმდეს მემორანდუმი, რომელიც განსაზღვრავს სადგურების მშენებლობის და დასრულების თარიღს ან როდის უნდა შევიდეს ექსპლუატაციაში. ასევე მითითებული იქნება საბანკო გარანტიები, რა ჯარიმების გადახდა დაეკისრებათ, თუ მემორანდუმს დაარღვევენ.

ზოგადად კი ჰესების მშენებლობა მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ამ მხრივ ქვეყანას დიდი ბუნებრივი რესურსები აქვს და, წარმოიდგინეთ, რომ 65 პროცენტი აუთვისებელია. უფრო მეტიც, ზამთრის პერიოდში გვიწევს ელექტროენერგიის ყიდვა რუსეთისგან, საუბარია 200-250 მეგავატზე. გვინდა, ისე გავაკეთოთ, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს ექსპორტიორი — ვაწარმოოთ ელექტროენერგიის გაყიდვა.

— რის ხარჯზე აპირებთ?

— მცირე და საშუალო ჰესების.

— თქვენ ახსენეთ 30-მდე ცუდი შანაარსის ხელმოწერილი მემორანდუმი, მათი გადახედვა მოსდევ-და?

— რაზედაც ხელია მოწერილი, აშენდება, რაზედაც — არა, გავაგრძელებთ მას შემდეგ, რაც გარემოს დაცვის სამინისტროს დასკვნა დაიდება. აუცილებლად იქნება მითითებული, სად არის დაცული ტერიტორია და სად არ უნდა აშენდეს ჰიდროსადგური.

— გარემოს დაცვის სამინისტროსთან ხშირად კამათობთ, ეს ივანიშვილმაც დაადასტურა. თემა ჰესებია?

— კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული კითხვები იყო ყაზბეგის ჰესთან, ხუდონთან დაკავშირებით. უნდა მოვახერხოთ ინვესტორთან მოლაპარაკება, რომ ეს შენიშვნები გაითვალისწინონ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ, თუ ხუდონი აშენდება, 4 თვის განმავლობაში ჩვენ შევისყიდით ენერგიას და მემორანდუმში გათვალისწინებული იქნება ფასიც — 5,84 ცენტი. თან სახელმწიფო შემოსავალსაც მიიღებს, გატარების თანხას — 1,2 ცენტი.

— მაგრამ თვითონ თურქეთი თურმე 17 ცენტად აპირებს გაყიდ-ვას.

— ეს უკვე მისი ნებაა. ისე, ელექტროენერგიის გატანის წესებიც არ არსებობს, ამაზეც ვმუშაობთ, ანუ ვის ექნება გატანის პრივილეგია, ფასები რა იქნება მოცულობებთან შეფარდებით. დიდი დაინტერესება აქვს აზერბაიჯანს, საქართველოთი გაიტანოს ენერგია თურქულ ბაზარზე.

— რადგან აზერბაიჯანი ახსენეთ, აგრო-ის პროექტზე რა ხდება?

— აგრ-ის პროექტს რაც შეეხება, იცით, რომ აზერბაიჯანიდან უნდა მომხდარიყო გაზსადენებით ნავთობის ჩატანა შავ ზღვამდე, მერე კი ტანკერების საშუალებით გაიტანდნენ რუმინეთში, სადაც გადამუშავდებოდა და ევროპის ნაწილს მოამარაგებდა. ეს მომართული იყო იქითკენ, რომ რაც შეიძლება შეემცირებინათ „გაზპრომის“ გავლენა ევროპაზე. მაგრამ არ დასრულებულა ტექნიკურ-ეკონომიკური სამუშაოები. ამის მერე ითქმება, რამდენად მიზანშეწონილია მისი განხორციელება.

— ჰესების თემას მიუბრუნდეთ. ამ ეტაპზე რისი შესაძლობა მიმდინარეობს?

— ამჟამად მიმდინარეობს ფარავნის ჰესის მშენებლობა, ასევე დარიალის. დარიალში ინვესტორს აქვს 80 ჰექტარი მიწა დაცული ტერიტორიებიდან და მზადაა, დააბრუნოს. ბახვში, იცით, რომ მეწყერი ჩამოწვა და მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. ყაზბეგია შეჩერებული გარემოს დაცვის სამინისტროს შენიშვნების გამო.

— ალბათ თქვენი განცხადებებიდან ყველაზე სასახარელო მაინც ის იყო, რომ ენგურჰესი არ ყოფილა რუსეთისთვის გადაცემული.

— ნამდვილად არ არის ხელმოწერილი, თუმცა „ინტერაოს“ სურდა. იყო მოლაპარაკებები, ვნახე მემორანდუმი, რომელიც დღეს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ თუ ამაზე ხელს მოაწერდნენ, საქართველოს წინაშე დიდ დანაშაულს ჩაიდენდნენ. ვფიქრობ, საზოგადოების ინტერესმა და კითხვებმა გადააფიქრებინა ყოფილ ხელისუფლებას.

— „ყაზტრანსგაზის“ პრობლემას რა ეშველება?

— გამოვთქვით მზადყოფნა, რომ დავიწყოთ მოლაპარაკებები, თუ ამის სურვილი აქვთ.

— ალტერნატიულ ენერგიებს თუ განსილავთ?

— გვაქვს ადგილები ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, სადაც შეიძლება ქარის სადგურების დადგმა, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ფინანსებზეა დამოკიდებული, პროექტის დასრულების შემდეგ ეს ყველაფერი ტარიფებზე აისახება და მნიშვნელოვანი იქნება, მოსახლეობა რამდენად შეძლებს, მზისგან, ქარისგან მიღებული ენერგიის საფასური გადაიხადოს. ისე, 10 მეგავატიანი ქარის სადგურის გაკეთება გვინდა ქართლში. იქ მთავარია მონაცემების მიღება. აპარატი იდგმება და ერთი წელი აფიქსირებს ქარის მოძრაობებს. ეს მონაცემები უკვე გვაქვს. ასე რომ, ვნახოთ.

კახი კახიშვილი: „მინისტრები ნაცმოძრაობის კითხვებს პასუხობენ, საზოგადოებისას კი — არა“

«ნეპოტიზმი ამ ხელისუფლების პრობლემადაც რჩება»

საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტს ეწვია და საპარლამენტო უმცირესობის ანუ ნაციონალების კითხვებს უპასუხა. ამ შეხვედრას ჰქონდა ერთი დიდი პლუსი — ის, რომ შს მინისტრი ოპოზიციას შეხვდა. ასეთი რამ ბოლო წლების საქართველოს არ ახსოვს და კარგი იქნება, თუ ყოფილი ხელისუფლება, ამჟამად უმცირესობად მოვლენილი, ამას ხშირ-ხშირად გაიხსენებს, სანამ სხვის ცოდვებზე დაიწყებს ლაპარაკს.

ამ პოზიტივის პარალელურად ირაკლი ღარიბაშვილის პასუხებს ბევრი მინუსიც ჰქონდა. შეხვედრამ, რომელიც დაახლოებით 2 საათს გასტანა, მწარე რეპლიკების რეჟიმში ჩაიარა და ერთი რამ თვალნათელი გახადა — შს მინისტრი უმცირესობის შეტევებს ჯეროვნად ვერ დახვდა. ასე რომ, ეს სხდომა უტიფრებისა და უსუსურების შეხვედრად შეფასდა.

კახი კახიშვილი, ექსპერტი, საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის დირექტორი:

— მოდი, იმით დავიწყოთ, თურმე ნაციონალურ მოძრაობას სცოდნია, რომ მინისტრები უნდა შეხვდნენ უმცირესობას პარლამენტში და კითხვებს პასუხი უნდა გასცენ. 9 წლის განმავლობაში ეს რატომ არ ახსენდებოდათ? მაგრამ წინა ხელისუფლების დროს მინისტრს პარლამენტში მისვლის მოთხოვნას ვერავინ გაუბედავდა. მინისტრი კი არა, მისი თანაშემწეც არ მივიდოდა და ვერც ამ ტონით გაუბედავდნენ კითხვების დასმას.

რაც შეეხება კონკრეტულად ღარიბაშვილთან შეხვედრას, ეს იყო არა შეხვედრა, არამედ დაკითხვა. როგორც წესი, მთავრობის წევრებთან შეხვედრა რეგლამენტით უნდა იყოს განსაზღვრული. იქ კი ვნახეთ, რომ იყო რაღაც ტოქ შოუს სტილში. მინისტრს პასუხის გაცემას არ აცლიდნენ და, სამწუხაროდ, ბევრს საერთოდ არ აინტერესებდა, რას იტყოდა ის. ირაკლი ღარიბაშვილს კონსტრუქციული საუბარი უნდოდა, მაგრამ ვერ გათვალა, რომელ პოლიტიკურ გუნდთან მიდიოდა. უმცირესობას მასთან შეხვედრა უნდოდა არა იმიტომ, რომ კითხვებზე პასუხი მართლა აინტერესებდა, არამედ ძალის დემონსტრირება სურდა, რაც მოახერხა კიდეც. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხვალ ან ზეგ მინისტრები არ უნდა მივიდნენ პარლამენტში, მაგრამ ახლა ჩვენ მეორე უკიდურესობას ვხედავთ, მინისტრები მხოლოდ ნაცმოძრაობის კითხვებს პასუხობენ, საზოგადოების კითხვებს კი — არა. ზოგიერთ მათგანს საერთოდ არ უნდა საზოგადოებასთან კონტაქტი.

— ფაქტია, რომ შს მინისტრი ამ შეხვედრაზე სუსტი ჩანდა. ნეპოტიზმზე კითხვამ კი მისი ფიგურა საკმაოდ დააზარალა.

— ნეპოტიზმი — ეს არის საკითხი, რომელიც იყო და რჩება როგორც წინა, ისე ახალი ხელისუფლების პრობლემად. არ მინდა, ვიდავო, არის თუ არა ცოლის ნათესავი მისი ნათესავიც, მაგრამ აქ იკვეთება მეორე საკითხი — კანონი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. შეიძლება ამ კანონის ფარგლებში მეუღლის ნათესავის დანიშვნა გენინსპექციის უფროსად ჯდება კანონის მოთხოვნებში, მაგრამ არის მორალური მხარეც. ჩემი აზრით, მას ასეთი გადაწყვეტილება არ უნდა მიეღო. გენინსპექცია არის ერთ-ერთი სერიოზული ინსტიტუტი, სერიოზული სამსახური შს სამინისტროში და ნათესაური კავშირის ხაზის გავლება მინისტრსა და გენინსპექციის უფროსს შორის, არ არის სწორი.

სწორედ ნაცმოძრაობამ მიიღო ეს კანონი იმისათვის, რომ განეხორციელებინა ის ნეპოტისტური დანიშვნები, რომლებიც მათ უნდოდათ. რაც იყო, ისედაც ვიცით, ამიტო- →18

„თუ ახ მჯდახხახ მასთან ეთად სუფხასთან, ჭიქა ახ აგინევია და მეხე „ჰახმელიაზე“ ახ გამოსულხახ, ხოგოხც ჩანს, თანამდებობაზე დანიშვნას ვეხ ელიხსები. იმედს ვიტოვებ, ხომ ეს ახის პიხველი ეტაპი. ვაღიახოთ, ხომ ბევხი ახღა სნავლობს მინისტხობას და მოადგილეობას“.

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

მაც ვიყავით გაბრაზებული ნაცმოძრაობის მართვის სტილზე და ახლა, იმედია, ესენიც იმავეს არ გააკეთებენ, თუმცა ამის ნიშნები არამარტო შს სამინისტროში, არამედ ბევრ სხვა უწყებაშიცაა. არამარტო ნათესავზეა საუბარი, არამედ კურსელზე, მეგობარზე... მოკლედ, თუ არ მჯდარხარ მასთან ერთად სუფრასთან, ჭიქა არ აგიწევია და მერე „პახმელიაზე“ არ გამოსულხარ, როგორც ჩანს, თანამდებობაზე დანიშვნას ვერ ეღირსები. იმედს ვიტოვებ, რომ ეს არის პირველი ეტაპი. ვაღიაროთ, რომ ბევრი ახლა სწავლობს მინისტრობას და მოადგილეობას.



■ კახი კახიშვილი

— ღარიბაშვილს თავისმართლება ლუკა კურტანიძის გამოც მოუწია. თქვენ რას ფიქრობთ ამ ცნობილ ინციდენტზე, როცა კურტანიძემ ცნობილი მწვრთნელი გალახა და მას პასუხი არ უგია?

— ეს არის წმინდა სამართლებრივი საკითხი. შს სამინისტროს მხრიდან მოქმედებების შეფასება შესაძლებელია მხოლოდ საქმის შესწავლის საფუძველზე. ერთია, რა ინფორმაციამ გაჟონა პრესაში და მეორეა, აქვს თუ არა დაზარალებულს დაწერილი განცხადება, რომ მას კურტანიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. შსს მედიაზე დაყრდნობით დაიწყებდა ამ საქმის მოკვლევას, მაშინ ის პირი უნდა დაეკითხათ, ან დაედასტურებინა ფაქტი, ან — არა. ასევე უნდა დანიშნულიყო ექსპერტიზა, მომხდარიყო მოწმეების დაკითხვა. ექსპერტიზის მიერ ხარისხის დადგენის შემდეგ უნდა დამდგარიყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი. მე ეს დოკუმენტები არ ვიცი, ამიტომ ვერაფერს გეტყვით. თუ სუფლების დისკრედიტაცია მოეხდინათ? მაინც მგონია, რომ წინასწარი განზრახვით მოხდა გუნავას, კალანდაძის და გვარამიას ასეთი ფორმით დაკავება, რათა მერე ეს სამართლიანობის აღდგენის პროცესის დისკრედიტაციისთვის გამოეყენებინათ, რასაც მიაღწიეს კიდეც. თუ ვსაუბრობთ ღარიბაშვილის მონაკვეთზე ამ საქმეში, თუ მისი თანამშრომლების მხრიდან მოხდა რაიმე გადაცდომა, შს მინისტრს მხოლოდ მათი გათავისუფლება შეეძლო, რაც უკვე გააკეთა, დანარჩენი კი პროკურატურის პრეროგატივაა. მან უნდა გამოიძიოს, რა მოხდა სინამდვილეში.

— უცხოელობამ შს მინისტრი გაუარესებული კრიმინოგენური სიტუაციის გამოც გააკრიტიკა. თქვენ როგორ აფასებთ ამნისტიის შედეგებს?

— ამ ხელისუფლებას ასეთი ამნისტია უნდა მიეღო, რადგან ბრალთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები ბევრ საქმეში იყო. ახლა

„თუ ამ ცვლილების მიღება ნებისმიერ ფასად იყო საჭირო, მაშინ ახლა ის იყო აუცილებელი, სარეიტინგო კენჭისყრაზე ასეთი კატეგორიული უარი ეთქვათ. ახლა კი ნუ გაუკვირდებათ, რომ ამას ნაცმოძრაობა ისე გამოიყენებს, როგორც საკუთარ გამარჯვებას“.

არ არიან დაკითხულები, თუ არ არის დანიშნული ექსპერტიზა, მაშინ იკვეთება, რომ შსს-მ არ გაატარა კანონით დადგენილი მოქმედებები.

— მინისტრს გაუჭირდა პასუხის გაცემა თესგიზ გუნავას საკითხზეც, როცა იმის განმარტება მოსთხოვეს, რა ზომები გატარდა იარაღისა და ნარკოტიკის ჩადებაზე.

— გუნავას საქმე თავიდან ბოლომდე პროვოკაცია იყო. ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრია, რომ შსსსა და პროკურატურაში ძველი გადაწყვეტილებების მიმღებები ისევ აგრძელებენ მუშაობას და ახლო კავშირში არიან ხელმძღვანელებთან. მებადება კითხვა — ღარიბაშვილს და კბილაშვილს შეგნებულად ხომ არ ურჩიეს, რომ გუნავას დაკავება ასე უნდა მომხდარიყო, რათა მერე ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია მოეხდინათ. მაინც მგონია, რომ შსს-ს პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, ციხიდან გამოსული ადამიანები დაძაბავენ თუ არა სიტუაციას. მინისტრის მხრიდან სტატისტიკა იყო მოყვანილი. ხომ არ ხდება შს სამინისტროში სტატისტიკის ხელოვნური გაუმჯობესება, რაც დანაშაულის დაფარვას უკავშირდება?

ნაცმოძრაობას ჰქონდა უცნაური ტაქტიკა, ინფორმაციას აგროვებდნენ და აპატიმრებდნენ ხალხს, რომლებმაც არათუ ჩაიდინეს დანაშაული, არამედ ფიქრობდნენ, რომ მომავალში ჩაიდენდნენ. მათ იარაღის, ნარკოტიკის ჩადებით იზოლირებას უკეთებდნენ დაქუჩას ათავისუფლებდნენ. ჩახალიანის საქმე პირდაპირ მიუთითებს, რა მიდგომები იყო. ჩახალიანი თურმე არის ნომერი პირველი სეპარატისტი და გასამართლებული იყო ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის.

— ფაქტია, რომ ჩახალიანის გამისვლის შემდეგ პრობლემები მართლაც შეიქმნა ახალქალაქში, როგორც ნაცები წინასწარმეტყველებდნენ.

— შეიქმნა იმიტომ, რომ ასე უნდათ. ვერავინ დამაჯერებს, რომ ნაციონალებს არ ჰყავთ ისეთი ადამიანები, რომლებიც შეეცდებიან სეპარატიზმის წამოწევას. მეტიც, ზოგიერთი მათი განცხადება პირდაპირ უკავშირდება სეპარატიზმის გაღვივებას. სამეგრელოშიც რაღაცას ცდილობენ.

რაც შეეხება რეგიონული ენის საკითხს, საქართველო პატარა ქვეყანაა და კიდევ რეგიონული ენის გამოცხადება არასწორია. ამას ვერ გავუძლებთ. ჯერ კიდევ მერყეობს ქვეყნის დამოუკიდებლობის, ერთიანობის საკითხი და ასეთ სახიფათო თემებთან თამაში იმიტომ, რომ ვიღაც ევროპელს თავი მოვაწონოთ, არასწორია.

პრეზიდენტმა ჩახალიანს ისეთი რეკლამა გაუკეთა, რომ ვერანაირი პიარჯგუფები ამას ვერ შეძლებდნენ. მისი ფიგურის შექმნა შეგნებულად ხდება. 5 თვის წინ მისი არსებობა არ ვიცოდით და დღეს ყველა მასზე საუბრობს. რატომ? იმიტომ, რომ აწყობთ სეპარატიზმის თემის წამოწევა. ვერ მოინელეს, რომ მათი მმართველობის დროს მოხდა ორი რეგიონის — აფხაზეთის და ცხინვალის აღიარება. ახლა ცდილობენ ისეთი პრობლემის შექმნას, რომ მერე თქვან, ჩვენზე რომ საუბრობთ, ნახეთ, თქვენც ჩვენნაირები ხართო.

„საქართველო პატარა ქვეყანაა და კიდევ რეგიონული ენის გამოცხადება არასწორია. ამას ვერ გავუძლებთ. ჯერ კიდევ მერყეობს ქვეყნის დამოუკიდებლობის, ერთიანობის საკითხი და ასეთ სახიფათო თემებთან თამაში იმიტომ, რომ ვიღაც ევროპელს თავი მოვაწონოთ, არასწორია“.

— ღარიბაშვილის და უცხოელობის შუნჯრის შემდეგ იყო მეორე ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელზეც მიღება საზოგადოების ყურადღება იყო კონცენტრირებული და ის გვსდა ერთგვარი საზომი იმისა, ძალთა რა თანაფარდობაა „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის. ეს იყო კენჭისყრა პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომელსაც წინ უძღოდა სარეიტინგო კენჭისყრა ნაციონალების დაჯილდოებული მითხოვნით. მოვლენები როგორც განვითარდა, ყველამ თქვენი აზრით, „ოცნებამ“ ამ დათმობით ბილიბინელი მიიგო თუ წააგო? დაბადა თუ არა ხელახლა ნაციონალური პარტია, როგორც ეს საკაშვილმა გვიჩვენა?

— ეს კონსტიტუციური ცვლილებები იყო კონტექსტიდან ამოვარდნილი და არააქტუალური.

— რატომ?

— ნაცმოძრაობის ყველა წევრმა გაიგო, რა პრობლემა შეიძლებოდა შექმნოდათ, თუ პრეზიდენტი მთავრობას გადააყენებდა. საკაშვილი ამას ვერ გააკეთებდა, თუნდაც კონსტიტუციაში ეს ჩანაწერი დარჩენილიყო, რადგან ამას ახდენოს, რომ არ გაიფანტონ და ეს იყო კარგი თემა, რაზედაც კარგახანს ისაუბრებენ. ბოლო დროს ისედაც მიდის აზრის ფორმირება, რომ ის არის ერთადერთი ძლიერი ოპოზიციური ძალა. მის გარეშე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება რომ შეუძლებელია, ესეც უკვე ფაქტია. დღეგამოშვებით თუ პატარ-პატარა გამარჯვებებით აზეიმებ, ბუნებრივია, ოქტომბრამდე პარტია არ დაიშლება, შემდეგ კი ეს გარდაუვალი იქნება. ამ ამბებში ერთ-ერთი დადებითი ის არის, რომ გამოჩნდა, გადაბირება და მუქარები არ ხდებოდა.

— თქვენ კი ჯარაუდობთ ნაცმოძრაობის დაშლას ოქტომბრის შემდეგ, მაგრამ საკაშვილმა პირდაპირ თქვა, რომ პოლიტიკაში რჩება ოქტომბრის შემდეგაც.

— მან სხვა რამეც თქვა — რომ არ სჯერა ვიღაცეების პოლიტიკიდან მალე წასვლის, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ თვითონ არ უნდა წასვლა. სააკაშვილი ის ტიპი მართლაც არ არის, რომ ხუთოთახიან ბინაში იცხოვროს და ერთი მანქანით იაროს. მას უნდა კარგი ცხოვრება და ძალაუფლება, ამიტომ არც ფიქრობს, რომ წავა. შეიძლება პოლიტტექნოლოგიების კუთხით ჰქონდეს დაგეგმილი, რომ კიდევ 30 წელი დარჩეს, მაგრამ... მისი ინტერვიუს დროს მე მხოლოდ ერთი რამ დავინახე — საუბარი დაიწყო, როგორც დემოკრატმა პრეზიდენტმა და დაამთავრა, როგორც მიშამ. ეს არის უბედურება, ერთი საათის განმავლობაშიც კი ვერ შეძლო, შეენარჩუნებინა დემოკრატი პრეზიდენტის სახე, თუმცა კონსტრუქციული დიალოგის დიდი სურვილი კი ჰქონდა.

Cyan Magenta Yellow Black

გიორგი ვაშაძე: „19 აპრილს ხელისუფლებას გამოვაფხიზლებთ, რომ საქმის კეთება დაიწყონ“

ძიხეილ სააკაშვილი მთავრობას ვეღარ გადააყენებს — საკონსტიტუციო ჩანაწერი, რომელიც ამის უფლებას იძლეოდა, უკვე ამოღებულია. 135 ხმით არც ერთის წინააღმდეგ — პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები პირველი მოსმენით დაამტკიცა. ცვლილებას მხარი უმცირესობამ მხოლოდ სარეიტინგო კენჭისყრის შემდეგ დაუჭირა. უმრავლესობა ბევრს ეცადა, როგორმე ეს არ დასჭირვებოდა, მაგრამ უმცირესობამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ბოლოს ისევ უმრავლესობამ დათმო, უფრო სწორად, ივანიშვილმა უსუფაშვილს ურჩია, უმცირესობის „ახირებას“ დათანხმებოდა. როგორც სარეიტინგო კენჭისყრამ ცხადყო, უმრავლესობას მხოლოდ 93 ხმა ჰქონდა, ანუ უმცირესობის გარეშე კანონს ვერ გაიტანდა.

— პოლიტიკურად უფრო კარგი იქნებოდა, უსუფაშვილთან არ დამერეკა, მაგრამ ადამიანურად ჯობდა, არ დაგვეშვა ძალიან დაბალი ალბათობაც იმისა, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილება ჩავარდნილიყო. საზოგადოებისთვის ეს საშიში არ იყო, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა დარჩებოდა საზოგადოების მიღმა, რისი სურვილიც არ გამაჩნდა... ამიტომ ვურჩიე უსუფაშვილს, რომ ჯობდა, დაგვეთმო ამ ახირებაზე... საბოლოოდ ხმა მისცეს, მაგრამ უმადლოდ გამოვიდა — მარილი ვერ მოაყარეს, — ასე განმარტა მოვლენები ბიძინა ივანიშვილმა.

ნაციონალებისთვის კი რაუნდის მოგების ტოლფასი იყო და სიხარულს არც მალავდნენ.

გიორგი ვაშაძე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:

— ბოლო სამი თვეა, სულ მიდის იმაზე საუბარი, რომ ნაცმოძრაობის წევრებს სხვადასხვა პოზიცია აქვთ, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ჩვენი ერთიანობა ღიად დაგვეფიქსირებინა, ჩვენი ყველა გულშემატკივრისთვის გვეჩვენებინა, რომ ნაცმოძრაობა არის არა ცალკეული პიროვნებების პარტია, არამედ გუნდი, რომელიც ერთიან გადაწყვეტილებას იღებს. უმრავლესობისგან წარმოებულმა კამპანიამ იძულებული გაგვხადა, მოგვეფიქრებინა მექანიზმი, როგორ დაგვეფიქსირებინა ჩვენი ერთობა. ერთი მხრივ, მორჩება საუბარი, თითქოს „ოცნებას“ ეს გადაწყვეტილება უშლიდა ხელს დაპირებების შესასრულებაში და, მეორე მხრივ, დაფიქსირდა, რომ პარლამენტში არის ძლიერი ოპოზიცია, რომლის გატეხა პირდაპირი თავდასხმებით შეუძლებელია.

— სარეიტინგო კენჭისყრამ ისიც აჩვენა, რომ ნაციონალების მიმართ არასანდო დამსმენება და გადაბირება არ ყოფილა, რაზეც ასე ხმამაღლა საუბრობდით.

— დაშინებები იყო, იმ კენჭისყრის დღესაც იყო ზარები.

— კონკრეტულად ვის მიმართ?

— არ მინდა, დავაკონკრეტო. პარლამენტის თავმჯდომარესაც მივმართე და, იმედია, ამ საკითხებს გავივლით, მაგრამ დღეს ამაზე ლაპარაკი არ მინდა.

— კენჭისყრამდე აკაკი ბობოხიძემ ორი თხის ოგაკ-არაკი გაგვახსენა. ანუ გამოვიდა, რომ იკანიშვილმა დათმო?

— ერთი წუთით! ივანიშვილს არაფერი დაუთმია! უბრალოდ ადამიანი რაღაც პოზიციაზე მართლა არ უნდა იდგე ფეხებგაფშეკილი. კაკოც იმაზე საუბრობდა, რომ არ შეიძლება ჯიქურ ვაწვებოდეთ ერთმანეთს, აუცილებელია კომპრომისი, საღი აზრი. საბოლოო ჯამში, არ ვფიქრობ, რომ ამით ნაცმოძრაობამ მოიგო და „ოცნებამ“ წააგო, მოიგო ყველამ, უპირველესად კი — დემოკრატიამ.

— კენჭისყრის შემდეგ იკანიშვილმა თქვა, ნაციონალებმა მაღლიან საქმეს მარილი ვერ მოაყარესო.

— მის ამ გამოსვლას უარყოფითად ვაფასებ და ისევ კაკო ბობოხიძეს დავესესხები, რომელმაც თქვა, დაგვანებეთ თავი, გვამუშავეთ და ქვეყნისთვის სწორ გადაწყვეტილებებს მივიღებთო. ყველამ კარგად იცის, რომ ეს საკითხი ბოლო 5 წუთში გადაწყა. ერთი რამ უმრავლესობამაც უნდა ისწავლოს — მათ მხარს უფრო მეტი ადამიანი უჭერს, მაგრამ ჩვენ უკან დგას საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ცოტა განსხვავებულად აფასებს. დემოკრატია ის არ არის, მარტო შენ ილაპარაკო და ის ხალხი, ვინც უმცირესობაშია, არაფრად ჩათვალო.

— ბობოხიძის სიტყვები სააკაშვილსაც ეხებოდა.

— ბობოხიძემ ეს სტრატეგია სწორად ააგო და ერთი რამ კარგად აჩვენა — ნაცმოძრაობა არის გუნდი და ის იღებს გადაწყვეტილებას. სააკაშვილი არის ჩვენი გუნდის წევრი, განსხვავებით „ოცნებისგან“, სადაც ივანიშვილი პირდაპირ აცხადებს, რომ თვითონ მიიღო ეს გადაწყვეტილება, მან უთხრა უსუფაშვილს, ეს გაეკეთებინა.

— რა მოგცათ ამ რაუნდმა?

— ეს არის ჩვენი სტარტი და განახლების სერიოზული დასაწყისი.

— სტრატეგიაც უკვე ჩამოაყალიბეთ, როგორ მიდიხართ საპრეზიდენტო არჩევნებამდე?

— ამაზე პირადად მეც ვმუშაობ. სხვადასხვა ვარიანტი გვაქვს. ნაცმოძრაობა თუ რამდენად ძლიერია, ეს არჩევნების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმაც აჩვენა, როცა დამარცხება აღიარა და მთავრობასთან დებატები უმცირესობის პოზიციიდან განაგრძო.

— თქვენს სტრატეგიაში 19 აპრილს რა დატვირთვა აქვს?

— ეს არის გათვლილი სწორედ იმ სკეპტიკოსებისთვის, ექსპერტებისთვის, რომლებიც დღემდე ამბობენ, რომ ნაცმოძრაობა სუსტია. ჩვენ ვაჩვენებთ, რამდენი მხარდამჭერი გვყავს და რამდენად ძლიერია ჩვენი ღირებულებები, რომ არავის მივცემთ უფლებას, ქართველი ხალხის არჩევანს გადაუხვიოს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც 19 აპრილს მოხდება, არის ის, რომ ხელისუფლებას გამოვაფხიზლებთ, რათა საქმის კეთება დაიწყონ. დღეს რეალურად არაფერი კეთდება, ქვეყანა თვითდინებით მიდის, ეკონომიკა სტაგნაციისკენ მიექანება.

— აქამდე ამბობდით, ქვეყნის პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით ვიფიქრებთ პოზიციასო, თუმცა გაუგებარი იყო, რა დაფიქრება უნდა იმას, რაც პარლამენტმა კანონით გაამყარა. ახლა კი გასაგებია — განაწყენებული ხალხის შემოკრება გსურთ.

— არა, ყველა იმ პრობლემაზე იქნება საუბარი, რაც დღეს ხალხს აწუხებს — პოლიტიკური ნიშნით ათასობით გათავისუფლებულ ადამიანზე; იმ ვალდებულებებზე, რის შესრულებასაც მთავრობა არ აპირებს; იმ ხედვის არარსებობაზე, რაც ხელისუფლებაში ცალსახად ჩანს. ვინმეს შეუძლია თქვას, რაში მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა? პრემიერმაც კი განაცხადა, რომ თვითონაც არ იცის.

— ისე საუბრობთ, თითქოს წინა ხელისუფლებას უკეთესად გქონდათ საქმე.

— წინა ხელისუფლებას ეკონომიკური პოლიტიკა ნამდვილად ჰქონდა ჩამოყალიბებული და სტრატეგია იყო კონკრეტული — როგორც ტრანსპორტირების, ისე ბიზნესის კეთების კუთხით გამარტივებული იყო პროცედურები — ნაკლები რეგულაციები, პრიორიტეტები ტურიზმში, ენერგეტიკაში...

— ენერგეტიკის მინისტრი მუდმივად საუბრობს ამ სფეროში წინა ხელისუფლების მიერ გაფორმებულ არამომგებიან მემორანდუმებზე, სხვები კი — ხელისუფლების მიერ დარეკეტებულ ბიზნესებზე.

— არ იყო მომგებიანიო, ბევრ რამეზე შემიძლია ვთქვა. მაგალითად, არ იყო მომგებიანი ქვეყნისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა არჩევნებში, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვთვლი. საქართველოში სწორედ ეს პრობლემაა, ზედაპირული განცხადებები კეთდება პოლიტიკოსების მხრიდან. თუ არ მოგწონს ძველი, შემომთავაზე ახალი, რომელიც უფრო ეფექტური იქნება. ამის ნაცვლად საუბრობენ თავიანთი ხელფასების შემცირებაზე, სინამდვილეში კი 25 ათასიან პრემიას იწერენ. რაც საჯარო სამსახურში ვმუშაობდი, ამხელა თანხა არც ერთხელ ამიღია.

— რამდენს იღებდით?

— დაახლოებით 3.500 ლარს. არ მახსენდება, ნაცმოძრაობის დროს ხელფასების კლება მნიშვნელოვანი თემა ყოფილიყო, თუმცა ამ შემთხვევაში გვატყუებენ, ხელფასები კი არ შეიმცირეს, მოიმატეს. მინისტრის ხელფასი 6.300 ლარი იქნებაო, ჩვენს დროს ბევრად ნაკლები იყო.

— მართლა არ ამბობთ, საერთაო სასამართლოების შესახებ კანონს მხარი დაუჭირეთ თუ ისევ ცოტა ხანს იკაჭრებთ?

— ამ მხრივ, ძალიან ცუდი მდგომარეობაა. რასაც გვთავაზობენ, იმის მიხედვით უზენაესი საბჭო არის 15 კაციანი — 9 მოსამართლე იქნება და უმრავლესობის მიერ არჩეული 6 დეპუტატი. ის 6 ადამიანი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იუსტიციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კვორუმის 2/3-ით, ანუ 10 კაცით. გამოდის, რომ 9 მოსამართლე არ იქნება საკმარისი და მათ 1 ადამიანი ყოველთვის დასჭირდებათ ამ 6-დან. კანონში კიდევ ბევრი პრობლემაა, მაგრამ პირველი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ევროპელები გვეუბნებიან, აუცილებლად გავითვალისწინოთ მათი რეკომენდაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული პრობლემა გვექნება ასოცირების საკითხთან დაკავშირებით. ის, რაც ასე ახლოს გვაქვს, არ შეიძლება ხელიდან გავუშვათ.

— იმაზე რას იტყვით, სააკაშვილმა პირდაპირ რომ თქვა, პოლიტიკიდან არ მოვდივარო?

— ამასთან ერთად სხვა რამეც თქვა, რომ ის პარლამენტში კენჭს ვერ იყრის, ისევე როგორც პრეზიდენტის პოსტზე. შესაბამისად, ნაცმოძრაობაში დარჩება, რადგან ეს პარტია თავის დროზე თანაგუნდელებთან ერთად დააფუძნა.

— სად მოიაზრებთ მის ფიგურას ოქტომბრის შემდეგ?

— ამ საკითხთან დაკავშირებით დღეს ნამდვილად არ მაქვს მოსაზრებები. ამაზე გადაწყვეტილებას გუნდი ერთად მივიღებთ.

— არც საპრეზიდენტო კანდიდატზეა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული? მერაბიშვილზე იყო საუბარი.

— ბევრზე არის საუბარი და როცა გადაწყდება, აუცილებლად გეტყვით.

✓ პოლიტიკის რუბრიკა
მოამზადა მანანა გეგეშიძ

Cyan Magenta Yellow Black

სოსო თოლორაია: „ჩემი და თიკო საძუნიშვილის დაშორება საზოგადოების ბრალია“

„ამერიკაში რომ არ წავსულიყავი, ციხეში აღმოვჩნდებოდი“

სოსო თოლორაია გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა ქართულ შოუ-ბიზნესში და ყურადღება თავისი ფერადი პერანგებით მიიქცია. მაშინ, როცა ქვეყანაში ნაცრისფერი ფერები იყო გამეფებული, 20 წლის ენერგიულმა და მხიარულმა ტელეწამყვანმა მაყურებლის გახალისება დაიწყო. ჯერ იყო „პირველი სტერეო“, შემდეგ — „მაესტრო“, შემდეგ მარიკა თხელიძესთან ერთად ნამლერი „ქვეყანა აირია“, მერე კი თვალსაწიერიდან გაქრა... დღეს უკვე ამერიკამოვლილი 34 წლის სოსო თვლის, რომ მაშინ სწორედ ყვითელი პერანგით მოახდინა თავის თაობაში პატარა რევოლუცია.

მისი პირადი ცხოვრებაც ზიგზაგებით წარიმართა. პირველად 21 წლის ასაკში დაქორწინდა თინა ხოშტარიაზე და ბიჭის, ანდრიას მამა გახდა. მეორედ კი, 26 წლის ასაკში, ამერიკაში იპოვა ცხოვრების თანამგზავრი — სოფო ბედოშვილი. ამ ორ ქორწინებას შორის კი იყო ხმაურიანი და საჯარო რომანი ტელეწამყვან თიკო საძუნიშვილთან, რომლის შესახებაც წყვილმა პირველად „სარკეში“ გაამჟღავნა. მათმა გულახდილობამ მაშინ არ გაამართლა და რომანი მალე დასრულდა. ერთ თვეში კი სოსო ამერიკაში წავიდა. 7 წლის შემდეგ ის კვლავ „მაესტროზე“ ბრუნდება. მამუკა ღლონტის მიწვევით, 3 თვე თბილისში იქნება და მომღერალ ქეთი ორჯონიკიძესთან ერთად მუსიკალურ პროექტ „მაგთიფანს“ წაიყვანს.

■ სოსო და თიკო

მანამდე კი ის ისევ „სარკეში“ ამჯერად თავისი ცხოვრების გაკვეთილებზე გვესაუბრება.

— სოსო, როგორ გახსენდებათ თქვენი წითელ-ყვითელი პერანგებისა და მაშინდელი ნაცრისფერი თბილისის პერიოდი?

— ნაცრისფერ ცხოვრებას ვერ ვეგუებოდი. როცა მოსახლეობას ყველაზე მეტად პოლიტიკა აინტერესებს, მაშინ ცხოვრება ძალიან რთულდება. ამ მოსაწყენი სამყაროს მიმართ პროტესტი სწორედ ჩემი წითელ-ყვითელი პერანგებით გამოვხატე. დღეს აღარავის უკვირს ყვითელი პერანგით ეკრანზე გამოჩენა, აი, მაშინ კი ერთგვარი რევოლუცია იყო. საკუთარ თავზე ვხუმრობდი, უთო რომ ჩართო, იქაც მე ვარ-მეთქი. იმისიც კი მეშინოდა, მეორე დღეს დენი რომ ჩამქრალიყო და ტელევიზორი გათიშულიყო, ისე დავიკარგებოდი, თითქოს არც ვარსებობდი.

ამერიკამ ჩემს ცხოვრებაზე უდიდესი კვალი დატოვა. დღეს რაც უნდა მოხდეს, ცხოვრებაში არაფრის შემეშინდება, ვიცი, რომ გამოსავალს ყოველთვის ვიპოვი.

— იმდროინდელი თქვენი ცხოვრებიდან რას მიიჩნევთ შეცდომებად?

— უბრალოდ მაშინ დრო იყო ისეთი, რაც თავისდაუნებურად გიბიძგებდა, რაღაც არასწორად გაგეკეთებინა, რაღაცეები ვერ გაგეთვალა. წარმოიდგინეთ, სპორტის სასახლეში 80 ათასიან კონცერტს გავაკეთებდით და ბოლოს 10 ლარს ერთმანეთისგან ვსესხულობდით, რომ სიგარეტი გვეყიდა. შეიძლება ჩემი მხრიდან ასეთი მიდგომა შეცდომა იყო. ამერიკაში გავაცნობიერე, რას ნიშნავს, იყო ვარსკვლავი. ისეთი პოპულარობა, როგორიც გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გვქონდა, ამერიკაში რომ ვინმეს ჰქონოდა, თაობებს მილიონებს დაუტოვებდა. დღეს უკვე ვატყობ, რომ ადამიანები შოუბიზნესში ენთუზიაზმზე აღარ მუშაობენ, რაც ჩვენ დროს ყველა სფეროში იყო.

„ვახლების ხევოლუციის შემდეგ მამა და მისი თაობა ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდა... მიჩვეული იყო, რომ შვილებს ფინანსურად უზრუნველყოფდა და ამის საშუალება რომ მოესპეს, თვითონაც განადგურდა“.

ცხოვრებაში ჩემ მიერ დაშვებულ შეცდომებს ვერ ვხედავ, შეცდომებს ვხედავ ზოგადად იმ პერიოდის ცხოვრების სტილში. ჩვენი ერის მთავარი შეცდომა ის არის, რომ ბევრის პატიება შეგვიძლია, ბევრ რამეზე შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ და ამით ვიღაცეები სარგებლობენ.

— მახსოვს, ერთხელ ინტერვიუში თქვით, რომ ქვეყნიდან წასვლა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და მომღერალ ირაკლი ჩარკვიანის სიკვდილმა გადაგაწყვეტინათ. ეს ორი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში რა როლის თამაშობდა?

— თავიდანვე ვთქვი, რომ ეს ორი ადამიანი მოკლეს. ეს ნათქვამი პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, რომ ვთქვათ, ვიღაცამ მათ იარაღი ესროლა. ზოგადად ჩემთვის ეს ორი ადამიანი ამ ქვეყანაში მოკლეს. ისინი რომ ცოცხლები ყოფილიყვნენ, ბევრ რამეს გადავურჩებოდით. ისინი სათქმელს ძალიან სწორად აწვდიდნენ ხალხს, ერთი თავისი — პოლიტიკური მიმართულებით და მეორე — თავისი მუსიკით და სიმღერით. პიროვნულად ორივეს ვიცნობდი, მაგრამ ასე რომც არ ყოფილიყო, მათ მიმართ გარკვეული სიმპათიები ყოველთვის მექნებოდა. ირაკლი რომ გარდაიცვალა, უკვე ამერიკაში ვიყავი. იქ მაშინ წავედი, როცა ჟვანიას სიკვდილიდან რამდენიმე დღე იყო გასული.

— ზურაბ ჟვანიას პირადად იცნობდით?

— განსაკუთრებული ნაცნობობა არ მქონია. მაშინ შოუბიზნესის ნაწილი ვიყავი და სხვადასხვა კორპორატიულ საღამოსა თუ სამთავრობო ღონისძიებაზე გვიწევდა ერთმანეთთან ურთიერთობა. ჟვანიას სიკვდილის შემდეგ ყველაფერი აირია, ტელევიზიას თავისუფლად ფუნქციონირების საშუალება ჩამოერთვა, ვიღაცას რეკლამაზე მუშაობის უფლებას ართმევდნენ, ვიღაცას აძლევდნენ. უსამართლობის შეგრძნება ყოველდღე მატულობდა. ფაქტია, რომ პრემიერ-მინისტრები გაზით არსად იგუდებიან. ჩემი ეჭვი შემდგომმა მოვლენებმა უფრო გაამძაფრა. ამერიკაში რომ არ წავსულიყავი, ზუსტად ვიცი, ჩემი პროტესტის გამო ციხეში აღმოვჩნდებოდი.

— ამერიკაში ყოფნისას კიდევ ერთი დიდი დანაკარგი განიცადეთ — საქართველოში მამათქვენი გარდაიცვალა. ეს ალბათ ორმაგი დარტყმა იყო, რადგან სიკვდილის წინ ძმობლის გვერდით არ იყავით.

— მამაჩემი ყოველთვის შემდგარი ადამიანი იყო, თავისი ბიზნესი ჰქონდა, ოჯახს და მეგობრებს უზრუნველყოფდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ მამა და მისი თაობა ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. რასაც ებრძოდნენ და გადააგდეს, უარესი მიიღეს. 50 წლის კაცი, რომელიც სიცოცხლით სავსე იყო, ნელ-ნელა დაეკნინეს, სამსახურიდან გაათავისუფლეს, ღამის არსებობისა და ცხოვრების უფლება ჩამოართვეს. ოჯახში დათრგუნული კაცის ყურებაზე საშინელება არაფერია. ძალიან რთული პერიოდების გადატანა მოუწია და თანაც სრულიად არაფრის გამო. ამ ყველაფერმა მამაზე ძალიან იმოქმედა. ის ორი წლის წინ გარდაიცვალა.

„ჩემი ნახსელი ცხოვრების ოთხივე ქალი ახჩვეულებრივია და მათთან დღემდე ვმეგობრობ“.

■ სოსო და სოფო

ბოლო წლებში ფიზიკურად მამის გვერდით არ ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ხელიდან მეცლებოდა. არადა მახსოვს, რამდენი ენერგია და ძალა იყო მასში. ჩემი უმცროსი ძმა, კოტიკო, თავისი ენერგიითა და ცხოვრების სტილით მამას ძალიან ჰგავს.

„სოფომ ჩემში ბევრი მივიწყებული მისნიჰაფება გააღვივა, სიმღერები დამანეხინა და ნამდვილი სოსო ამოატივტივა“.

— კონკრეტულად რა ფორმით შეეხო საკაშვილის ხელისუფლება მამათქვენს?

— შეეხო კი არა, იმსხვერპლა. უსუსურობის და არარაობის შეგ-

Cyan Magenta Yellow Black

რძნებას რომ უჩენ სიცოცხლით სავსე ადამიანს, აბა, რა ჰქვია სხვა?! იმაზეც კი ნერვიულობდა, რომ ამერიკაში გადავიხვენე. მიჩვეული იყო, რომ შვილებს ფინანსურად უზრუნველყოფდა და ამის საშუალება რომ მოუსპეს, თვითონაც განადგურდა... დედაც პოლონეთში იყო სამუშაოდ წასული და თბილისში ცოტა ხნის წინ დაბრუნდა.

— აგისრულდათ ამერიკული ოცნება თუ იმედგაცრუება გამოსცადეთ?

— 60 დოლარით ჩავედი ამერიკაში. უბრალოდ გამიმართლა, რადგან ქართველი ემიგრანტები ძალიან დამეხმარნენ. პირველი ნაბიჯები მაინც რთული იყო. მგონი, არ დარჩენილა საქმე, რაც არ გამიკეთებია. რა თქმა უნდა, პირველი ეტაპი მშენებლობა იყო. ერთხელ სამშენებლო ობიექტთან მანქანამ ჩაიარა, მძღოლს ჩემი და მარიკა თხელიძის სიმღერა „ქვეყანა აირია“ ჰქონდა ჩართული... ეს ყველაფერი ფსიქოლოგიურადაც საშინელი გადასატანი იყო და ფიზიკურადაც.

ადამიანს თუ უნდა გაიგოს, ყველაზე რთული რა არის ცხოვრებაში, მოუმზადებლად უნდა წავიდეს ამერიკაში, სადაც სხვის ქვეყანაში, სხვის ენაზე, სხვის ტრადიციებსა და სხვისი ცხოვრების წესზე მოგიწევს აწყობა. იმ რთულ პერიოდში არასდროს მტოვებდა აზრი, რომ საქართველოს ისტორიის ყველა ეტაპზე საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი ყოველთვის მიდიოდა საზღვარგარეთ, რათა მსოფლმხედველობა გაეფართოვებინა და საკუთარ ქვეყანაში

„ადამიანს თუ უნდა გაიგოს, ყველაზე რთული რა არის ცხოვრებაში, მოუმზადებლად უნდა წავიდეს ამერიკაში, სადაც სხვის ქვეყანაში, სხვის ენაზე, სხვის ტრადიციებსა და სხვისი ცხოვრების წესზე მოგიწევს აწყობა“.

დაბრუნებულიყვნენ უკეთესის გასაკეთებლად. დღევანდელი სიტუაცია ხშირად მაგონებს თერგდალეულების პერიოდს. ადრე თუ მწერლები, პოეტები და მეცნიერები მცირე ხნით მიდიოდნენ ემიგრაციაში,ახლა მათ ჟურნალისტებიც დაემატნენ.

— საბოლოოდ ამერიკაში 7 წლიანმა ცხოვრებამ რა მოგიტანთან?

— დღეს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სამსახური მაქვს ამერიკაში, რაც კი ოდესმე მქონია. იტალიელი მილიონერის პერსონალური ასისტენტი ვარ. მის ქონებას და გეგმებს ვმართავ.

— რით დამსახურეთ მილიონერის ასეთი ნდობა?

— ამ ადამიანთან მე და ჩემი ცოლი, სოფო, ჩვეულებრივ სამსახურებრივ გასაუბრებაზე მივედით. როგორც ჩანს, ორივე მოვეწონეთ და სოფო ამ კაცის ცოლის პირადი ასისტენტი გახდა. ჩემი ბოსისგან ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ. იცის, რომ ქართულ ტელევიზიას ვუბრუნდები და მგულშემატკივრობს.

■ „ანდრიას თაობა ძირითადად დაშორებული მშობლების შვილები არიან“.

— ადრეულ ასაკში შექმნილი ოჯახი ადრეულ დაგვენერგათ, ცოლს გაშორდით. შემდეგ თქვენი გასამურებელი რომანი თიკო სადღესასწაულოთანაც დასრულდა და ერთ თვეში ამერიკაში წასულხართ. ბარად ცხოვრებაში უიღბლობა რომ არა, ოკეანის ვაღმა გაეემგზავრებოდით?

— ზოგადად ყველა ხელოვანის იდეაფიქსია, რომ ამერიკაში მოხვდეს, რადგან ეს ქვეყანა ხელოვანებს სულ სხვა სუნთქვას აძლევს. შეიძლება ოჯახის დაგრევაც ერთ-ერთი წვეთი იყო, მაგრამ ჩემი თავი უფუნქციოდ ვერ წარმომედგინა. როდესაც მიჩვეული ხარ აქტიურ ცხოვრებას, რაღაცის კეთებას და ამ დროს გარემოება გაიძულებს, სახლში დაჯდე, საშინელებაა.

— თიკოსთან ურთიერთობა რიგორ გახსენდებათ?

— პირველი ჩვენი ერთობლივი ინტერვიუ, სადაც ჩვენს ურთიერთობაზე თამამად ვლაპარაკობდით და ფოტოზე ერთმანეთს ვკოცნიდით, „სარკეში“ დაიბეჭდა. ამ ყველაფერს ძალიან ნეგატიური რეზონანსი მოჰყვა. ჩვენ შევეცადეთ, ვყოფილიყავით წყვილი, რომელიც არ დამალავდა გრძნობებს, ემოციებს. ჩვენ თუ კოცნა გვინდოდა, ამისათვის ღამე და სიბნელე არ გვჭირდებოდა.

— ხომ არ გინანიათ ამ რომანის გასაჯაროების გამო?

— არა, ვერ ვიტყვი, რომ რაც გავაკეთე, არ უნდა გამეკეთებინა. შეიძლება ჩემი შეხედულებებით ზედმეტად ევროპელი ვიყავი, თუმცა დღემდე ასე ვფიქრობ. როცა კარგი ფეხები გაქვს და სცენაზე დგახარ, ეს აუცილებლად უნდა გამოაჩინო. ჩემი და თიკოს შემთხვევაში მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ საზოგადოების შემზადება. კოლეგების მხრიდანაც არავითარი მხარდაჭერა არ იყო. მეორე შეყვარებული წყვილიც რომ გამოსულიყო და საჯაროდ ეკოცნა ერთმანეთისთვის, მაშინ „კაი პონტი“ იქნებოდა. საბოლოოდ ჩვენ ერთმანეთის შეცდომების გამო აღმოვჩნდით ცალ-ცალკე.

— ანუ ორმა ეპატაჟურმა ბრიოლუნებამ ერთად ვერ გაძლეთ?

— ჩვენთვის — არა, ხალხისთვის იყო ჩვენი ერთად ცხოვრება პრობლემა. ჩვენი რომანი პირველი შემთხვევა იყო, რომელიც გასაჯაროვდა და ამაზე იწერებოდა. როცა ასეთი ინტერესის ქვეშ ხარ, ორი ვარიანტია, ან ურთიერთობა ძალიან კარგად მიდის, ან შორდებით. ჩვენს შემთხვევაში მეორე ვარიანტი მოხდა.

— ამ ხმაურიან რომანამდე თქვენ გყავდათ ცოლი, თინა ხოშტარია, რომელთანაც გყავთ შვილი. რა შეცდომა დაუშვით ბარველი ოჯახის შემთხვევაში?

— ორი ადამიანის თანაცხოვრება ნიშნავს, რომ შეცდომები ერთი მხრიდან არ არსებობს. ჩემი წარსული ცხოვრების ორივე ქალი არაჩვეულებრივია და მათთან დღემდე ვმეგობრობ. უბრალოდ ისინიც და მეც იმ საზოგადოების წნეხის ქვეშ აღმოვჩნდით. იმ პერიოდში, როცა მე და ჩემი ცოლი დავშორდით, ეს მასობრივი ტენდენცია იყო. ანდრიას თაობა ძირითადად დაშორებული მშობლების შვილები არიან.

— უცნაურია, რომ ასეთი იმედგაცრუებების შემდეგ ამერიკაშიც ქართველი ქალი, სოფო ბეჟდოშვილი მოიძებნეთ.

— ეს ბედისწერა იყო. ამერიკაში ჩასვლისას ცოლის მოყვანის თემა ჩემს თავში საერთოდ აღარ ტრიალებდა. გადაწყვეტილი მქონდა, რომ ოჯახს აღარ შევქმნიდი. ძალიან გამიმართლა, რომ ჩემს მეორე ნახევარს სწორედ ამერიკაში შევხვდი. შეიძლება სოფოსაც უამრავი მინუსი ჰქონდეს, მე — უფრო მეტი, მაგრამ ერთად

■ „აგვისტოში კოტიკოს ბიჭი ამერიკაში დაიბადება“.

ცხოვრება ძალიან სასიამოვნოდ გამოგვდის.

ერთმა ადამიანმა თქვა — სიყვარული არის არა ერთმანეთის ყურება, არამედ ერთი მიმართულებით ცქერა. მე და სოფო 7 წელია ერთად ვართ და ეს პერიოდი ჩემს ცხოვრებაში ფანტასტიკურია. ყველას ვუსურვებ, ისეთი ბედნიერი იყოს, როგორიც მე დღეს ვარ ჩემს ცოლთან ერთად. ჩვენს ურთიერთობაში მთავარი ისაა, რომ ყოველდღე რაღაც ახალი და საინტერესო ხდება. აქამდე ჩემ გვერდით არ ყოფილა ისეთი ქალი, რომელიც ძალას მომცემდა, რომელიც აღფრთოვანებული იქნებოდა ჩემი საქმეებით და იდეებით, წინ მიბიძგებდა და არ დამამუხრუჭებდა. სოფომ ჩემში ძალიან ბევრი მივიწყებული მისწრაფება გააღვივა, სიმღერები დამაწერინა და ნამდვილი სოსო ამოატივტივა. სოფო ჩემი ყველაზე დიდი ფანი.

— საქართველოში თქვენი ჩამოსვლა და რეალიათა შოუში მონაწილეობა ძველი პიპულარობის დაბრუნების სურვილმა ხომ არ განაპირობა?

— შემოქმედებითი მუშაობა არც ამერიკაში მაკლდა. თეატრშიც ვთამაშობ ქართველ მსახიობებთან ერთად და როცა დრო მაქვს, სიმღერებსაც ვაკეთებ. მამუკას წინადადება საინტერესო იყო და ჩემმა რეჟიმაც მომცა იმის

„ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა ნაკლები ხმენა იყო“.

საშუალება, 3 თვე თბილისში ვყოფილიყავი. ყველაფერი კარგად აეწყო და უარი რატომ უნდა მეთქვა? სულ პირველი „ჯეოსტარის“ წამყვანი ცოტა ხნით მე ვიყავი და ამიტომ ეს ამპლუა უცხო არ იქნება ჩემთვის.

— არ გაქვთ შიში, რიგორ მიგიღებთ მაყურებელი?

— შიში დიდი ხნის წინ გადავლახე. ერთადერთი, შეიძლება იმ მაყურებელთან დაბრუნების შიში მაქვს, ვინც მიცნობს, ხოლო, ვინც ტელეწამყვან სოსო თოლორაიას არ იცნობს, ის სრულიად ახალ ტიპს გაიცნობს. კიდევ ერთი მიზეზი, რომ თბილისში დავბრუნებულიყავი, ჩემი და კოტიკოს კომპანია იყო, რომელიც ჩვენი, ძმები თოლორაიების და ჩვენი კომპანიონების თბილისურ-ნიუიორკული ურთიერთობის გამოყენება იქნება. ხელოვან ადამიანებს ბევრ შანსს მივცემთ, რომ წარმატების მიღწევა შეძლონ.

— მართალია, რომ კოტიკოც მიგყავთ ამერიკაში?

— 3 თვის შემდეგ ჩვენ ერთად მივდივართ ამერიკაში, რადგან აგვისტოში კოტიკოს ბიჭი იქ დაიბადება, მისი სახელიც ვიცი — გაბრიელ თოლორაია. გვინდა, სატელევიზიო პროდუქტებიც შევქმნათ. გარდა ამისა, მანჰეტენზე ვგეგმავთ, ქართული სამზარეულო გავაკეთოთ ისე, რომ იქ უცხოელები დადიოდნენ.

— 34 წლის ასაკში რაზე გწყდებთ გული, რა ვერ გააკეთეთ აქამდე?

— საკუთარ ცხოვრებაზე, საერთო ჯამში, გული არ მწყდება, ალბათ ის ყველაფერი მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. 33 წლის ასაკში ჩემს ცხოვრებაშიც იყო ქარტეხილი... ამბობენ, ეს ასაკი მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაშიო და ეს მეც ვიგრძენი. ამ პერიოდში ეკლესიას დავუახლოვდი. ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა ნაკლები რწმენა იყო.

✓ **ავთო ჩიტიძე**

Cyan Magenta Yellow Black

ნიკა ლომინაძის მკვლელობის გახსნით სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გადაფარვა სურდათ?!

2002 წლის აგვისტოში თბილისში გახმაურებული მკვლელობა მოხდა, რომლის ბევრი დეტალი ბუნდოვანებით იყო მოცული, მიუხედავად იმისა, რომ საქმე გამოიძიეს და დამნაშავედ აღიარებულს განაჩენიც გამოუტანეს. 10 წელზე მეტი ხნის შემდეგ, როცა საქართველოში ახალმა ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაწყებულად გამოაცხადა, მკვლელობა ისევ ამოტივტივდა და ბევრი მიჩქმალული რამ ზედაპირზე ამოვიდა. საქმე ეხება „ეიეს თელასის“ ფინანსური დირექტორის, ნიკა ლომინაძის მკვლელობას. მთავარი პროკურატურა აცხადებს, რომ დანაშაული ისევ გაუხსნელია.

2002 წლის 13 აგვისტოს 29 წლის ნიკა ლომინაძე თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე, მშობლების სახლში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული და ხელფეხშეკრული იპოვეს. ექსპერტიზის დასკვნით, ნიკა ლომინაძე დილის 8-ის ნახევრიდან 9 საათამდე პერიოდში მოკლეს. თავზე პირსახოცი ჰქონდა გადაფარებული და შუბლში მიბჯენით ნასროლი ერთი ტყვიით იყო მოკლული. შემთხვევის ადგილას ხელუხლებელი იყო ყველა ძვირფასი ნივთი. გაჩხრეკილი იყო მხოლოდ უჯრა, სადაც ლომინაძე სამსახურის საბუთებს ინახავდა. ამ გარემოებამ გააჩინა ეჭვი, რომ მკვლელობა ლომინაძის საქმიანობას უკავშირდებოდა.

სამართალდამცავებმა ცხელ კვალზე ჯერ ავტოსადგომის დარაჯი, ვინმე მჭედლიძე დააკავეს. 6 თვის მერე, როცა მისი დნმ-ის ანალიზი არ დაემთხვა ლომინაძეების ოჯახში ნაპოვნ თითის ანაბეჭდებს, სიგარეტის ნამწვს და თმის ღერებს, იგი გაათავისუფლეს.

2006 წელს უკვე ვარდების ხელისუფლებამ მაშინდელი „თბილგაზის“ მმართველი გიორგი გვიჩიანი დააკავა, მას ლომინაძის მკვლელობის შეკვეთა დაბრალდა. სასამართლომ გვიჩიანს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ის მკვლელობის დროს „ეიეს თელასში“ ექსპერტის თანამდებობაზე მუშაობდა და ლომინაძეს ექვემდებარებოდა. 2006 წლის 7 მარტს გვიჩიანთან ერთად კიდევ 4 პირი დააკავეს — ნოდარ გვიჩიანი, ნიკა ჩემია, ავთანდილ ხერკელაძე და გიორგი პაპაჩაშვილი.

2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლების შეცვლისთანავე გიორგი გვიჩიანმა ადვოკატებს კვლავ მიმართა. ის საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს, რათა თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, ის მტკიცებულებები, რაც გვიჩიანის საქმეში დევს, მის ბრალეულობას არ ადასტურებს. მინისტრი აცხადებს, რომ პროკურატურამ დნმ-ის ანალიზისთვის რამდენიმე ნიმუში ამერიკაში გაგზავნა, თუმცა საქმეს არ დაურთო ანალიზის პასუხის ის ნაწილი, რომელიც ადასტურებდა, რომ გვიჩიანი დამნაშავე არ იყო. ამ ვერსიას მოკლული ახალგაზრდის ოჯახის წევრები არ ეთანხმებიან. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათი შვილი სწორედ გიორგი გვიჩიანის დაკვეთით მოკლეს.

გვიჩიანმა მოკლულის ოჯახს ღია წერილით მიმართა:

„7 წლის წინ სოდ-მა და ადეიშვილის პროკურატურამ შეცდომაში შეიყვანეს დაზარალებული, დაარწმუნეს, რომ ნოდარ გვიჩიანის აღიარებითი ჩვენებით საქმე გახსნილი იყო. ჩემ წინააღმდეგ არსებობს მხოლოდ ერთი ადამიანის, მრავალჯერ ნასამართლევი თაღლითის, ნოდარ გვიჩიანის ჩვენება. უცნაურია, დაზარალებულს რატომ სჯერა ბრმად კრიმინალის, რომელმაც მანამდე 200.000 დოლარი დასტყუა კალაძეების ოჯახს, შემდგომში კი შეცდომაში შეიყვანა შს სამინისტრო, აფრასიძეები ჩააცხრილვინა და მათი საგვარეულო სასაფლაო ტყუილად გაათხრევინა ლევან კალაძის ნეშტის საპოვნელად...

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ბატონ ნოდარ

ნიკა ლომინაძე

ლომინაძეს, აიყვანოს ადვოკატები და გაეცნოს საქმის მასალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი პოზიცია ბრმა და უსამართლო იქნება. ამ საქმის გაყალბებას 4 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სოდ-ის გამომძიებელი, პაატა კუპრაშვილი, საქმის დასრულების შემდეგ ინფარქტით გარდაიცვალა. სრულიად ახალგაზრდა კაცს ინფარქტი ორჯერ დაემართა. პირველად, დნმ-ის ანალიზის პასუხის მოსვლის შემდეგ, რომელიც დამალეს, მეორედ — საქმის დამთავრების შემდეგ. საპყრობილეში მეტად საეჭვო ვითარებაში ჩამოხრჩობით დასრულა სიცოცხლე დავით კეკუამ და კრიმინალმა ნუგზარ გვიჩიანმა. უსამართლობას ვერ გაუძლო და სააპელაციო სასამართლოს მიმდინარეობისას ინფარქტით გარდაიცვალა მამაჩემი... მივმართავ სააპელაციო სასამართლოს საქმის გადახედვის მოთხოვნით ახალაღმოჩენილი გარემოებების გამო. თუკი სააპელაციო სასამართლო რაიმე მიზეზით უარს მეტყვის საქმის გადახედვაზე, მაშინ დაველოდები მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელ კომისიას და სამართალი მაინც აუცილებლად გაიმარჯვებს...“, — წერს გიორგი გვიჩიანი.

მისი ადვოკატები კი ლომინაძის მკვლელობის ადგილიდან ამოღებული ნიმუშების ექსპერტიზის პასუხებს ასაჯაროებენ, რომელიც ადასტურებს, რომ გამორიცხულია, მკვლელობაში ეჭვმიტანილები, ხერკელაძე და ჩემია, მკვლელობის ადგილზე ყოფილიყვნენ.

■

2005 წლის 10 ნოემბერს მკვლელობაში ეჭვმიტანილი ნოდარ გვიჩიანი დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების ბრალდებით დააკავეს. მანამდე ის ამავე ბრალდებით რამდენჯერმე იხდიდა სასჯელს. დანაშაულის კიდევ ერთხელ ჩადენისთვის სამუდამო პატიმრობა ელოდა. გიორგი გვიჩიანის ადვოკატი, გელა ნიკოლაიშვილი ამბობს, რომ ნოდარ გვიჩიანი სამართალდამცავებს ორი მკვლელობის გახსნაში დახმარებას დაჰპირდა. ერთი თურქი ბიზნესმენის მკვლელობა იყო, რომელიც, მისი თქმით, 1996 წელს ავთანდილ ხერკელაძემ, გიორგი პაპაჩაშვილმა და ნიკა ჩემიამ დაყაჩაღების მიზნით მოკლეს, მეორე კი — ნიკა ლომინაძის მკვლელობა. ნოდარ გვიჩიანმა განაცხადა, რომ მისი მოკვლა სახელისუფლებო წრეებმა შეუკვეთეს, ჩემიამ, ხერკელაძემ და პაპაჩაშვილმა კი განახორციელეს. ამ ჩვენების მიცემის შემდეგ ნოდარ გვიჩიანი გაათავისუფლეს. ნიკოლაიშვილის მტკიცებით, პაპაჩაშვილი სამართალდამცავებმა ცრუჩვენების მიცემაზე დაითანხმეს და სცენარიც შეადგინეს, რომლის მიხედვით, ლომინაძის მკვლელობა გიორგი გვიჩიანმა შეუკვეთა და ამაში ნოდარ გვიჩიანს 20 ათასი დოლარი გადაუხადა. იმ პერიოდში შსს-მ ნოდარ გვიჩიანის ჩვენებაც გაავრცელა.

ამ დროისთვის ციხეში გიორგი გვიჩიანი და ნიკა ჩემია არიან. ავთანდილ ხერკელაძე გარდაიცვალა, გიორგი პაპაჩაშვილი კი თავისუფალია. ხერკელაძეს მაშინ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, პაპაჩაშვილს — 5 წლით. ნიკა ჩემიამ კი დანაშაული არ აღიარა და გვიჩიანის მსგავსად უვადო პატიმრობა შეეფარდა.

საქართველოს მთავარი პროკურატურა ახლა აცხადებს, რომ ლომინაძე ამ საქმეზე გასამართლებულ პიროვნებებს არ მოუკლავთ. პროკურატურა ბოდიშს უხდის ნიკოლოზ ლომინაძის ოჯახს ტრაგიკული ამბის გახსენებისთვის და იმის აღიარებისთვის, რომ მკვლელობა კვლავ გაუხსნელია. გამოძიება კი თავიდან იწყება.

■

ირმა ჭკადუა, გიორგი გვიჩიანის ადვოკატი:

— 2006 წელს სანდრო გირგვლიანის მკვლელობა მოხდა და გვიჩიანის დაკავებით სცადეს ამ თემის გადაფარვა. ეს საქმე სტრასბურგშია გასაჩივრებული, მაგრამ ჯერ არ არის განხილული. მთავარმა პროკურატურამ საქმის ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება დამალა. როცა მთავრობა შეიცვალა, მთავარმა პროკურატურამ გამოაქვეყნა ექსპერტიზის დასკვნა. სააპელაციო სასამართლოს მივმართეთ. მათ აქვთ ორკვირიანი ვადა, რომ გვიპასუხონ, ჩათვლიან თუ არა ახალგამოვლენილ გარემოებას საკმარისად ხელმეორე გამოძიებისთვის.

— **ლომინაძეების ოჯახი დარწმუნებულია, რომ მკვლელობის შემკვეთი გვიჩიანია.**

— გარდაცვლილის მამა ამბობს, ჯერ სხვა დაიჭირონ და გვიჩიანი მერე გამოუშვანო. განაჩენი უსუსური და დაუსაბუთებელია. ამოღებული ტყვიის გულა იმაზე დიდია, ვიდრე გვამს აქვს დაზიანება. განაჩენში წერია, რომ ექსპერტები არაკომპეტენტურები არიან. ტყვიის გულაც კი შეცვლილია. გენერალი, შსს-ს წარმომადგენელი, ბატონი კეკუა, ციხეში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა — თავი ჩამოიხრჩო. ის პირველივე წუთიდან იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე. მერე კეკუა აბსურდული ბრალდებით დააპატიმრეს და რამდენიმე თვეში გაავრცელეს ინფორმაცია, რომ თავი ჩამოიხრჩო. ამ საქმის ფალსიფიკაცია პირველივე წუთიდან მოხდა.

— **იმ პერიოდში ამბობდნენ, ფინანსური მაქინაციები აღმოუჩინა ლომინაძემ გვიჩიანსო.**

— მსგავსი რამ საქმეში არ არის. ნიკას მამის დაკითხვის ოქმის მიხედვით, როცა მას გამომძიებელი ეკითხება, სამსახურში ვინმესთან პრობლემა ხომ არ ჰქონდაო, უარს ამბობს. 4 წლის შემდეგ გაახსენდათ, ნიკა ამბობდა, გვიჩიანთან დაძაბული ურთიერთობა მაქვსო. ოჯახს არასწორი ვერსია მოახვიეს თავს. გვიჩიანი ამბობს, რომ ლომინაძესთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ნიჭიერი, სუფთა ბიჭი იყოო.

გვაქვს გარკვეული ვერსიები და ერთ-ერთი უკავშირდება რუსეთის ჯარს... ჩვენ ვითხოვდით რამდენიმე ადამიანის დაკითხვას, მაგრამ სასამართლომ ჩვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. გვიჩიანს ორჯერ შესთავაზეს საპროცესო შეთანხმება. ეუბნებოდნენ, „თელასის“ მაშინდელი გენერალური დირექტორისთვის, ვენესუელელ იგნასიო ირიბარენისთვის დაედო ხელი. მეორედ კი შესთავაზეს „თელასის“ მაშინდელი იურისტისთვის, ირაკლი ოქრუაშვილისთვის დაებრალებინა, მაგრამ გია გვიჩიანი არ დათანხმდა. მაშინ ოქრუაშვილი ჯერ კიდევ მთავრობის წევრი იყო. მან ეს იცის, თუმცა მისი კომენტარი არ მომისმენია.

■

ნიკა ლომინაძის მშობლები დარწმუნებული არიან, რომ მკვლელობა გიორგი გვიჩიანის

Cyan Magenta Yellow Black

დაკვეთით მოხდა. ამბობენ, რომ ლომინაძის მოკვლის იდეა გვიჩიანს მაშინ გაუჩნდა, როცა ნიკამ „თელასში“ ფინანსური მაქინაციები აღმოაჩინა.

ელენე პაპავა, ნიკა ლომინაძის დედა:

— გია გვიჩიანი ცხელ კვალზე დაიჭირეს. სამი დღის მერე გამოუშვეს, თავდებად დაუდგნენ დეპუტატები სანიკიძე, ჯოჯუა და ბობოხიძე... „თელასის“ მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა, იგნასიო ირიბარენმა, გვიჩიანზე თქვა, ეს სუსტი კაცია, ყველაფერს დაფქვავს, ამიტომ არ გვაწყობს მისი ციხეში ყოფნაო. მაშინ ბევრი ფული დახარჯა გვიჩიანმა, რომ ციხიდან გამოსულიყო...

ვფიქრობდი, სერიოზული, ამერიკული კომპანიაა და ჩემს შვილს საფრთხე არ ემუქრება-მეთქი, არადა თურმე იქ იყვნენ მაფიოზები. ნიკას ოთახში აღმოაჩინეს რაღაც საბუთი, რომლის მიხედვით გვიჩიანმა დიდი მაქინაცია განახორციელა. ეს არის ძირითადი მოტივი, რის გამოც ამ კაცმა ნიკა თავიდან მოიშორა.

— რა გიმყარებთ ეჭვს, რომ ის არის შემკვეთი?

— გამოძიების მასალები და ის ყველაფერი, რაც სასამართლო პროცესებზე ხდებოდა. ჰკითხეს, რა იყო მკვლელობის მოტივიო და არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა, მისი მკვლელობა სამსახურთან დაკავშირებით მოხდაო. ჩემი შვილი ფინანსური განყოფილების დირექტორად რამდენიმე თვის დანიშნული იყო. ნიკომ თქვა, მაიკლ სქოულმა, მაშინდელმა „თელასის“ გენერალურმა დირექტორმა, მითხრა, რამდენიმე თვეში მე და ფინანსურმა დირექტორმა (ისიც ამერიკელი იყო) შეიძლება აქაურობა დავტოვოთ და ამ პოსტზე ზუსტად შენნაირი კაცი გვჭირდებაო. ფინანსების კონტროლი ნიკოს ევალებოდა. ვაშინგტონში ჰქონდათ სათავო ოფისი და იქ თვეში ერთხელ მაინც ჩადიოდა, სადაც ეუბნებოდნენ, ბევრი ფული იკარგებაო. მერე ბევრი დარღვევა აღმოაჩენინა და ამას მოჰყვა ყველაფერი ის, რაც ჩვენ დაგვემართა.

■ გიორგი გვიჩიანი

ნიკოს პირადი კომპიუტერიც მოპარეს ვენესუელაში. ამ ქვეყნიდან იყო იგნასიო ირიბარენიც. ორ თვეში კი ნიკო მომიკლეს. იქნებ თვითონ იგნასიო ირიბარენთან ერთად მოქმედებდა გვიჩიანი?

— თეა წულუკიანმა თქვა, დნმ-ის პასუხები გასამართლებულებისას არ ემთხვეოდა.

— წულუკიანის კი მჯერა და ვიცი, არ გააყალბებენ საქმეს, მაგრამ... ეს კაცი და მისი ადვოკატები საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ლაპარაკობენ, რომ ვითომ ალალმართალი კაცი ჩასვეს ციხეში. ფაქტია, იქ კეთდებოდა მაქინაციები და ის იყო ამ ყველაფრის ერთ-ერთი შემოქმედი... მაშინ მითხრან, ვინ ჩაიდინა დანაშაული!

— თურმე ოქრუაშვილისთვის ხელის დადებას სთხოვდნენ გვიჩიანს.

— აბსოლუტური ტყუილია! ორ სასამართლოში არცერთხელ უთქვამს მსგავსი რამ. ახლა მოიფიქრა ეს! ჯერ სხვაზე თქვა, მგონი, იგნასიო ირიბარენზე. ახლა ოქრუაშვილზე ამბობს. ოქრუაშვილს, იურისტს, რაში სჭირდებოდა ჩემი შვილის სიკვდილი?! ამბობენ, მკვლელების დნმ არ აღმოჩნდაო, ერთ სიგარეტზე ნიკოს დნმ იყო, მეორეზე — ვიღაცისო. მკვლელი სიგარეტს მოსწევს და დატოვებს?! ნიკომ მანამდე სტუმრები მიიღო და რამდენმა მოსწია სიგარეტი, იცის ვინმემ?! სასამართლოზე თქვა ერთმა მკვლელმა, ხელთათმანებით ვიყავითო. საშინელი მოსასმენი იყო, როგორ აღწერეს ჩემი შვილის მკვლელობა დეტალურად. ჩემი ქმარი რამდენჯერმე გავარდა გარეთ. ჭკუიდან გადავედი, გარკვეულ მომენტში ვეღარც ვაზროვნებდი. თურმე ნიკო სამსახურში მიდიოდა, კარში დახვდნენ და უკან შეაბრუნეს. გავაკეთეთ საქმე და გამოვედითო. სიგარეტს მოსწევდნენ იქ?!

იმ მკვლელებმა თქვეს, ბიძაშვილები, გვიჩიანები, შავ საქმეებს ერთად აგვარებდნენ ჩვენი დახმარებითო. ამის მერე რა ვიფიქრო?! ახლა დაუჩემებია, მხოლოდ ერთი მადეს ხელსო. სასამართოლოზე ეს ყველაფერი სამმა გაიმეორა. ერთი მოკვდა. ნოდარ გვიჩიანს გაახსნევინეს ეს საქმე და გაუშვეს... გამოძიებამ და მასალებმა დამარწმუნა, რომ ესენი მკვლელები არიან და ახლა ხელისუფლების შეცვლით სარგებლობენ! ხერკელაძემ თქვა, მე ხელები შევუკარი და ჩემიმამ ესროლაო. ჩემია კი ამბობს, მე იქ არ ვყოფილვარო — აქა და აქ ვიყავიო, მაგრამ ამას რომ ამბობდა სასამართლოზე, დაიბნა, სისულელეები თქვა. მაშინ რატომ არ თქვეს, დამნაშავეები არ ვართო, ახლა რომ მოუნდათ გამართლება?!

— თქვენი შვილი გვიჩიანს ახსენებდა?

— ერთადერთხელ გავიგონე ეს გვარი. ვიღაც მოვიდა ნიკოსთან, მას უთხრა, მგონი, ეს გვიჩიანი ფულს აკეთებს, უნდა გამოვიძიოო. ახლა ამბობს, ლომინაძე ჩემი მეგობარი იყოო. არც ნიკოს ცოლი იცნობდა და არც მე, როგორი მეგობარი იყო?! ყველა საბუთი მის წინააღმდეგ მეტყველებს. მიგზავნის წერილებს და მეუბნება, რაღაცეებს ბრმად ხართ მინდობილიო. რატომ ვარ ბრმად მინდობილი, ჩემი აზრი არ გამაჩნია?! არც ერთი სასამართლო გამოგვიტოვებია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის იქ ყოფნა საშინელება იყო.

— იქნებ სხვა ვინმე მტრობდა თქვენს შვილს?

— გამორიცხულია! იცით, როგორი ბიჭი იყო? შუბლზე ეწერა პატიოსნება. ნიკოს ქალიშვილი, ელენე, წლის და რვა თვის იყო, როცა მამამისი გარდაიცვალა. ელენიკო ლამაზ ბიჭს რომ დაინახავდა, მისდევდა და, ნიკო მამა, ნიკო მამაო, ეძახდა. ელენიკო ახლა მეცამეტე წელშია და მამასავით უჭკვიანესია.

ნიკოს მიმართ რაღაც ცუდი წინათგრძნობა სულ მქონდა. მუდამ მეშინოდა და მენატრებოდა. მისი დაბადებიდან საშინელ სიზმრებს ვნახულობდი. იმ დღესაც ისე გამეღვიძა, გეგონებოდა, ვიღაცამ გულში ხანჯალი ჩამარტყა. მესიზმრა, ვითომ მე და ჩემი ქმარი მივდიოდით და ცალი მხარე ჩაბნელდა...

ასე მომიღეს ბოლო და ახლა სასჯელის მოხდაც არ უნდათ! ხომ დააპატიმრეს თავიდან ამ საქმეზე. მერე გამოუშვეს და „თბილგაზის“ დირექტორად დანიშნეს. გიგი უგულავა ხელს უთათუნებდა ზურგზე. ეს რომ დავინახე, ცუდად გავხდი. იცით, რამდენი ვინმე შეიწირა ჩემი შვილის სიკვდილმა? მისი გამზრდელი ბებია ორ თვეში გარდაიცვალა, მერე — დეიდამისი. მამაჩემიც მის დარდს გადაჰყვა. გვიჩიანი ამბობს, მამაჩემი შეიწირა ამ ამბავმაო... ვიმეორებ, გამოძიებამ მეორე დღესვე იპოვა ჩემი შვილის კაბინეტში საბუთი, სადაც გვიჩიანის მაქინაციები იყო აღნიშნული. კი, ბატონო, ჩატარდეს გამოძიება, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის შექმნას ნუ ცდილობენ!

■

გიორგი გვიჩიანი 36 წლის ასაკში დააპატიმრეს, ახლა 43 წლისაა. ცოლ-შვილი არ ჰყავს.

ლევან გვიჩიანი, გიორგი გვიჩიანის ძმა:

— ნოდარ გვიჩიანი, ვინც თქვა, რომ მკვლელობა ჩემმა ძმამ შეუკვეთა, ჩვენი მხოლოდ მოგვარეა. ახლა გვარი გადაიკეთა და გია დევდარიანი გახდა. როგორც ვიცი, ჩემს ძმას ერთხელ ქუჩაში შეხვდა და მერე რამდენჯერმე ტელეფონზე დაურეკა. ძირითადად ფულს სთხოვდა — 20 ლარი მომეციო. ბოლოს უკრაინაში დაიჭირეს და ფსიქიატრიულში მოხვდა. არ ვიცი, იქიდან გამოვიდა თუ არა.

— თქვენი ძმა ჯერ კიდევ შეჯარდნაძის დროს ცხელ კვალზე დაუკავებიათ.

— არ არის მართალი. მკვლელობიდან ერთი თვის მერე ვინმე მჭედლიძე დააკავეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მისი იარაღით იყო ლომინაძე მოკლული. დამტკიცდა, რომ მჭედლიძე იმ სახლში ნამყოფი არ იყო, გამოძიება ჩიხში შევიდა. სხვა მტკიცებულება ვერ მოიპოვეს და გაუშვეს. ნიკა ლომინაძე იყო ფინანსური დირექტორი, რომლის გადაწყვეტილების გარეშე „თელასში“ არც ერთი ფინანსური ოპერაცია არ ხდებოდა. ნიკა ლომინაძის მეუღლის ჩვენება დევს საქმეში, რომ მას მკვლელობამდე ვიღაცამ იარაღი აჩუქა, რადგან ნიკამ ფინანსური ჩათვლა გაუკეთა. ამის მერე თურმე ვიღაც სისტემატურად ურეკავდა და ნიკა ეუბნებოდა, ხომ გითხარი, ამას არ ვიზამო. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ვინ ურეკავდა.

— დედამისს მოუსმენია, როცა ნიკა ვიღაცას ეუბნებოდა, გვიჩიანი ფულს აკეთებს და უნდა გამოვიძიოო.

— 2006 წლამდე ნიკას მშობლებს რამდენიმე ჩვენება აქვთ მიცემული და გია არსად უხსენებიათ. ყველგან უწერიათ, ნიკა სამსახურის საქმეზე სახლში არ ლაპარაკობდაო.

— რატომ დააპატიმრეს თქვენი ძმა 2002 წელს?

— იმ მოტივით, თითქოს „თელასს“ მიაყენა ფინანსური ზარალი. ლომინაძის მკვლელობაზე რომ დაეპატიმრებინათ, მეორედ იმავე საქმეზე ვეღარ დააკავებდნენ, ამას კანონი კრძალავს. გია მალევე გამოუშვეს.

— თუ თქვენი ძმა ლომინაძის მკვლელობაში გარეული არ იყო, ვის ინტერესებში შედიოდა მისი სამუდამო პატიმრობაში გაშვება?

— ვანო მერაბიშვილის და კრიმინალ ნოდარ გვიჩიანის ინტერესები დაემთხვა ერთმანეთს. ნოდარ გვიჩიანი მეშვიდედ იყო დაპატიმრებული განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნარკოტიკების გასაღების ბრალდებით და სამუდამო პატიმრობა ელოდა. მას საქმე გაახსნევინეს თავისუფლების სანაცვლოდ. მერაბიშვილმა კი ამით გირგვლიანის ამბავი გადაფარა. ჩემი ძმა ნიკა გილაურთან მეგობრობდა. ის, რომ თბილისი დღეს განათებულია და ამას სააკაშვილი იბრალებს, ჩემი ძმის და გილაურის გაკეთებულია. გილაურმა ამ დამსახურების გამო დანიშნინა გია „თბილგაზის“ გენერალურ დირექტორად.

— იმას რაოგორ ხსნით, რომ სასამართლოზე მკვლელობის გამო დაპატიმრებული პიროვნებები დეტალურად ამბობდნენ, ვის შეუკვეთა და რაოგორ მოახდინეს მკვლელობა?

— რთულია დაზარალებულის როლში ყოფნა. ვიღაცამ რაღაც უთხრა და სჯერათ. მთავარი კი მტკიცებულება და ფაქტებია. მალე ყველაფერი გაირკვევა და ლომინაძეებს შერცხვებათ.

✓ **რუსუდან ადვაძე**

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის განმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

☎ 514-246-446. ექიმი ქ-ნი მზია.

Cyan Magenta Yellow Black

ნიკა და ნანიკო

„ხალხს ჰგონია, თავში გვიქრის“

რა პრეტენზიები აქვს ნანიკო ხაზარაძეს ნიკა ლომიძესთან

13 წლის წინ ნიკა ლომიძე და ნანიკო ხაზარაძე ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერით მაყურებელს „ტოროლებად“ მოევლინენ. მაშინ ბევრი რამით ჰგავდნენ ერთმანეთს — ორივე მარტოხელა ცხოვრებას ეწეოდა, ერთნაირად ჭკუამხიარულები იყვნენ და გადაცემაც უნისონში მიჰყავდათ. მერე მათი გზები გაიყო და აქეთ-იქით ბევრი იფრინეს. როცა ცოტა ხნის წინ „მაესტროს“ შუადღის ეთერში ისევ ერთად გამოჩნდნენ, ორივეს უკვე ბევრი რამ ჰქონდა ნანახ-გამოცდილი, თუმცა აღმოჩნდა, რომ ერთმანეთს ხასიათით დიდად არ დაშორებიან. თავადაც ამბობენ, რომ არ შეცვლილან, უბრალოდ გადაცემის ფორმატი არ აძლევთ საშუალებას, ისევ თავდაყირა დადგნენ, როგორც წლების წინ აკეთებდნენ, თუმცა დღესაც იმავე თემებზე ჩხუბობენ, რაზეც წლების წინ.

— 13 წლიანი „განშორების“ შემდეგ როგორები შეხვდით ერთმანეთს ეკრანზე? არის განსხვავება?

ნიკა: ნანიკო ისეთივე საშინელია, როგორიც 13 წლის წინ იყო.

ნანიკო: მეგონა, ნიკას 13 წლის განმავლობაში დროის შეგრძნება გაუჩნდებოდა, მაგრამ ხომ ნახეთ, მაინც დააგვიანა...

— სულ ასე აგვიანებს?

ნანიკო: კი!

ნიკა: დედას ვფიცავარ, თუ არ იტყუებოდეს!

ნანიკო: იმ დღეს ეთერი დაიწყო და ნიკა არ იყო. გამარჯობა, ჩვენ პირდაპირ ეთერში ვართ-მეთქი, ვთქვი და თან პარალელურად ნიკასთან ვრეკავდი. ამას კიდევ ტელეფონი გათიშული ჰქონდა.

ნიკა: გათიშული არ მქონდა, საქმეზე ვლაპარაკობდი. აი, ხომ ხედავთ, უჩემოდ ეთერში ყოფნას როგორ ვერ იტანს და რა დღეშია!.. არა, ნანიკო, როგორი კარგიც იყო, ისეთივე კარგია ახლაც. ვფიქრობ, არაფერი შეცვლილა, უბრალოდ ცოტა გავიზარდეთ, უფრო სწორად, მე საერთოდ არ გავზრდილვარ.

ნანიკო: ადამიანი კონკრეტული დროის გასვლის შემდეგ აღარ იზრდება. მას უბრალოდ გამოცდილება ემატება, ჭკუას სწავლობს. ჩემს ნიკას ცოტა ჭაღარა შემოერია.

ნიკა: ნანიკო, ეს სპეციალურად მაქვს, მელირებაა.

— ანუ მარადმწვანეები ხართ?

ნანიკო: მე არ ვიცი, ჭაღარა შემომერია თუ არა, იმიტომ, რომ თმა სულ შეღებილი მაქვს. ერთხელ უნდა გადავიპარსო და მერე მოვუშვა, ჩემს თავს რა ხდება, არ ვიცი. ამის გარდა, მგონი, ჩვენში სხვა არაფერი შეცვლილა.

ნიკა: მგონი, არც შეიცვლება, რაღა უნდა შეიცვალოს, ბავშვები ხომ აღარ ვართ...

ნანიკო: არც მაშინ ვყოფილვართ ბავშვები და არც ახლა ვართ. უბრალოდ მეტი გამოცდილება გვაქვს.

— სად დააგროვეთ ეს მეტი გამოცდილება?

ნანიკო: ადამიანი ყოველდღიურად იზრდება თავისი ცხოვრებისეული პერიპეტიებით, ბარიერებით, სიხარულით, სიყვარულით და ასე შემდეგ. ორივე ჩვენგანის ცხოვრება განვითარდა.

— ეთერში ერთად დიდი ხანია არ ყოფილხართ. ერთმანეთთან თავიდან შეჩვევა ხომ არ გაგიჭირდათ?

ნანიკო: არა, რადგან ჩვენ არც გადავჩვეულვართ. ერთხელ რომ გაცურავ, ცურვა გავიწყდება? ესეც ასევეა.

ნიკა: ნანიკოსთან პაუზა არ მქონია. ჩვენ ეთერში ვიქნებით თუ ეთერის გარეთ, ამას მნიშვნელობა არ აქვს. როგორი მეგობრებიც ვიყავით, ახლაც ისეთივე ვართ. ეს მეგობრობა კი ეთერზეც აისახება და ცხოვრებაზეც. ჩვენ არ ვთამაშობთ.

ნანიკო: ეთერში რომ გამოვჩნდით, პატარები არც ვყოფილვართ, 27-28 წლისები ვიყავით. უბრალოდ ხალხს ჰქონდა ილუზია, რომ თავში რაღაც გვიქროდა. არაფერიც არ გვიქრის, ასეთები ვართ. გინდათ, მიგვიღეთ, გინდათ — არა.

— ცოტა ხნის გვითხარით, ექსცენტრიკული წყვილი ჩვენგან არ დადგებაო. რატომ აღარ გინდათ ორიგინალურები იყოთ?

ნანიკო: ექსცენტრული წყვილი არც ვყოფილვართ, უბრალოდ მაშინ ასაკის ადეკვატურად სხვა ხალისი გვქონდა.

ნიკა: მაშინ გადაცემასაც სხვანაირი ფორმატი ჰქონდა. ის პირველი და ახალი სიტყვა იყო.

ნანიკო: მახსოვს, მაშინ სტუმარიც არ გვყავდა და სამსაათიანი ეთერი ჩვენზე იყო დამოკიდებული.

ნიკა: ფორმატიდან, დროიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ისეთები აღარ ვართ, როგორებიც ადრე ვიყავით და არც ვთვლი საჭიროდ, რომ ვიყოთ.

— თუმცა სწორედ იმ პერიოდმა მოგიტანათ პოპულარობა და წარმატება.

ნიკა: ძალიან კარგი და ხალისიანი პერიოდი იყო. ის მხოლოდ სამსახური არ გახლდათ. იქ მისვლა გვიხაროდა.

ნანიკო: ისე, ნიკა, ეთერამდე 3 წუთით ადრე მოდიხარ და ეთერი მთავრდება თუ არა, მაშინვე მიდიხარ.

ნიკა: ისევ „მაესტროს“ საქმეებზე მივდივარ ხოლმე. როცა სასიამოვნო სასარგებლოსთან ერთადაა, კარგია. „მაესტროზე“ ადრეც ასე იყო და ახლაც ასეა.

— ეთერისთვის როგორ ემზადებით?

ნიკა: ეს რთული პროცესია. წინა დღეს თემას გავდივართ, შემდეგ ინფორმაციას ვაგროვებთ, რესპონდენტებს ვხვდებით, ტექსტებს წინასწარ ვწერთ და ასე შემდეგ... ცხვირი ძალიან გამეზარდა?

ნანიკო: ფეხებიც მაგრად დაგიმოკლდა!

— ანუ, ნიკა, იტყუებით და სინამდვილეში სულაც არ ემზადებით?

ნიკა: თემას ეთერში გასვლამდე 5 წუთით ადრე ვიგებ.

ნანიკო: ამას ეს კარგი ჰგონია. ფიქრობს, რომ კარგი ტიპია.

ნიკა: ერთი ჩემნაირი ხომ უნდა იყოს? ნანიკო, წარმოიდგინე, ორივე

ნიკა: „ნანიკო ისეთივე საშინელია, როგორიც 13 წლის წინ იყო“.

ნანიკო: „ჩემს ნიკას ჭაღარა შემოეჭია... მე ახ ვიცი, ჭაღარა შემომეჭია თუ არა, იმიტომ, რომ თმა სულ შეღებილი მაქვს. ერთხელ უნდა გადავიპარსო და მერე მოვუშვა“.

„ასე ვდგებოდით ყირაზე 13 წლის წინ“.

Cyan Magenta Yellow Black

წამყვანი შენნაირი ჭკვიანი და მომზადებული რომ იყოს, რა უბედურება იქნება! უინტერესო გამოვიდოდა.

— ანუ ნანიკოს კისერზეა მთელი გადაცემის მომზადება?

ნანიკო: მარტო ჩემზე — არა, მთელ ჯგუფზე.

ნიკა: ეთერის წინა დღეს გადაცემის ჩონჩხი მაქვს ხოლმე. თუ ვგრძნობ, რომ იმ თემაზე ინფორმაცია არ მაქვს, რაღაცეებს ამოვქექავ.

— როგორი პარტნიორია ნანიკო?

ნიკა: ცუდი რომ იყოს, მასთან ერთად ეთერში ყოფნას ვინმე დამაძალებდა? გადასარევი პარტნიორია.

ნანიკო: ამდენი წლის განმავლობაში ნიკამ ზუსტად იცის, მის ნათქვამზე რა შეიძლება ვიფიქრო, რა მითხრას და ამაზე რა რეაქცია შეიძლება მქონდეს.

ნიკა: ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობთ, თან საკმაოდ ბევრი წელია. მაშინ 24 საათიანი ურთიერთობა გვქონდა. პარტნიორებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, მეგობრობდნენ. მხოლოდ ეთერისთვის მოხვიდე, კოლეგას მიესალმო და გადაცემა წაიყვანო, ასე არაფერი გამოვა.

ნანიკო: ადამიანს უნდა გრძნობდე, რომ ერთად გაკეთებული საქმე ორგანული იყოს. მე და ნიკას გაგვიმართლა.

ნიკა: „ვფიქრობ, ახალი შეცვლილა, უბრალოდ ცოტა გავიზარდეთ, უფრო სნორად, მე საერთოდ არ გავზრდილვარ".

— როგორც ახლა კინკლაობდით, ეთერის მიღმაც სულ ასე ხართ?

ნანიკო: ეთერში ნიკასთან ნაჩხუბარიც ვმჯდარვარ.

ნიკა: სულ ვკინკლაობთ, ჩემ გამო არ უჯღავლია თუ?!

ნანიკო: ძალიან ბევრი შემთხვევა ყოფილა, როცა ნიკა მეზიზღებოდა, არ ველაპარაკებოდი, მაგრამ მასთან ერთად ეთერში მაინც ვჯდებოდი.

ნიკა: რაღაც იდიოტობებზე ვჩხუბობდით, სერიოზულზე არაფერზე.

ნანიკო: რომ არ გელაპარაკებოდი, ეს სერიოზული არ არის?

ნიკა: ხომ, მაგრამ სამდღიანი ჩხუბი რა არის?

ნანიკო: ახლა გავიზარდეთ.

ნიკა: ნუ, ჯერ გვაცადეთ, ერთი თვეა, ეთერში ვართ.

— ჭკუამხარულობა კი შეგრჩენიათ, მაგრამ ეთერში ეს ნაკლებად გეტყობათ, რადაც მეტისმეტად დასერიოზულდით.

ნიკა: როცა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებზე ვსაუბრობთ, როგორ შეიძლება იქ ყირაზე დადგე?! როცა ეთერში კორკოტა არის და მღერის, მშვენივრად ვარ ყირაზე.

— როგორ შეხვდა მაყურებელი თქვენს ისევ ერთად გამოჩენას, ადრინდელ წყვილს ხომ არ გადარეულან?

ნიკა: არ გვადარებენ, მაგრამ ქუჩაში, მაღაზიაში ადამიანებს, რომელთაც ვახსოვართ და ვუყვარდით, ჩვენდამი იგივე განწყობა აქვთ, რაც მაშინ ჰქონდათ.

ნანიკო: ჩვენი „ფეისბუქის" გვერდიც მეტყველებს ამაზე. ეთერში ერთი თვეა ვართ და 10 ათასი ადამიანი გვყავს დამეგობრებული.

— თქვენს პირად ცხოვრებაშიც არის სასიამოვნო სიახლეები?

ნანიკო: ოჯახში თუ რამე ხდება, მხოლოდ ოჯახის წევრებმა უნდა იცოდნენ და არა — ფართო აუდიტორიამ. ჩემს პირადზე არასდროს ვსაუბრობ.

ნანიკო: „ამდენი წლის განმავლობაში ნიკამ ზუსტად იცის, მის ნათქვამზე რა შეიძლება ვიფიქრო, რა მითხრას და ამაზე რა რეაქცია შეიძლება მქონდეს".

— ნიკა, ქართული შოუბიზნესის გასაკვირად და თქვენდა საბედნიეროდ, თქვენი ოჯახი თეა გობეჯიშვილთან სტაბილური და მყარია. თქვენი, როგორც მამის და მეუღლის, წილი ამაში როგორია?

ნიკა: ვცდილობ, კარგი მამა ვიყო. ნიტას ფილმის („ცელქი ბავშვები", სადაც ნიტას პერსონაჟის დედის როლს ნანიკო ასრულებს. — ავტ.) გადაღებებზეც შეძლებისდაგვარად დავყვებოდი... როგორ ვიტყუები! ორჯერ ვიყავი, ბავშვი მიგდებული მყავდა.

ნანიკო: ნიკას ბავშვი სახლში ძირითადად მე მიმყავდა ხოლმე, დაძინებული და მიძინებული.

ნიკა: ნუ ახლა, დედა იყავი და...

✓ ეკა ლემონჯავა

www.abdiibrahim.com.tr

ᲣᲔᲤᲣᲗᲜᲔᲗ „ᲖᲐᲗᲗᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ“ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ
ᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲠᲔᲘ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ
ᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲠᲔᲘ

ᲧᲔᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠ-ᲮᲐᲮᲘᲡ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠ-ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ, ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

- ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲮᲡᲜᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲡᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲡ
- ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕ ᲒᲐᲣᲢᲙᲘᲕᲐᲠᲔᲑᲐᲡ
- ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ ᲦᲔᲭᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲚᲐᲐᲕᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲡ
- ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲗ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ: ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ, ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲔᲑᲨᲘ
- ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲡᲘᲛᲝᲕᲜᲝ ᲒᲔᲛᲝ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲡᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ 6 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ. ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲔᲥᲘᲛᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 0112,
Დ. ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 148/III

PSP №1

ABDIIBRAHIM

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲓᲐᲛᲘᲜᲘ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲓᲐᲛᲘᲜᲘ/ᲥᲚᲝᲠᲰᲔᲥᲡᲘᲓᲘᲜᲘ

Cyan Magenta Yellow Black

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲛᲝᲛᲪᲮᲕᲐᲠ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲡ 300 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲕᲐᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ

„ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲰ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲰᲔᲑᲘ, ᲰᲐᲓᲒᲐᲜ, ᲰᲝᲪᲐ ᲛᲘᲭᲘᲰᲓᲐ, ᲑᲔᲕᲰᲛᲐ ᲖᲣᲰᲒᲘ ᲛᲐᲥᲪᲘᲐ"

საქართველოში მილიონერთა რიცხვს კიდევ ერთი შეემატა. 50 წლის დავით პეტრიაშვილის ცხოვრება თვალის დახამხამებაში შეიცვალა. ბათუმელმა გაღატაკებულმა კაცმა თბილისში შეძენილი ლატარიის ბილეთით 1.298.929 ლარი მოიგო.

მისი ცხოვრება აქამდე სავალალო იყო. საკუთარი სახლიც კი არ გააჩნდა და დის სახლში ცხოვრობდა. მისი ვალი დაახლოებით 300.000 ლარს შეადგენს. როგორც ჩანს, არამხოლოდ დავითს გაუმართლა, არამედ მის მევალეებსაც, რადგან ის, პირველ რიგში, ამ თანხით ვალის გასტუმრებას, შემდეგ კი სახლის ყიდვას აპირებს.

დავით პეტრიაშვილი საქართველოს ლატარიის კომპანიის მეშვიდე მილიონერია. შეგახსენებთ — ყველაზე დიდი თანხა, 4.400.000 ლარი, აფხაზეთიდან დევნილმა ზამირა თორდინავამ მოიგო.

„სარკე" გამარჯვებულს საქართველოს ლატარიის კომპანიაში შეხვდა. ახალგამომცხვარ მილიონერს თავზე დაცემული იღბალი ჯერ გააზრებულიც არ ჰქონდა, უფრო მეტიც, მისი დაჯერებაც კი უჭირდა, სამაგიეროდ დეტალურად ახსოვდა ის, თუ როგორ იყიდა ბილეთი და რას აკეთებდა იმ მომენტში, როცა ჯეკპოტი მოიგო.

— დავით, გამარჯვებას გილოცავთ! მოგვიყევით, სად და როგორ შეიძინეთ ეს იღბლიანი ბილეთი.

— ჩემი მეუღლე და უმცროსი შვილი ბათუმიდან თბილისში უნდა ჩამოსულიყვნენ. მე და ჩემი მეორე ქალიშვილი თბილისში, ვაგზალზე უნდა დავხვედროდით. სანამ მათ ველოდებოდით, მე და ინამ თამარ მეფის ქუჩის ბოლოში ორი ბილეთი ვიყიდეთ. მესამე ბილეთი კი კომპიუტერში, ავტომატში გავატარებინეთ. სწორედ ამ ბილეთმა გამხადა მილიონერი. თვითონ კომპიუტერი ავტომატურად აკეთებს ციფრების სხვადასხვა კომბინაციას. კომპიუტერმა ისე შეავსო ეს ციფრები, რომ მე ასე არც მომფიქრდებოდა. მიყოლებით ამოვიდა ციფრები 32, 33, 34. ერთი სიტყვით, კომპიუტერმა მომაგებინა.

— როგორ გაიგეთ, რომ მილიონერი გახდით, ამ მომენტში გათამაშებას უყურებდით?

— გათამაშებისთვის არ გვიყურებია, დაგვავიწყდა, ვქეიფობდით, თბილისში, ვაჟა-ფშაველაზე, ჩემს ქალიშვილთან ვიყავი. მოკლედ, გვიან გაგვახსენდა, რომ ბილეთი გვქონდა ნაყიდი. ტელევიზორში გათამაშება უკან გადავახვიეთ და აღმოჩნდა, რომ ჩვენ მოვიგეთ. როცა დავინახე, რომ იმ ციფრებმა, რომლებიც მე მქონდა, ჯეკპოტი მოხსნა, ეგრევე გამოვფხიზლდი, მთვრალი აღარ ვიყავი. იმ შეგრძნებას ვერ გადმოგცემთ!.. ვერ ვიჯერებდით. ყველა სახლში ვიყავით — ჩემი მეუღლე, სიძე, ქალიშვილი და შვილიშვილი. ჩემი მეუღლე ემოციებისგან მაშინვე ჩაიკეცა... საქართველოს ლატარიის კომპანიაში ვრეკავდით, არავინ გვპასუხობდა, თურმე ისინი აქ გველოდებოდნენ. დილითაც დავრეკეთ, არავინ გვიპასუხა. შემდეგ ავდექით და კომპანიაში მოვედით. აქ კი უკვე ჟურნალისტები დაგვხვდნენ, გვილოცავდნენ. თან დღეს (ინტერვიუ ჩაწერილია 23 მარტს, ავტ.) ჩემი ცოლი 48 წლის გახდა. მოკლედ, საჩუქარიც გამომივიდა.

— როცა ბილეთს ყიდულობდით, წამიერად მაინც თუ გაივლეთ გონებაში, იქნებ მილიონი მოვიგოთ?

— ვფიქრობდი, იქნებ გამიმართლოს-მეთქი. არასდროს არაფერი მომიგია. კაზინოშიც მითამაშია, მაგრამ სულ ვაგებდი.

— ლატარიაში გამარჯვებული მეშვიდე მილიონერი ხართ. როცა უყურებდით, რომ სხვები იმარჯვებდნენ, რა შეგრძნება გქონდათ და ახლა რა ემოცია გაქვთ?

— მათ ყოველთვის ვლოცავდი, ღმერთმა გაუმარჯოთ-მეთქი! შურიანი ადამიანი არ ვარ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არ მჯეროდა. ნუთუ მართლა მოიგეს-მეთქი, სულ ამას ვფიქრობდი. გამარჯვებულებს რომ ვუყურებდი და ემოცია არ ჰქონდათ, მიკვირდა. არადა ამ წუთას მეც ასე ვარ. ემოციებს ვერ გამოვხატავ, თუმცა სიხარულისაგან ენა მებმება, ვერ ვაცნობიერებ, რომ 1.300.000 მოვიგე.

„ᲯᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲛᲐ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲐᲕᲡᲝ ᲔᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ, ᲰᲝᲛ ᲛᲔ ᲐᲡᲔ ᲐᲰᲪ ᲛᲝᲛᲐᲤᲘᲥᲘᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲘᲧᲝᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ 32, 33, 34. ᲔᲗᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲯᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲛᲐ ᲛᲝᲛᲐ�გᲔᲑᲘᲜᲐ".

**— ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲰ ᲒᲕᲘᲧᲣᲠᲔᲑᲘᲐ, ᲓᲐᲒᲕᲐᲕᲘᲜᲧᲓᲐ, ᲕᲭᲔᲘᲤᲝᲑᲓᲘᲗ... ᲒᲕᲘᲐᲜ ᲑᲐᲒᲕᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ, ᲰᲝᲛ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲜᲐᲧᲘᲓᲘ. ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲨᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲮᲕᲘᲗᲔ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲰᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲗ... ᲔᲒᲠᲔᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲤᲮᲘᲖᲚᲓᲘ, ᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲘᲛ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲪᲔᲛᲗ!.. ᲕᲔᲠ ᲕᲘᲯᲔᲠᲔᲑᲓᲘᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲗ — ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ, ᲡᲘᲫᲔ, ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲩᲐᲘ�კᲔᲪᲐ... ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲕᲠᲔᲙᲐᲕᲓᲘᲗ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲕᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲓᲐ, ᲗᲣᲠᲛᲔ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲥ ᲒᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲓᲘᲚᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲕᲠᲔᲙᲔᲗ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲕᲘ�პᲐᲡᲣᲮᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲕᲓᲔᲥᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ. ᲐᲥ ᲙᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲒᲮᲕᲓᲜᲔᲜ, ᲒᲕᲘᲚᲝᲪᲐᲕᲓᲜᲔᲜ. ᲗᲐᲜ ᲓᲦᲔᲡ (ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ 23 ᲛᲐᲠᲢᲡ, ᲐᲕᲢ.) ᲩᲔᲛᲘ ᲪᲝᲚᲘ 48 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲕᲘᲓᲐ.

— ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲘᲗᲘ ᲘᲠᲩᲔᲚᲓᲘᲗ?

— ᲮᲐᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲮᲐᲜ ᲩᲔᲛᲘ და მიგზავნიდა ანტალიიდან ფულს და ასე გაგვქონდა თავი. ხანაც მეუღლე რაღაც ტანსაცმელს გაყიდდა... ძალიან რთული და ცუდი პერიოდი გამოვიარეთ.

— რას გააკეთებთ მოგებული თანხით? ეს ალბათ თქვენს ცხოვრებას მთლიანად შეცვლის.

— მილიონერი ვარ! ეს უკვე ყველამ გაიგო, მირეკავენ, მილოცავენ. უფროს ქალიშვილს 600.000 ვაჩუქე. როგორც უნდა, ისე გამოიყენოს. პირველ რიგში, ჩემს შვილს სახლს ვუყიდი, ჩემთვისაც შევიძენ სახლს ბათუმში. დანარჩენი მოფიქრებული არ მაქვს, მაგრამ ალბათ რაღაც ბიზნესს წამოვიწყებ... ჯერ ყველაფერი არეული მაქვს თავში, როცა დავწყნარდები, ყველაფერს მოვიფიქრებ. დარჩენილი თანხიდან ალბათ ნათესავებს, რომლებიც ძალიან გაჭირვებულები არიან, დავეხმარები, მაგრამ ბევრს — არა. ხაზს ვუსვამ, ვისაც უჭირს, იმას დავეხმარები, რადგან, როცა მე მიჭირდა, ბევრმა ხელი არ გამიმართა, ზურგი მაქციეს. ზოგი გამარჯობასაც არ მეუბნებოდა, იცოდნენ, რა გაჭირვებაში ვიყავი, გაჭირვებული კაცი კი არავის უნდა.

— დღეს როგორია თქვენი ემოციები?

— სიმართლე გითხრათ, ჯერ ვერ ვგრძნობ. წუხელ 2 საათიც არ მძინებია, ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა, რომ აქ მოვსულიყავი. კიდევ ვერ გამიგია, ჩემს თავს რა ხდება. სანამ აქ არ მოვედი და ჩემი თვალით არ დავინახე, რომ მილოცავდნენ, ვერ დავიჯერე. ახლა ხელები და გული სიხარულისგან მიკანკალებს. დღევანდელმა დღემ ჩემი ცხოვრება აბსოლუტურად ამოატრიალა. კაცს ამხელა ვალები მქონდა, ჯიბეში პურის ფული არ მედო და ახლა რაღა პურის ფულზეა საუბარი, უკვე იმას ვფიქრობ, ცხოვრება როგორ წარვმართო.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

სწორი კვება ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის

თანამედროვე ცხოვრების ტემპი ხშირად ამ მარტივ ჭეშმარიტებას გვავიწყებს. საკვების შემადგენლობაზე, მის თვისებებსა და რაოდენობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანის შრომისუნარიანობა, დაავადებათა სიხშირე, გუნება-განწყობა და, საბოლოო ჯამში, სიცოცხლის ხანგრძლივობა. ყველა კომპონენტი ჯაჭვური რეაქციით მოქმედებს. საკვები პროდუქტების საშუალებით ჩვენს ორგანიზმში ხვდება სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერებები — ვიტამინები და მიკროელემენტები.

21-ე საუკუნეში სულ უფრო და უფრო რთული ხდება ჯანსაღი კვების პრინციპების დაცვა. საკვები პროდუქტების ხარისხი საქართველოში, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, პრობლემურია. გენმოდიფიცირებული პროდუქტები სულ უფრო აქტიურად შემოდის ჩვენს რაციონში, რაც ორგანიზმს ველარ ამარაგებს აუცილებელი ნუტრიენტებით და ამავე დროს ზიანს აყენებს ჯანმრთელობას. ქართულ ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქტების ბუმია, სპეციალისტთა განცხადებით, იმპორტირებული პროდუქტი თითქმის მთლიანად გენმოდიფიცირებულია — სოიო, ბრინჯი, პომიდორი, ლობიო, იმპორტირებული ხილი, ასევე ხორცის პროდუქტები.

რამდენად უზრუნველყოფს ასეთი საკვები ჩვენს ორგანიზმს აუცილებელი ნივთიერებებით, როგორ ვიკვებოთ სწორად, როგორ ავიცილოთ თავიდან აუცილებელი ნივთიერებების დეფიციტი, ამ კითხვებით მივმართეთ ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ენდოკრინოლოგს, მედ. მეცნ. დოქტორს, პროფესორ ელენე გიორგაძეს.

— რას გულისხმობს სწორი კვების პრინციპი?

— იმისათვის, რომ ადამიანის ორგანიზმმა ნორმალურად ფუნქციონირება შეძლოს, აუცილებელია საკვები პროდუქტები მივიღოთ ბალანსირებულად, ანუ დღის განმავლობაში ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები, წყალი, მიკრო და მაკროელემენტები უნდა იყოს სწორად გადანაწილებული, რაც თავის მხრივ დიეტის პრინციპია, რადგან სიტყვა „დიეტა“ ბერძნულიდან ასე ითარგმნება: „ჯანსაღი, სწორი, ბალანსირებული კვება“. საკვები პროდუქტების მიღება დღის განმავლობაში უნდა იყოს ჯერადი, დღის პირველი ნახევარი მეტად დატვირთული, ხოლო დღის მეორე ნახევარში შედარებით მსუბუქი კვება.

— არსებობს მოსაზრება, რომ, თუ ადამიანი სრულფასოვნად იკვებება, მას არ სჭირდება ვიტამინების დამატება. ვიღებთ თუ არა საკვებიდან ვიტამინების სრულ სპექტრს, რაც აუცილებელია ჩვენი ორგანიზმისთვის?

— პროდუქტებში ვიტამინების შემცველობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: საკვების ტექნოლოგიურ დამუშავებაზე, პროდუქტის ხარისხსა და სახეობაზე, მისი შენახვის წესსა და ვადაზე. დიდ გავლენას ახდენს კერძის მომზადების მეთოდიც. მწარმოებელი ფირმები შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად პროდუქტებს კონსერვანტებსა და სტაბილიზატორებს ამატებენ, ეს კი დიდ გავლენას ახდენს მათ შემადგენლობაში შემავალ ვიტამინებსა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებზე, საგრძნობლად ამცირებს მათ რაოდენობას. ხილისა და ბოსტნეულის ქიმიკატებით დამუშავებისას მათ შემადგენლობაში შემავალი ვიტამინების დიდი ნაწილი იშლება — მათი შემცველობა 30 პროცენტით მაინც იკლებს, ზოგჯერ კი სრულიად ქრება, ამიტომ ხშირ შემთხვევაში გვიხდება ვიტამინის, როგორც პრეპარატის, გამოყენება, რაც უკვე მიღებული და რეკომენდებულია ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში.

— რა მნიშვნელობა აქვს ვიტამინებს და რა ემართება ორგანიზმს, როცა ვიტამინების ნაკლებობას განიცდის?

— ხშირად ორგანიზმი განიცდის ავიტამინოზს, რომლის სიმპტომებია: დილით, გაღვიძებისთანავე, უსიამოვნო მოთენთილობა, ძილად მივარდნა, გონების გაფანტულობა, კანის, თმისა და ფრჩხილების მდგომარეობის გაუარესება, გულის აჩქარება, გულის ფრიალი, ჰაერის უკმარისობა, სისხლის შედედების პრობლემები. აქედან გამომდინარე, ვიტამინები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რომ სხეულმა შეძლოს ენერგიის დროული აღდგენა და ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლის, მეტაბოლიზმისა და ჰორმონთა ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

— თანამედროვე ცხოვრების წესი უწყობს თუ არა ხელს აუცილებელი ნუტრიენტების დეფიციტის განვითარებას?

— დღესდღეობით, ჩვენი სამუშაო და ცხოვრების რეჟიმის გამო, ყველა ვერ ახერხებს სწორ კვებას, გარდა ამისა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, დღეისათვის საკვებ პროდუქტებში ნუტრიენტების შემცველობა გაცილებით დაბალია, ვიდრე წინა წლებში, რაც ეკოლოგიური პირობების და გენური ინჟინერიის განვითარების შედეგია. მაგალითად, 20-30 წლის წინ კალციუმისა და რკინის დღიური ნორმის მისაღებად საკმარისი იყო 800 გრამი კომბოსტო, დღესდღეობით კი საჭიროა 4 კილოგრამი! ამიტომ, თუ ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვეობა ხელს უწყობს ნუტრიენტების დეფიციტს ორგანიზმში.

— არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომ ვიტამინების მიღება ნიშნავს წონაში მომატებას.

— როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიტამინები მნიშვნელოვანი კომპონენტია ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და სხვადასხვა მიზეზის გამო ორგანიზმი განიცდის დეფიციტს. აქედან გამომდინარე, მათი გამოყენება მნიშვნელოვანია დღესდღეობით, რათა ორგანიზმი შევავსოთ ნუტრიენტებით. რაც შეეხება წონაში მატებას, ეს მოსაზრება მცდარია, რადგან ვიტამინები ორგანიზმში უზრუნველყოფენ ნივთიერებათა ცვლას და მეტაბოლურ პროცესებს, ამიტომაც დიეტის, ანუ ჯანსაღი, სწორი, ბალანსირებული კვების დროსაც აუცილებელია ვიტამინების მიღება, რადგან, გავიმეორებ და ვიტყვი, რომ პროდუქტებში ვიტამინების შემცველობა და ორგანიზმში მათი შეწოვა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

— სეზონის მიხედვით, რა დრო და პერიოდია უკეთესი ვიტამინების მისაღებად?

— ვიტამინები ყოველ სეზონზე არის აუცილებელი ორგანიზმისათვის, მაგრამ მათი გამოყენება რეკომენდებულია გაზაფხულის დასაწყისში და შემოდგომის მიწურულს. როგორც ვიცით, გაზაფხული მოდის ზამთრის შემდეგ, რის გამოც ორგანიზმი გამოფიტულია ნუტრიენტებისაგან, რადგან ზამთრის პერიოდში ჩვენ არ გვაქვს დიდი რაოდენობით ვიტამინებითა და მინერალებით გაჯერებული საკვები, ხოლო შემოდგომაზე ვიტამინების გამოყენება აუცილებლობას წარმოადგენს, იმიტომ, რომ ორგანიზმი ზამთარს შეხვდეს მომზადებული, რათა თავი დავიცვათ სხვადასხვა ინფექციებისა და ვირუსებისაგან.

— დაბოლოს, ვიტამინების მიღებისას თუ არსებობს შეზღუდვები, მაგალითად, რაიმე დაავადება ან ასაკი.

— რა თქმა უნდა, ვიტამინების მიღებასაც, როგორც სხვა პრეპარატების, აქვს თავისი დოზიება და დანიშვნის ჩვენება. ჭარბი რაოდენობით გამოყენება დაუშვებელია, მათი დანიშვნა არ არის რეკომენდებული ონკოლოგიური დაავადებების დროს, ხოლო, რაც შეეხება ასაკს, ყველა ასაკში არსებობს ნუტრიენტების სხვადასხვა დღიური დოზა, ამიტომ აუცილებელია, ვიტამინები დანიშნული და რეკომენდებული იყოს ექიმის მიერ, რათა პოლივიტამინის შერჩევისას გათვალისწინებული იყოს ასაკი, სქესი, ჩივილებისა და ცხოვრების ანამნეზი.

• • •

გაინტერესებთ, არის თუ არა თქვენი რაციონი შერჩეული ისე, რომ უზრუნველყოს თქვენი ორგანიზმი აუცილებელი ნივთიერებების დღიური ნორმით?

შეავამოწმოთ საკუთარი თავი!

1. იკვებებით თუ არა დღეში სამჯერ ან ოთხჯერ? — დიახ; არა;
2. იღებთ თუ არა ყოველ ჯერზე ახალმომზადებულ საკვებს? — დიახ; არა;
3. მიირთმევთ თუ არა თითოეულ ჯერზე ორ სხვადასხვა კერძს მაინც? — დიახ; არა;
4. არიდებთ თუ არა თავს ჯანმრთელობისათვის არასასარგებლო პროდუქტებს? (ე.წ.ფასტფუდი — ჰოთ-დოგი, ჰამბურგერი, ქუჩის ღვეზელი, ჩიპსი, შებოლილი პროდუქტები — მაგ.: ძეხვი, სოსისი, დიდი რაოდენობით გაზიანი სასმელი და სხვა) — დიახ; არა;
5. არიდებთ თუ არა თავს მავნე ჩვევებს? (თამბაქო, ალკოჰოლი და სხვა) — დიახ; არა;
6. იღებთ თუ არა ამჟამად ვიტამინებისა და მინერალების რომელიმე კომპლექსს? — დიახ; არა.

თუ თქვენ დაადგროვეთ სამი და მეტი „არა“ — თქვენი ორგანიზმი ვერ იღებს ვიტამინების საჭირო რაოდენობას და სასურველია მიიღოთ ვიტამინების კომპლექსი!

✓ ავთო ჩიტიძე

Cyan Magenta Yellow Black

„ჩემს ორივე დაქალს ერთი ბიჭი ატყუებს“

ორ გოგოსთან განსაკუთრებით ვდაქალობ. ერთმანეთის რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებდით, მაგრამ ახლა ჩემი აღარ სჯერათ. ამის მიზეზი კი ბიჭია, რომელიც ერთ კაფეში გაიცნეს. მან ორივეს თავბრუ დაახვია და მათთან რომანი გააბა, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა არ იციან, რომ ცალ-ცალკე ორივეს ეარშიყება.

ვამჩნევდი, რომ მეგობრები რაღაცას მიმალავდნენ, მაგრამ მათი საიდუმლო ვერაფრით გავიგე. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ მათგანს ვესტუმრე. გაოცებული დავრჩი, ისეთი მხიარული იყო. გაკვირვებულმა მიზეზი ვკითხე. მითხრა, რომ შეყვარებული ჰყავდა. მისი ვინაობით მაშინვე დავინტერესდი. გახარებულმა მიპასუხა, ის ბიჭია, იმ დღეს კაფეში რომ გავიცანიო. მერე მოყვა, როგორ ურეკავდა და მესიჯებს სწერდა. ბოლოს ისიც დაამატა, სისტემატურად ვხვდებიო. თან გამაფრთხილა, პირველი ხარ, ვისაც მოვუყევი და არავის უთხრა, მერე ყველას მე თვითონ ვეტყვიო. გამიხარდა, ასეთ ბედნიერს რომ ვხედავდი.

მეორე დღეს სკოლაში მეორე მეგობარმა მითხრა, რომ შეყვარებული ჰყავდა და ისიც კაფეში გაცნობილი ბიჭი აღმოჩნდა. გაბრწყინებული სახით ყველაფერი დაწვრილებით მიამბო. თანაც, საინტერესო, იცით, რა არის? ის ბიჭი ორივეს აფრთხილებს, რომ სხვებს არაფერი უთხრან. ჩემთან ორივე ძალიან ახლოს არის და ამიტომ გამიმხილეს, ერთმანეთს კი უმალავენ, უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში მათი ურთიერთობა გაცივდა. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამაში დამნაშავე ის ბიჭია. უნდა, მეგობრები ერთმანეთს დააშოროს და ვინ იცის, ამისთვის რას აღარ იგონებს.

ორივეს ვეუბნები, რომ ის ბიჭი ატყუებთ, მაგრამ ვერ დავარწმუნე. სიმართლის თქმის კი მერიდება. მეცოდებიან, რადგან ვიცი, რა რეაქციაც ექნებათ, არადა ვხედავ, ერთმანეთს როგორ შორდებიან. იმასაც ვატყობ, რომ ჩემთან ურთიერთობაც აღარ სურთ, რადგან მათ შეყვარებულს სულ ვაძაგებ. ვიცი, ერთ დღესაც ყველაფერი გაირკვევა და სიმართლეს გაიგებენ, მაგრამ მეშინია, იმ ბიჭმა ობობას ქსელი კიდევ უფრო არ გააფართოვოს და ყველაფერი თავის სასარგებლოდ არ შეატრიალოს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

„სარკის“ მკითხველი

„მეგობრის ძმა მსუქანას მეძახის“

15 წლის გოგოს ყოველთვის ძალიან უნდა, ლამაზი იყოს და მეც ასე ვარ, მაგრამ ამაში ზედმეტი წონა მიშლის ხელს. ვერაფრით დავიკელი. სულ ვცდილობ, დიეტა დავიცვა, მაგრამ მაინც ვერ ვიკლებ. ყველა მეუბნება, ისედაც ლამაზი ხარ, წონაში დაკლება არ გჭირდებაო, მაგრამ მათი არ მჯერა. ისინი სიმართლეს რომ ამბობდნენ, მაშინ დაქალის ძმა მსუქანას არ დამიძახებდა.

ჩემი მეგობარი ძალიან მიყვარს და მასთან სახლში ხშირად მივდივარ. უფროსი ძმა ჰყავს, რომელიც სულ ცდილობს, რომ დამცინოს. არადა ძალიან მომწონს, მას რომ ვხედავ, ყოველთვის ვიბნევი. დამინახავს თუ არა, მაშინვე ამბობს: „ვაა, მსუქანა, მოხვედი?“. ვერ ხვდება, რომ ამით გულს მტკენს. როგორ მოვიქცე, რომ მსუქანა აღარ ვიყო? თუ ვინმემ კარგი დიეტა იცით, გთხოვთ, მასწავლეთ.

თქვენი ერთგული მკითხველი

„დედას თავისი მცენარეები ჩემზე მეტად უყვარს“

დედაჩემს მცენარეები ძალიან უყვარს, ზოგჯერ მგონია, რომ ჩემზე მეტადაც, რაც ძალიან მაღიზიანებს. მოგიყვებით, ასეთ დასკვნამდე რატომ მივედი.

ამას წინათ დედას ძალიან ლამაზი მცენარე აჩუქეს. თავიდანვე გაგიჟდა, ისე მოეწონა და ძალიან შეიყვარა. ერთხელ, როდესაც სკოლიდან დავბრუნდი, დედა შინ არ დამხვდა, სამზარეულოში კი მისი წერილი ვნახე, სადაც ეწერა, გვიან დავბრუნდები და ჩემი ახალი ყვავილი მორწყეო. მე ავიღე სარწყავი და ყვავილის ქოთანში წყალი ჩავასხი.

საღამოს დედა მოვიდა, მკითხა, ყვავილი მოვრწყე თუ არა და შესამოწმებლად სამზარეულოში შევიდა. ჩემს ოთახში ვიყავი, როდესაც სასოწარკვეთილი კივილი შემომესმა. მე ყურიც არ შევიბერტყე, რადგან დედა ხშირად ყვირის. შემდეგ ჩემი ოთახის კარი შემოანგრია და ქეჩოში მტაცა ხელი. გავოგდი, არ ვიცოდი, რას მერჩოდა. თურმე ყვავილისთვის ნაკლები წყალი უნდა დამესხა, მაგრამ მე საიდან უნდა მცოდნოდა? დედას ხომ წყლის რაოდენობა არ მიუთითებია!

ყვავილს არაფერი ეტყობოდა, მან კი შემომჩივლა, დაჭკნაო და იმ ღამეს აივანზე ჩამკეტა 12 წლის გოგო. იქ მეძინა, კიდევ კარგი, ზაფხული იყო. როდესაც მამა მოვიდა, დედა გაამართლა... არ მესმის, მშობლები რატომ ვერ მიტანენ.

„სარკის“ მკითხველი

„მივხვდი, რომ ჩემი დაქალი მიყვარს“

გამარჯობათ! მინდა, ჩემი ისტორია მოგიყვეთ, რადგან ვინმესთან გულის გადაშლა მჭირდება, ამიტომ გთხოვთ, ეს წერილი დამიბეჭდოთ.

16 წლის გოგონა ვარ. ვიცი, ჯერ ყველაფერი წინ მაქვს, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში არასოდეს ვყოფილვარ. საერთოდ, ცოტა უცნაური ვარ, რასაც ხშირად აღნიშნავენ. ჩემი უცნაურობა კი იმით გამოიხატება, რომ ცოტა აგრესიული ვარ და ბიჭურად ვიცვამ, რის გამოც ახლოს არავინ მიკარებს.

ამას წინათ სკოლაში ძალიან ბიჭურად ჩაცმული მივედი, გოგოებს ეს არ ესიამოვნათ და ალმაცერად დამიწყეს ყურება. შემდეგ ერთ-ერთმა ბიჭმა, რომელსაც მეგობრად ვთვლიდი, მითხრა, ალბათ ბიჭურად იმიტომ იცვამ, რომ გოგოები მოგწონსო. მე აღვშფოთდი, მაშინვე სახლში გამოვვარდი, ოთახში ჩავიკეტე და ტირილი დავიწყე.

მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ ის ბიჭი მართალი იყო. მივხვდი, რომ ჩემი დაქალი მიყვარს და ამას ვერ ვუმხელ. მას შემდეგ ერთი თვე გავიდა, იმ გოგოსთან ისე ახლოს აღარ ვარ, მაგრამ არავინ იცის, ჩემს გულში რა ხდება... გთხოვთ, ვინმემ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე!

მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„მეშინია, შეყვარებულმა არ მომიტაცოს“

რთული წელი მაქვს. აბიტურიენტი ვარ და ბევრი უნდა ვიმეცადინო. მშობლები სამ საგანში მამზადებენ, უამრავ ფულს ხარჯავენ ჩემთვის და არ მინდა, მათ იმედები გავუცრუო.

შეყვარებული კი ვერ მიგებს. ტელეფონზე რომ მირეკავს, ხშირად ვეუბნები, რომ არ მცალია და დიდხანს ვერ დაველაპარაკები, ამის გამო ძალიან ბრაზდება. ამბობს, რომ მის მიმართ გულგრილი გავხდი. ათასჯერ მაინც ავუხსენი, რომ ამ ეტაპზე სწავლა ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, მაგრამ მაინც უაზროდ ეჭვიანობს.

ამას წინათ მისმა მუქარამ ძალიან შემაშინა. ულტიმატუმი წამომიყენა, ცოლად გამომყევი და სწავლაში ხელს არ შეგიშლი, ჩემ გვერდით რომ იქნები, აღარ ვიეჭვიანებ და მშვიდად ვიქნებიო. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. ამ ასაკში გათხოვება მიუღებლად მიმაჩნია. ვთვლი, რომ საჩქარო არაფერია. თუ ნამდვილი სიყვარულია, ბევრ გამოცდას გაუძლებს.

შეყვარებულმა ჩემი უარი ისევ სხვანაირად ახსნა, ფიქრობს, რომ არ მიყვარს. მერე დამემუქრა, იცოდე, მოგიტაცებო. ძალიან მეშინია, მართლა არ მომიტაცოს. ამას ვერც მე გადავიტან და ვერც — ჩემი მშობლები. მინდა, პროფესია და სამსახური მქონდეს. მასთან ყოფნაც მინდა, მაგრამ დიასახლისობაზე არ ვოცნებობ. ჩემი მიზანია, კარგი კარიერა შევიქმნა. ამას რომ ვეუბნები, სულ გიჟდება. ამბობს, რომ მე ამით კაცების „დათრევა“ მინდა.

მოკლედ, სულ სხვადასხვა პოლუსზე ვდგავართ. ზოგჯერ მგონია, რომ შეუფერებელი წყვილი ვართ. იქნებ ჯობია კიდეც, ერთმანეთს დავშორდეთ. მართალია, მის გარეშე ძალიან გამიჭირდება, მაგრამ მომავალში დიდ კონფლიქტებს ასე აჯობებს. ახლა ერთადერთი, რისიც მეშინია, მისი მუქარაა, რომ მართლა არ მომიტაცოს.

თქვენი ერთგული მკითხველი



„ძველი შეყვარებული ისევ ისე მყვარებია“

ერთი ბიჭი ორი წლის განმავლობაში მიყვარდა და მაშინ ვერ ვიფიქრებდი, რომ დავშორდებოდით. ჩემი მომავალი მხოლოდ მასთან ერთად წარმომედგინა. მერე ისე მოხდა, რომ ერთმანეთს დავშორდით. ის ძალიან ეჭვიანი იყო და ამის გამო მუდმივად ვჩხუბობდით. მერე ისევ თვითონ მირიგდებოდა, ათას რამეს აკეთებდა, რომ მისთვის ხმა გამეცა.

ერთხელაც ძალიან ვიჩხუბეთ და ვუთხარი, ახლა კი ერთმანეთს სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ-მეთქი. გულის სიღრმეში მაინც ველოდი, რომ მოვიდოდა და პატიებას მთხოვდა. რამდენიმე დღე რომ გავიდა და არ დამირეკა, შევშფოთდი, მაგრამ თავმოყვარეობამ იმის უფლება არ მომცა, შევხმიანებოდი. ცოტა ხანში კი სხვა გოგოსთან ერთად ვნახე. ამაზე გადავირიე და დავურეკე. ვუსაყვედურე, თურმე არ გყვარებივარ-მეთქი. მან კი ნიშნისმოგებით მითხრა, ვინც ნერვებს არ მომიშლის, მასთან ვიქნებიო. ამ სიტყვების შემდეგ მივხვდი, რომ ერთმანეთს ველარ ვნახავდით, რომ მას ვერასოდეს ვაპატიებდი.

სამი წელი დამჭირდა იმ ტკივილის მოსაშუშებლად, რაც მან მომაყენა. მეგონა, დავივიწყე. სხვა ბიჭი გავიცანი, რომელიც მომწონს. მეგონა, მიყვარდა კიდეც, მაგრამ ცოტა ხნის წინ მივხვდი, რომ ვცდებოდი. ახლახან ჩემი ყოფილი შეყვარებული შემხვდა, გადამკოცნა, თბილად მომიკითხა და ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა. გული ისევე ამიჩქარდა, როგორც მაშინ, მასთან პაემანზე რომ მივდიოდი. ყველა და ყველაფერი დამავიწყა, აღარც ის ბიჭი მახსოვს, რომელსაც ახლაც ვხვდები.

საშინელ მდგომარეობაში ვარ, ძველი სიყვარულის დავიწყება ადვილი არ აღმოჩნდა. მას ცოლი არ ჰყავს და ვფიქრობ, ისევ ხომ არ დავურეკო და შევხვდე. იქნებ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილი. ვეცდები, იმ ბიჭს, რომელსაც ახლა ვხვდები, ისე დავშორდე, რომ ნაკლები ტკივილი მივაყენო. მგონი, მკითხველი არ გამკიცხავს და კეთილ რჩევებს არ დაიშურებს.

თქვენი მკითხველი, 18 წლის

გამოხმაურება

„მამაჩემის ძმაკაცმა გამაუპატიურა“

წლებია იმ ტრავმის მოშუშებას ვცდილობ, რაც 17 წლის გოგომ გადავიტანე. ამის შესახებ არავის ველაპარაკები, ამ საიდუმლოს გულში ვიმარხავ და ალბათ საფლავში ისე ჩავალ, არც არავის ვეტყვი. ვცდილობ, დავივიწყო ის ტკივილი, რაც ერთმა არაადამიანმა მომაყენა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. 38 წლის ქალი ვარ და დღემდე არ მიფიქრია ოჯახის შექმნა, რადგან ყველა კაცში იმ მოძალადეს ვხედავ, რომელმაც 17 წლის გულუბრყვილო გოგოს ცხოვრება დაუნგრია.

ჟურნალ „სარკის“ მე-12 ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა — „სკოლის დირექტორი მეარშიყება“ — გადამაწყვეტინა, ჩემი ტკივილი გავიხსენო, იმ საშინელ დღეებს თავიდან გადავავლო თვალი. მინდა, ამ გოგომ წაიკითხოს და დასკვნები თავად გააკეთოს. არ მინდა, ჩემსავით გაუბედურდეს. თავი უნდა დაიცვას და, თუ ეს არ შეუძლია, მაშინ ვინმე დაიხმაროს — დედა, დეიდა, მამიდა...

მე ლაღი ბავშვობა მქონდა. მშობლები ჩემზე მხოლოდ 18 წლით უფროსები არიან, ამიტომ მათთან ყოველთვის ვმეგობრობდი. მამას უამრავი მეგობარი ჰყავდა, რომლებიც ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ. ერთ-ერთი შედარებით ახალგაზრდა იყო, მამას ხშირად აკითხავდა სახლში. მასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა. რამდენჯერმე სკოლასთან დამხვდა ვითომ შემთხვევით და სახლში წამომიყვანა.

ერთ დღეს სკოლიდან მოვდიოდი. მან გზაზე მანქანა გამიჩერა, რა კარგია, რომ შეგხვდი, მანქანაში ჩაჯექი, რაღაც უნდა გთხოვოო. მითხრა, დაბადების დღეზე მივდივარ, დედაჩემს პერანგი და შარვალი არ დაუუთოვებია, ძალიან გთხოვ, დამეხმარე, გამიმზადეო. მეც, გულუბრყვილო გოგომ, დავუჯერე და სახლში გავყევი...

იმ დღეს მამაჩემის ძმაკაცმა გამაუპატიურა. ეს ჩემთვის საშინელი ტრავმა იყო, მსგავსი რამ ღმერთმა ნურავის გამოაცდევინოს! რამდენჯერმე მოვიკრიბე ძალა, რომ მას შევხვედროდი. მინდოდა, ეს პრობლემა მოეგვარებინა. ვთხოვდი, ცოლად მოვეყვანე. მან კი გამომიცხადა, შენი ცოლად მოყვანა რომ დავაპირო, ძმაკაცები არაკაცად ჩამთვლიანო. როცა ჩემზე ძალა იხმარა, მაშინ კაცობაზე არ ფიქრობდა! ვევედრებოდი, რომ არ გავეწირე, მაგრამ ჩემი ყოველი მისვლა მასთან ისევ ძალადობით მთავრდებოდა. მპირდებოდა, რომ არაფერს მომაკლებდა, რომ ყოველთვის დამიცავდა, მაგრამ მისგან ეს არ მჭირდებოდა.

ერთ დღეს სახლში მოვიდა, მამას მეგობრები ქეიფობდნენ და ისიც შეუერთდა. მე სამზარეულოში გავიყვანე და ჩუმად ვუთხარი, თუ ჩვენი ცხოვრებიდან სამუდამოდ არ გაქრები, შენი ძმაკაცების წინაშე ამ წუთშივე ყველაფერს ვიტყვი-მეთქი. ეტყობა, სახეზე შემატყო, რომ არ ვხუმრობდი და მაშინვე წავიდა, თანაც ისე, რომ მეგობრებსაც არ დამშვიდობებია. იმის შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში არ გამოჩენილა, მაგრამ სულ მახსოვს, მისი ამღვრეული თვალები არ მავიწყდება...

ამ გოგონას კიდევ ერთხელ მივმართავ, რომ ძალა მოიკრიბოს და თავისი გასაჭირის შესახებ ვინმეს უამბოს. იმ ადამიანს უფლება არ მისცე, ცხოვრება დაგიმახინჯოს!

„სარკის“ ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

Cyan Magenta Yellow Black

რისთვის დააჯილდოვა ბაჩო ახალაიამ „კომედი შოუს“ მსახიობები იარაღით

■ ვახო და მიშა

„კომედი შოუს“ მსახიობები მიშა ანდღულაძე და ვახო ბიჭიკაშვილი რეალურ ცხოვრებაში არც ისეთი მხიარულები არიან, როგორებიც ეკრანზე ჩანან. იუმორი მათი სამუშაოა, სამსახურის გარეთ კი მისგანაც ისვენებენ და თავიანთი პერსონაჟებისგანაც. ახლახან მათმა გუნდმა ცვლილებები განიცადა — პოპულარული სახეები სხვა არხზე გადავიდნენ. მიშა და ვახო ამბობენ, რომ ეს ჩვეულებრივი პროცესია, მაგრამ ეტყობათ, რომ ძველ მეგობრებზე გული მაინც სწყდებათ. სხვა მხრივ, კი ცხოვრება გრძელდება და, როგორც მიშა ამბობს, ერთი სული აქვს, ვინმე მათზე ნიჭიერი გამოჩნდეს, რომ ცოტა ხნით დაისვენონ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით... ან ნახევრად ხუმრობით.

— თქვენი სკეტჩების ვმრუნი მასალა აღებული ერეკანი სან�s და, ამდენად, მაყურებლისთვის ძალიან ნაცნობია. როგორ ქმნით მათ, იფიქრეთ თუ ნაცნობ-უცნობებს აკვირდებით ყველგან, სადაც ხართ?

მიშა: არაფერს ვიგონებთ, ჩვენს გმირებს პროტოტიპები ჰყავთ. ერთ-ერთი გმირი, რომელსაც ვთამაშობ, რაღაც საკითხებში გარკვეული ექსპერტია, რომელმაც ბოლომდე არაფერი იცის, სახელად ცოტნე მაკალათიაა. ეს სახელი და გვარი ჩვენ მოვიგონეთ. ერთმა ქალმა დაგვირეკა, ცოტნე მაკალათია ბაბუაჩემი იყო, უნივერსიტეტში პროფესორი გახლდათ და სიიდან გაიგეთ მის შესახებ, რომ დასცინითო. არადა ეს დამთხვევა იყო.

პერსონაჟებს მასაში ეძებენ და ჩვენც ადრე ასე ვაკეთებდით. ბოლო დროს ხალხთან ურთიერთობა გვაკლია, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვეღარ დავდივართ, ამიტომ მე, პირადად, ასეთი გზა ავირჩიე: ხშირად ვუსმენ რადიოს, სადაც ინტერაქტიულ გამოკითხვებს აწყობენ და მსმენელი რეკავს. მაგალითად, ზოგი ამბობს: „ეს კაცის მკვლელები!“ და ტელეფონს თიშავს. ან როგორც მე მივდივარ სამსახურში დილის 10 საათზე, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ასევე ზუსტად ერთსა და იმავე დროს რეკავენ რადიოში, თითქოს ეს მათი მოვალეობა იყოს. პროვოკატორის პერსონაჟი აქედან ავიღე.

— მასაც რიმელმა რიღლმა მოგიტანათ ყველაზე დიდი პოპულარობა?

მიშა: ალბათ ნანულის პერსონაჟმა.

ვახო: მე კასპელი ზაურას პერსონაჟმა გამხადა პოპულარული.

— მიშა, გვსატრეებთ ნანულის?

მიშა: არა, მოსაბეზრებელი გახდა.

— რიგორ ხედებით, რომ ახალმა პერსონაჟმა გაამართლა?

მიშა: თუ ხალხი ჩვენი პერსონაჟის ფრაზებით იწყებს ლაპარაკს, მაშინ ვხვდებით, რომ გაამართლა.

ვახო: თუ არ ხარ დარწმუნებული, რომ ის პერსონაჟი კარგი იქნება და ადამიანს გააცინებ, არ უნდა ითამაშო.

— რიღა სკეტჩში ხუმრობა ჯერ ამართლებს და დარბაზში მსხდომ მაყურებელს არ ეცინება, ამ დროს რიგორ იქცევთ?

მიშა: ასეთი პრინციპი გვაქვს: თუ ხუმრობა ვერ ამართლებს, მთელი გუნდი მობილიზებული ვართ, რომ ექსპრომტად დავამატოთ რამე. ამ მხრივ, გუნდში რამდენიმეს გვაქვს ერთმანეთის იმედი — მე, ვახოს, ვასო ფხაკაძეს, ნიკა არაბიძეს და ა.შ. ამიტომ ვიცი, რომ ხუმრობა არ ჩაგვივარდება.

— თქვენი ჟგუფიდან რამდენიმე წევრი წავიდა და ისინი ახლებმა ჩანაცვლეს. ასეთ ცვლილებებთან შეგუება ძნელია, რიღა შეთამაშებული გუნდი იშლება?

ვახო: სამწუხაროა, როცა გუნდი იშლება, მაგრამ არსებობს მიზეზები, როცა ადამიანი სხვაგან მიდის, ან სამსახურს იცვლის. ჩვენ იმდენად დიდი გუნდი ვართ და ისე აწყობილი, რომ დანაკლისი არ იგრძნობა. კულისებმიღმა კი მაინც გვეტყობა, რომ ვიღაც დაგვაკლდა. ახლებს იმ პირობით ვიღებთ, რომ ეს დანაკლისი შეავსონ. მათგან რაღაც ახლის გაკეთების მოლოდინი გვაქვს.

მიშა: ჩვენი პრინციპია, რაც უნდა მაგარი იყოს ძველი, ახალი სისხლი საჭიროა. თუნდაც ვახო ბიჭიკაშვილი რომ არ მიგვეყო გუნდში, მუშაობა არ გაგვიჭირდებოდა. რეალურად წინ ვერ წახვალ და მრავალფეროვანი ვერ იქნები, თუ ახალ სახეებზე უარს იტყვი. ასეთი ცვლილებები მუდმივად უნდა იყოს.

— თქვენ შეუცვლელები ხართ?

მიშა: სულ ველოდები იმ ბედნიერ დღეს, როცა ჩვენზე ნიჭიერი ადამიანი გამოჩნდება, შეგვცვლის და დაგვასვენებს... ერთი-ორი კვირა. მაგრამ რა ვართ ასეთი ნიჭიერები, რომ ვერ შეგვცვალეს!

— გუნდის ყოფილ წევრებთან დღეს რიგორი ურთიერთობა გაქვთ?

ვახო: ნიკა გრიგოლიასთან, სიკო ჭუმბურიძესთან და თემო მჟავიასთან ვმეგობრობ. თემო ჩემი შვილის ნათლიაა. როცა ერთმანეთს ვხვდებით, სამსახურზე ნაკლებად ვსაუბრობთ. ორივე დატვირთულები ვართ და ხშირად ვერ ვნახულობ, მაგრამ როცა ვახერხებ, კარგ დროს ვატარებთ. ფაქი (ლევან გოგორელიანი) და ამიკო (ჩოხარაძე) კი ბოლო დროს არ მინახავს. ისინი დიდ საქმეს არიან შეჭიდებული.

მიშა: თუ დრო მაქვს, ნიკა გრიგოლიას შვილს და ჩემს ბავშვს ვასეირნებ (მიშა და ნიკა ყოფილი ქვისლები არიან. ავტ.)... საერთოდ ერთმანეთს სამსახურში ვნახულობთ. თუ მოვახერხეთ და თავისუფალი დრო ვიპოვეთ, გვირჩევნია, ოჯახს დავუთმოთ.

— მიშა, თქვენ და ნიკა გრიგოლია ქვისლები იყავით, ის დრო არ გვსატრეებთ, რიღა ცოლებთან ერთად ერთ სახლში ცხოვრობდით?

მიშა: პრინციპში, ახლა უფრო კარგად ვცხოვრობ — გაფართოებული ვარ... არა, ჩვენ ძალიან ტკბილად ვიყავით ერთად.

— ალბათ მასაც რიელია, რიღა გუნდიდან ყველაზე მიდის, ყასთანაც მეგობრობთ.

ვახო: ეს სამსახურისთვის დამახასიათებელია. მეორე მხარეა, რომ შეიძლება ადამიანურად რაღაც გეწყინოს.

მიშა: როცა დათო გოგიჩაიშვილი იყო ჩვენთან, მაშინაც გავიყავით. ამაში უცნაური არაფერია, ხდება ხოლმე. რთულია ის, როცა ადამიანი შენთან ერთად მუშაობს და არ მუშაობს ისე, როგორც საჭიროა.

— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?

მიშა: ზოგადად ვამბობ.

— რიგორც წესი, მაყურებელს სჯერა, რომ კომედიის მსახიობი რეალურ ცხოვრებაშიც ისეთივეა, რიგორიც ეკრანზე. ალბათ თქვენგანაც ხელ ელოდებიან, რომ იხუმრეთ, სასაცილოდ მოიქცეთ ქუჩაში, მაღაზიაში და ა.შ.

მიშა: ძალიან ცდებიან, ისეთი ბოროტები და ბოღმიანები ვართ!..

ვახო: ჩვეულებრივები ვართ. ჯვარი გვწერია, როგორც ეკრანზე ვიქცევით, ისე ვიქცეოდეთ საზოგადოებაში. უთქვამთ ჩემთვის, ეკრანზე რა კარგად ხუმრობ და აქ რა გჭირსო, მაგრამ, ბუნებრივი, ყოველთვის ხუმრობის ხასიათზე ვერ იქნები.

მიშა: ძირითადად ამის მიზეზი დაღლაა.

— თქვენს ცოლებს რიმელ როლში მოსწონხართ?

ვახო: ამაზე არ გვილაპარაკია, მაგრამ თუ იმით ვიმსჯელებთ, რომ ჩემი ცოლი რევიაა გვარად, ალბათ ჟინნი მეგობნიას როლში მოვწონივარ.

მიშა: ჩემს ცოლს ჩემი არატრადიციული ორიენტაციის მქონე მოცეკვავე პერსონაჟი მოსწონდა, რომელიც ციხეში იჯდა. სხვათა შორის, ამ პერსონაჟთან დაკავშირებით რამდენიმე ცუდი აზრი გამიგია იმათგან, დაახლოებით ასეთი ტექსტები რომ აქვთ: „ქართველობას ვკარგავთ, გოგოს ჭიპი არ უნდა უჩანდეს“ და ა.შ. ერთმა ბრალიც დამდო, რომ მამათმავლობის პოპულარიზაციას ვუწყობდი ხელს.

— ვახო, ვაფრცელდა ჭორი, რომ, რიღა ცოტა ხნის წინ დუბაიში იყავით დასასვენებლად, შეიხთან მოგიყდათ კონფლიქტი. რა მოხდა რეალურად?

ვახო: მე, ჩემი მეუღლე და მეგობრები ერთი კვირით ვიყავით დასასვენებლად. რა თქმა უნდა, შეიხთან კონფლიქტი არ მოგვსვლია, არც გვინახავს. უბრალოდ ერთ-ერთ კაფეში რიგითი არაბი მოვიდა და დაიწყო გარკვევა, ჩვენს ჭიქებში ალკოჰოლი ესხა თუ არა. იქ ალკოჰოლზე პრობლემაა. რა თქმა უნდა, ვკითხეთ, ვინ იყო, ასე რომ დაინტერესდა. გვითხრა, მინისტრის ძმა ვარო. აღმოჩნდა, რომ იტყუებოდა და დაცვამ გააგდო. მსუბუქი დაპირისპირება იყო, აქ კი ჭორი გავრცელდა, რომ შეიხთან მოგვიყიდა კონფლიქტი. შეიხი რომ ყოფილიყო ის კაცი, ალბათ უხელოდ დავბრუნდებოდი.

— ცნობილი გახდა, რომ „კომედი შოუს“ ბიჭებისთვის თაყვანცემის და შს ყოფილ მინისტრს, ბაჩო ახალაიას, რომელიც ახლა დაპატიმრებულია, ძეირადღირებული იარაღი უჩუქებია. ეს სარეკლო თქვენც მიიღეთ?

ვახო: მიშას არ აქვს იარაღი. რამდენიმე ადამიანს გვქონდა კონცერტები სამხედრო ნაწილებში. ისე მოხდა, რომ პატივისცემის ნიშნად მე და ნიკა არაბიძემ ბაჩო ახალაიასგან ჯილდოდ სანადირო თოფი მივიღეთ. ჯერ არც გამომიყენებია, დრო არ მქონდა. ჩემი მეგობრები ზაფხულში როცა დამპატიჟებენ სანადიროდ, აუცილებლად წავიღებ. ნიკასაც უყვარს ნადირობა.

— მარტო თქვენ და ნიკა არაბიძემ რატომ დაიმსახურეთ ეს სარეკლო?

ვახო: გამოგვარჩია. რა პრინციპით გვაჩუქა, ეს ნამდვილად არ უთქვამს. მეგობრულად გადმოგვცა ჯილდო.

✓ მანანა ნოდია

მიშა: „სულ ველოდები იმ ბედნიერ დღეს, როცა ჩვენზე ნიჭიერი ადამიანი გამოჩნდება, შეგვცვლის და დაგვასვენებს“.

ვახო: „თუ იმით ვიმსჯელებთ, რომ ჩემი ცოლი რევიაა გვარად, ალბათ ჟინნი მეგობნიას როლში მოვწონვარ“.

მიშა: „ეროთმა ბიჭიც დამდო, რომ მამათმავლობის პოპულარიზაციას ვუწყობდი ხელს“.

Cyan Magenta Yellow Black

გიორგი მარკოიშვილმა თავისი პირველი მანქანა 8 მარტს დაამტვრია

ქალათბურთელი გიორგი მარკოიშვილი ორმა ავტოავარიამ ფრთხილ მძღოლად აქცია. თბილისურ ქაოსშიც კი ცდილობს, მოძრაობის წესები არ დაარღვიოს. ცოლს, ანა გულუასაც იმავეს ურჩევს, მით უმეტეს, რომ ორი შვილის წაყვანა-წამოყვანა სწორედ მას ანდო და შესაფერისი მანქანაც შეურჩია. თვითონ კი „აუდი ქიუ 7“-ს მართავს, რომლის „გაბარიტებიც“ მისი სიმაღლის კაცისთვის ზედგამოჭრილია. მის ავტომობილს კიდევ ერთი პლუსი აქვს — სიდიდის გამო სხვა მძღოლები ერიდებიან და გზას უთმობენ.

გიორგი ადრე სისწრაფის მოყვარული იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ორჯერ გადაურჩა სერიოზულად დაშავებას, მიხვდა, რომ სულ სწრაფობა არაფერს არგებდა. ახლა ხელმძღვანელობს პრინციპით — ნელა ივლი, დიდხანს ივლი.

— გიორგი, რა ასაკიდან მართავთ მანქანას?

— ავტომობილის ტარება ბავშვობაში ვისწავლე, მაშინ, როცა მეექვსე-მეშვიდე კლასში ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ენთუზიაზმით ვსწავლობდი, თავიდან ძალიან გამიჭირდა და ეს ალბათ პატარა ასაკის ბრალიც იყო, კიდევ იმის, რომ მართვას საბჭოთა „ნივაზე“ ვსწავლობდი.

— თქვენი პირველი მანქანა რა მარკა იყო?

— პირველად „ოპელ ვექტრა“ ვიყიდე და, როგორც კანონმორჩილ მოქალაქეს, მართვის მოწმობის გარეშე არ მივლია, მალე ისიც ავიღე. მას შემდეგ 12 წელი გავიდა. „ოპელის“ შემდეგ საკმაოდ დიდხანს „ბეემვე“ მყავდა, რომელიც ასევე ძალიან მიყვარდა. ამის მერე ცოტა ხანს „მერსედესით“ დავდიოდი და წელიწადნახევარია, რაც „აუდი ქიუ 7“ შევიძინე.

— ეს უკანასკნელი რატომ შეარჩიეთ?

— ჩემთვის მთავარი მონაცემები „გაბარიტები“ იყო. დიდი კაცისთვის პატარა მანქანა მოუხერხებელია. მეორე კი კომფორტი გახლავთ. ასეთი კომფორტის მქონე ავტომობილი სხვა არც მეგულება. ძალიან კარგი სამართავიცაა.

ეს მოდელი პირველად 2006 წელს გამოვიდა და მას შემდეგ ჩემი ფავორიტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ „ბეემვეს“ მოყვარული ვიყავი, ეს მანქანა მაინც ერთ-ერთი საუკეთესო მგონია და, როგორც კი ყიდვის საშუალება მომეცა, შანსი ხელიდან არ გავუშვი.

— „ჯეუ 011“ სერია რას ნიშნავს?

— არც არაფერს. ამ სერიით ჩემ გარდა სულ სამი მანქანა დადის და სამივე მძღოლი ჩემი ძმაკაცია. ეს სერია ჯერ არ გახსნილა, ჩვენ გარდა სხვას არავის აქვს. რაც შეეხება რიცხვ 11-ს, ჩემი საყვარელი რიცხვია და ჩემს ცხოვრებაში აბსოლუტურად ყველაფერში ფიგურირებს. არ ვარ იმ კატეგორიის ადამიანი, სახელობით ნომრებსა და ინიციალებს რომ იღებენ, თუმცა ალბათ მათაც აქვთ გამართლება.

— თქვენი ცოლიც მართავს მანქანას?

— ჩემს მეუღლეს თავისი ავტომობილი ჰყავს და ბავშვების წაყვანა-მოყვანა მას აბარია. სხვათა შორის, საკმაოდ კარგი მძღოლია. სანამ ცოლად მოვიყვანდი, მანქანას უკვე კარგად მართავდა. „ბეემვე“ ჰყავდა და გადავწყვიტე, რომ სწრაფი მანქანა არ უნდა ჰყოლოდა, ამიტომ დაბადების დღეზე „ნისან ტიდაზე“ გადავსვი, რომელიც ქალაქისთვის იდეალურია.

— თქვენი ცოლი სიჩქარის მოყვარულია?

— საკმაოდ კარგი მონაცემების „ბეემვე“ ჰყავდა და როცა მანქანა სწრაფად სიარულის საშუალებას გაძლევს, გინდა თუ არ გინდა, მაინც აჩქარდები. ორი შვილი უკვე დიდი ტვირთი იყო და მივხვდი, რომ სწრაფი მანქანით მათი ტარება არანაირად შეიძლებოდა. ჩემს ცოლთან, როგორც მძღოლთან, ახლა შენიშვნები აღარ მაქვს. როცა „ბეემვე“ ჰყავდა, სულ სისწრაფეზე ვაძლევდი შენიშვნებს.

— საერთოდ მოგწონთ საჭესთან ქალი?

— ნამდვილად არ მაღიზიანებენ, ბევრ მამაკაცზე კარგადაც კი მართავენ. კაცებთან შედარებით, უფრო ყურადღებიანები და ფრთხილები არიან. სიმართლე გითხრათ, შორიდან ვერც კი ვხვდები, საჭესთან თუ ქალი ზის. ისეთი ქალი მძღოლიც შემინიშნავს, სანამ ახლოს არ მივსულვარ, კაცი მგონებია. მანქანა ქალისთვისაც სერიოზული საჭიროების საგანია, მთავარია, კარგად მართავდეს.

— ალბათ ასე იმიტომ ლაპარაკობთ, რომ ქალ მძღოლს თქვენთვის აყარიული სიტუაცია არ შეუქმნია.

— როგორ არა! ეს მანქანა რამდენიმე დღის ნაყიდი მყავდა და მაგრად გადავრჩი. სრული კანონის დაცვით წრეს ვურტყამდი, საიდანღაც ქალი მძღოლი გამოვარდა და თან გამომეკიდა. ლამის დამარტყა და რომ გავჩერდით, კიდევ თვითონ იყო უკმაყოფილო, რას აკეთებო. აგრესიაც არ გამომიხატავს, რადგან ჩემზე შეშინებული ის იყო. გამეცინა და ვუთხარი, ინტერნეტი ყველასთვის ხელმისაწვდომია და ძალიან მარტივია იცოდე, ამ დროს როგორ უნდა მოძრაობდე-მეთქი.

„ქალები მანქანას ბევრ მამაკაცზე ჯერგად მართავენ. კაცებთან შედარებით, უფრო ყურადღებიანები და ფრთხილები არიან. შორიდან ვერც კი ვხვდები, საჭესთან თუ ქალი ზის“.

— თქვენ როგორი მძღოლი ხართ?

— ადრე თავქარიანი მძღოლიც ვიყავი, სწრაფად დავდიოდი და ორი ინციდენტიც შემემთხვა. ასაკთან ერთად კი სისწრაფის ხალისი დამეკარგა. ახლა ვცდილობ, გაწონასწორებული მძღოლი ვიყო და არასდროს არსად ვიჩქარო.

— „ორ ინციდენტში“ აყარია იგულისხმეთ?

— დიახ. პირველი ავარია ძალიან კარგად მახსოვს. 8 მარტი იყო და მეგობართან მისალოცად მივდიოდი „ოპელით“. სისწრაფის გამო რაღაც მომენტში კონტროლი დავკარგე და აზრზე რომ მოვედი, მანქანით ხეზე ვიყავი მიყუდებული. სხვათა შორის, ის ადგილიც კარგად მახსოვს, მარჯანიშვილის ხიდის ქვეშ მოხდა. ავტომობილი ძალიან დაიმტვრა, მე კი არ დავშავებულვარ.

მეორე ავარია „ბეემვეთი“ მომიხდა. ზამთარი იყო, გზაზე მილი ყოფილა გახეთქილი და მთელი ქუჩა ყინულით იყო დაფარული. ძალიან სწრაფად შევვარდი, ყინულს არ ველოდი და ისე მოვცურდი, 70 მეტრი მაინც ვიბზრიალე. მანქანა ძალიან დაზიანდა, მაგრამ იქაც გადავრჩი, უვნებელი გადმოვედი. მაშინ მივხვდი, რომ სწრაფად სიარული არაფერს მარგებდა. ქალაქში დიდი სიჩქარით აღარ დავდივარ, ტრასაზე კი დასაშვებ სიჩქარემდე ვმოძრაობ. რუსებს ამასთან დაკავშირებით კარგი გამოთქმა აქვთ, ნელა ივლი და დიდხანს ივლიო. ასეც ვაპირებ ცხოვრებას.

— თბილისში მოძრაობის წესების დაცვა გამოგდით?

— თბილისში მოძრაობის წესი რომ არ დაარღვიო, ის უფრო საოცრება იქნება, ვიდრე დარღვევა. ვცდილობ, ყველა წესი დავიცვა და ეს ხან გამომდის, ხან — არა. თბილისური მოძრაობა ჩვეულებრივი ქაოსია. ამ ქაოსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი მეც ვარ, რადგან აქ ვისწავლე მანქანის მართვა და აქ ვცხოვრობ. ვინც ამ ქაოსში არ ჩაერთვება, ყოველთვის პრობლემა შეექმნება, მინიმუმი, ნერვებს გაიფუჭებს.

— ამ კომპანიის მუშაობას როგორ აფასებთ, რომელიც ქალაქში პარკინგს განაგებს და მანქანები საჯარიმო სადგომზე გადაჰყავს?

— მათ მიმართ მაინც ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს. ამ სერვისისთვის არც ჩვენი ქვეყანა იყო მზად, არც— ქალაქი და არც— მოსახლეობა. ვფიქრობ, რომ ეს კომპანია უფრო ლმობიერი უნდა იყოს. მანქანა შეიძლება ცუდ ადგილას იყოს გაჩერებული, მაგრამ მოძრაობას ხელს არ უშლიდეს და ამ დროს რატომ უნდა წაიყვანონ? დაგვაჯარიმონ, მაგრამ მანქანას ნუ წაიყვანენ, რადგან ამის გამო მძღოლს შეიძლება ძალიან დიდი პრობლემა შეექმნას.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება

სექსოპათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

Cyan Magenta Yellow Black

რუსა მორჩილაძე: „იურმალასთვის მაია ყიფიანის რჩევები არ მჭირდება!“

„ახალ ტალღაზე“ საქართველოდან შეიძლება რამდენიმე მომღერალი წავიდეს

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ იურმალას საერთაშორისო კონკურს „ახალ ტალღაზე“, რომლის სათავეშიც რუსული შოუბიზნესის „მამები“ დგანან, ჩვენი ქვეყნის სახელით აღარავინ გამოსულა. ქართულმა შოუბიზნესმა ამ კონკურსთან კავშირი გაწყვიტა. წელს კი ძმებ კონსტანტინე და ვალერი მელაძეების (რუსეთის მხრიდან) და დავით ოქიტაშვილის (საქართველოს მხრიდან) მონდომებით ძაფები ისევ გაიბა და შედეგიც სახეზეა. ტელეკომპანია „იმედმა“ მუსიკალური პროექტის „ახალი ტალღის“ ლიცენზია იყიდა და კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო. შესარჩევი კონკურსით ამჯერად „იმედის“ მუსიკალური პროდიუსერი რუსა მორჩილაძეა დაკავებული, რომელიც ყველა დანარჩენ პროექტს გამოეთიშა და, როგორც თვითონ ამბობს, „დიდტანიან“ ფორმატს შეეჭიდა. ეს მისთვის ახალი გამოწვევაა. წინასაკონკურსო ციებ-ცხელებაზე „სარკეს“ სწორედ ის უამბობს.

— ქალბატონო რუსა, 2008 წლის შემდეგ საქართველო წელს პირველად მიიღებს იურმალას კონკურსში მონაწილეობას. რატომ გადაწყდა ასე ამ ხუთი წლის განმავლობაში რა შეიცვალა?

— ჩვენმა არხმა იურმალას საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის „ახალი ტალღის“ ლიცენზია იყიდა. 1986 წლიდან ამ პროექტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, პერიოდულად სხვა ქალაქში ტარდებოდა, მაგრამ არ შეცვლილა კომიტეტი, დამფუძნებლები და ის ადამიანები, ვინც ამ კონკურსს დღემდე უდგანან სათავეში. იგორ კრუტოი, საშა რევზინი, ქართველი ძმები კონსტანტინე და ვალერი მელაძეები, ლეონიდ აგუტინი და სხვები ისევ კომიტეტისა და ჟიურის წევრები არიან. მოკლედ რომ გითხრათ, ეს კონკურსი ქართულ ტელესივრცეში დაბრუნდა.

— ხუთწლიან პაუზას პოლიტიკური სარჩელი ედო საფუძვლად, კერძოდ, რუსეთის აგრესია, რის შედეგადაც ტერიტორიები დაკარგეთ. ეს თქვენთვის შემაფერხებელი ფაქტორი არ არის?

— ზუსტ მიზეზებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ როგორ შეიძლება პოლიტიკური სარჩელი დაედოს, როცა ეს რაიმონდ პაულსის გაკეთებული კონკურსია?! ეს ადამიანი ბალტიისპირელი, ლატვიელი გახლავთ. იქ მოხარშული და მოფიქრებული პროექტია იგორ კრუტოისთან ერთად, თანაც, ტარდება ლატვიაში და არა — რომელიმე სხვა ქვეყანაში და ვერ ვხვდები, რა შუაშია აქ პოლიტიკა. იცით, რა მაკვირვებს? ქვეყნებს შორის კონფლიქტები არსებობს, მაგრამ მუსიკა არ ჩერდება და არც კონკურსები წყდება.

— ამ კონკურსს რუსული ელფერი ამატომ აქვს, რომ მასში რუსული შოუბიზნესია ჩართული, მათ შორის პრეზიდენტ — პუტინის მხარდამჭერები და ის, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, რუსულენოვანია.

— მე ერთი რამ ვიცი, რომ კონკურსის მუსიკალური ხარისხი მაღალი უნდა იყოს, პოლიტიკურ თემებზე კი მათ ისაუბრონ, ვისაც ეს ეხება.

— ქართველი კონკურსანტების იურმალაში „დაბრუნება“ როგორ მოხდა?

— ეს ყველაფერი ჩვეულებრივი მოლაპარაკებით მოგვარდა. დათო ოქიტაშვილს დაუკავშირდნენ და შესთავაზეს, რომ ქართველს ემღერა. პირველად შემოთავაზება მათგან იყო. ძმებმა მელაძეებმა ძალიან იაქტიურეს, რომ ამ კონკურსში ქართველ მომღერლებსაც მიეღოთ მონაწილეობა. ინიციატივა სწორედ მათ ეკუთვნით. მათ გული სწყდებოდათ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში კონკურსზე ქართველი შემსრულებელი არ ჩანდა. მადლობა ტელეკომპანია „იმედს“, რომ ეს მოლაპარაკება წარმატებით შედგა. აღმასრულებელი პროდიუსერი დავით ოქიტაშვილი გახლავთ.

— ხელისუფლებისგან თანადგომა იგრძენით?

— ეს საკითხები არ ვიცი. მე ვარ მხოლოდ იქ, სადაც მუსიკალური კონტროლი მიდის. მომწონს, როცა ადამიანი იმ თემაზე ლაპარაკობს, რაც იცის.

— რა მოთხოვნები წაუყენეს კონკურსის ორგანიზატორებმა ქართულ მხარეს?

— ლიცენზია რომ ვიყიდეთ, ეს იმას ნიშნავს, ფორმატში უნდა ჩავჯდეთ. ანუ შესარჩევი ტური, კასტინგი უნდა ჩატარდეს, ოღონდ არა — საქართველოში. განაცხადები ჟიურისთან გაიგზავნება და იქვე განიხილავენ. მათი წარმომადგენლები აპრილის დასაწყისში ჩამოვლენ საქართველოში და რამდენიმე მომღერალს შეარჩევენ. ჩემი ინფორმაციით, შეიძლება 2-3 ან მეტი მომღერალიც შეირჩეს, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალებას ის ნაკადი მოგვცემს, რომელიც განაცხადს შემოიტანს. ასეთი პრეცედენტი ყოფილა, როდესაც ერთი ქვეყნიდან რამდენიმე მონაწილეობს და

„ძმებმა მელაძეებმა ძალიან იაქტიურეს, რომ „ახალ ტალღაში“ ქართველებსაც მიეღოთ მონაწილეობა. მათ გული სწყდებოდათ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში კონკურსზე ქართველი შემსრულებელი არ ჩანდა“.

მე ეს ძალიან მომწონს. თუ გახსოვთ, მაია ყარყარაშვილი და თეიმურაზ ბოჯგუა ერთად იყვნენ წასული ამ კონკურსზე საქართველოს სახელით. პირველ ადგილზე თეიმურაზ ბოჯგუა გავიდა, მეორეზე — მაია ყარყარაშვილი. მაქვს სურვილი, რომ საქართველოდან რამდენიმე მომღერალი წარდგეს, ბევრი მოეწონოთ და ბევრზე გაგიუდნენ.

ბევრი რამ აღარ მახსოვდა და მასალები რომ მოვიძიე, გავოცდი. 20-მდე ქართველი მომღერალი გავიხსენე, ვინც ამ კონკურსში მონაწილეობდნენ — ვახო მაკალათია, ნინო ქემაშვილი, მერაბ სეფაშვილი, თემურ თათარაშვილი, ზაზა წურწუმია, ლელა წურწუმია, მაია დარსმელიძე, სოფო ნიჟარაძე... სოსო პავლიაშვილზე აღარაფერს ვიტყვი, ეს მომღერალი პირდაპირ იურმალასთან ასოცირდება.

— პროექტში მონაწილეობის სურვილი ბევრს აქვს?

— განაცხადები უკვე შემოვიდა და უკლებლივ ყველა პირდაპირ ჟიურისთან იგზავნება. მათი მოსმენა, გადარჩევა იქ ხდება, მონაწილეობის მსურველებს კი კონკურსის წარმომადგენლობა აქ მოუსმენს. არც ისაა გამორიცხული, შერჩეული მომღერლები იურმალაში ჩავიყვანოთ და შესარჩევი ტური იქ ჩატარდეს. მომღერლების რაოდენობას გააჩნია.

— თქვენ თუ გეკით ფავორიტი შემსრულებელი, ვისაც სიამოვნებით გაუშვებდით ამ კონკურსზე?

— არა. ამ საკითხს ერთი ან ორი ადამიანი არ წყვეტს. ჯერ უნდა მოვისმინოთ და გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღოთ. ორივე მხარე მონდომებული ვართ, რომ აქედან ღირსეულები წავიდნენ.

— რა უნდა გათვალისწინოს მომღერალმა, რომელიც ამ კონკურსში მონაწილეობას გეგმავს?

— უნდა ჰქონდეს ჯანსაღი და საფუძვლიანი ამბიცია, რაც, პირველ რიგში, მუსიკალურ გემოვნებას გულისხმობს. გემოვნება თუ სწორად აქვს განვითარებული და თავის საქმეს კარგად აკეთებს, თუ არ გაიმარჯვებს, ღირსეულად მაინც წარდგება. ამ ეტაპზე ვოკალური მონაცემებისა და მუსიკალური აზროვნების შემოწმება ხდება. შემსრულებელს სცენის სიყვარული, გამძლეობა და ის მუხტი უნდა ჰქონდეს, რომელიც კონკურსანტისთვის აუცილებელია. ეს ჩვეულებრივი კონცერტი არ არის, დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვაა, რისთვისაც კონკურსანტი მზად უნდა იყოს. მოთხოვნის მიხედვით, მონაწილე 18-დან 30 წლამდე უნდა იყოს. მე რომ ვიყო შესაფერისი ასაკის, მონაწილეობის მიღებაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი.

კონკურსში გამარჯვება ყველაფერზეა დამოკიდებული, მომღერლის ხასიათზე, მის აზროვნებაზე. ამ მომღერლების გვერდით ვიდგები. თუ რამ გამოცდილება მაქვს, არაფერს დავიშურებ. მათ ჩემგან ფსიქოლოგიური ტრენინგებიც არ მოაკლდებათ.

— ქართულმა დუეტმა მაკა ზამბახიძის და რატი დურგლიშვილის სახით იურამალაში ტრიუმფით გაიმარჯვეს. მათ მაგალითზე რა შეგიძლიათ თქვათ, რა პერსპექტივებს აძლევს ეს კონკურსი გამარჯვებულ მომღერალს?

— ეს საერთაშორისო კონკურსია. უამრავ პროდიუსერს შეხვდებიან, სხვადასხვა ქვეყნიდან არაერთი მომღერალი ჩამოვა, ეს მეგობრობა და ურთიერთობები უკვალოდ არასოდეს ქრება. რატი დურგლიშვილი და მაკა ზამბახიძე ამ კონკურსში მონაწილეობის მიღებამდეც მღეროდნენ, მაგრამ მათ არავინ იცნობდა. როგორც კი იურმალაში გაიმარჯვეს, სუპერპოპულარულები გახდნენ და, შემიძლია ვთქვა, რომ მათი კარიერა იქიდან დაიწყო. მომღერლისთვის „ახალი ტალღა“ არაჩვეულებრივი შანსია.

— კონკურსის მთავარი ჯილდო წელს რა იქნება?

— როგორც ვიცი, გამარჯვებულისთვის ფულადი პრემიაა დაწესებული.

— თქვენამდე „იმედის“ მუსიკალური პროდიუსერი მაია ყიფიანი იყო, რომელსაც იურმალას კონკურსში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს. გაესაუბრეთ, რჩევები მიიღეთ მისგან?

— მე არავის რჩევები არ მჭირდება, მით უმეტეს, თუ ის მუსიკოსი არ არის. აქეთ მივცემ რჩევებს ყველას და კარგად მომისმინონ! მთელი ცხოვრება ვარიგებ რჩევებს უფასოდ და ვის რა უნდა შევეკითხო?! მე ვარ პროფესიონალი მუსიკოსი! პროდიუსერობა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, ბავშვს ხელი მოჰკიდო, სადმე წააცუნცულო და ამღერო. პროდიუსერმა მუსიკალურად უნდა გაწვრთნას, შეფუთოს, დააკვალიანოს, კარგი რეპერტუარი შეურჩიოს. ამის გაკეთება კი ძალიან ადვილია ჩემთვის.

— როგორც ვიცი, „იმედში“ სხვა პროექტებს გამოეთიშეთ, როგორც მუსიკალური პროდიუსერი. ასე თქვენ გადაწყვიტეთ?

— მე საერთოდ პირველი სიმძიმეების აწევა მიყვარს. გავკვალავ გზას და გაკვალულზე სიარული უკვე ადვილია. მძიმე და დიდტანიანი ფორმატების მუსიკალური პროექტების გაკეთება თავიდან არის საინტერესო, როცა ეჭიდავები, შენ თვითონ ძერწავ და დიდ გამოცდილებას იღებ. მერე ამ ყველაფრის გადათამაშება და იმის მიხედვით კეთება ადვილია. ახლა უკვე საერთაშორისო კონკურსი მაინტერესებს. ამ ეტაპზე „ახალ ტალღაზე“ ვარ კონცენტრირებული, რაც ჩვეულებრივი ამბავი არ გახლავთ. ცოტა მივიწყებული კონკურსია და გახსენება სჭირდება. სულ ამ საკითხებით ვარ დაკავებული. გვინდა, ყველას გავახსენოთ, ამ კონკურსში რამდენმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა და როგორი ღირსეული გამოსვლები ჰქონდათ.

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

რატომ არ მონაწილეობს მამუკა ღლონტის რისკიან პროექტში მარინა ბერიძე

ლანა ქუთათელაძე: „იმედის" ხელმძღვანელობისგან პასუხს ვეი ვიღებდით და ამიტომ „მაესტროზე" აღმოვჩნდით"

ულ მალე ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში, ახალ რეალითი შოუში, იმ მუსიკალურ გუნდს ვიხილავთ, რომელიც წლების განმავლობაში „რუსთავი 2"-ის პროექტებს აკეთებდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათ სათავეში აღარ იქნება „კონკურსანტების რისხვა" მარინა ბერიძე. ამ ინფორმაციის გაჟღერებისთანავე საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, გაჩნდა კითხვები, რომლებსაც მოჰყვა ვარაუდიც, რომ ძველ მეგობრებს შორის შავმა კატამ გაირბინა.

„მაესტროს" ახალი პროექტის, სახელწოდებით „მაგთიფანი", აღმასრულებელი პროდიუსერი ლანა ქუთათელაძე გახლავთ, რომელიც მაყურებელს წინა წლების „ჯეოსტარის" ჟიურიდან ახსოვს. ცნობილი იყო ასევე მისი დიდი მეგობრობაც მარინა ბერიძესთან, რაც „სარკეშიც" აღუნიშნავს. ახალ შოუსა და გავრცელებულ ხმებზე კითხვებით სწორედ მას მივმართეთ.

— ქალბატონო ლანა, პირველ რიგში, მინდა გკითხოთ, „რუსთავი 2"-დან წამოსვლის შემდეგ თქვენი გუნდი თითქოს „იმედში" უნდა ყოფილიყო, თქვენ კი „მაესტროზე" გამოჩნდით. რა მოხდა?

— თავდაპირველად მთელი ჯგუფი „რუსთავი 2"-დან წამოვედით და ტელეკომპანია „იმედში" მივედით. რამდენიმე პროექტზე გვქონდა შემოთავაზება, მათ შორის — ჩემს ყველაზე საყვარელ პროექტ „ანაბანაზე". მერე „იმედის" ხელმძღვანელობა შეიცვალა, ეს პროექტები გაჩერდა, მათი ალტერნატივა კი არ შემოუთავაზებიათ. შეიძლებოდა, მხოლოდ ერთ პროექტზე ყოფილიყო საუბარი, რაც ნაკლებად გვაწყობდა. როცა შეკითხვას ვსვამდი, ამ პროექტის დასრულების შემდეგ რა იქნებოდა, პასუხს ვერ ვიღებდი. ხანგრძლივი პაუზა გამოგვივიდა. შემდეგ „მაესტროზე" აღმოვჩნდით. ეს არხი ახალ-ახალი პროექტების კეთებას იწყებს და ჩვენც გადავწყვიტეთ, ამ პროცესში ჩავერთოთ. ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა ის შემოთავაზებები, რომლებიც პირადად მამუკა ღლონტისგან მივიღე.

— თუმცა „მაესტროზე" მარინა ბერიძის გარეშე აღმოჩნდით, არადა თითქოს განუყოფელები იყავით. გავრცელდა ხმა, რომ თქვენ შორის კონფლიქტი მოხდა. ეს სიმართლეა?

— ქალბატონმა მარინამ იმ ეტაპზე საჭიროდ არ ჩათვალა, ჩვენთან ერთად წამოსულიყო. ეს წმინდა ადამიანური გადაწყვეტილება იყო, ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე. „იმედიდან" ყველანი ერთად წამოვედით. ჩვენმა ჯგუფმა „მაესტროზე" გადმოინაცვალა, ქალბატონი მარინა კი კულტურის სამინისტროში დარჩა. დარწმუნებული ვარ, ბევრ ახალ და კარგ პროექტს შემოგვთავაზებს.

— მაინც უნდა ჩაგეკითხოთ, „რუსთავი 2"-დან ერთად თუ წამოხვედით და „იმედშიც" ერთად მისვედით, აქ მხოლოდ ქალბატონი მარინა რატომ გამოგაკლდათ?

— უფლება არ მაქვს, ქალბატონ მარინას მაგივრად გაგცეთ პასუხი. ის პერიოდი ჩვენთვის, ყველასთვის, მძიმე იყო. დიდ ორომტრიალში მოვყევით. იმ მომენტისთვის შეიძლება ამ ყველაფრისგან გადაღლილიც იყო და კიდევ ნულიდან დაწყება გაუჭირდა.

— გული არ დასწყდა, რომ მის გარეშე განაგრძობთ მუშაობას?

— არ მგონია. მეგობრობა აუცილებლად ერთად მუშაობას არ გულისხმობს. ამ მომენტში მან სხვა გადაწყვეტილება მიიღო, ჩვენ კი — სხვა.

— თქვენ მის ადგილას გული არ დაგწყდებოდათ?

— იქიდან გამომდინარე, რომ ვიცი, აქ რა ხდება, რა თქმა უნდა, გული დამწყდებოდა. მომწონს ეს საქმე და ის გუნდი, რომელთან ერთადაც ახლა ვმუშაობ.

— ქალბატონ მარინასთან ავრძელებთ ძველებურ ურთიერთობას?

— დამერწმუნეთ, ჩვენ შორის არანაირი კონფლიქტი არ არის. კიდევ ერთხელ ვამბობ, ალბათ იმ მომენტში ეს შემოთავაზება ჩვენთვის საინტერესო იყო, ქალბატონ მარინასთვის — არა. თუ ადამიანებმა ერთად დაიწყეს მუშაობა, ცხოვრების ბოლომდე აუცილებლად ერთად უნდა იმუშაონ? ის ჩვენ გარეშე კულტურის სამინისტროში მუშაობდა, მაშინ რატომ არ გვეკითხებოდით, ყველანი მასთან ერთად რატომ არ მუშაობთო. დიდი შანსია, რომ ერთი წლის შემდეგ ისევ ერთად რაღაც პროექტები გავაკეთოთ.

> **„ძნელია, დამსგავსებას ასცდე. მსოფლიოში ყველა მუსიკალური პროექტი ერთმანეთს ჰგავს. თუ სიმღერის კონკურსია, მღერიან, თუ ცეკვის კონკურსია, ცეკვავენ, ეს უკვე რაღაცით მსგავსებაა. „მაგთიფანში" იმღერებენ, იცეკვებენ და დაუკრავენ კიდეც".**

— რას ჰპირდებით მაყურებელს „მაესტროზე" ახალი შოუ „მაგთიფანით" და თავად რას ელოდებით მისგან?

— პროგნოზის გაკეთება არ მიყვარს, ვნახოთ, როგორი გამოვა. ჟანრობრივად ორიენტირი როკმუსიკაზე გვაქვს, პოპს, სავარაუდოდ, ნაკლებად ვიმღერებთ. ისეთი კონკურსანტები გვყავს, რომლებიც მომღერლები კი არა, მუსიკოსები არიან — უკრავენ, წერენ. მათი ბევრი სიმღერა შესრულდება ამ პროექტში. მაყურებლის წინაშე სხვადასხვა ამპლუაში წარდგებიან. სრული ექსპერიმენტი გვაქვს.

— ჩვენს ტელესივრცეში ერთდროულად ბევრი მუსიკალური პროექტი გადის, რომლებიც უკვე ძალიან პოპულარულები არიან. მათ კონკურენციას რითი გაუწევთ, რით იქნებით გამორჩეული?

— ძნელია, დამსგავსებას ასცდე. მსოფლიოში ყველა მუსიკალური პროექტი ერთმანეთს ჰგავს. თუ სიმღერის კონკურსია, მღერიან, თუ ცეკვის კონკურსია, ცეკვავენ, ეს უკვე რაღაცით მსგავსებაა. „მაგთიფანში" იმღერებენ, იცეკვებენ და დაუკრავენ კიდეც. კონკურსანტები ერთმანეთს დაეხმარებიან და 3 თვის განმავლობაში ერთად იცხოვრებენ.

— როგორია კონკურსის პრინციპი?

— კასტინგის გზით 18 კონკურსანტი ავირჩიეთ. აქედან კონკურსს 10 დაიწყებს, რეზერვში 8 გვეყოლება. ვინც გავარდება, რეზერვიდან ახალი კონკურსანტი ჩანაცვლდება, მაგრამ მასაც მაყურებელი ირჩევს. ის მთელი კვირის განმავლობაში დარეკავს. ესემესები არ გვექნება. შეიძლება რეზერვისტი თავის რიგს სულაც არ დაელოდოს და სხვადასხვა კონცერტში მიიღოს მონაწილეობა... ბევრი ექსპერიმენტი იქნება. ცოტა არასერიოზულად ვიქცევით, რადგან ყველაფერს წინასწარ არ ვგეგმავთ. დიდიხანია საქართველოში რეალითი შოუ არ გაკეთებულა.

— კონკურსანტების ერთად ცხოვრება, რეპეტიციები და კონცერტი უკვე იყო ერთ შოუში, ოღონდ სხვა არხზე.

— ხშირად მეკითხებიან, ეს ხომ არ დაემსგავსება „ვარსკვლავების აკადემიას", რომელიც „რუსთავი 2"-ზე კეთდებოდაო. ჰგავს, რადგან ესეც მუსიკალური რეალითი შოუა. სხვა დანარჩენით ნაკლებად დაემსგავსება. ჩემი აზრით, მაყურებლისთვის კონკურსანტების ერთად ყოფნის, სწავლის და მზადების ყურება საინტერესო იქნება. ყოველდღე, საღამოობით, ეთერში მათი ცხოვრების ერთსაათიანი სერია გავა.

— რატომ გააკეთეთ მაინცდამაინც როკზე აქცენტი? ეს მიმდინარეობა არ არის მასობრივი და შესაბამისად ნაკლები მაყურებელი ჰყავს, ანუ არც კომერციულია.

— მზად ვართ იმისათვის, რომ შეიძლება შედარებით ნაკლები მსმენელი ჰყავდეს. ვთვლი, რომ შეუძლებელია იცხოვრო ქვეყანაში, სადაც ერთი ტიპის მუსიკას გთავაზობენ. რა დააშავეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც პოპმუსიკა არ უყვართ? ვიღაცამ თუ ეს არ დაიწყო და მაყურებელი სხვა მუსიკას, სხვა გემოვნებას არ შეაჩვია, ეს არასდროს დამთავრდება და ნულარ გვექნება პრეტენზია, რომ მოსახლეობას მდარე გემოვნება აქვს. ეს მისია საკუთარ თავზე მამუკა ღლონტმა აიღო. საქართველოში ძალიან ცოტა ადამიანი მოიძებნება, ვინც ასე გარისკავდა. შეიძლება ჩვენი მსმენელი მოსახლეობის 20 პროცენტი იყოს, მაგრამ — საუკეთესო.

— ჟიურიში ვინ იქნება?

— დათო ევგენიძე, მაია ჯაბუა და ახალგაზრდა მუსიკათმცოდნე, მასებისთვის ჯერჯერობით უცნობი, შალვა ცხოვრებაძე. ანტიჟიურიც გვეყოლება. სავარაუდოდ, მისი ვინაობა გალა კონცერტზე გახდება ცნობილი. ეს ადამიანი ჟიურისთანაც და კონკურსანტებთანაც ოპოზიციაში იქნება, შეცდომას არავის აპატიებს.

— იქნებ ის მაინც გვითხრათ, მამაკაცია თუ ქალი?

— ვერ გეტყვით, ბოლომდე ანონიმად დარჩება... სხვათა შორის, ძალიან ბევრი განაცხადი შემოვიდა. ამდენი კონკურსის ფონზე, ეს თუ მოხდებოდა, ნამდვილად არ მეგონა. თან პარალელურ რეჟიმში „საქართველოს ვარსკვლავის" კასტინგიც მიმდინარეობდა, რომელსაც ჩვენთან შედარებით პრიორიტეტი ჰქონდა, რადგან მის შესახებ იციან.

— ადრე „სარკეში" ამბობდით, რომ თქვენი პატარა ბიჭი პრინციპულად არ უყურებდა თქვენს მუსიკალურ შოუებს ტელევიზორში. ახლა თუ არის დაინტერესებული ახალი პროექტით?

— ჩემს 10 წლის შვილს, გიორგის, რომელსაც გოშას ეძახიან, „ჩილი პეპერსები" უყვარს, აიპოდში ჩაირთავს და თვითონაც ღრიალებს ხოლმე. ელექტროგიტარა მიყიდეო — მეხვეწება. ჩემს გაკეთებულ პროექტებს არ უყურებს, არ აინტერესებს. იმედი მაქვს, რომ ამ პროექტს შეხედავს, რადგან როკმუსიკის მოყვარულია. გიტარაზე, როკმუსიკოსებზე, ტანსაცმელშემოხეულებზე გიჟდება. მათი მუსიკა მოსწონს. იქნებ ახლა მაინც მითხრას: „დედა, ყოჩაღ!".

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

მოძღვარი, რომელსაც პატრიარქი საკუთარი ხელით აცმევდა კაბას

„მსოფლიო ჯერ ცეკვით და სიმღერით შემოვიარე, მერე — შავი კაბით“

წლების წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იმერეთის ერთ-ერთ პატარა სოფელში, ჩხარში დაბადებული ბიჭი, ამირან ამირანაშვილი, უფლის მსახური გახდებოდა. ის ხელოვანი გახლდათ, წლების განმავლობაში ოპერისა და მუსკომედიის თეატრებში თამაშობდა, ჰქონდა პატარა-პატარა როლები ფილმებში, სახელმწიფო ანსამბლში ცეკვავდა. გასტროლებით თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა, საბოლოოდ კი უფალმა სხვა გზა განუმზადა, ტაძრამდე მიიყვანა და სამოძღვრო კაბით შემოსა.

მამა ამირანი, ერთი წელია, რაც ანჩისხატის ტაძარში წირვა-ლოცვას აღავლენს. მანამდე ჯერ ბათუმში მსახურობდა, შემდეგ კი დიდხანს სიონის საკათედრო ტაძარში იყო. მისი ცხოვრება სავსეა საოცარი ისტორიებით.

— მამაო, მღვდელმსახურებამდე საკმაოდ საინტერესო გზა განვლეთ ხელოვნების სფეროში. როგორ გახსენდებათ ეს წლები?

— საინტერესო წლები იყო, ჩემს საყვარელ საქმეს დიდი სიამოვნებით ვაკეთებდი. ოპერის თეატრში დიდხანს ვიმუშავე, 18 წლისა მივედი და ფაქტობრივად იქ გავიზარდე. მსახიობობა ჩვენი საგვარეულო პროფესიაა და მეც პატარაობიდანვე მინდოდა. გვარში ბევრი სასულიერო პირიც გვყავდა, რადგან ამირანაშვილი თავადური გვარია, ადრე კი მღვდელმსახურები მხოლოდ თავად-აზნაურები ხდებოდნენ. ოთხი დიპლომი მაქვს. კულტურის სასწავლებელი დავამთავრე ქორეოგრაფის სპეციალობით, თეატრალური ინსტიტუტი — მსახიობის სპეციალობით, კონსერვატორია — საოპერო ვოკალის სპეციალობით და სასულიერო აკადემია — თეოლოგიის სპეციალობით. მიუხედავად იმისა, რომ ვცეკვავდი და ვმღეროდი, საბოლოოდ მაინც მსახიობობამ გადაწონა.

ილიკო სუხიშვილმა ანსამბლში ორჯერ წამიყვანა, მაგრამ გამოვექეცი. მუსიკისა და დრამის თეატრში 13-14 წელი ვიყავი. ბევრი კარგი და სახასიათო როლი შევასრულე, თუმცა ეს ახალგაზრდული წლები იყო, ბევრ ცოდვასაც ჩავდიოდი. ახლა ვცდილობ, ეს ყველაფერი გამოვისყიდო და სანამ ღმერთი ინებებს, ჩემი დარჩენილი ცხოვრება ლოცვაში გავატარო.

— საერო ხელოვნებაში ჩაბმული ადამიანი ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე როგორ აღმოჩნდით?

— რთულია პირდაპირ დაასახელო მიზეზი, ადამიანი თუ როგორ მოხვდა უფლის წიაღში. ვერავინ იფიქრებდა, რომ ოდესმე სასულიერო პირი გავხდებოდი. ყველაფერი ღვთის ნების აღსრულებაა, ოღონდ მას ხელი არ უნდა შეუშალო. იმერეთში, სოფელ ჩხარში, გავიზარდე. სამი ბებია მყავდა. ორივე მხრიდან ჩემი ბებიები ბარათაშვილები იყვნენ. ჩვენი გამზრდელი ბებია, მარიამი, ვინც მე მახსოვს, იყო მამაჩემის ბიცოლა, რომელიც მღვდლის შვილი გახლდათ. მას შვილი არ ჰყავდა და მამაჩემი შვილივით გაზარდა. ადრე არ ვიცოდი, მონაზვნობა რა იყო, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ბებია მონაზონივით ცხოვრობდა. როდესაც მეუღლე გარდაეცვალა და მარტო დარჩა, მთელი ცხოვრება თავისი მაზლიშვილის შთამომავლების აღზრდას შეალია. ოჯახში ექვსი ბავშვი ვიზრდებოდით და პატარა სახლში სულ ჟრიამული იყო. მარიამ ბებიას კი ჩვენ მიმართ ცუდი სიტყვა ან წყევლა ერთხელაც არ წამოცდენია.როცა გავიზარდეთ, მერე მივხვდით, რომ ბებია ქრისტიანულ ადათ-წესებს იცავდა.

მარხვის პერიოდში ჩვენთან არასამარხვო კერძი არასდროს მზადდებოდა. ზოგჯერ ბებია მეტყოდა ხოლმე, ცოტა ძლიერი და ანჩხლი უნდა იყო, თუ ვინმე გიყვარს, უთხარი, ნუ გრცხვენიაო. ამას იმიტომ მეუბნებოდა, რომ პატარაობაში ძალიან მორიდებული ვიყავი. ჩემი უფროსი ძმები ძლიერები იყვნენ, ღვინოს სვამდნენ კიდეც, მე სიგარეტსაც კი არ ვეწეოდი. ალბათ ამიტომ არ გამჭირვებია ეკლესიის წიაღში ცხოვრება, რადგან დასათმობი არაფერი მქონდა. ბავშვობიდან ბუნებრივად ვიცავდი საეკლესიო წესებს.

— როგორ დგამდით პირველ ნაბიჯებს ეკლესიისკენ, რა დაბრკოლებები შეგხვდათ?

— ამ გზაზე წინააღმდეგობებიც შემხვდა, მაგრამ დაუძლეველი არ ყოფილა. ცხოვრებაც შეიცვალა, ხალხი ათეისტური წყობიდან გამოვიდა და ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ახალგაზრდებში. ჩემი სტუდენტობის პერიოდში ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. როგორც კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია მეორე აკურთხეს, მან რეფორმების გატარება დაიწყო. კომუნისტების დროს და სასულიერო პირების მიმართ მუდმივად ირონიული დამოკიდებულება იყო, სულ დასცინოდნენ. უწმინდესმა და უნეტარესმა კი ეს დამოკიდებულება დაანგრია. ეს იყო გასული საუკუნის 70-80-იანი წლები. მაშინ მე უკვე აქტიური ცხოვრება მქონდა დაწყებული, ოპერის თეატრში ვმუშაობდი.

უწმინდესმა თავისი აღსაყდრების შემდეგ დეკანოზ მამა პავლეს (ბერიშვილი) დაავალა, რომ სასწრაფოდ მგალობელთა ახალი გუნდი შეექმნა. მე და ჩემმა მეგობრებმა სწორედ ამ კუთხით დავიწყეთ ტაძართან ურთიერთობა. მათ ცოტა მოგვიანებით შევუერთდი, რადგან ამიერკავკასიის სამხედრო ანსამბლში ვიყავი და სამი თვით ავსტრალიაში, გასტროლებზე გახლდით. 1979 წლის შემოდგომაზე სიონის ვაჟთა მგალობელთა გუნდს შევუერთდი. ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯი ტაძრისაკენ.

— როდის გადაწყვიტეთ, რომ სასულიერო პირი გამხდარიყავით?

— ერთი საოცარი ამბავი მოხდა: 1982 წლის 8 თებერვალს, დავითობის დღესასწაულზე, უწმინდესმა და უნეტარესმა მგალობელთა გუნდის წევრებს დაავალა, რომ საღამოს პარაკლისზე მოეწვიათ ისეთი ადამიანი, ვისაც „გალობანი სინანულისანი“ უნდა წაეკითხა. მათ კი მე და ჩემი მეგობარი (შემდგომში ჩემი ნათლული) ჯონი ჯანჯალაშვილი მიგვიწიეს. ის სცენა დღესაც თვალწინ მიდგას. მე და ჯონი ამბიონზე ვიდექით და ვკითხულობდით, მგალობლები კი გალობდნენ. გალობა რომ დაიწყო, კათოლიკოს-პატრიარქი მუხლებზე დაეშვა და მთელმა ტაძარმაც მუხლებზე დაიჩოქა. მთელ ტაძარში იმ წუთებში საოცარი სიტუაცია იყო და მეც განსაკუთრებული განცდა დამეუფლა. მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ ჩემს თავს კი არა, უფალს ვეკუთვნოდი.

პარაკლისის დასრულების შემდეგ უწმინდესმა საკურთხეველში მიმიხმო. იგი თავის სკამზე იჯდა, მე კი მის მუხლებთან დავეშვი. მისგან ლოცვა-კურთხევა მივიღე, შემდეგ გულში ჩამიკრა და მითხრა: „ბატონო ამირან, მე რამდენიმე წელია პროტოდიაკონი არ მყავს და კანდიდატს ვეძებ. ერთ-ერთი, იცოდეთ, თქვენ იქნებით. იფიქრეთ“. ბედნიერებისგან სიტყვის თქმაც ვერ გავბედე. მხოლოდ ის ვუპასუხე, მოვიფიქრებ-მეთქი. ფიქრს კი, არც მეტი და არც ნაკლები, ხუთი წელი მოვანდომე.

„მახითმადიდებლების სამყაროში ჩემმა ხმამ პირველად გაიღეღერა. იქაური სასულიერო პირებში ამან დიდი ემოციები გამოიწვია. დიდი მიტროპოლიტები ძმას მეძახდნენ, მეფერებოდნენ და დახურვის ცერემონიაზე დამაჯილდოვეს, როგორც მართლმადიდებლურ სამყაროში საუკეთესო ხმა“.

— ამდენი ხანი რატომ დაგჭირდათ?

— ოცი წლის განმავლობაში სცენაზე ვიდექი და ამ ყველაფერთან განშორება ჩემთვის რთული იყო. პატრიარქმა პროტოდიაკვნობის მოვალეობის შემსრულებელი აიყვანა, მე კი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გავხდი მსახური. მანამდე კი ყველა ჩემს საყვარელ საქმეს გამოვემშვიდობე — თეატრს, ტელევიზიას, კულტურის სამინისტროს. ოჯახსაც დავეკითხე. წინააღმდეგი არავინ წასულა და მეც სულიერად განვმტკიცდი.

— სანამ ფიქრობდით, პატრიარქს აღარ შეხვედრიხართ?

— არა, ვემალებოდი. მრცხვენოდა მასთან შეხვედრის, რა პასუხი უნდა გამეცა? უწმინდესი ხუთი წელი მოთმინებით მელოდა. შემდეგ უკვე მივიღე გადაწყვეტილება, ჩემს საქმიანობას ჩამოვშორდი და საპატრიარქოში მივედი. კარგად მახსოვს, 1987 წლის 9 ნოემბერი იყო. უწმინდესს შევხდი და ვუთხარი, რომ მზად ვიყავი, მისი პროტოდიაკონი გავმხდარიყავი. მისი რეაქცია ისეთი იყო, გაოცებული დავრჩი. ძალიან გაუხარდა, მთელ საპატრიარქოს დაუძახა და მათ ჩემი შესამოსელის შეკერვა დაავალა. ასევე უთხრა, რომ ჩემთვის ხუცური სასწრაფოდ ესწავლებინათ. არ ვიცოდი, მისი უწმინდესობა ასე ძალიან რატომ ჩქარობდა.

1988 წლის ზაფხულში, რუსეთის გაქრისტიანების მეათასე წლისთავი იყო, სადაც მთელი მსოფლიო და ყველა კონფესიის მიმდევარი ადამიანები იყვნენ მიწვეული. ეს იყო ყველაზე დიდი და პომპეზური ზეიმი. მღვდლად ახალი ნაკურთხი ვიყავი, როცა კათოლიკოს-პატრიარქმა იქ წამიყვანა. თურმე ამიტომ ჩქარობდა ჩემს პროტოდიაკვნად დასმას, რომ ამ დიდ დღესასწაულზე წარვედგინე.

— როგორც ვიცით, მაგ დღესასწაულზე დაგაჯილდოვეს კიდეც.

— მართლმადიდებლურ სამყაროში ჩემმა ხმამ პირველად გაიღეღერა. იქაური სასულიერო პირებში ამან დიდი ემოციები გამოიწვია. დიდი მიტროპოლიტები ძმას მეძახდნენ, მეფერებოდნენ და დახურვის ცერემონიაზე დამაჯილდოვეს, როგორც მართლმადიდებლურ სამყაროში საუკეთესო ხმა.

— საქართველოს პატრიარქის გვერდით, როგორც პროტოდიაკონი, რამდენ ხანს იყავით?

— შვიდ წელზე მეტი მისი უწმინდესობის პროტოდიაკონი ვიყავი და ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ხელოვანს, მსოფლიო ნანახი მქონდა, მეორედ უკვე შავი კაბით შემოსილმა მოვიარე. მე უწმინდესისა და უნეტარესის განუყოფელი ნაწილი ვიყავი. მისი დახმარება მევალებოდა, თუმცა თავიდან პირიქით იყო, თავად მეხმარებოდა, რადგან ბევრი რამ არ ვიცოდი.

წლების შემდეგ ამ დღის ვიდეოჩანაწერი ვნახე, სადაც მეც ვჩანვარ. საკმაოდ სასაცილოდ გამოვიყურები, ვერც ვჯდებოდი, ვერც ვიდექი, რადგან სასულიერო პირის სამოსს მიუჩვეველი ვიყავი. არ ვიცოდი, ანაფორა როგორ მეტარებინა, კაბაზე სულ ფეხს ვიდგამდი. პატრიარქი კი ყველაფერს თავად მასწავლიდა, ანაფორის ჩაც-

მა-გახდაში მეხმარებოდა. არადა მე უნდა დავმხარებოდი ლოცვის დროს შემოსვაში. ძალიან მერიდებოდა, რომ მის უწმინდესობას ასე ვაწუხებდი და ვთხოვე, ვინმე მოეძებნა, ვინც ამ ყველაფერში დამეხმარებოდა. გავიგე, რომ იყო ერთი კაცი — მამა ალექსანდრე აბაიშვილი, რომელმაც სასულიერო სფეროში ყველაფერი კარგად იცოდა. იგი ყოფილი დიაკვანი იყო, დასჯილი იყო და მედავითნედ მსახურებდა. პატრიარქს ვთხოვე, რომ აღედგინათ და დამხმარებოდა საეკლესიო ადათ-წესების ათვისებაში. მართლაც დამთანხმდა ამაზე, მამა ალექსანდრე ჯერ დიაკვნად აღადგინა, მერე მღვდლად და ის ყველაფერში მეხმარებოდა. ჩემი უსაყვარლესი ძმა იყო, მცოდნე და თბილი ადამიანი.

■ საქართველოს პატრიარქთან ერთად

— თქვენ ახლო ურთიერთობა გაქვთ მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს პირველთან. როდის შეხვდით მას პირველად?

— როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობის ტრაქტატის აღდგენის სიგელი აიღო, მსოფლიო პატრიარქს მაშინ შევხვდი. იმ დროს მსოფლიო პატრიარქი დმიტრიოსი იყო, ახლანდელი მსოფლიო პატრიარქი — ბართლომეოს პირველი კი მიტროპოლიტი გახლდათ. ის სტუმრების მიღების, დაბინავებისა და გასეირნების საკითხებს აგვარებდა. მასთან უფრო შინაურულად ვიყავით, მაგიდასთან ერთად ვისხედით, ჩემს სიმღერას უსმენდა და ისე მეფერებოდა, როგორც პატარა ბავშვს. ერთი ფოტოც მაქვს გადაღებული, სადაც სახეზე მეფერება. დღესაც, მსოფლიო პატრიარქი რომ მნახავს, ისევ პატარა ბიჭი ვგონივარ.

„საფრანგეთში სულიერება ცოტა ნაკლები იყო, იქაური ქართველებიც ეკლესიისგან ცოტა მოხს იდგნენ, ყველაფერს პოლიტიკურ ელფერს აძლევდნენ. მათ რამდენჯერმე შევხვდი და ამ ადამიანებში ვერ დავინახე დიდი სურვილი იმისა, რომ მაინცდამაინც ქართველი მოძღვარი ჰყოლოდათ".

თურქეთში მცხოვრებ ქართველებისთვის ერთი ქართველი მოძღვარი უნდა გაეგზავნათ, რომ ისინი მოგვენათლა, გვექადაგა. მისმა უწმინდესობამ იცოდა, რომ ბართლომეოსს ძალიან ვუყვარდი და გადაწყვიტა, თურქეთში გავეშვი, თუმცა ჩემი სისუსტე აღმომაჩნდა და მსოფლიო პატრიარქს იმედები ვერ გავუმართლე. ვიცოდი, რომ ემიგრაციაში ყოფნას ვერ შევძლებდი.

— გარკვეული პერიოდი პარიზში იცხოვრეთ...

— ცოტა ხანი ვიცხოვრე იმიტომ, რომ მსოფლიო პატრიარქმა მოსამზადებლად პარიზში, ბერძნულ ეკლესიაში გამიშვა. უცხოეთში ვერ გავძელი და სამშობლოში დავბრუნდი. ვისაც უცხო ქვეყანაში ცხოვრება გამოუცდია, ამას ყველა მიხვდება. ფაქტობრივად საქართველოში ვეღარ დავბრუნდებოდი, რადგან ავსტრალიაში უნდა მეცხოვრა და მსოფლიო პატრიარქის დაქვემდებარებაში ყოფილიყავი. რომ წარმოვიდგინე, ჩემი ქვეყნისგან შორს ვიცხოვრებდი, ძალიან განვიცადე, რამდენიმე დღეში დავბერდი, თმა გამითეთრდა. საუცხოო პირობებში ვიყავი, მომვლელები მყავდა, მაგრამ იქ მაინც ვერ გავძელი.

ეს ალბათ ერთგვარი გამოცდაც იყო ჩემთვის, რომ გამერკვია, სულიერებისკენ უფრო მქონდა მიდრეკილება თუ ფუფუნებისკენ. საფრანგეთში კი სულიერება ცოტა ნაკლები იყო, იქაური ქართველებიც ეკლესიისგან ცოტა შორს იდგნენ, ყველაფერს პოლიტიკურ ელფერს აძლევდნენ. მათ რამდენჯერმე შევხვდი და ამ ადამიანებში ვერ დავინახე დიდი სურვილი იმისა, რომ მაინცდამაინც ქართველი მოძღვარი ჰყოლოდათ. მათ ვუთხარი, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით" ჩამოვედი, ხელოვანი ვარ და შემიძლია თქვენს შვილებს ბევრი რამ ვასწავლო-მეთქი. მათ კი ვერ გამიგეს. ამიტომაც დავემშვიდობე. საქართველოში ჩემი ოჯახი, ჩემი პატრიარქი, ჩემი ეკლესია და სამშობლო მელოდა და მართლაც უკან დავბრუნდი.

ორი პატრიარქისგან ასეთი მნიშვნელოვანი მისია დამევალა და უნდა აღმესრულებინა, მაგრამ მივხვდი, ვერ შევძლებდი. სახარებაში წერია, რომ სადაც შეხვალ და არ მიგიღებენ, გაიწმინდე ფეხი და იმათი მტვერიც არ წამოიღოო.

— საქართველოში დაბრუნების შემდეგ რომელ ტაძრებში იმსახურეთ?

— დიდხანს ბათუმში ვიმსახურე, ბევრი აჭარელი დავინათესავე. ორი ტაძარი აღვადგინეთ, მოვუარეთ. ვცდილობდი, რომ ჩვენი პატრიარქის ყველა კურთხევა აღმესრულებინა. დღესაც მის მორჩილებაში გახლავართ. სიონის გარდა, თბილისში სხვა ტაძარში არ მიმსახურია. ანჩისხატში ერთი წელია, რაც გადმოვედი. აქ დიდი სითბო დამხვდა და, რაც მთავარია, ოფიციალური ურთიერთობები არ მჭირდება, რამაც ძალიან დამღალა. მიკვირს, ჩვენი უწმინდესი როგორ ახერხებს, ოფიციალურ ვიზიტებზე წავიდეს, მიღებები გამართოს და ა.შ. მე ბუნებრივად მინდა ვიცხოვრო და ამ პატარა ტაძარში ამის საშუალება ნამდვილად მაქვს.

ბათუმში ეკლესიის წინამძღვარი ვიყავი, თბილისში კი ალბათ ჯერ არ აშენებულა ისეთი ტაძარი, სადაც წინამძღვრად ვივარგებ, მაგრამ მეორე და მესამე მოძღვრად სადაც ვიქნები, ღვთის მადლობელი დავრჩები. მიხარია, რომ მთელი საქართველო და მართლმადიდებლური სამყარო მიცნობს. ყველა აღმსარებლობის მქონე ხალხთან მაქვს ურთიერთობა. ჩემთან მაჰმადიანებიც მოდიან, კათოლიკეებიც, ებრაელებიც და მათ ჩვეულებრივად ვესაუბრები. ჩემი გზა ტაძრისაკენ დღემდე გრძელდება.

— დაბოლოს, თქვენ შეიარაღებული ძალების კაპელანი ბრძანდებით. ჯარისკაცებთან როგორია საუბრები გაქვთ?

— ანჩისხატში გადმოსვლის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში პატარა სასწაული მოხდა და ჩვენი ჯარის მოძღვარი გავხდი. ამან გამაახალგაზრდავა. მათთან ყველაფერზე ვსაუბრობ — პატრიოტიზმზე, ვაჟკაცობაზე, სიყვარულზე, უფალზე, ქვეყანაზე, ოჯახზე და ა.შ. არ არსებობს, ჩემი ლექცია ან შეხვედრა ხუმრობის გარეშე დავასრულო. წარმოიდგინეთ, ათასკაციან აუდიტორიაში ლექციას ვკითხულობ და თან ახალგაზრდებს ვეუბნები, არ დამავიწყოთ, რომ ბოლოს რამე უნდა ვიხუმრო-მეთქი. გულიანად გაიცინებენ ხოლმე. ისინი ზოგჯერ ბაბუას მეძახიან. ჯერ კიდევ ბათუმში ყოფნისას მრევლი ბაბუს მეძახდა და ეს სახელი დღემდე შემომრჩა.

ახლა მძიმე მარხვაა და თქვენს მკითხველსაც და მრევლსაც ვუსურვებ, ეს ყველაფერი მსუბუქად გადაიტანონ. მარხვა სულის ზეიმია და თუ ამას სიყვარულით დავიცავთ, ეს დრო ისე უცებ გაივლის, ვერც კი გავიგებთ. ღმერთმა დაგლოცოთ!

✓ თეონა კენჭაშვილი

სამზარეულო

რას გვთავაზობენ ცნობილი ქალები სამარხვო სუფრაზე

საქართველოში დღეს იშვიათია ოჯახი, სადაც ერთი წევრი მაინც არ მარხულობს. დიდმარხვა დაიწყო და ალბათ ჩვენი მკითხველებისთვის საინტერესო იქნება, საზოგადოებაში ცნობილი ხელმარჯვე ქალები როგორ ართმევენ თავს ამ საპასუხისმგებლო პერიოდს კულინარიული კუთხით, რას სთავაზობენ ისინი ოჯახის წევრებს.

მომღერალ თამრიკო ჭოხონელიძის ოჯახში მარხვის შენახვა ცხოვრების წესია. შესაბამისად, მენიუც მრავალფეროვანი აქვთ. დიასახლისმა „სარკეს" ორი ნაცადი რეცეპტი შესთავაზა:

— სამარხვო ჟულიენი შემდეგნაირად მზადდება: მოვხარშავთ ნახევარ კილოგრამ ქამა სოკოს და წვრილად დავჭრით. ნახარშ წყალს შევინახავთ. სამ მოზრდილ თავ ხახვს ასევე ძალიან წვრილად დავჭრით და სოკოსთან ერთად მოვშუშავთ. ჩავუმატებთ ნახევარ ჩაის კოვზ დანაყილ ნიორს. პარაღელურად 4-5 ცალ გახეხილ კარტოფილს ზეთში შევწვავთ. ასე ბევრად ნაზი გამოვა. კარგად უნდა შეიბრაწოს. კარტოფილი მზად რომ იქნება, სოკოს ნახარშ 100 გრამ წვენს შევურევთ და სახურავს დავახურავთ. როცა სუფრაზე გატანას დავაპირებთ, ხელახლა შევაცხელებთ სოკოს და ამ მასას ქილა მაიონეზს ჩავასხამთ. გემოვნებით ვუზამთ მარილს და შავ პილპილს. ბოლოს ბრტყელ დიდ თეფშზე კარტოფილს თხელ ფენად დავდებთ და ზემოდან მოვასხამთ სოკოს მასას. ძალიან გემრიელია.

■ თამრიკო ჭოხონელიძე

ახლა დესერტი. ბლინის ცომი ძალიან კარგი მაშინ გამოდის, როცა მინერალური წყლით ვზელთ. ყველამ კარგად ვიცით, როგორ იზილება ბლინის ცომი, კრემზე ცოტა უფრო თხელი უნდა იყოს. ერთი ლიტრი მინერალური წყლით მოზელილი ცომისგან დაახლოებით 20-25 ბლინი კეთდება. ორივე მხრიდან უნდა გამოვაცხოთ. სანამ ბლინები დაცხვება, შიგთავსს მოვამზადებთ. ერთ პაკეტ კაკაოს დავამატებთ 250 გრამ სამარხვო კარაქს და 200 გრამ შაქარს. თუ ტკბილი გიყვართ, შეგიძლიათ მეტი შაქარი უყოთ. ვანილს დააყრით და დაახლოებით 50-100 გრამ წყალს დაასხამთ. დიასახლისები თავად მიხვდებიან, წყალი რამდენი უნდა, ფაქტობრივად სამარხვო შოკოლადი უნდა მივიღოთ. ამ მასას, რომელიც აუცილებლად არაემალირებულ ქვაბში უნდა იყოს მოთავსებული, წამოვადუღებთ და თან უნდა ვურიოთ. ადუღებიდან 5 წუთში უკვე მზადაა, მერე გავაციებთ. შემდეგ ბლინებში ჩავდებთ და სამკუთხედად გადავკეცავთ, თუ გნებავთ, უბრალოდ გადაახვიეთ. ძალიან გემრიელია და თან არც ისე რთულად მოსამზადებელი.

■

მსახიობ თამარ მაყაშვილს არასოდეს ეზარება გაზქურასთან დგომა. სამარხვო კერძების მომზადება მასაც უწევს და →36

Cyan Magenta Yellow Black

■ თამარ მაყაშვილი

„სარკის“ მკითხველებს სიამოვნებით გაუზიარა ბოსტნეულის სალათის მომზადების რეცეპტი:

— გასწავლით ძალიან გემრიელ ბოსტნეულის სალათას ბრინჯით. ერთი ჭიქა ბრინჯი 15 წუთის განმავლობაში ვხარშოთ მარილიან წყალში. შემდეგ გავწუროთ და გავაციოთ. სოუსის მოსამზადებლად ავთქვიფოთ ნახევარი ჭიქა ლიმონის წვენი, ნახევარი ჭიქა ზეთი და გემოვნებით მარილი. ბრინჯს შევურიოთ თხელ რგოლებად დაჭრილი 3 ცალი კიტრი და უკურკო ზეთისხილი, ასევე — გემოვნებით. ამ მასას დავაყაროთ ნახევარი ჭიქა მწვანე ბარდა, წვრილად დაჭრილი 3 ცალი პომიდორი, ერთი წითელი ბულგარული წიწაკა. ბოლოს დავასხათ მომზადებული სოუსი და ავურიოთ. სალათა მწვანილით მოვრთოთ.

■

■ ნუნუ გაბუნია

კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას კერძები სახელგანთქმულია არამარტო საქართველოში, მას თაყვანისმცემლები უცხოეთშიც ჰყავს. ქალბატონმა ნუნუმ „სარკის“ მკითხველებს სამარხვო კატლეტებისა და სალათების იდეა მიაწოდა:

— მარხვის პერიოდში არაჩვეულებრივია სამარხვო კატლეტები. ერთი ჭიქა ნიწიბურა ორ ჭიქა წყალში მოვხარშოთ. ვიდრე გაცივდება, ცალკე ავიღოთ ნახევარი კილოგრამი სოკო, წვრილად დავჭრათ ერთი დიდი თავი ხახვი და სოკოსთან ერთად მოვშუშოთ. ცალკე ავიღოთ ერთი დიდი ან ორი მცირე ზომის კარტოფილი და სახეხზე გავხეხოთ. შემდეგ მოხარშული წიწიბურა, მოშუშული სოკო და გახეხილი კარტოფილი ერთად ბლენდერში გავატაროთ. გემოვნებით ვუყოთ მარილი, პილპილი, პურის ფქვილში ამოვავლოთ და შევწვათ.

ყვავილოვანი კომბოსტო ოდნავ მოშუშეთ, თუ გნებავთ, ცოცხლადაც შეიძლება. დაჭრილი მწვანე ხახვი. ცალკე მარილიან წყალში მოხარშეთ სამარხვო მაკარონი. ცოტა ზეთი ჩაასხით, რომ მაკარონი ერთმანეთს არ მიეწებოს. რომ მოიხარშება, გადაწურეთ და დაამატეთ მაიონეზი, პილპილი, მარილი და ყვავილოვან კომბოსტოში აურიეთ. შეგიძლიათ მოშუშული სოკოც დაამატოთ და ის ინგრედიენტებიც, რომლებიც გიყვართ ან ფიქრობთ, რომ ამ სალათას მოუხდება. დამიჯერეთ, ძალიან გემრიელია!

ყვავილოვანი კომბოსტო ნიგოზშიც შეგვიძლია გავაკეთოთ. კომბოსტოს მოვშუშავთ, გატარებულ ნიგოზს და ნიორს ცოტა წყალს დავამატებთ და მიქსერით ავთქვეფთ, დაახლოებით ისეთი მასა უნდა მივიღოთ, როგორიც ბაჟეა. ამ მასაში მოშუშულ ყვავილოვან კომბოსტოს ჩავალაგებთ.

■

■ ნანა ცინცაძე

ცნობილი სიმღერების ტექსტების ავტორი, პოეტი ნანა ცინცაძე, პროფესიით ექიმია და კარგად იცის, რომ მარხვაში და განსაკუთრებით გაზაფხულზე ადამიანის ორგანიზმს ვიტამინებით მიხმარება სჭირდება. ამიტომაც ჩვენს მკითხველს სასარგებლო ინგრედიენტებით მდიდარ წვნიანს სთავაზობს:

— წვნიანი კერძები ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია, განსაკუთრებით მარხვის დროს. მე გასწავლით სამარხვო ბორშჩს. დაბალ ცეცხლზე მოვხრაკავთ წვრილად დაჭრილ ორ პატარა ხახვს და კომბოსტოს ერთად. რომ მოიშუშება, წვრილად დაჭრილ რამდენიმე ცალ სტაფილოს დავამატებთ. ამასობაში დაჭრილ კარტოფილს ცალკე მოვხარშავთ. კარტოფილი რომ მოიხარშება, მოშუშულ კომბოსტოს და სტაფილოს მასას შევურევთ. დაგვჭირდება ცოტა ქინძი, ოხრახუში, კამა და ნიახური, გემოვნებით ნიორი, შავი წიწაკა და მარილი. მწვანილს რომ შევურევთ, პომიდვრის საწებელი აუცილებლად უნდა ჩავამატოთ. გახეხილ ჭარხალს ჩავაყრით თუ არა, ცეცხლიდან უნდა გადმოვდგათ. ბოლოს ცოტა ძმარს დავასხამთ. შეგიძლიათ სამარხვო მაიონეზთან ერთად მიირთვათ.

მარხვაში ძალიან კარგი გამოსავალია ბადრიჯანი, რომელიც მრავალნაირად შეგვიძლია გავაკეთოთ. მაგალითად, სიგრძეზე დავჭრათ და ორივე მხრიდან შევწვათ. დავნაყოთ ნიორი, გემოვნებით ვუყოთ მარილი. ეს მასა ძმარში გავხსნათ, შემწვარ ბადრიჯანს წავუსვათ და გადავკეცოთ.

ბადრიჯნის მომზადების მეორე ვარიანტი ასეთია: შეგვიძლია ავიღოთ ყველანაირი მწვანილი, გარდა ნიახურისა და წვრილად დავჭრათ. მწვანილს რამდენიმე კბილი გატარებული ნიორი, ცოტა ძმარი და მარილი დავამატოთ. ეს მასა წავუსვათ შემწვარ ბადრიჯანს და გადავკეცოთ. საკმაოდ გემრიელია.

გემრიელ სამარხვო კერძებს დესერტიც ხომ უნდა მივაყოლოთ? ამიტომ გასწავლით ბლინებს კვერცხის გარეშე. ერთ ლიტრ წყალში ცოტა მარილს და ორ ჩაის კოვზ შაქარს ჩავყრით. შემდეგ იმდენ ფქვილს ჩავაყრით, რომ ცომი ძალიან თხელი არ იყოს. ორი სუფრის კოვზი ზეთი არ დაგვავიწყდეს, რომ რბილი მასა გამოვიდეს. ზოგი სოდასაც უშვრება, მაგრამ მე — არა. ბლინის გამოსაცხობ სპეციალურ ტაფაზე დააცხობთ, გადმობრუნება არ სჭირდება. შეგვიძლია ბლინებს შაქარი მოვაყაროთ და გადავახვიოთ, ან შაქრის ნაცვლად მურაბა, ჯემი წავუსვათ. ძალიან გემრიელია.

✓ ქეთი დინოშვილი

ნუცა შანშიაშვილმა ამერიკაში ბიჭი გააჩინა

■ ნუცა ქმართან ერთად

ამერიკელ ნუცა შანშიაშვილს პირველი შვილი, ბიჭი შეეძინა. პატარას ნიკოლასი დაარქვეს. ნუცა და მისი მეუღლე, თემურ ტაგიევი, წლებია, რაც ამერიკაში ცხოვრობენ. მომღერალმა ნიუ იორკში იმშობიარა. დიდხანს არავინ იცოდა, რომ ის ბავშვს ელოდებოდა, ორსულობას საქართველოში მყოფ დედას, მსახიობ მზია მაღლაკელიძესაც კი მთელი 9 თვე უმალავდა. მოულოდნელი ოჯახური სიხარულის შესახებ ქალბატონმა მზიამ „სარკეს“ უამბო:

— ჩემთვის ეს ამბავი მოულოდნელი იყო. ნუცას არც უთქვამს, ორსულად თუ იყო. ამერიკაში რომ წავიდა, „სკაიპით“ ვეკონტაქტებოდი და, ბუნებრივია, ასე ვერაფერს მივხვდებოდი. ერთ დღესაც ისევ დავურეკე, ვთხოვე, კომპიუტერთან მოდიმეთქი. მითხრა, სამშობიაროში მივდივარო... საღამოს 9 საათი იყო. ალბათ წარმოგიდგენიათ, დილის 6 საათამდე როგორ ვინერვიულებდი.

— რატომ გამხლავდათ ორსულობას?

— მითხრა, ისე ინერვიულებდი, ადრე მამშობიარებდი და ამიტომ არ გითხარიო.

— როგორი ორსულობა და მშობიარობა ჰქონდა?

— როგორც მითხრა, ყველაფერმა გართულებების გარეშე ჩაიარა. თვითონ გადაწყვიტა, რომ საკეისრო კვეთა გაეკეთებინა. შეეძლო ფიზიოლოგიურად ემშობიარა, მაგრამ ეს რაღაც დოზით ხმის იოგებზე მოქმედებს. ბავშვი 3 კილო და 400 გრამი დაიბადა. ქმარი მშობიარობას დაესწრო და თურმე ტირილი აუტყდა. ნუცამ მითხრა, რომ არაჩვეულებრივ საავადმყოფოში იწვა. იმ კლინიკაში ვიღაც ქართველი გინეკოლოგიც ყოფილა, თურმე ნუცას გვერდიდან არ შორდებოდა.

— რა დაარქვეს პატარას?

— ჩემი შვილიშვილი ნიკოლას ტაგიევია. თბილისში ნიკალას დაუძახებენ, ამერიკაში — ნიკოლასს.

— ახლა მანც თუ გეკითხებათ ქალიშვილი რჩებოდა ბავშვის მოვლისთვის?

— კი, მეკითხება, მაგრამ მერე მაინც თავის ჭკუაზე უვლის. ნუცა მთელი ცხოვრება ასეა — მისმენს, მაგრამ როგორც უნდა, ისე ცხოვრობს. ერთი ამბავი მომიყვა: თურმე საავადმყოფოში ბავშვმა ტირილი დაიწყო, ნუცამ უმღერა და დედის ხმის გაგონებაზე გაიტრუნა.

გიგი დედალამაზიშვილი პირველი დისშვილის ბიძა გახდა

10 მარტს ჯგუფ „ბგზავრების“ მთავარი სახე, გიგი დედალამაზიშვილი, ბიძა გახდა. მის დას, ამავე ანსამბლის ყოფილ წევრს, ნინის, პირველი შვილი შეეძინა — გოგონა, რომელსაც ელენე დაარქვეს. ამ ფაქტმა გიგის ცხოვრებაში დიდი ცვლილება გამოიწვია — ჩვილი ბავშვების შიში დაძლია და დისშვილის მოვლაში აქტიურად მონაწილეობს. მანამდე ხმები გავრცელდა, რომ ნინი მეუღლეს, კოტიკო ყიფიანს გაშორდა, თუმცა ახლა ცოლქმარი ერთად არიან. ამ ყველაფრის შესახებ ახალბედა დედამ „სარკეს“ თავად უამბო:

■ დედა-ვაჟი

— ბავშვს ელენე დავარქვით. 3 კილო და 51 სანტიმეტრი გაჩნდა. სქესი წინასწარ ვიცოდით და სახელი მამამ შეურჩია. ორსულობის პერიოდში ვნერვიულობდი, ფორმა არ დამეკარგა. ყურადღების ცენტრში ვიყავი და ეს ძალიან მომწონდა. კარგი ორსულობა მქონდა. ფიზიოლოგიურად ვიმშობიარე.

— ნინა ამბობდნენ, რომ მეუღლეს კოტიკო ყიფიანს გაშორდით. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

— ყველას ცხოვრებაში ხდება დაძაბულობა თუ კონფლიქტი. სერიოზულად არც აღვიქვამ იმ გაუგებრობას, რაც მეუღლესთან მქონდა. დღეს კარგად ვარ. ქმარი ჩემს მშობიარობასაც დაესწრო. ძალიან კარგი მამაა.

— ვიგის რეაქცია როგორი იყო, როცა დისშვილის დაბადების შესახებ შეიტყო?

— როგორც მიყვებიან, გიგი შოკში იყო. მას ეშინია თოთო ბავშვების, მაგრამ ელენე რომ დაინახა, ისე შეიცვალა, რომ მოვლაშიც მეხმარება.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

ბრონქობრიუ დექსტრო

დექსტრომეტორფანის ჰიდროქლორიდი გუაიფენეზინი

ჯანმრთელი ბრონქები – სუფთა ბგერები

ხველის საწინააღმდეგო საშუალება ბავშვებისა და მოზრდილებისთვის

- ამცირებს ხველას
- ათხევადებს ნახველს
- აადვილებს ამოხველებას
- ამცირებს სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის შეშუპებას

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Brupharmexport

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 296-72-27

„ჯიდიესი“ შოუბიზნესს 50 ახალ კლიპს შემატებს

ელექტრონულია „ჯიდიესმა“ გრანდიოზული მუსიკალური პროექტი „ჯორჯიან დრიმერსი“ წამოიწყო, რომელსაც მაყურებელი ყოველ ორშაბათს, 23:00 საათზე ნახავს. ეს პროექტი ქართული შოუბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. პროექტში მონაწილე დამწყებ მუსიკოსებს საშუალება ეძლევათ, საკუთარი მუსიკალური შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინონ, საკუთარი მუსიკალური ნაწარმოები შექმნან და მაყურებლის რეაქციას დაელოდონ.

პროექტის ფარგლებში „ჯიდიესი“ ქართულ შოუბიზნესს 50-მდე ქართულ ვიდეოკლიპს შესთავაზებს. კლიპები და სიმღერები აქტიურად იტრიალებს როგორც „ჯიდიესზე“, ასევე რადიო „ფორტუნა პლუსის“ ტალღაზე. თითოეულ მონაწილეს, მომღერალს თუ ბენდს აქვს საკუთარი სმს-ნომერი, სადაც გულშემატკივრებს შეუძლიათ, დაუმესიჯონ. ხალხის ჩრეულის გარდა გამოვლინდება ტელევიზიისა და ინტერნეტ-სიმპათიები. პროექტის დასრულების შემდეგ „ჯორჯიან დრიმერსში“ მონაწილე ყველა ჯგუფს თუ სოლო მომღერალს საშუალება ექნება, მოხვდეს ქართულ ტოპათეულში, რომელიც სისტემატურად იტრიალებს „ჯიდიესზე“.

ახალ მუსიკალურ პროექტს ორი წამყვანი ჰყავს, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახე, მსახიობი კახა კინწურაშვილი და დებიუტანტი, 19 წლის ნუცა მესტუმრიშვილი, რომელიც სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლობს.

ნუცა მესტუმრიშვილი:

– ძალიან მიხარია, რომ „ჯიდიესზე“ მოვხვდი, როგორც ტელეწამყვანი, რადგან ეს ჩემთვის დიდი გამოცდილებაა. ამ ტელევიზიაში რამდენიმე თვის წინ სულ სხვა გადაცემის კასტინგზე მოვედი, მაგრამ სულ სხვა მუსიკალურ პროექტზე დამამტკიცეს, რაც უფრო მომეწონა.

– როგორ მოირგეთ ტელეწამყვანის ამპლუა, როგორ მოემზადეთ ეკრანისთვის?

– ეკრანზე მუშაობისათვის მოსამზადებლად დიდი დრო არ მქონდა. მაშინვე კამერასთან აღმოვჩნდი პირისპირ და ეს უფრო დამეხმარა სირთულეების გადატანაში. მიუხედავად იმისა, რომ სამსახიობოზე ვარ, იქ კამერასთან ურთიერთობას არ გვასწავლიან, ამიტომ ჩემთვის პროფესიონალურადაც დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ამ პროექტში მუშაობა.

– ორი გადაცემა უკვე გავიდა ეთერში, კმაყოფილი ხართ შედეგით?

– ჩემს გადაცემებს რომ ვუყურებ, რატომღაც მრცხვენია, არადა მეუბნებიან, კარგად მუშაობ ეკრანზეო. რისი მრცხვენია, დღემდე ვერ ვხვდები.

– თქვენ რას ელით ამ მუსიკალური პროექტისაგან?

– ვფიქრობ, „ჯორჯიან დრიმერსი“ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქართულ შოუბიზნესზე. დღეს ამ სფეროში არაფერი ხდება, არ არსებობს კლიპების ტოპათეული, ჩვენ კი ამ პროექტით ათ სრულიად ახალ და განსხვავებულ კლიპს შევთავაზებთ მაყურებელს. გარდა ამისა, იქნება საკონცერტო ნომრებიც.

– თქვენი თანაწამყვანი კახა კინწურაშვილია, რომელსაც დიდი სატელევიზიო გამოცდილება აქვს. როგორ გეხმარებოდათ?

– კახას მანამდე არ ვიცნობდი და ძალიან კარგი ადამიანი აღმოჩნდა. ყველანაირად შემიწყო ხელი, რომ კამერის წინ თავისუფლად ვყოფილიყავი.

– რამდენად მოგწონთ ის მუსიკა, რასაც კონკურსანტები ასრულებენ?

– რამდენიმე მათგანს მანამდეც ვუსმენდი და ახლაც ვგულშემატკივრობ, მაგრამ, როგორც წამყვანი, ვცდილობ, ზედმეტი სიმპათია და საკუთარი გემოვნება არ წარმოვაჩინო. ჩემი მთავარი მიზანია, კონკურსანტებს კარგი და ხალისიანი განწყობა ჰქონდეთ.

კახა კინწურაშვილი:

– კახა, „ჯიდიესზე“ დაამთავრეთ მუშაობა პროექტზე „ისწავლეთ ჯიდიესთან ერთად“, რომელიც სატელევიზიო სფეროში მუშაობის მსურველი სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი, ახლა მუსიკალური პროექტის წამყვანი გახდით, რა აღმოჩნდა აქ თქვენთვის საინტერესო?

– ორივე პროექტი ადამიანებს საშუალებას აძლევს საკუთარი თავი წარმოაჩინონ, თავიანთი პროფესიით რეალიზება მოახდინონ. თუ ადრე ჩვენ შანსი მივეცით ტელევიზიაში მუშაობის მსურველებს, ახლა მუსიკოსებს ვაძლევთ არენას. მუსიკალურ პროექტზე წამყვანად მუშაობა ჩემთვის უცხო არ არის, რადგან აქამდეც მქონდა ამის გამოცდილება. ჩემთვის ეს პროექტი იმითაც არის საინტერესო, რომ საშუალება გვაძლევა, ახალი სახეები და ახალი მუსიკოსები აღმოვაჩინოთ. ეს შემოქმედებითი პროცესია და რაც ყოველთვის საინტერესოა.

– გვერდით გყავთ დებიუტანტი წამყვანი ნუცა, როგორც ამბობს, მას ძალიან დაეხმარეთ.

– ტელეეკრანზე მუშაობისას მთავარია, წამყვანი დაძაბულობისგან გათავისუფლდეს, მეტად იფიქროს თავის სათქმელზე. ნუცასაც სულ ამას ვურჩევ, მაქსიმალურად გაიხსნას და იყოს თავისუფალი. ტელეწამყვანს ყველაზე მეტად ხელს შინაგანი დაძაბულობა უშლის. ვფიქრობ, რომ ნუცა კარგი ახალი სახეა ჩვენი ტელევიზიისთვის.

– ამ პროექტის გამარჯვებულების კლიპებში თუ მიიღებთ მონაწილეობას?

– აქამდე კლიპებში არ მითამაშია და საერთოდაც, არ მახსენდება ქართული კლიპი, რომელიც კინოს პრინციპით იყოს გადაღებული. კლიპს თუ ექნება დრამატურგია და საინტერესო იქნება, რა თქმა უნდა, ვითამაშებ. უბრალოდ, ყავის მოწრუპვისათვის და ქუჩაში გავლისათვის არც კლიპებში ვთამაშობ და არც – რეკლამებში.

– ფაქტია, რომ თქვენ „ჯიდიესის“ წამყვანი სახე ხართ.

– ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ. ყოველ შემთხვევაში, ჩემს სამუშაო კონტრაქტში ნამდვილად არ წერია, რომ მე ამ არხის სახე ვარ. ფაქტია, რომ დღეს მე „ჯიდიესზე“ ვარ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეკრანზე წარმატებულად წარმოვჩნდე, მაგრამ კინო და თეატრი ჩემთვის მაინც პირველია.

●

რეპერი ჯერონიმოს სახელი წლების წინ პოპულარული იყო ქართულ შოუბიზნესში. გარკვეული პერიოდი ის საერთოდ გაუჩინარდა. ახლა კი შეცვლილი იმიჯით და ნაცნობი სახელით კვლავ გამოჩნდა ეკრანზე. ჯერონიმო თვლის, რომ ის აქამდე ჰიპ-ჰოპს არასწორი ინტერპრეტაციით აწვდიდა მსმენელს.

ჯერონიმო:

– ძალიან მიხარია, რომ შეიქმნა ისეთი მუსიკალური პროექტი, სადაც შემოქმედ ხალხს საშუალება მოგვეცემა, ჩვენი მუსიკა მსმენელამდე და მაყურებლამდე მივიტანოთ. ამ განწყობით გამოვაგზავნე ჩემი მონაცემები პროექტში და გავხდი კიდეც მონაწილე.

– რა პერსპექტივებს და შანსებს გაძლევთ ეს პროექტი?

– ბევრი მუსიკალური პროექტი არსებობს ქართულ ბაზარზე, მაგრამ ყველგან ისეთი დამოკიდებულებაა, რომ გაიმარჯვე და მორჩა, შენ თვითონ განაგრძე მუშაობა. ბერას მიდგომა მომეწონა, რომ ის ბოლომდე ზრუნავს. ამ პროექტში წარმოაჩინა არა მარტო ჰიპ-ჰოპი ან პოპი, არამედ ალტერნატიული მუსიკაც. ამ პროექტში ჩემი მონაწილეობა საკუთარი შესაძლებლობის აშკარა წინწაწევაა. ეს პროექტი ყველას გვაძლევს საშუალებას, ტელევიზია საკუთარი პროდუქტის პოპულარიზაციისათვის გამოვიყენოთ. ამაზე მეტი მუსიკოსს რა უნდა უნდოდეს?! ძალიან აზარტულია, როცა პროექტის მონაწილე ხარ. აშკარად აიწია ჩემი შემოქმედების ხარისხმა. როცა მოტივაცია არ არის, ყველაფერი მდორედ მიედინება. ახლა კი მობილიზებული ვარ და ძალიან მინდა ტოპათეულში მოხვედრა.

– თქვენ ერთი პერიოდი შოუბიზნესში აქტიური რეპერი იყავით, შემდეგ გაუჩინარდით. რატომ ვერ შეინარჩუნეთ აქტუალურობა?

– ჰიპ-ჰოპის ჟანრი წლების წინ მსმენელს ჩვენ თვითონ იმ ფორმით მივაწოდეთ, რომ არ მოსწონებოდათ, ამერიკიდან ცუდად გადმოღებული ვარიანტი გავაკეთეთ და ამიტომაც კარგა ხანი ჰიპ-ჰოპი საქართველოში პოპულარული არ იყო. დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ჩემი მუსიკით და ჩემი ლირიკით ცუდი გზით მივდიოდი, არასწორ ინფორმაციას ვაწვდიდი მსმენელს, ანუ არასწორ სათქმელს ვეუბნებოდი იმ თაობას, რომელიც მისმენდა, ამისთვის ყველას ბოდიშს ვუხდი. ჩემს ტექსტებში ისეთი რაღაცეები ჟღერდა, რაც ჩემთვის ყოვლად მიუღებელია. ჩემთვის აუცილებელი იყო, რომ გარკვეული პერიოდი დავკარგულიყავი. დავიკარგე იმისათვის, რომ საკუთარი თავი მეპოვა და გამეგო, რა და როგორ მეკეთებინა. რომ არა ბერა, ამ ჟანრში კიდევ ბევრ შეცდომას დავუშვებდით. ბერამ ქართული რეპი სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანა.

თეა გობეჯიშვილი მაღაზიებიდან ჯიბედაცარიელებული გამოდის

ქორეოგრაფ თეა გობეჯიშვილს ყოველ დილით ერთი პრობლემა აქვს — რა ჩააცვას ქმარ-შვილს, რადგან ისინი ამ საკითხში დიდ სიჯიუტეს იჩენენ. თეას ქმარი, ნიკა ლომიძე, არც თავად დადის მაღაზიებში და არც ცოლის შერჩეული სამოსი მოსწონს, ამიტომ თეა „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“-ს პოზიციაში ხშირად არის. საბოლოოდ მაინც მისი თავსატეხი ხდება ქმრის ჩაცმადახურვა. პატარა გოგონა ნიტა კი დედის გარდერობსაა შეჩენილი...

ერთი სიტყვით, თეას ქმარ-შვილის შემოსვაზე იმდენი დრო ეკარგება, თავის ჩაცმულობაზე დიდად აღარ ზრუნავს. ისედაც დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო უპირატესობას სპორტულ-კლასიკურ სამოსს და დაბალძირიან ფეხსაცმელებს ანიჭებს, თუმცა ტანსაცმლის ნაკლებობას არ უჩივის. შოპინგი მისი სისუსტეა, მაღაზიიდან ყველაზე ბოლოს გამოდის.

— თეა, ასაკის მატებასთან ერთად როგორ შეიცვალა თქვენი სტილი და შესაბამისად გარდერობი?

— ასაკის მატებასთან ერთად მეტი კომფორტის მოთხოვნილება გვიჩნდება და არა მხოლოდ ტანისამოსში, არამედ ყველაფერში. მაქსიმალურად ვცდილობ, ჩემს სამოსთან ჰარმონიაში ვიყო. როცა პატარა ვიყავი, შემეძლო, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ხშირად ჩამეცვა, მძიმე საყურეები გამეკეთებინა. დღეს ეს ყველაფერი ჩემთვის დიდი დისკომფორტია.

— მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე უარი თქვით?

— არა, როცა საჭიროა, ვიცვამ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ჩემი აქტიური რეჟიმიდან გამომდინარე, ხშირად უარს ვამბობ.

— ახლა თქვენი სტილი სპორტულია?

— სარეპეტიციო დარბაზში მაქსიმალურად მოხერხებულად რომ ვიყო, გამოსავალი სპორტულ-კლასიკურ სტილში ვიპოვე.

— როგორც შევამჩნიე, ჭრელი გარდერობი გაქვთ.

— ნამდვილად ასეა. ამინდისა და ხასიათის მიხედვით ხდება ჩემთვის ესა თუ ის ფერი საყვარელი. შეიძლება ერთ დღეს ერთი ფერი მომწონდეს, მეორე დღეს — სხვა. დილით როგორი ამინდიც დამხვდება, იმის მიხედვით ვირჩევ ტანსაცმელს. თუ მზიანი დღეა, ფერად სამოსს ვიცვამ, როცა მოჟამული ამინდია — მუქ ფერებს.

„ნიკამ პირველ პაემანზე ხელსახოცისგან საყურეები, გულსაბნევი და ბეჭედი გამიკეთა. ის ქალაღდის სამკაულები დღემდე ძალიან მიყვარს“.

— როცა გარდერობის კარს აღებთ, ზუსტად იცით, რისი ჩაცმა გინდათ თუ ბევრს ფიქრობთ ტანსაცმლის შერჩევისას?

— მარტივად ვწყვეტ. მთავარია, ხასიათზე ვიყო, რომ განსაკუთრებულად გამოვიყურებოდე. თუ ეს განწყობა არ მაქვს, რამდენიც უნდა ვიქექო გარდერობში, არაფერი გამომივა, ვერაფერს ავარჩევ.

— შოპინგი თქვენთვის როგორი პროცესია, რა

→40

ემოციებს უკავშირდება?

— სულ ვამბობ, რომ ჩემი პირველი ანტიდეპრესანტი ცეკვაა, მეორე — შოპინგი. ეს პროცესი არაჩვეულებრივი საშუალებაა, რომ მომდევნო ერთი კვირა მაინც განსაკუთრებულად კარგ ხასიათზე ვიყო. რა თქმა უნდა, გიხარია, როცა გარდერობში სიახლეები შეგაქვს. არასოდეს მეზარება მაღაზიებში ჩაცმა-გახდის პროცესი. შემიძლია მთელი დღე ვიარო და არ დავიღლები.

— მარტო მიდიხართ თუ აუცილებლად გჭირდებათ მრჩეველი?

— მირჩევნია, სხვამაც შემომხედოს, მაგრამ ყოველთვის მაინც იმას ვყიდულობ, რაც მომწონს. საკმოსი ინტიმური რამ არის, შენ უნდა გრძნობდე თავს კარგად. როცა სხვასთან ერთად ვარ, ამ პროცესით ვერთობი. ჩემთვის ძალიან რთულია ისეთი ადამიანის პოვნა, ვინც საყიდლებზე გამომყვება. ნიკამ გამომიცხადა, რომ შოპინგზე სიარული არ შეუძლია. მთელი თვე უნდა ვეხვეწო, რომ წამომყვეს. ერთხელ ჩემმა მეგობარმა ბიჭმა უთხრა, თეას მაღაზიებში მივყვებიო და ნიკამ უპასუხა, ვიზიარებო.

მაღაზიიდან ყველაზე ბოლოს მე გამოვდივარ, შემიძლია დაკეტვამდე იქ ვიყო. მთავარია, ის ერთი დღე თავისუფალი მქონდეს. იმ მომენტისთვის თანხა რამდენიც მაქვს, აუცილებლად ბოლომდე უნდა დავხარჯო. შეიძლება ერთი თეთრიც არ დავიტოვო. გამოსვლისას მაინც რაღაცას ჩავჭიდებ ხოლმე ხელს, რომ იქიდან ფული უკან არ გამომყვეს.

— ნიკას შოპინგი თუ არ უყვარს, ვინ ზრუნავს მის გარდერობზე?

— თქვენ არ იცით, რამდენი წვალება მჭირდება იმისთვის, რომ ნიკამ მაღაზიაში პიჯაკი მოიცვას და ვნახო, კარგად აქვს თუ არა. ხშირ შემთხვევაში მის გარეშე ვყიდულობ და აღმოჩნდება ხოლმე, ან პატარა აქვს, ან ისე ადგას ტანზე, რომ არ მოსწონს. იმ ტანსაცმლის 50 პროცენტსაც კი არ ხმარობს, რასაც მისთვის ვარჩევ.

— რატომ, თქვენი გემოვნება არ ემთხვევა ერთმანეთს?

— როცა მისთვის სამოსს ვარჩევ, უნდა გავითვალისწინო, რა მოსწონს, რა — არა. ბოლო დროს ორი ჟაკეტი ვუყიდე და არც ერთი ერთხელაც არ ჩაუცვამს. მიზეზი კი ისაა, რომ თურმე იმაზე სქელი ყოფილა, ვიდრე მას უნდოდა. ტანსაცმლის მიმართ რაღაცნაირი, თავისებური მიდგომა აქვს. მაღაზიაში არასოდეს ისინჯავს და ამიტომ სახლში ვხვდებით, რომ ეს მისი არ არის. სამაგიეროდ ყოველ დილით ჩვენს სახლში ძალიან მოსაბეზრებელია თემა — „რა ჩავიცვა“. დილით ყველაზე ადრე ნიტა დგება. ამიტომ ღამე უნდა მოვიფიქროთ, რა ჩაიცვას. ნიტას მერე ნიკა დგება და იმაზეც ვფიქრობ, მან რა ჩაიცვას. ისე ვიღლები მათ ჩაცმულობაზე ფიქრით, რომ მე ველარ დავიწყებ იმის რჩევას, ახლა რა ჩავიცვა-მეთქი. ამიტომ მე ყველაზე მარტივად ვიღებ გადაწყვეტილებას.

„ოცა ბატარა ვიყავი, შემეძლო, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ხშირად ჩამეცვა, მძიმე საყურეები გამეკეთებინა. დღეს ეს ყველაფერი ჩემთვის დიდი დისკომფორტია“.

— მეოთხეკლასელი ნიტა ჩაცმის საკითხში გემორჩილებათ?

— ადრე, რასაც დავულაგებდი, იმას იცვამდა, ახლა სულ იმის გამო წუწუნებს, რომ ჯინსების კი არა, კაბების ჩაცმა უნდა. გოგონებს უყვართ კაბების ჩაცმა, მაგრამ ნიტა განსაკუთრებით შეყვარებულია ფუშფუშა კაბებზე, რასაც მე ვაპროტესტებ. თან მისიც მესმის, რადგან ბავშვობაში მეც ძალიან მომწონდა ყველაფერი ის, რაც ბრჭყვიალებდა. დღემდე ასე ვარ, მაგრამ ამას უკვე ჩემს პროფესიას ვაბრალებ. ყველაფერ იმაზე, რაც ბზინავს, თვალები მრჩება.

— ვიცი, რომ ნიტას თქვენი ტანსაცმლის ჩაცმა ძალიან უყვარს. ამაზე ჩვენს ერთ-ერთ ინტერვიუში საუბრობდით.

— კი, ასეა, ნიტას ყველაფერი ჩემი აცვია. ერთი თუ შეძვრა ჩემს გარდერობში, მერე იქ უბედურება ხდება.

— ისეთი პროფესია გაქვთ და ისეთ წრეში ტრიალებთ, სადამოს კაბები აუცილებლად

ყელი მტკივა? გაშინჯე?
ჩვენ ეიშვილით მაშინვე!!!

№ 004727

სანუწნი ტაბლეტები

ჰექსალიზი

ბიკლოთიმოლი, ლიზოციმი, ენოქსოლონი

№ 004728

აეროზოლი ადგილობრივი გამოყენებისთვის

ჰექსასპრეი

ბიკლოთიმოლი

პირის ღრუს, ხახის, ხორხის ინფექციურ-ანთებითი დაავადებები *(მწვავე და ქრონიკული ფარინგიტი, ფარინგოლარინგიტი, ტონზილიტი, სტომატიტი, გინგივიტი, პაროდონტიტი, ტონზილექტომიის შემდგომი პერიოდი, გლოსიტი).*

- მოზრდილებში 1 ტაბლეტი ყოველ 2 საათში. მაქსიმალური დღიური დოზა 8 ტაბლეტი.
  ბავშვებში 6 წლის ზევით 1 ტაბლეტი ყოველ 4 საათში.
  მკურნალობის კურსი არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.

- 6 წლის ასაკიდან 2 შესხურება 3-ჯერ დღეში კვებისგან დამოუკიდებლად. მკურნალობის კურსი არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.
- შესაძლებელია გამოყენება ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

იკითხეთ “ჯი პი სი”-ს აფთიაქებში

BOUCHARA RECORDATI

მწარმოებელი: ლაბორატორია “ბუშარა რეკორდატი” (საფრანგეთი), “ფიკ მედიკალი”-ს წარმომადგენლობა საქართველოში. ტელ/ფაქსი: 995 (32) 255 20 59. E-mail: ficmedical_georgia@yahoo.com www.ficmedical.ru

გექნებათ გარდერობში.

— რამდენიმე საღამოს კაბა მაქვს, სასურველია, მეტი იყოს, მაგრამ რატომღაც საქართველოში მისი ტარების კულტურა არ არის, რის გამოც გული მწყდება. ერთი კაბა მქონდა, რომელიც ორი წელი ვერსად ჩავიცვი, რადგან არ მინდოდა, სიტუაციიდან ამოვარდნილი და სხვებისგან განსხვავებული ვყოფილიყავი. რატომღაც ჩვენთან არავინ აქცევს ყურადღებას, რომ წვეულებებზე საღამოს კაბით მისვლა აუცილებელია.

— რეპეტიციაზე, მუშაობის პროცესში როგორ გამოიყურებით, რას იცვამთ?

— კარგად მახსოვს, სარკეში ჩემი თავი თუ არ მომწონდა, რეპეტიცია ცუდად მიმდინარეობდა. ასე რომ, სარეპეტიციო სამოსსაც დიდი დანიშნულება აქვს ჩემთვის და, რა გასაკვირია, რომ საცეკვაო კოსტიუმსაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებდე. მოცეკვავეს აუცილებლად უნდა მოსწონდეს და იხდენდეს იმას, რაც აცვია. თუ იმ სამოსში თავს კარგად ვერ გრძნობს, ეს იმხელა დისკომფორტია, რომ შეიძლება ცეკვაში ხელიც შეუშალოს.

სამწუხაროდ, საქართველოში სამეჯლისო ცეკვების კოსტიუმებისთვის საჭირო ქსოვილის დიდი არჩევანი არ არის. საცეკვაო ფორმა ძვირი ჯდება, რადგან მას გასაწყობად უამრავი ქვა სჭირდება. ეს ქვები კი საკმაოდ ძვირადღირებულია.

— მაინც რა ღირს?

— 1400 ცალი ქამელეონის ქვა, რომელიც ყველაზე მეტად ბრწყინავს და შუქს ირეკლავს, 150 ლარი ღირს. 1400 თითქოს ბევრია, მაგრამ ფორმაზე ქვების ეს

„ყველაზე მეტად შარფები მიყვარს, საკმაოდ ბევრი მაქვს და სამოსს ვუხამებ".

რაოდენობა შესამჩნევიც კი არაა. ნიტას კოსტიუმი რომ შევუკერე, 6000 ქვა დაგვჭირდა. მერე გიწევს გამოსავლის ძებნა, რომ მდარე ხარისხის იყიდო, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ ბზინავდეს. საზღვარგარეთ კოსტიუმებს და მასალებს ვნახულობ, გული მწყდება, რომ იგივე ჩვენთანაც არ არის. ისეთი განცდა სხვა არაფერზე მაქვს, რაც იმ ნივთებსა და აქსესუარებზე, რაც ცეკვასთანაა დაკავშირებული. მაგ დროს ტირილი მინდება.

— ბიჟუტერია უფრო გიყვართ თუ ძვირფასი სამკაულები?

— ყველაზე მეტად ვერცხლის სამკაულები მიყვარს. ოქროზე ვერ ვიტყვი, რომ ვგიჟდები. ბრჭყვიალა თუ არაბრჭყვიალა „ბროშებიც" მომწონს.

— ჩანთა, სათვალე, შარფი, ქამარი... რომელ აქსესუარს ანიჭებთ უპირატესობას?

— ერთადერთი, რაც არ მიყვარს, ეს მზის სათვალეა. ჩანთაც აუცილებლად პრაქტიკული უნდა იყოს, რომ მისი ძირს დაგდება არ დამენანოს. ჩემი ჩანთა კი სულ ძირს აგდია. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა იყოს ტევადი, შიგ უამრავ რამეს ვყრი, ამიტომაც ძალიან მძიმეა. ერთხელ პატარა ჩანთის ხმარება გადავწყვიტე, მაგრამ ისეთ დღეში ჩავაგდე, ისევ დიდი ჩანთა მოვიშველიე. მეზიზღება ერთი ჩანთიდან მეორეში ნივთების გადალაგება. როცა მისი შეცვლა მიწევს, ჩემთვის ნამდვილი ტანჯვაა, რადგან უნდა ავარჩიო, რა გადავალაგო მეორე ჩანთაში, მერე მაინც აღმოჩნდება ხოლმე, რომ იქ დამრჩა ის, რაც ძალიან მჭირდებოდა და ასე გრძელდება დაუსრულებლად.

ყველაზე მეტად შარფები მიყვარს და ამას ალბათ ფოტოსესიის დროსაც მიხვდით. საკმაოდ ბევრი მაქვს და, რა თქმა უნდა, სამოსს ვუხამებ.

— ნაჩუქარი სამოსი თუ გაქვთ, რომელიც გამორჩეულად გიყვართ?

— კი, ჩემი მეგო-

→42

სრული კომფორტი მოძრაობის დროს

ოპტიმალური არჩევანი ოსტეოქონდროზისა
და ოსტეოართროზის ბაზისური თერაპიისათვის,
გაძლიერებული სამკურნალო ეფექტით

- აღადგენს და აჯანსაღებს ხრტილოვან ქსოვილს
- ამცირებს ტკივილს და ანთებას სახსარში
- აუმჯობესებს მოძრაობას

ქონდროიტინ სულფატი - 500 მგ
გლუკოზამინის ჰიდროქლორიდი - 500 მგ

ყურადღება!
საფთიაქო ქსელებში კვლავ გრძელდება აქცია
უნიფარმისგან შეიძინეთ ართრა და მიიღეთ საჩუქარი!

UNIPHARM, INC
New York, USA

"UNIPHARM, INC"
წარმომადგენლობა საქართველოში,
ქ. თბილისი, შროშის ქ. N1, ბინა 5
ტელ.: 291 09 50; ფაქსი: 291 09 60
მობ.: 599 20 11 44; 595 38 08 80

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ტელ: 599-11-00-03
წინასწარი ჩაწერით

კბილები ერთ დღეში

www.margvelani.ge

„ჰამლეტნიმე საღამოს ჯაბა მაქვს. სასუფევლია, მეტი იყოს, მაგრამ ჰატომღაც საქართველოში მისი ტახების ჯეტუჰა ახ ახის, ჰის გამოც გული მწყდება".

ბარია დიზაინერი, რომელმაც დაბადების დღეზე ულამაზესი კაბა მაჩუქა და განსაკუთრებით მიყვარს. მეგობრები ხშირად მჩუქნიან სამოსს. ყოველთვის ისე არჩევენ, რომ ზუსტად მაქვს.

— ნიკა ამით არასოდეს განებივრებთ?

— ნიკას უყვარს სუნამოების, ჩანთების ჩუქება. სტაფილოსფერი ჩანთა ამ ბოლო დროს მაჩუქა. ასევე მისი ნაჩუქარია თეთრი ბათინკები, რომლებსაც ჯინსებზე ვიცვამ. ზოგჯერ მაღაზიაში მომყვება და ჩემთვის ყიდულობს, ოღონდ

მე ვარჩევ და არა — ის. ყოველთვის მაძალებს, რომ მზის სათვალე ვიყიდო, მაგრამ ყოველთვის უარს ვეუბნები. ინტერნეტით მიწერს ტელეფონის ბუდეებს, აიფონი და აიპოდიც გამომიწერა. სხვათა შორის, სამკაულებსაც მჩუქნის, ოღონდ არა — ბიჟუტერიას.

— ნიკას ნაჩუქარი ნივთებიდან ყველაზე მეტად რა გიყვართ?

— აბსოლუტურად ყველაფერი. ნიკამ პირველ პაემანზე ხელსახოცისგან საყურეები, გულსაბნევი და ბეჭედი გამიკეთა. ისე მოხდა, რომ ერთი საყურე შემთხვევით დავკარგე. ამის გამო ერთი ამბავი ატეხა, როგორ დაკარგე ჩემი საჩუქარიო. მაშინ ვიფიქრე, რა „ჟმოტია", ქაღალდის საყურეს გადამაყოლა და ძვირფასი ნივთი რომ მაჩუქოს, მაშინ რას მიზამს-მეთქი. ის ქაღალდის სამკაულები დღემდე ძალიან მიყვარს.

ასევე ძალიან მიყვარს პუანტების ფორმის საათი, რომელიც ჩემთვის ძალიან სწორად შეარჩია. ეს საათი როიალზე მიდევს.

როგორც წესი, ერთმანეთს ყველაზე ხშირად სუნამოებით ვამარაგებთ.

— გაზაფხულისთვის გარდერობი უკვე განახლეთ?

— ჯერ ვერ მოვახერხე, მაგრამ აუცილებლად განვაახლებ. ახალი სეზონია და განსაკუთრებულად უნდა შევხვდეთ. მით უმეტეს, რომ გაზაფხულია, ვგიჟდები, ისე მიყვარს ეს დრო. მეჩვენება, რომ ყოველ გაზაფხულზე თავიდან ვიბადები.

✓ ქეთი დინოშვილი

დისბაქტერიოზის სიმპტომებს: ფაღარათი, შეკრულობა, შებერილობა

პრობიოლოგი®

მოგიხსნით

ანთებიანობის ახალი მკურნალობა

შეფუთვაში 30 კაფსულა

საკვები დანამატი

Lactobacillus acidophilus (La-5®) + Bifidobacterium lactis (Bb-12®)

სასწრაფო დახმარება

ნაწლავის ფლორის დარღვევისას

ბავშვები 7 წლის ასაკიდან: 1 კაფსულა დღეში. კაფსულის გახსნისას ბაქტერიები რჩებიან დაცულნი
მოზრდილები: 2 კაფსულა დღეში.

იკითხეთ "ჯი პი სი"-ს აფთიაქებში

"ფიკ მედიკალი"-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ტელ/ფაქსი: (+995 32) 255 20 59
ელ-ფოსტა: ficmedical_georgia@yahoo.com

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

MAYOLY SPINDLER
(საფრანგეთი)

ქართულ დუეტს შოუბიზნესის სახეებმა შვედეთისკენ გზა დაულოცეს

ქართულმა შოუბიზნესმა 23 მარტს თბილისში, ახალგახსნილ რესტორან „ქართულ სახლში“, თავი მოიყარა, რათა წინასწარ ერთგვარი გაცილება მოეწყო შვედეთში, „ევროვიზიაზე“ მიმავალი დუეტისთვის, ნოდიკო ტატიშვილისა და სოფო გელოვანისთვის. წვეულება საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამართა და შესაბამისად „დიასახლისიც“ ამ ტელეკომპანიის საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის უფროსი თაკო ბერძენიშვილი გახლდათ. ნოდიკო და სოფო ფოტოსტენდთან ეგებებოდნენ სტუმრებს, რომლებმაც წითელ ხალიჩაზე გაიარეს და კანაპეთი გაწყობილ მაგიდებს მიუსხდნენ, ყველა, რა თქმა უნდა, თავ-თავის სამეგობრო წრესთან ერთად. საზოგადოების ჩაცმულობა განსაკუთრებული გლამურულობით არ გამოირჩეოდა, უფრო ყოველდღიური ეთქმოდა.

■ „ევროვიზიის“ ქართველი სოფოების თაობა — სალვაში, ნინქარაძე, ტოროშელიძე, გელოვანი

■ სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი

■ ნინი ბადურაშვილი და სოფო სალვაში — სასისხარულო მოლოდინში

■ თიკო ბერძენიშვილი

საღამოს მთავარი თემა ახალი კლიპის წარდგინება იყო, რომლითაც დუეტი „ევროვიზიაზე“ გავა. ეს არის შვედი კომპოზიტორის სიმღერა „ვოთერფოლ“ (ჩანჩქერი). სწორედ ამ კომპოზიტორს ეკუთვნის ის სიმღერაც, რომელმაც გასულ წელს ბაქოში გამართულ „ევროვიზიაზე“ გაიმარჯვა. კლიპს ხმამამაღალი ტაშითა და ოვაციებით შეხვდნენ.

■ ანრი და მაგდა ჯოხაძეები

საღამოზე იმღერა ყველა იმ მომღერალმაც, რომლებმაც ამ კონკურსზე წინა წლებში წარადგინეს საქართველო და რომელთა უმეტესობასაც, წლევანდელი კონკურსანტის ჩათვლით, რაღაც უცნაური დამთხვევით სოფო ჰქვია. ასე რომ, სცენაზე ოთხი სოფო და ერთი ანრი ვიხილეთ. თურმე „ევროვიზიის“ საორგანიზაციო კომიტეტს ქართული დელეგაციისთვის უკითხავს კიდეც, თქვენს ქვეყანაში ყველა გოგოს სოფო რატომ ჰქვიაო.

სცენაზე ასევე ვიხილეთ საბავშვო „ევროვიზიის“ მონაწილეებიც, რომლებმაც პრეზენტაცია ნამდვილად გაახალისეს და ალბათ ყველაზე გულწრფელი აპლოდისმენტებიც მათ დაიმსახურეს.

გაიმართა სახალისო გათამაშებებიც. კითხვები „ევროვიზიის“ ისტორიის გარშემო იყო. ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებმა ამ სფეროში დიდი ცოდნა ვერ გამოავლინეს, თუმცა პრიზების გარეშე მაინც არ დარჩენილან. წვეულების ბოლოს ყველა სტუმარმა თითო ბოკალით ქართულ დუეტს „ევროვიზიისკენ“ გზა დაულოცა, თუმცა რამდენად გულწრფელად, ეს უკვე მათი პრობლემაა.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.
მწარმოებელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

BIOCODEX

“ძალიან დავიღალე”

“გამოფიტული ვარ”

“ძალა აღარ მაქვს”

“ყველა კუნთი მტკივა”

“ყველაფერი მავიწყდება”

სტიმოლი

ციტრულინის მალატი

ერთი პაკეტი (ფხვნილი ან ხსნარი) გახსენით 100 მლ წყალში ან წვენში, მიიღეთ საკვებთან ერთად 2-3-ჯერ დღეში.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 296-72-27

რაში გამოტეხა ამერიკელმა სომეხმა იური მეჩითოვი

„სულ ვფიქრობ, გიგი უგულავას დაუდგამენ ძეგლს თუ არა“

ცნობილი ფოტოხელოვანი იური მეჩითოვი და მისი კამერა სულ გზაში არიან, ხოლო სულ პირველი „ზიარება“ უცხოეთთან ესპანეთში მოგზაურობა გახლდათ. ეს საბჭოთა კავშირის დროს მოხდა და დიდ პერიპეტიებთან იყო დაკავშირებული. გამგზავრებამდე იმდენი ინერვიულა, სანამ თვითმფრინავი არ აფრინდა, ვერ იჯერებდა, რომ მადრიდის ნახვა ეღირსებოდა. მას შემდეგ უამრავი ქვეყანა მოიარა და მის ობიექტივს მდიდარი „არქივი“ აქვს დაგროვილი, ხოლო თავად მას — ასეთივე მდიდარი შთაბეჭდილებები და მოგონებები. ასე რომ, როგორც ფოტოხელოვანი ამბობს, ალბათ უკვე დროა, ეს ყველაფერი წიგნად გამოსცეს.

„ჩვენს სულელ ჰოლიტიკოსებს ყველგან მხოლოდ ინგლისურით უნდათ გასვლა. ახადა ახ იცან, ჰომ ჰოლიტიკოსები ინგლისურად მხოლოდ ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში ლაპარაკობენ“.

— ბატონო იური, რა ემოციები დაგიტოვათ პირველმა მოგზაურობამ?

— პირველად სამოგზაუროდ 37 წლის ასაკში ესპანეთში წავედი. სხვათა შორის, მაშინდელი ხელისუფლება არ მიშვებდა. ასეთი წესი იყო, ჯერ სოციალისტური ქვეყანა უნდა გენახა და მერე გეძლეოდა უფლება, იუგოსლავიიდან დაგეწყო და სხვა კაპიტალისტური ქვეყნებიც მოგენახულებინა. „გამიჩმახეს“ საქმე და ესპანეთში არ მიშვებდნენ. მაშინდელმა კომკავშირის მესამე მდივანმა საინტერესო ფრაზა მითხრა, თქვენს წასვლაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე მე ვერ ავიღებო. ასეთ სულელურ სიტუაციაში აღმოვჩნდი.

მადრიდში მოსკოვიდან უნდა გავფრენილიყავი. სანამ თვითმფრინავში არ ჩავჯექი, ვერ ვიჯერებდი, რომ მართლა მივემგზავრებოდი. მომცეს ვიზა და ხალხსაც გამოვემშვიდობე, მაგრამ რას ვემშვიდობებოდი! თბილისის აეროპორტში გამომიცხადეს, გაფრენა მხოლოდ მოსკოვამდე შეგიძლია, ესპანეთში ვეღარ გაფრინდები, შენ წინააღმდეგ რაღაც საბუთები ნახესო. ეს ჩემს ცხოვრებაში პირველი შავი პიარი იყო. მოკლედ, ესპანეთში ვეღარ მივდიოდი და დაბრუნებაც მეუხერხულებოდა. წავედი მოსკოვში და რეზო ჩხეიძემ (ცნობილი კინორეჟისორი. ავტ.) ესპანეთში წასვლაც „გამიჩალიჩა“, მაგრამ თვითმფრინავში იმდენჯერ გამჩხრიკეს, სანამ ჰაერში არ ავედით, მეგონა, ისევ ვრჩებოდი. სამშობლოსთან ჩემი პირველი განშორება ასე რთულად მოხდა.

— ესპანეთში რა მიზნით მიდიოდით?

— თუმანიშვილის თეატრს გასტროლებზე გავყევი. ორი სპექტაკლი — „დონ ჟუანი“ და „წუთისოფელი ასეა“ ითამაშეს. საკმაოდ დიდი ჯგუფი, 50-მდე კაცი ვიყავით. ერთი „კაგებეშნიკიც“ გვახლდა, რომელიც გვითვალთვალებდა და მაშინვე გავშიფრეთ. ისინი საკუთარ თავს კულტურის სამინისტროს სპეციალისტებს უწოდებდნენ.

— როგორ შიფრავდით ხალმე ასეთ „სპეციალისტებს“?

— რა გაშიფრვა უნდოდა?! ყველგან ცხვირს ყოფდნენ. ესპანეთში ჩემი კოლეგის, ფოტოგრაფის მისამართი მოვძებნე და მის მოსანახულებლად წავედი. ვილაპარაკეთ, ფოტოები მაჩვენა... ეს რომ „კაგებეშნიკმა“ გაიგო, გაგიყდა და ჯგუფის ხელმძღვანელთან ერთად გამკიცხა, ასე არ შეიძლებაო. უცხოელებთან უშუალო კონტაქტების დამყარება კარგ საქმედ არ გვეთვლებოდა.

ის მოგზაურობა ჩემთვის დაუვიწყარი იყო, უამრავი ფოტო გადავიღე და გამოფენაც მოვაწყვე. ესპანეთში ერთი ძალიან საინტერესო ადგილია, რომელსაც კაიდოს ველი ჰქვია. ეს გახლავთ სპეციალური ადგილი, სადაც 1937 წელს საშინელ სამოქალაქო ომში მილიონობით ადამიანი დაიღუპა. ამ ველის ორივე მხარეს ერთმანეთის მოწინააღმდეგენი არიან დასაფლავებული, შუაში კი ჯვარია აღმართული, რომელიც მონანიების სიმბოლო გახლავთ.

— ესპანეთის მერე ალბათ ბევრჯერ იმოგზაურეთ.

— ხშირად ვმოგზაურობ და ეს ჩემთვის საკმაოდ სასიამოვნო პროცესია, მაგრამ გასულ წელს იმდენი ვიმოგზაურე, წელს აღარსად მინდა წასვლა, დავიღალე. შარშან იმდენი ვიარე, თებერვლის ბოლოს მყესი გავიწყვიტე და პარიზში კოჭლობით დავდიოდი.

— გასულ წელს საიდან დაიწყო თქვენი მოგზაურობა?

— ჯერ — ამსტერდამში, იქიდან — ლონდონში და შემდეგ პარიზში წავედი. მერე ლონდონისკენ ისევ მეორედ გავქანდი. თურქეთში ფოტოგამოფენაზეც გახლდით.

„ამბობენ, ფრანგებს ღამაზი ქალები ჰყავთო, ეს მითია. ღამაზი ქალები მხოლოდ ჟენიალის გარეკანებზე არსებობენ. ჩუსთავეილის ჰოსპექტზე ჰომ გაიარეთ, ასჯერ უკეთეს და ღამაზ ქალს დაინახავთ, ვიდრე ჰარიზში“.

■ იური მეჩითოვი ცოლთან ერთად ჰოლანდიაში

მერე, როცა კულტურის მინისტრის მოადგილედ დამნიშნეს, პარიზში ჩემი ფოტოგამოფენა გაიმართა. ამ მოგზაურობებიდან ერთ-ერთი განსაკუთრებულად შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ჩემმა მეგობარმა შალვა ხახანაშვილმა პარიზში ლევილის სასაფლაოზე წამიყვანა. იქ ჩვენი დიდი ხალხის, ნოე ჟორდანიას, ილია ზდანევიჩის და სხვათა საფლავები მოვინახულე და ფოტოებიც გადავიღე. შატო ლევილში ქართველთა სახლი ახლაც არის. მასპინძლად ქართველები დაგვხვდნენ და მწვადი შეგვიწვეს.

— ლონდონში თქვენი საყვარელი ადგილები რომელია?

— ინგლისი პირველად 2000 წელს ვნახე, ერთი თვე შოტლანდიაში ვცხოვრობდი. ეს ჩემთვის ძალიან კარგი, ბედნიერი დრო იყო. იქ აგვისტოშიც კი ცივა. რამდენიმე დღით ედინბურგშიც ვიყავი. აგვისტოში ოთხი თეატრალური ფესტივალი ჩატარდა. მიხეილ თუმანიშვილის თეატრს პატარა პიესა ჰქონდა წაღებული და მეც მათთან ერთად გახლდით. 2010 წლის თებერვალში კი ლონდონის ეროვნულ თეატრში ჩემი გამოფენა, სახელწოდებით „სერგო ფარაჯანოვი“, გაიმართა. იმავე წელს ბრაიტონში მეგობართან მომიხდა ჩასვლა. ახლა კი იქ წელიწადნახევარია ჩემი შვილიშვილები ცხოვრობენ. მათთან უკვე ორჯერ გახლდით, მეორედ — მეუღლესთან ერთად.

— საერთოდ ცოლი იშვიათად დაგყვებათ სამოგზაუროდ?

— არა, წლების წინ სულ ერთად ვმოგზაურობდით. უბრალოდ მერე ისე მოხდა, რომ მარტო მიწევდა სიარული. ბოლოს ჩემმა ცოლმა მითხრა, უჩემოდ აღარსად წახვალო და 2010 წელს მის ისტორიულ სამშობლოში, პოლონეთში წავიყვანე. 2011 წელს კი მეგობარმა გერმანიაში დაგვპატიჟა, თან დრეზდენსა და ბერლინში გამოფენაც მქონდა. მოვიარეთ გერმანია და პარიზშიც ვიყავით, რომელიც ჩემს ცოლს ყველაზე მეტად მოეწონა და ახლაც აჩემებული აქვს, პარიზში მინდაო.

— რატომ აღარ მივყავთ?

— წასვლა ასე ადვილი ხომ არ არის? ჯერ ერთი, ეს ყველაფერი ფულთანაა დაკავშირებული. თან ბანკის ვალი მაქვს მოსაშორებელი და სხვა ვალებს ხომ არ დავამატებ? საერთოდ, როცა სადმე მივემგზავრები, ყოველთვის ვიღაც მპატიჟებს. ბილეთის ყიდვა ხანდახან თუ მომიწევს ხოლმე.

— ყველაზე მეტად ვისთან ერთად გიყვართ მოგზაურობა?

— ჩემთვის ყველაზე კომფორტული თანამგზავრი საკუთარი თავია. თეირანში მარტომაც გადასარევად ვიმოგზაურე.

— იქ სრულიად განსხვავებულ ცხოვრებას ნახავდით.

— იქ შარშანწინ გახლდით და ძალიან დასამახსოვრებელი მოგზაურობა იყო. აბსოლუტურად უცხო ადგილია. 5 დღით დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე სტუმრის სტატუსით ვიყავი, სადაც მეგობარმა დამპატიჟა. თვითონ →46

Cyan Magenta Yellow Black

თეირანი ისტორიული და არქიტექტურული თვალსაზრისით არ არის ისეთი, რომ რამე მოვყვე, თუმცა იქ მაინც მთელი ამბები ხდებოდა, შაჰის ჩამოგდება იქ მოხდა... თეირანში საოცრად ენერგიული ხალხი ცხოვრობს. მანქანები აქტიურად მოძრაობენ, ტროტუარებზე შემოცვივდებიან მოტობაიკერები და სულ დაკვირვებულად უნდა იმოძრაოს ადამიანმა.

— უცხო ქვეყანაში როცა ჩადიხართ, ყველაზე მეტად რა გაინტერესებთ?

— ხალხთან ურთიერთობა. თეირანში ერთი მომღერალი ქალი გავიცანი, რომელმაც საკუთარ სახლში ფოტოსესიაზე დამპატიჟა და ბევრი ფოტოც გადავუღე.

— მუზეუმები თუ გაინტერესებთ?

— მაინტერესებს და ვათვალიერებ კიდეც. პარიზში — ლუვრი, ბრიტანეთში კი ბრიტანული მუზეუმი ნანახი მაქვს. ლუვრს ერთ შესვლაზე ვერ დაათვალიერებთ, უზარმაზარია. იქ ყოველ ჩასვლაზე შევდივარ და ცოტ-ცოტას ვათვალიერებ. თამილა (თამილა ანგლიკოვსკაია, მეჩითოვის მეუღლე. ავტ.შენ.) წავიყვანე ლუვრში და შთაბეჭდილებებით გამიგიჟდა. დრეზდენის მუზეუმიც ვნახეთ. 4 საათი ვათვალიერეთ, უკვე სიარულიც აღარ შეგვეძლო. ბრიტანული მუზეუმიც ძალიან საინტერესოა.

■ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

რომ გითხრათ, უცხო ქვეყანაში ბოდიალი მიყვარს-მეთქი, აღბათ — ნაკლებად. რაც უნდა ბევრი ხალხი გაიცნო, უცხო ქვეყანა ყოველთვის უცხოდ დარჩება.

— რატომ?

— როცა საზღვარგარეთ ხარ, სულ შენს ოჯახზე ფიქრობ, რომ კარგი იქნებოდა, ეს ყველაფერი მათაც ენახათ. საქართველოს გარდა, ჩემთვის არ არსებობს ქვეყანა, სადაც ვიცხოვრებდი. ყველგან ჩემს ჭკუაზე ვერ ვიქნები. ნათქვამია, სადაც ჩახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო, მაგრამ აქაც იმდენ რამეს დაგაბრალებენ, ათასნაირი ქუდის დახურვა გიწევს. მე ვარ ადამიანი, რომელსაც სამშობლო ყველაზე მეტად უყვარს. სხვათა შორის, ამერიკაშიც ორჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ იქ დარჩენაზე არასოდეს მიფიქრია.

— რა შთაბეჭდილებებით ჩამოხვედით ოკეანის გადმოდან?

— 2004 წლის 9 იანვარს პირდაპირ ჰოლივუდში ჩავფრინდი, სადაც კინო-მუზეუმში სერგო ფარაჯანოვისადმი მიძღვნილი გამოფენა მქონდა. ეს კაცი სად ჭვრეტდა, არ ვიცი. ყოველთვის მეუბნებოდა, გადამიღე და მერე ბევრს ივლიო. ასე აღმოვჩნდი ჰოლივუდში. „იუნაითედ-არტისტის“ კინოსტუდია ძალიან ძლიერია, საინტერესო მუზეუმადაა ქცეული, სადაც ბილეთს ყიდულობ და იქაურობას ისე ათვალიერებ.

ამერიკაში მივხვდი, რომ ჩვენ კინოს სულ სხვანაირად ვუყურებთ. ამერიკელები კინოში როგორც ცირკში, ისე დადიან. ფილმში რაც უფრო მეტი ნგრევა და მეტი სისხლისღვრაა, უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ ეს ცირკია. ჩვენთვის კი ეს ყველაფერი სინამდვილესთან ასოცირდება.

ამერიკაში პირველად ისეთ დროს მოვხვდი, მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში ახალი მოსული იყო. იქ არის ადგილი, სადაც მხოლოდ სომხები ცხოვრობენ. ის ტერიტორია, პრინციპში, პატარა სომხეთია. მეგობარმა ჰენრიმ საუნაში წამიყვანა. ოთხსართულიანი კომპლექსია თავისი მოწყობილობებით. შევედი საუნაში, ავედი ზემოთ, სადაც უფრო მეტი სიცხე იგრძნობოდა, იქ გაძლება საკმაოდ რთული იყო. ქვემოთ ვიღაც რაფიკა იჯდა და ამომძახა: „სკაჟი მნე, სააკაშვილი არმენინ?“ (მითხარი, სააკაშვილი სომეხია?). არა, საიდან მოიტანეთქი და, როგორ არაო, „მაწვებოდა“. მე კიდევ მაღლა ვიგუდებოდი. მოკლედ, სანამ არ ვაღიარე, რომ სააკაშვილი სომეხია, მაღლიდან არ ჩამომიშვა.

— საზღვარგარეთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სომხებს არ ელაპარაკებით, ენობრივი ბარიერი არ გექმნებათ?

— ინგლისურის ცოდნა ძალიან მეხმარება. საფრანგეთში ინგლისურით ცოტა გაგიჭირდებათ, რადგან ფრანგები ინგლისურად თითქმის არ საუბრობენ. თუ რამეს შეეკითხებით, ფრანგულად გიპასუხებენ. ჩვენს სულელ პოლიტიკოსებს ყველგან მხოლოდ ინგლისურით უნდათ გასვლა. არადა არ იციან, რომ პოლიტიკოსები ინგლისურად მხოლოდ ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში ლაპარაკობენ.

— ბატონო იური, ბევრგან ხართ ნამყოფი, ბევრი რამ გინახავთ, დარჩა ადგილი, სადაც სიამოვნებით იმოგზაურებდით?

— სიმართლე გითხრათ, უკვე არსად მინდა წასვლა. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ყველაფერი ვნახე. იაპონიაში არ ვყოფილვარ, მაგრამ ძალიან ბევრი რამ ვიცი მათ კულტურაზე. მიყვარს ეს ქვეყანა და ზოგადად სადაც ჩავდივარ, პირველ რიგში,

„აფხაზებმა ეით ფაცხაში მაქეიფეს და ღვინითა და აჯიკებით უკან გამომამგზავეეს“.

კულტურა მაინტერესებს. ზოგს კი მიაჩნია, რომ კულტურის სამინისტროში არაფერი მესაქმება, სინამდვილეში ზედმიწევნით კულტურული ადამიანი ვარ. ჩემთვის განსხვავებული კულტურაც საინტერესოა.

— რომელი ქვეყნის კულტურას გამოარჩევდით?

— აღბათ — ამერიკის. ნიუ იორკში ასეთსაც და ისეთსაც, ყველაფერს დაინახავთ. თვითმყოფადობა შენარჩუნებული აქვთ და ეს მათი კულტურის მანიშნებელია. საერთოდ მეგაპოლისს სხვა კულტურა აქვს. ნიუ იორკი ის ქალაქია, სადაც ბევრი რაღაცაა თავმოყრილი. ყველაზე მეტად რამაც გამაკვირვა, სან ფრანცისკოს ნახვა იყო, რომელიც უცნაურზე უცნაური ქალაქი გახლავთ. იქ მერს იმხელა პატივს სცემენ, სანაპიროსთან ძეგლიც კი დაუდგეს. სულ ვფიქრობ, გიგი უგულავას დაუდგამენ ძეგლს თუ არა.

— საქართველო თუ გაქვთ მოვლილი?

— არ ვიცი, ამას თუ შეიძლება მოგზაურობა ეწოდოს, მაგრამ 2007 წელს ახლანდელი კულტურის მინისტრის, გურამ ოდიშარიას ხელშეწყობით აფხაზეთში გახლდით. საზღვარი არალეგალურად გადავკვეთე. ღამე სასტუმროში გავატარე და მთელი დღე ვისეირნე. მასპინძლების ძალიან მეშინოდა, მაგრამ მომცეს საშუალება და 4 საათამდე ფოტოები გადავიღე. ბოლოს აფხაზებმა ერთ ფაცხაში მაქეიფეს და ღვინითა და აჯიკებით უკან გამომამგზავრეს.

— საზღვარგარეთ თავისუფალ დროს რაგორ ატარებთ?

— როგორც წესი, ფული არ მაქვს ხოლმე, მით უმეტეს — რესტორნებში სასიარულოდ. იქ 20 ევროზე ნაკლებად საჭმელს ვერ შეჭამ. აქ ამ ფასად რამდენიმე მეგობარს წაიყვან და კარგად „ახინკლავებ“.

— და მაინც, გასინჯული გექნებათ სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო. ყველაზე მეტად რომელი მოგეწონათ?

— მთავარია, არ მაწყინოს, არ მომკლას და რას ვჩივი. მაინცდამაინც გველს და ბაყაყს ვერ შევჭამ. ერთხელ გერმანიაში „ფუჯის“ ქარხანაში მივლინებით ვიყავი, სადაც იაპონელები მუშაობდნენ. ხან ჩინურ რესტორანში მივყავდით, ხან — კორეულში, ხან — იაპონურში და ხანაც — ვიეტნამურში. სულ ვკითხულობდი, გველი სად დევსმეთქი, რომ არ შემშლოდა და არ მეჭამა. ჩინელების ამბავი რომ ვიცი, კნუტებსაც ჭამენ. მიდიების ჭამა ესპანეთში დავიწყე.

სამზარეულოს გადაღება ძალიან მიყვარს. ქართულ სამზარეულოზე წიგნიც მაქვს გამოშვებული. სხვათა შორის, გაფორმებული კერძებიდან, რომლებსაც ფოტოგრაფი იღებს, არაფრის ჭამა შეიძლება, რადგან საკვები სულ სხვანაირად კეთდება, სპეციალურად ფოტოგრაფირებისთვისაა გამზადებული და სხვადასხვა რაღაცეებით იტენება.

— მოგზაურობის დროს თქვენი ფოტოაპარატის ობიექტივში ყველაზე ხშირად რა ხვდება?

— ზოგადად ადამიანები. საზღვარგარეთ იმდენი საინტერესო კადრი მაქვს გადაღებული, დროა, წიგნადაც გამოვუშვა. სადაც ჩავდივარ, არ არსებობს, ფოტოგრაფებისთვის განკუთვნილი მაღაზიები არ დავიარო და ჩემი ფოტოაპარატისთვის აქსესუარები არ ვიყიდო.

— თქვენს ობიექტივში ალბათ ლამაზი ქალებიც ხშირად ხვდებიან.

— ამბობენ, ფრანგებს ლამაზი ქალები ჰყავთო, ეს მითია. ლამაზი ქალები მხოლოდ ჟურნალის გარეკანებზე არსებობენ. რუსთაველის პროსპექტზე რომ გაიაროთ, ასჯერ უკეთეს და ლამაზ ქალს დაინახავთ, ვიდრე პარიზში. ყველაზე ლამაზი ქალი ისაა, ვისაც თავი ლამაზად მოაქვს და ეს ყველაზე კარგად ქართველებს გამოსდით.

— თვითმფრინავი რამდენად კომფორტული ტრანსპორტია თქვენთვის?

— სხვათა შორის, ფრენასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს. ჰაერში ვისვენებ, მით უმეტეს, თუ ამერიკაში მივფრინავ. წიგნის კითხვას ისე ვერ ვახერხებ და ფრენის დროს სულ ვკითხულობ. ერთ-ერთი ხანგრძლივი ფრენის დროს ანეკდოტების მთელი წიგნი შევკარი. მას შემდეგ 3 წელი გავიდა და ახლა წიგნად გამოცემასაც ვაპირებ. აუდიო და ვიდეოვერსიებსაც გამოვუშვებ და შეიძლება ვიღაც-ვიღაცეების როლებიც კი ვითამაშო. ხალხი სულ გაგიჟდება და ყველაფერს ცუდს დამაბრალებენ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

ვარნა — ოქროს სანაპიროს მიბიღულობის ძალა

■ ვარნა

ვარნა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე სახელმწიფოს, ბულგარეთის სიდიდით მესამე ქალაქია სოფიასა და პლოვდივის შემდეგ. ვარნის ოლქის დედაქალაქი და მნიშვნელოვანი პორტი შავ ზღვაზე ვარნის ტბის სიახლოვეს მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ქალაქს 1949-56 წლებში სტალინი ერქვა. ეს კურორტი ისეთი ადგილია, სადაც ადამიანს ეძლევა საშუალება, განიტვირთოს და დაისვენოს.

ვინც ვარნაში ადრე ნამყოფია, დღეს ნამდვილად განცვიფრდება იმ ცვლილებებით, რაც კურორტმა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში განიცადა — აშენდა უამრავი თანამედროვე სასტუმრო, ხოლო ძველები რეკონსტრუირებულია და დღეს არაფერი აქვთ საერთო იმასთან, რაც 10 წლის წინ იყო.

ჯლიმატი

ვარნაში სუბტროპიკული კლიმატია გამეფებული. ზამთარი ნაკლებად ნალექიანი, მაგრამ საკმაოდ ცივია. ზაფხული მაისის შუა რიცხვებიდან იწყება და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება. ივნისში, ივლისსა და აგვისტოში ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუსამდე ადის.

წელიწადის სხვა დროს კი ხშირია წვიმები.

ფული

ვარნას, ისევე როგორც მთელი ბულგარეთის, ეროვნულ ვალუტას ლევი წარმოადგენს. 1 ლევი 100 სტოტინკისგან შედგება. ძველ ბულგარულ ენაზე სიტყვა ლევი, ისევე როგორც სლავურ ენებზე, ლომს ნიშნავს. 2013-2014 წლებში ბულგარეთი, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა, მიმოქცევიდან ლევის ამოღებას და მისი ევროთი ჩანაცვლებას გეგმავს. ქალაქში უცხოური ვალუტით სარგებლობა ადვილია.

თუ მომხმარებელი კმაყოფილია, გასამრჯელოს, ე.წ. ხელის ქირის დატოვება მიღებულია რესტორნებში, კაფე-ბარებსა და ტაქსებში. რაოდენობა თქვენს გულუხვობაზეა დამოკიდებული.

ენა

მთელი ქვეყნის ოფიციალურ ენას ბულგარული წარმოადგენს. ის სლოვაკურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება და ძალიან ახლოსაა რუსულთან. ბულგარული ენის შემდეგ ყველაზე პოპულარული რუსული გახლავთ. გავრცელებულია ინგლისური ენაც.

რაც შეეხება სხვა ენებს, ადგილობრივები ბერძნულს, თურქულსა და ფრანგულს თითქმის ერთნაირად ფლობენ.

გადაადგილება

ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ვარნაში მოხვედრას მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ადვილად შეძლებთ. მეზობელი ქვეყნებიდან ყოველდღიურად სრულდება მატარებლისა და ავტობუსის რეისები. ევროპიდან მიმავალი ტურისტები ძირითადად მატარებლით მგზავრობას ამჯობინებენ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბილეთი თვითმფრინავის ბილეთზე გაცილებით ძვირი ღირს, სამაგიეროდ, ულტრათანამედროვე და კომფორტულია.

ვარნის საერთაშორისო აეროპორტი ქალაქიდან 8 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და ცენტრამდე ავტობუსით სულ რაღაც 4 ლევად მიხვალთ. სახელმწიფო ტაქსებში კი 10-12 ლევის გადახდა მოგიწევთ.

კურორტზე გემით ჩასვლა ერთგვარი კრუიზია, რის გამოც მას უფრო მეტი მომხმარებელი ჰყავს.

ვარნაში სატრანსპორტო სისტემა კარგადაა განვითარებული. ნებისმიერი საზოგადოებრივი ტრანსპორტი დილის 5 საათიდან ღამის 12 საათამდე ფუნქციონირებს. ერთჯერადი ბილეთის ფასი 1 ლევი ანუ 0,5 ევროა. ყველაზე პოპულარული სატრანსპორტო საშუალება ავტობუსია. რაც შეეხება ტაქსის, ვარნაში მხოლოდ ყვითელი ტაქსები დადის.

ტურისტების უმრავლესობა მანქანის დაქირავებას ამჯობინებს, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ კურორტზე მანქანებზე მეტი ველოსიპედი შეგხვდებათ.

სამზარეული

ბულგარულ სამზარეულოზე მეზობელი ქვეყნების გავლენა აშკარაა. კერძების ძირითადი ნაწილი რძის პროდუქტებითა და ხორცით მზადდება. შემდეგ პოპულარულია ზღვის პროდუქტები. ბულგარული ნაციონალური სამზარეულო ძალიან ჰგავს ბერძნულსა და თურქულს.

სწრაფი კვების ობიექტები ყოველ ნაბიჯზეა. 5 ლევად გემრიელ ჰამბურგერს მიირთმევთ. ქალაქი მდიდარია მაღალი დონის რესტორნებით, სადაც ეროვნული კერძების — ტორატორის, კებაბის, კავარმას და ბანისტას გარდა, ეგზოტიკურ კერძ ბანქოსაც დააგემოვნებთ. რესტორნებში სადილი ცოცხალი მუსიკის გარეშე არ არსებობს.

სასმელებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით ყავა სარგებლობს, რომელსაც ნებისმიერ კაფესა თუ რესტორანში უგემრიელეს ჯემიან და თაფლიან ნამცხვართან ერთად მოგართმევენ. რაც შეეხება ალკოჰოლს, ყველაზე მოთხოვნადი ვისკი „რაკიაა“, მას ბულგარელები ყოველი ჭამის წინ ერთ ჭიქას მაინც მიირთმევენ, ხოლო შემდეგ ღვინით — „მასტიკათი“ აგრძელებენ.

ღირსშესანიშნაობები

ტურისტების უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ვარნას მსოფლიოში ცნობილი ოქროს ქვიშების გამო სტუმრობს. ვარნიდან სულ რაღაც 15-20 წუთში კომფორტაბელური ავტობუსი ოქროს ქვიშებამდე მიგიყვანთ, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე, ნაციონალური პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს. ლეგენდის თანახმად, ოქროს ქვიშები ამ სანაპიროს მას შემდეგ დაერქვა, რაც ყაჩაღებმა მის მიდამოებში დიდი განძი იპოვეს, მაგრამ განგებამ ისინი დასაჯა და ოქროს მონეტები ქვიშად გადააქცია.

სიგრძით თითქმის 4 კილომეტრიანი ოქროსფერი ქვიშის პლაჟი ტურისტების მთავარ სამიზნეს წარმოადგენს. მათი მიზიდვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს მინერალური წყლებიც წარმოადგენს, რომლებიც სპეციალური მილებით გამოედინება პირდაპირ ზღვის სანაპიროზე.

ახალი მშენებელობების მიუხედავად, აქ შენარჩუნდა ზღვის სანაპირო. ღია აუზები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დამსვენებლისთვის, სანაპირო ზოლზე თავმოყრილია ყველაფერი, რითიც შეიძლება დასვენების დროს ისიამოვნოთ.

ვარნაში 70-მდე სასტუმროა. პრაქტიკულად ყველა მათგანი კურორტის გარშემო არსებულ მწვანე ზონაშია განლაგებული. სიცხეშიც კი ზღვის სანაპიროზე თქვენ ისევე თავისუფლად ისუნთქავთ, როგორც ტყეში. გარდა ამისა, ვარნა აქტიური დასვენების მოყვარულთათვის ნამდილი სამოთხეა — წყლის თხილამურები, დაივინგი, ვინდსერფინგი, გასეირნება იახტებითა და ზღვის ტრამვაით.

აქ არის საღამოს გართობის უამრავი საშუალება — დისკოთეკები, კაზინოები, კლუბები, ბოულინგ-ბარები. ღამით ოქროს ქვიშების სანაპირო უზარმაზარ სიგრძეზე გადაჭიმული მოციმციმე შუქების ჯაჭვს ჰგავს.

ვარნა არც კულტურული ძეგლების ნკლებობას უჩივის. ეს არის პატარა საკურორტო ქალაქი ულამაზესი საკათედრო ტაძრით. ვარნაში უამრავი ეკლესია, მუზეუმი, ბაზარი და მაღაზიაა.

ისტორიულ კლდოვან მონასტერ ალადჟამდე შესაძლებელია ფეხით მისვლაც (დაახლოებით 40 წუთი). შეგიძლიათ აგრეთვე გაემგზავროთ ბალჩიკში, კონცხ კალიაკრაზე, ნახოთ „ქვის ტყე“ და ესტუმროთ მიდიების ფერმას.

უსაფრთხოების ნესები

კრიმინალური თვალსაზრისით, ვარნა არცთუ დაცული ქალაქია. ჯიბის ქურდებზე რომ არაფერი ვთქვათ, ნარკობარონებს ნამდვილად უნდა უფრთხილდეთ. ასეთი ხალხი, განსაკუთრებით კი ქალები, მრავლად არიან ტურისტებით გადავსებულ ადგილებში. მოერიდეთ პატარა მაღაზიებში უხარისხო ალკოჰოლის ყიდვას, რის გამოც ყოველდღიურად ათასობით ტურისტი ხვდება საავადმყოფოში, ხშირია მსხვერპლიც.

მაღაზიებში შევაჭრება აბსოლუტურად მიღებულია, მაგრამ ეს იშვიათად ხდება, რადგან საკურორტო ზონაში იმდენად დაბალი ფასებია, რომ ხშირ შემთხვევაში ტურისტებს შევაჭრება ერიდებათ კიდეც.

გაითვალისწინეთ, პირველადი დახმარება და კონსულტაცია საგანგებო შემთხვევებში უფასოა. ავარიის ან უბედური შემთხვევის დროს თქვენ მიიღებთ უფასო სამედიცინო დახმარებას. ხანგრძლივი მკურნალობა ფასიანია, მაგრამ მაინც იაფია. წამლები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი უცხოური ფირმისაა, ასევე იაფია.

და კიდევ, გახსოვდეთ, ბულგარელები თავის დაქნევით უარს გამოხატავენ.

უბის ნიგნაკი

ქვეყანა — ბულგარეთი;
ქალაქი — ვარნა;
მოსახლეობა — 354.220;
ფართობი — 238 კვ.კმ;
ოფიციალური ენა — ბულგარული;
ოფიციალური ვალუტა — ლევი.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

როგორ იქცა კონკია მოღალატე ცოლად

„ჩემი ამაყი ძმა მის წინაშე ჩვარივით გახდა...“

ღალატის თემა საზოგადოებაში ყოველთვის აქტუალურია. ქართულ რეალობაში, როგორც წესი, საუბარია მოღალატე ქმრებზე, იშვიათად — ცოლებზე, თუმცა ჩვენი რესპონდენტი, მაკა, სწორედ ამ იშვიათი შემთხვევით არის შეწუხებული და აღშფოთებული, რომელიც მისი ძმის ოჯახში ხდება.

რამ შეიძლება აიძულოს თავმოყვარე ქართველი კაცი, ცოლს ღალატი აპატიოს? სიყვარულმა? იქნებ მიზეზი შვილებშია? იქნებ იმ ბუდის მოშლა არ უნდა, მთელი ცხოვრება რუდუნებით რომ აშენებდა? ვნახოთ, რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

მაკა:

— ძალიან ვდარდობ ჩემს ძმაზე. ისეთი ბიჭი იყო, ყველა შენატრობდა. გარეგნული და შინაგანი შარმით, ინტელექტით, ოჯახიშვილობითაც გამოირჩეოდა. არც წარმატებები აკლდა, საზოგადოებაში გავლენითა და პატივისცემით სარგებლობდა, ამავე დროს ამაყიც გახლდათ, თავზე ბუზს არ აიფრენდა. ღირსების გრძნობა მის თვისებებს შორის წამყვანი იყო. ახლა კი, 44 წლის ასაკში, ისე შეიცვალა, ვეღარ ვცნობ. ვერ ვხვდები, რა ემართება. არ ვიცი, ასე რამ დააბეჭავა და დააჩიავა, სად გაქრა მისი თავმოყვარეობა და ღირსება.

გიორგი გოგონებში ყოველთვის პოპულარული იყო. როგორც ფუტკრები თაფლს, ისე ეხვეოდნენ. საქმეში პრაგმატული გახლდათ, ქალებთან კი რომანტიკას იჩენდა. ამ დამოკიდებულების შედეგია ის, რომ საუკეთესო ქალებს ერთი კონკიასავით გოგო, მარიტა არჩია და ცოლად მოიყვანა.

— გაჭირვებაში გამოზრდილ გოგოს გულისხმობთ?

— მარიტას მშობლები გაუნათლებელი ადამიანები იყვნენ და სიდუხჭირეში ცხოვრობდნენ. თავად მარიტა ულამაზესი იყო, მაგრამ ისიც უსწავლელი გახლდათ. უმაღლეს განათლებას ვინ ჩივის, ორი წიგნიც კი არ ჰქონდა წაკითხული.

— თქვენმა ძმამ ის მხოლოდ სილამაზის გამო აირჩია?

— თავიდან ალბათ მისმა უნაკლო სილამაზემ მოხიბლა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ გიორგის ირგვლივ გოგონებს მომხიბვლელობა აკლდათ. ვფიქრობ, ჩემი ძმა უფრო მეტად რომანტიკამ გაიტაცა — პრინცმა კონკია აღმოაჩინა და მისი გაბედნიერება მოინდომა.

— როგორც თქვენი ლაპარაკიდან ჩანს, „გაბედნიერება“ არ გამოვიდა.

— მარიტა ისე მოერგო ჩვენს ოჯახს და ისე გაითავისა ყველაფერი, თითქოს მთელი ცხოვრება ფუფუნებაში ცხოვრობდა. მოვლა და კარგი ცხოვრებაც ძალიან დაშვენდა, გათხოვების შემდეგ საერთოდ მზეთუნახავივით გახდა. დედამთილ-მამამთილმა ღვიძლი შვილივით ჩაიკრეს გულში, მის მშობლებსაც გაუუმჯობესეს პირობები, ბინა გაურემონტეს. მარიტა უმაღლეს სასწავლებელშიც მოაწყვეს, მაგრამ ნიჭი და ინტელექტი არ აღმოაჩნდა, ვერ ისწავლა. შემდეგ ფეხმძიმედ დარჩა და შვილი გააჩინა. დედობა უფრო მოუხდა, თითქოს ამისთვის იყო დაბადებული. ერთი წლის შემდეგ მეორე შვილიც შეეძინა, შემდეგ — მესამეც. დედაჩემს ახალგაზრდა რძალი მძიმე შრომისთვის ებრალებოდა და ამიტომ ბავშვებისთვის ძიძა აუყვანა.

— რას ერჩით, ცოლ-ქმარი ერთად ბედნიერები ყოფილან, სამი შვილი მიყოლებით გაუჩენიათ.

— გიორგის მარიტას მიმართ დიდი სიყვარული რომ არ ჰქონოდა, ასეთ უინტელექტო ქალს ვერანაირად გაუგებდა. წარმოიდგინეთ, მათ შორის დიალოგიც კი არ გამოდიოდა. როცა ჩემი ძმა რამე მნიშვნელოვან თემაზე მსჯელობას იწყებდა, მარიტა მის არსს ვერც იგებდა, თუმცა იმის ნიჭი კი ჰქონდა, რომ თავისი უვიცობა შეენიღბა და თავი ისე წარმოეჩინა, თითქოს ყველაფერი გაეგებოდა. გიორგის ცოლობას და ჩვენი ოჯახის რძლობას ძალიან იფერებდა. ცხადია, ადრე თუ გვიან ასეთ ქალთან ურთიერთობა ჩემს ძმას არ დააკმაყოფილებდა, მაგრამ ერთიანად იყო ჩართული თავის საქმეში და შინ გვიან ბრუნდებოდა. ხშირად მივლინებებშიც აგზავნიდნენ და ალბათ ეს მონატრება მათ ურთიერთობას გარკვეულწილად ათბობდა.

— ბოლოს მათ შორის ბზარი მაინც გაჩნდა?

— მარიტას მიზეზით. ბავშვები რომ წამოიზარდნენ, მამამთილმა მძღოლი დაუქირავა, რომელიც მათ სკოლაში ატარებდა. ქმარმა კი რეპეტიტორები აუყვანა. ის მძღოლი, გელა, ახალგაზრდა კაცი იყო, ცოლშვილიანი. ავადმყოფი შვილი ჰყავდა და ყველას ძალიან გვეცოდებოდა. ყოველმხრივ ხელს ვუმართავდით. ჩემი მშობლები მკურნალობის ფულს უხდიდნენ, გიორგის მისთვის წამლებიც ჩამოჰქონდა უცხოეთიდან.

ერთხელ შეუძლოდ ვიყავი და სამსახურიდან გავეთავისუფლე. ჩემი მშობლები ზღვისპირეთში იყვნენ, გიორგი — მივლინებაში, ბავშვები — სკოლაში. კარი გავაღე და ისეთი რამ დავინახე, გაოგნებისგან ჩანთა ხელიდან გამივარდა.

— რა დაინახეთ?

— მარიტა გელას ეხვეოდა. ხმაურზე მოტრიალდა, არც კი დაიბნა, ისე იმართლა თავი, გელა თავისი შვილის გამო სასოწარკვეთილია და ვანუგეშებდიო. თავად გელამ კი ძალიან იუხერხულა, თვალებში ვერ მიყურებდა, არ იცოდა, თავი სად წაეღო...

— რძლის ნათქვამი დაიჯერეთ?

— მინდოდა, დამეჯერებინა, მაგრამ არ გამომივიდა. გულის სიღრმეში სულ მქონდა ეჭვი, რომ მათ შორის რაღაც ხდებოდა. როგორ შეიძლება გათხოვილი ქალი მძღოლ მამაკაცს ასე ეხვეოდეს?! გელა მისთვის არც მეგობარი იყო და არც ახლობელი. ცხადია, ოჯახში არ გავამხილე. ბევრი ვიფიქრე, ეგ კაცი როგორ მომეშორებინა. ბოლოს ჩემს ძმას ვუთხარი, მძღოლი ჩემ მიმართ ზედმეტად ფამილარულია, რაღაცეები სერიოზულად ეშლება და დაითხოვეთქი. გიორგიმ თავიდან მე გამამტყუნა, ალბათ საბაბი მიეცი, მაგრამ აღარ მოვეშვი და მაინც გავაშვებინე. თან ბედად, ერთი ჩვენი ნათესავი, ძალიან კარგი პიროვნება, ხანდაზმული კაცი დარჩა უმუშევარი და ჩემს ძმას სამსახური სთხოვა. გიორგიმ ის კაცი აიყვანა მძღოლად.

> **„ჩემი ძმა ცოლს ეხვეწებოდა, გონს მოდი, ოჯახს ნუ დამანგრევინებ, ჩემგან ნუ წახვალ, საშუალება მომეცი, შენთან ურთიერთობის აწყობა თავიდან ვცადოთ“.**

— თქვენი რძალი როგორ იქცეოდა ამ შემთხვევის შემდეგ?

— მარიტამ ვერაფერი მითხრა, ვერც ის, გელას ასეთი რამ რატომ დააბრალეო. პირველ ხანებში ისე იქცეოდა, ვითომ თვითონ მამა აბრამის ბატკანი იყო, მე კი — ვერაგი ცილისმწამებელი. ღმერთმა მომიტევოს, თუ გელას ცილი დავწამე, მაგრამ ეს ძმის ოჯახის გადასარჩენად გავაკეთე.

იმ ფაქტმა, რაც შემდგომ მოხდა, უფრო დამარწმუნა, რომ ჩემს რძალსა და მძღოლს შორის რაღაც ხდებოდა და მარიტა არც ისეთი უმწიკვლო იყო, როგორც თავს გვაჩვენებდა.

რამდენიმე წელი გავიდა. გელა და მასთან დაკავშირებული ისტორია დავიწყებას მიეცა. მარიტაც თითქოს უფრო ფრთხილად იქცეოდა, ცდილობდა, ქმარ-შვილისთვის მეტი ყურადღება დაეთმო. უნდოდა, სიტუაცია გამოესწორებინა. ალბათ ჩემზე ფიქრობდა, კიდევ ერთი საბაბი რომ მიეცეს, არ დამინდობსო. შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩემს ძმას მეგობრის ცოლები შეუჩნდნენ, მარიტას სამსახური დააწყებინეო. მივხვდი, რომ ეს მარიტას ინსცენირებით ხდებოდა, მაგრამ ვერ დავამტკიცებდი, თანაც არაფერი იყო იმაში დასაძრახი, თუ ქალს მუშაობა უნდოდა. ამ ინიციატივას დედაჩემმაც აუბა მხარი, ძალიან კარგი იქნება, ოჯახის გარდა, ქალი საყვარელი საქმითაც დაკავდესო.

ჩემმა ძმამ ცოლს პატარა სილამაზის სალონი გაუხსნა. მარიტა თავიდან ცოტა დაბნეული იყო, მაგრამ სხვების დახმარებით საქმე შეისწავლა და სიტუაციას მოერგო. თავს კარგად გრძნობდა. თავადაც თავის მოვლის მეტი საშუალება მიეცა. მოგეხსენებათ, კარგად მოვლილი ქალი როგორ ეფექტურად გამოიყურება, თანაც თუ ბუნებრივი სილამაზეც აქვს.

Cyan Magenta Yellow Black

— ამ ყველაფერს რა გაგრძელება მოჰყვა?

— თავის ერთ-ერთ კლიენტს, ახალგაზრდა კაცს დაუახლოვდა და მასთან რომანი გააბა.

— ეს საიდან შეიტყეთ, ამ შემთხვევაშიც ფაქტს შეესწარით?

— ალბათ ოჯახში ეს „მისია“ მხვდა წილად, ყველა ნეგატიურ ფაქტს მე უნდა შევესწრო. ერთხელ წვეულებისთვის ვემზადებოდი და მარიტას სალონში გაუფრთხილებლად მივედი. ჩემი სტილისტი, ვისთანაც ვარცხნილობებს ვიკეთებ ხოლმე, რაღაცნაირად დაბნეული მეჩვენა, მითხრა, მგონი, მარიტა გასულია და ახლავე გადავურეკავო, ტელეფონს სწვდა. თან მისაყვედურა, რატომ წინასწარ არ გამაფრთხილე, მოსვლას თუ აპირებდი, ჩაგწერდიო. არადა იმ დროს თავისუფალი იყო, კლიენტები არ ჰყავდა. არ ვიცი, რა ძალამ მომქაჩა, პირდაპირ მარიტას კაბინეტს მივაჭერი, კარი დაკეტილი იყო. როგორც ჩანს, მარიტა კაბინეტში იმყოფებოდა, თანამშრომელი ვეგონე და უხეშად გამომძახა, მოსვენებას რატომ არ მაცდითო. კარი მცირე შეყოვნების შემდეგ გააღო. იმ ბიჭთან ერთად იყო. ორივეს ეტყობოდა დაბნეულობა. მარიტამ თავისმართლების მიზნით რაღაც მითხრა, მაგრამ ისე ვიყავი აღელვებული, ვერაფერი გავიგე, მისი სიტყვები ვეღარ აღვიქვი.

— რძალს რამე უთხარით?

— სიტყვა არ დამიძრავს, ისე დავტოვე. არც მის სალონში გავიკეთე ვარცხნილობა. ამით ჩემი პოზიცია და პროტესტი გამოვხატე.

— მხოლოდ ამ ფაქტის საფუძველზე დაასკვენით, რომ თქვენს რძალს მის კლიენტთან რომანი ჰქონდა?

— სტილისტ ლენას მოულოდნელად დავადექი სახლში და გამოვტეხე. ვუთხარი, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი იცი და სიმართლეს თუ არ მეტყვი, უსამსახუროდ დაგტოვებ-მეთქი. სალონის მეპატრონე ხომ ჩემი ძმა იყო.

— მართლა ასე მოიქცეოდით თუ მხოლოდ დააშანტაჟეთ?

— მხოლოდ გამოსატეხად ვუთხარი, მაგ ცოდვას როგორ ჩავიდენდი. ბანკის ვალებშია ჩაფლული და ორ შვილს უქმროდ ზრდის. დავპირდი, თუ გამენდობი, შენს სახელს საერთოდ არ ვახსენებ, მშრალად გამოგიყვან-მეთქი. შეეშინდა და ყველაფერი დაფქვა. ცხადია, სამსახურის დაკარგვა არ უნდოდა.

— ასეთ დროს, სიმართლის დადგენის შემდეგ არცთუ ადვილია სწორი ორიენტაციის აღება, რადგან საქმე შენი ოჯახის ღირსებას ეხება. თქვენ რა მოიმოქმედეთ?

— რძალს დაველაპარაკე. თავიდან ყველაფერი უარყო, აქეთ შემომიტია, როგორ არ გრცხვენია, რას მაკადრებო. შეურაცხყოფაზეც გადმოვიდა, რა აღარ მითხრა — შინაბერული სინდრომი გაქვს და, თუ დროზე არ გათხოვდები, ავადმყოფობას ვერ აცდებიო, თავად რომ ულამაზო ხარ, ჩემი სილამაზის გშურსო და ა.შ. შემდეგ ფაქტები მოვუყვანე, ვუთხარი, ფოტომასალაც მაქვს და საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებ-მეთქი. ამას ნამდვილად არ ელოდა, შეეშინდა, ატირდა...

— დასაშანტაჟებლად უთხარით თუ მართლა გქონდათ ფოტოები?

— ღმერთმა მომიტევოს, შანტაჟს რომ მივმართე, სხვაგვარად არ აღიარებდა. ვუთხარი, არც ჩემი ძმა და არც ჩვენი ოჯახი შენგან ასეთი უკეთური საქციელის ღირსი არ არის და ჯობია, თავად აღიარო ქმართან, სანამ ჩემგან გაიგებს-მეთქი. მეხვეწა, შეცდომა მომივიდა, აღარ გავიმეორებ, ოღონდ ოჯახი არ დამანგრევინო. ძმისშვილებიც მაფიცა. მეც მტარვალი ხომ არ ვიყავი, სამშვილიანი ოჯახისთვის ბოლო მომეღო, გამოსასწორებლად დრო მივეცი.

— ენდეთ?

— მეტი გზა არ მქონდა, მტრულად ვერ მივუდექი. ლენასთან მქონდა კავშირი და მისგან ვამოწმებდი. როგორც ჩანს, იმ ბიჭს მართლა დაშორდა.

— თქვენსა და რძალს შორის ურთიერთობა დალაგდა?

— ამას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ეს უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ ჩემი რძლის ცხოვრებაში კვლავ ახალი მამაკაცი გაჩნდა, ამჯერად ამან უფრო სერიოზული სახე მიიღო. მის გამო ოჯახის დანგრევა გადაწყვიტა. არ ვიცი, ის კაცი რას ჰპირდება ისეთს, რაც ჩემი ოჯახისგან ვერ მიიღო... მის საუბარს შევესწარი გიორგისთან. ეუბნებოდა, ის კაცი შემიყვარდა, შენთან კარგა ხანია გაძლებაზე ვარ და ვეღარ ვიცხოვრებო.

— ქმარმა რა პასუხი გასცა?

— სწორედ ეს არის დაუჯერებელი. ქმარი ეხვეწებოდა, გონს მოდი, ოჯახს ნუ დამანგრევინებ, ჩემგან ნუ წახვალ და საშუალება მომეცი, შენთან ურთიერთობის აწყობა თავიდან ვცადოო.

— თქვენი ძმა მომხდარში თავს იდანაშაულებდა?

— აბა, რა გითხრათ? გიორგი, რომელიც სიამაყის და ღირსების ეტალონად ითვლებოდა, ცოლის წინაშე ჩვარივით გახდა, თანაც მოღალატე ცოლის. მზადაა, რქებით იაროს, ოღონდ კი ცოლი არ გაექცეს. ამ ფაქტით გაოგნებული ვარ. ჩემმა მშობლებმა არაფერი იციან, მე კი კატეგორიულად არ მინდა ჩარევა, ძმის ოჯახის დანგრევა რომ არ დამბრალდეს. დაე, ცოლ-ქმარმა თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ოჯახის ბედი!

მთელ დარდს გულში ვატრიალებ და საშინელ დღეში ვარ. სახლში შესვლაც აღარ მინდა, არადა სად წავიდე?! გაუსაძლის სიტუაციაში ვიმყოფები, არც რძლის დანახვა შემიძლია და არც ძმის...

✓ ნანა კობახიძე

ეს იცოდით?

❖ ოთახის ტემპერატურაზე ჰაერის ნაწილაკების მოძრაობის სიჩქარე დაახლოებით 1800 კმ/სთ-შია, რაც თოფიდან გამოსროლილი ტყვიის სისწრაფეს უტოლდება.

❖ ანტარქტიდაზე, ყინულის საფარქვეშ 70-ზე მეტი ტბაა. მათგან ყველაზე დიდის, ვოსტოკის ფართობი 230 კმ-ს აღწევს. ის ყინულქვეშ 4 კმ-ზე მდებარეობს.

❖ ნიგერიაში 53 000 კაცზე ერთი ექიმი მოდის, ხოლო იტალიაში 200 კაცზე — ერთი.

❖ ბერძნულ მითოლოგიაში ქურდების მფარველი ღმერთიც მოიძებნება. მას ჰერმესი ჰქვია.

❖ მეკობრეები ბანქოს ეშმაკის ბიბლიას უწოდებდნენ.

❖ „ვემსახურები მას, ვინც გასამრჯელოს მომცემს“, — ამბობდა გენიოსი მხატვარი ლეონარდო და ვინჩი.

❖ ერთხელ ფილოსოფოს კანტს ჰკითხეს, ქერა ქალები უფრო ერთგულები არიან თუ შავგვრემანებიო, რაზეც ფილოსოფოსმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, ჭაღარები“.

❖ პოეტმა ალექსანდრ პუშკინმა 29 დუელში მიიღო მონაწილეობა.

❖ უძველეს მკურნალთა დაკვირვების თანახმად, გამარჯვებულებს ჭრილობები უფრო მალე უშუშდებათ, ვიდრე დამარცხებულებს.

❖ ქიმიკოსების განმარტებით, ყოველი 100 გრამი ცხიმის დაწვის შედეგად ორგანიზმში 150 მლ-მდე წყალი წარმოიქმნება.

❖ ჰოლივუდის ვარსკვლავ ნიკოლ კიდმანს პეპლების ეშინია, ხოლო მის კოლეგა ჯონი დეპს — კლოუნების.

❖ ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯორჯ კლუნი ზოგჯერ გარდერობში იძინებს. მსახიობის თქმით, მისი ყველა საძინებელი ძალიან ნათელია.

❖ როდესაც ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯულია რობერტსი ნერვიულობს, მარცხენა თვალიდან ცრემლები სდის.

❖ ამერიკელი მომღერლისა და ვარსკვლავის, ჯასტინ ტიმბერლეიკის ჩაკბეჩილი ფრანგული ტოსტი აუქციონზე 3000 დოლარზე მეტად გაიყიდა.

❖ სანამ ცნობილი მსახიობი გახდებოდა, ჰიუ გრანტი აგრონომის თანაშემწედ მუშაობდა.

❖ ამერიკელ მსახიობ მეტიუ პერის მარჯვენა ხელი კარში მოჰყვა და შუა თითის ნაწილი დაკარგა.

❖ პოპვარსკვლავ მერაია ქერის სკოლაში მეტსახელად მირაჟს ეძახდნენ, რადგან თითქმის არ დადიოდა სკოლაში.

❖ ცნობილი რეპერი თუფაქი 15 წლის ასაკში ბალტიმორის ხელოვნების სკოლაში შევიდა, სადაც ის ბალეტსა და მსახიობობას სწავლობდა.

❖ პარადოქსია, მაგრამ კალათბურთის ვარსკვლავი მაიკლ ჯორდანი თავის დროზე სკოლის საკალათბურთო გუნდიდან გააგდეს.

❖ ერთმა ბრაზილიურმა გაზეთმა საჩუქრად კომპასი გადასცა ფეხბურთელს, რომელმაც ერთი სეზონის განმავლობაში საკუთარ კარში ოთხჯერ შეაგდო ბურთი.

❖ ჯორჯ ვაშინგტონი ერთადერთი პრეზიდენტია, რომლის დაბადების დღეც ამერიკაში ოფიციალური დღესასწაულია. მას ერთი თავისებურება ჰქონდა — შეხვედრებისას ხელს არავის ართმევდა, თავის დახრით ესალმებოდა.

❖ აშშ-ის პრეზიდენტი ბენჯამინ ჰარისონი ელექტრონათურის შუქს ვერ იტანდა. მისი პრეზიდენტობის დროს თეთრ სახლში ნათურებს აქრობდნენ და სანთლებს ანთებდნენ.

Cyan Magenta Yellow Black

კლიმაქსი: როგორ გადავიტანოთ გარდამავალი ასაკი

კლიმაქსი ყოველი ქალის ცხოვრებაში რთული პერიოდია. მენოპაუზის დადგომის საშუალო ასაკი დაახლოებით 50 წელია. ქალთა უმეტესობას ციკლი 45-დან 55 წლამდე უწყდება. დაახლოებით ქალთა 3% ში კლიმაქსი 40 წლამდე იწყება და 5%-ში — მხოლოდ 55-60 წლის შემდეგ. მენოპაუზა ყველაზე ადვილად გადააქვთ ქალებს, რომლებშიც საშუალო ასაკში იწყება, ხოლო ნაადრევი ან გვიანი, როგორც წესი, უფრო მეტ ხანს გრძელდება და ხშირად თან ახლავს უსიამოვნო სიმპტომები.

ოგორ ვლინდება

ცუდი თვითშეგრძნება, ღამით ოფლიანობა, გახშირებული გულისცემა, გულის მუშაობაში უთანხმოება, წამოხურება, შფოთვა — კლიმაქსის ძირითადი ნიშნებია. მენოპაუზის დროს მნიშვნელოვნად მცირდება სპეციფიკური ჰორმონების — ესტროგენებისა და პროგესტერონის გამომუშავება. ამიტომ ნერვული სისტემის მდგომარეობა უარესდება, რაც მომატებულ გაღიზიანებულობას იწვევს. ამ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერ იტანჯება მეხსიერება, ირღვევა ძილისა და ფხიზლობის რიტმები, ქვეითდება ყურადღების კონცენტრაცია და შრომისუნარიანობა. განწყობა ცვალებადი ხდება. ქალი ადვილად ტირის და ასევე ადვილად და მგზნებარედ იცინის. სამსახურებრივ და ცხოვრებისელ სიტუაციებში მისი გულისტკენა ადვილია.

კლიმაქსის სხვა სიმპტომებია: არტერიული წნევის მომატება, თავბრუ, თავის ტკივილი, ტკივილი ზურგში, სახსრებსა და კუნთებში, კანის სიმშრალე, სახეზე თმის გაძლიერებული ზრდა, წონაში მატება, უსიამოვნო შეგრძნებები მკერდში, პირის სიმშრალე, ყაბზობისა და დიარეის მონაცვლეობა, შარდვის გახშირება.

როდის დადგება კლიმაქსის ასაკი კონკრეტული ქალისთვის, დამოკიდებულია მის მემკვიდრეობაზე და განისაზღვრება ასაკით, რომელშიც დედას და ახლობელ ნათესავებს დაეწყოთ. თუ მათ ჰქონდათ ძლიერ ნაადრევი ან გვიანი მენოპაუზა, თქვენც ისეთივე გექნებათ, მაგრამ კლიმაქსის დადგომა შეიძლება დააჩქაროს ზოგიერთმა ფაქტორმა, ესენია: გადატანილი გინეკოლოგიური ოპერაციები, ძლიერი და ხანგრძლივი სტრესი, ინფექციური დაავადებები სქესობრივი მომწიფების პერიოდში. მენოპაუზა შეიძლება ადრე დაიწყოს მძიმე დაავადებების, ნერვული ან ფიზიკური გამოფიტვის დროს.

გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, ორსულობისა და მშობიარობის რაოდენობა კლიმაქსის დადგომაზე გავლენას არ ახდენს.

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, კლიმაქსის მოახლოებას აჩქარებს: თამბაქოს მოწევა, სიმსუქნისკენ მიდრეკილება და ჭარბი წონა (ნორმაზე 10კგ.-ით ზედმეტი), დაბალკალორიული და ცილებით ღარიბი საკვების მოხმარება, დიეტა და სხეულის მასის დეფიციტი.

ჩვეულებრივ, კლიმაქსის პერიოდი 5-6 წელი გრძელდება და ამ დროის განმავლობაში მენსტრუალური ციკლი არარეგულარული ხდება, ჩასახვის უნარი მკვეთრად ქვეითდება, მაგრამ სრულად არ ქრება.

პირველადი დახმარება კლიმაქსის დროს

ქალის სასქესო ჰორმონების დაქვეითება არამხოლოდ რეპროდუქციულ სფეროზე, ასევე პრაქტიკულად ორგანიზმის ყველა სისტემაზე აისახება. სასქესო ჰორმონების დეფიციტი ნივთიერებათა ცვლას ამცირებს და ხელს უწყობს წონის გაზრდას მაშინაც კი, თუ კვების რეჟიმი მრავალი წელია არ შეცვლილა.

აუცილებელია საკვები რაციონის საერთო კალორიულობის შემცირება. იკვებეთ კარგად ბალანსირებული საკვებით. შეზღუდეთ ცხარე, მჟავე და მარილიანი კერძები, რომლებსაც ორგანიზმზე გამაღიზიანებელი მოქმედება აქვთ. ყოველღდიურად მიირთვით თევზი, ბურღულეული, ხილი და ბოსტნეული. ციტრუსოვნები, ბროკოლი, სტაფილო, პომიდორი, ტკბილი წიწაკა შეიცავენ მცენარეულ ჰორმონებს, რომლებიც მენოპაუზის სიმპტომებს, მათ შორის წამოხურებას მნიშვნელოვნად ამცირებენ.

მენოპაუზის დროს არ შეიძლება მკაცრ დიეტაზე ყოფნა, განსაკუთრებით ცილების გამორიცხვა, ვინაიდან ეს ორგანიზმისთვის დამატებითი სტრესია და შეიძლება კლიმაქსის სიმპტომები გააძლიეროს. წამოხურების პროვოცირება შეუძლია ცხელ სასმელებს, ალკოჰოლს, ფიზიკურ გადაძაბვას, ზედმეტად თბილ სამოსს.

ესტროგენების უკმარისობა იწვევს კანის ელასტიკურობის დაკარგვას, ის მშრალი და ნაკლებად გლუვი ხდება. ამიტომ დღეში არანაკლებ 2 ლიტრისა წყალი დალიეთ.

აუცილებლობის შემთხვევაში ექიმი ნიშნავს ჰორმონების შემცვლელ თერაპიას, დამამშვიდებელ საძილე პრეპარატებს, ვიტამინებს, ფიზიოპროცედურებს და მასაჟს. ყველა ქალმა 45 წლის ზევით აუცილებლად რეგულარულად უნდა გაიზომოს წნევა, წელიწადში 2-ჯერ ეწვიოს გინეკოლოგს პროფილაქტიკური გასინჯვისა და კონტროლისთვის (როგორ მიმდინარეობს მენოპაუზის პერიოდი, რათა გართულებები არ იყოს), წელიწადში ერთხელ ჩაიტაროს დენსიტომეტრია, გულისა და ძვლის ქსოვილის მდგომარეობის შესამოწმებლად.

კლიმაქსის დროს მეტად სასარგებლოა ფიზიკური სავარჯიშოები, ვინაიდან სისხლძარღვების ტონუსს, ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს ამაღლებს და ხელს უწყობს ბედნიერების ჰორმონების გამომუშავებას.

მკურნალობა ჰორმონული აბების გარეშე

არსებობს ისეთი ბალახები, რომლებიც კლიმაქსის დროს უფრო რბილად მოქმედებს, ვიდრე სააფთიაქო პრეპარატები და გვერდით ეფექტებს არ იწვევს. მათი დახმარებით უსიამოვნო სიმპტომების მნიშვნელოვნად შესუსტება ან საერთოდ გაქრობა შეიძლება.

სალბის ნახარში: 1 სუფრის კოვზ ბალახს 2 ჭიქა მდუღარე დაასხით, 30 წუთი დადგით, გაწურეთ. დალიეთ 3-4 მიღებაზე ჭამიდან ერთი საათის შემდეგ.

თავშავას ნაყენი ანალოგიურად მზადდება და მიიღება.

კალენდულას ნაყენი (აფთიაქში მოიკითხეთ) 15-20 წვეთი 1/4 ჭიქა წყალში გააზავეთ და დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ მიიღეთ.

წითელი სამყურას ჩაი შესანიშნავად აწესრიგებს ჰორმონულ ფონს. 1 ჩაის ჭიქა გამხმარ ბალახს 0,5 ლიტრი მდუღარე დაასხით, დადგით და დღის განმავლობაში რამდენჯერმე მიიღეთ.

ცხოვრების ნორმალური რეჟიმის დაბრუნებას ეხმარება ჟენშენის, ელეუტეროკოკის ნაყენი. დილით და დღის განმავლობაში მიიღეთ 15-25 წვეთი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

დამამშვიდებელი ნაყენი. 50 გრამ კალენდულას ყვავილს 0,25 ლიტრი არაყი დაასხით, მინის ჭურჭელში მოათავსეთ და ბნელ ადგილას ერთი კვირა დადგით. დღეგამოშვებით შეანჯღრიეთ. 30-35 წვეთი 1 სუფრის კოვზ წყალში გააზავეთ და დღეში 3-ჯერ, ერთი თვის განმავლობაში მიიღეთ.

უძილობისა და ნევროზის დროს გამოიყენება პიტნა. 50 გრამ გამხმარ დაქუცმაცებულ ან 10 გრამ ქორფა პიტნას 0,5 ლიტრი არაყი დაასხით. 14 დღე ბნელ ადგილას დადგით, პერიოდულად შეანჯღრიეთ, გაწურეთ. 30-40 წვეთი 1 სუფრის კოვზ წყალში გააზავეთ და დღეში 3-ჯერ, ჭამამდე, ერთი თვის განმავლობაში მიიღეთ.

გახსოვდეთ: სამკურნალო ნაყენი უნდა სვათ კურსობით (30 დღე) წლის განმავლობაში რამდენჯერმე.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

მინი ცნობარი ორსულებისთვის

ალერგია — თუ თქვენ და თქვენი ქმარი ან ერთ-ერთი ალერგიული ხართ, რისკი იმისა, რომ მომავალი შვილიც ალერგიული იყოს, საკმაოდ მაღალია. როგორ შეიძლება ეს რისკი მინიმუმამდე დავიყვანოთ?

რეკომენდებული არ არის ორსულობის პერიოდში ეგზოტიკური კერძების, ასევე კონსერვებისა და ისეთი საკვების მიღება, რომლებიც გაჯერებულია ხელოვნური დანამატებით. გარდა ამისა, უარი თქვით მოწევაზე და მოერიდეთ მწეველების გარემოცვაში ყოფნას.

როცა ბავშვი დაიბადება, ეცადეთ, მინიმუმი 6 თვე მაინც აწოვოთ ძუძუ, რადგან დედის რძე ალერგიისგან ერთგვარი დამცველია.

მკერდის ტკივილი — ეს ის ჩივილია, რომელიც თავს იჩენს ორსულობის დადგომიდან რამდენიმე დღეში. ნელ-ნელა ტკივილის შეგრძნება მატულობს და მკერდი მგრძნობიარე ხდება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ბიუსტჰალტერის სწორად შერჩევა, არ უნდა იყოს ვიწრო და მჭიდრო.

წონაში მატება — ორსულობის პერიოდში მომავალი დედა საშუალოდ 10-12 კგ-ს იმატებს, თუმცა გასათვალისწინებელია თავად ორსულის აღნაგობაც. ორსულობის დროს მნიშვნელოვანია სრულფასოვანი და დაბალანსებული კვება. როგორც ექიმები გვირჩევენ, სასურველია, ორსული იკვებებოდეს ხშირ-ხშირად და მცირე ულუფებით.

წონის მატება სავსებით ბუნებრივია, თუმცა ჭარბი კილოგრამების დაგროვება სასურველი არ არის. ამიტომაა მნიშვნელოვანი მუდმივად ექიმის კონტროლის ქვეშ ყოფნა და მისი რჩევების გათვალისწინება.

არომატები — სუნისადმი მომატებული მგრძნობელობა ორსულობის პირველი ტრიმესტრისთვისაა დამახასიათებელი. ეს ის პერიოდია, როცა ორსულისთვის შესაძლოა მიუღებელი გახდეს აქამდე საყვარელი არომატი. დისკომფორტის მოხსნა ლიმონის ნაჭრის დასუნვით ან მოწუწვნით შეიძლება.

გამონადენი — ხშირად ორსულობის პერიოდში გამონადენის ხასიათი მნიშვნელოვნად იცვლება და საჭიროა სათანადო ყურადღების გამოჩენა. თუ გამონადენი ხაჭოსმაგვარია და ახლავს ქავილი, აუცილებელია მიმართოთ ექიმს. გამონადენი შეიძლება გამოწვეული იყოს ბაქტერიული ვაგინოზით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია მიზეზის დადგენა და მხოლოდ ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის ჩატარება.

თავბრუ — ეს ხშირად დაბალი არტერიული წნევის შედეგია. მოერიდეთ სწრაფად წამოდგომას, დახრას. სისხლის მიმოქცევა რომ მოიწესრიგოთ, სასურველია ბევრი იაროთ, ისეირნოთ, ძალიან კარგია სისხლძარღვების მატონიზირებელი კონტრასტული აბაზანა.

ბუასილი — მისი არსებობის ყველაზე ხშირი სიმპტომი დეფეკაციისას ტკივილი და ქავილია. ამ დროს მნიშვნელოვანია დიეტის დაცვა. არ დაუშვათ მუცლის შებერილობა, ჭარბი აირების დაგროვება. ბუასილის არსებობის შემთხვევაში, კუჭის ყოველი მოქმედების შემდეგ საჭიროა უკანა ტანის გრილი წყლით დაბანა და ექიმთან შეთანხმებით სპეციალური მალამოს შერჩევა.

როგორც წესი, მშობიარობის შემდგომ ეს პრობლემა თავისთავად გვარდება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა სრულფასოვანი მკურნალობის ჩატარება ხდება საჭირო.

დეპრესია — ორსულობის პერიოდში ქალის ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონული ცვლილებები საკმაოდ ხშირად ხდება ხასიათის მნიშვნელოვანი გაუარესების მიზეზი. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს ორსულობის პერიოდში სრულიად ნორმალური მდგომარეობაა და საჭიროა დროებით შეგუება.

ღრძილებთან დაკავშირებული პრობლემები — ორსულობის პერიოდში, ისევე როგორც ბევრი სხვა ორგანო, ღრძილებიც საკმაოდ მგრძნობიარე ხდება. შეიძლება თავი იჩინოს ტკივილმა, სისხლდენამ. გინგივიტი რომ არ განვითარდეს, ჩვეულებრივი ჯაგრისი შედარებით სუსტით და მსუბუქით ჩაანაცვლეთ. ასევე კარგია რეგულარულად, დღეში რამდენჯერმე, სამკურნალო მცენარეების ნაყენის გამოვლება, მაგალითად, გვირილას, სალბის.

რკინის დეფიციტი — ეს მინერალი მნიშვნელოვანია ორსულისათვის. როგორც წესი, მისი დეფიციტი საკმაოდ ბევრი პრობლემის განვითარებას უწყობს ხელს — დაღლილობას, სისუსტეს, ძალებისა და ენერგიის დეფიციტს, თავის ტკივილს...

რკინა აუცილებელია ნაყოფის სრულფასოვანი განვითარებისათვის, ამიტომაა საჭირო, რაციონი დატვირთოთ ხილით, განსაკუთრებით მწვანე ვაშლით, წიწიბურათი, ჩირეულით. შესაძლოა მხოლოდ საკვებით ვერ მოხერხდეს რკინის შევსება და ექიმმა დამატებით რკინის პრეპარატის დანიშვნა ჩათვალოს საჭიროდ.

აირების დაგროვება — ეს ის პრობლემაა, რომელიც უმეტესად თავს იჩენს ჰორმონული ფონის შეცვლის გამო. პრობლემას რომ გაუმკლავდეთ, სასურველია დღეში რამდენჯერმე მცირე ულუფებით ჭამოთ, მიირთვათ დიდი რაოდენობით ხილი, ბოსტნეული, ასევე კარგია კეფირი. ყურადღება მიაქციეთ, რა რაოდენობით იღებთ სითხეს, რადგან მისი დეფიციტი ასევე ცუდად აისახება — პერისტალტიკას აქვეითებს. დღეში 2 ლიტრამდე სითხე უნდა მიიღოთ. კარგია უზმოზე ერთი ჭიქა წყლის დალევა, რომელიც კუჭნაწლავს ასტიმულირებს და მის უკეთ მუშაობას უწყობს ხელს. მუცლის შებერილობის პროფილაქტიკისათვის არაჩვეულებრივია აქტიური ცხოვრების წესი, მოძრაობა.

კოფეინი — ყავა და ჩაი, ანუ სასმელი, რომელიც შეიცავს კოფეინს, ორსულობის პერიოდში რეკომენდებული არ არის. კოფეინი ხელს უწყობს სისხლძარღვების შევიწროებას, მნიშვნელოვნად აფერხებს ორგანიზმის მიერ რკინის შეწოვა-შეთვისების პროცესს. ასეთი ეფექტი კი მაშინ მიიღწევა, თუ დღეში, მინიმუმი, 3 ფინჯან ყავას ან ჩაის სვამთ. ორსულობის მეორე ნახევარში ჭარბი რაოდენობით კოფეინი შეიძლება უძილობის მიზეზი გახდეს.

შესიება — სითხის შეკავება და შესიება პრაქტიკულად ორსულობის ნებისმიერ ვადაზე ხდება, თუმცა, როგორც წესი, თავად ორსულებისათვის თვალშისაცემი მაშინაა, როდესაც საყვარელ ბეჭედს ვეღარ იკეთებენ ან ფეხსაცმელს ვეღარ იცვამენ. თუ შეშუპება თავს იჩენს დღის ბოლოს და დისკომფორტს იწვევს, აუცილებელია მიმართოთ ექიმს, ასევე მნიშვნელოვანია არტერიული წნევის კონტროლიც.

უჰაერობა — ეს ჩივილი ორსულობის გარკვეულ ვადაზე ბევრისთვის კარგად ნაცნობია. პირველ ტრიმესტრში მისგან ზოგი საწოლში მირთმეული საუზმით თავისუფლდება, ზოგი — ლიმონიანი ჩაის დალევით.

ხშირი შარდვა — მზარდი საშვილოსნო ყველა ორგანოზე ახდენს ზეწოლას. თავისთავად ზეწოლას განიცდის შარდის ბუშტიც. სწორედ ესაა ხშირი შარდვის მიზეზიც. კარგია ზოგადად კუთნების ვარჯიში და მათი ტონუსში მოყვანა. ისეირნეთ ფეხით სუფთა ჰაერზე, რაც თავის მხრივ ვენების სიჯანსაღეს განაპირობებს. ეცადეთ, ქორფა მწვანილი რეგულარულად იყოს თქვენს რაციონში.

ფოლიუმის მჟავა — მისმა დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის ნერვული სისტემის ფორმირების დარღვევა. ორსულობის დროს ამ ვიტამინისადმი მოთხოვნილება გაორმაგებულია. მიუხედავად იმისა, რომ მისი მიღება სხვადასხვა პროდუქტით შეიძლება, სპეციალისტები ამას საკმარისად არ თვლიან და ყველა მომავალ დედიკოს ურჩევენ დამატებით მის დალევასორსულობის პირველ ოთხ თვეს. ფოლიუმის მჟავის დღეღამური ნორმა 0,4 მილიგრამია.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black



რატომ არ მოსწონს ნუგზარ რუხაძეს სიტყვა „გათხოვილი“

„ლამაზი ქალის ცქერა სიცოცხლეს მიხანგრძლივებს“

ჟურნალისტი ნუგზარ რუხაძე მრავალი წლის წინ წავიდა ამერიკაში, ბევრი იქაური ტრადიცია თუ წეს-ჩვეულება გაითავისა, მაგრამ, როცა ქუჩაში ლამაზ ქალს ხედავს, ნამდვილი აღმოსავლელი კაცივით იქცევა — თვალს აყოლებს. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ქვაკუთხედად სიყვარული მიაჩნია, მყარი ოჯახის გარანტიასაც ამაში ხედავს. თავის ორ უიღბლო ქორწინებასაც სწორედ მის ნაკლებობას მიაწერს. ახლა მესამე ცოლი ჰყავს. ათი წლის წინ ეროვნებით რუს ნინა ვოეიკოვაზე იქორწინა და ბედის მადლიერია, რომ მისი სახით კეთილ, გულმოწყალე და წიგნიერ ქალს შეახვედრა.

— ბატონო ნუგზარ, თქვენი ოჯახი რამდენი წევრისგან შედგება?

— ოთხი შვილი მყავს, მეოთხე ჩემი გერი გახლავთ. ათი წლის წინ მესამედ ვიქორწინე. ჩემი ცოლი რუსია, 65 წლის ნინა ვოეიკოვა. უმეტესად ამერიკაშია და ამის გამო სამ ადგილას გვიწევს ცხოვრება — ამერიკაში, მოსკოვსა და საქართველოში.

— ორი ოჯახი დაგენგრათ. სტაბილური ურთიერთობა მესამე ცოლთან შეინარჩუნეთ. როგორები იყვნენ ქალები, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე თქვენს თანამგზავრებად იქცნენ?

— არ შემიძლია ვაქო და ვადიდო ადამიანები, ვისთანაც ურთიერთობა მქონდა და მაქვს, მეუღლეებს ვგულისხმობ. როცა ამ ნაბიჯებს ვდგამდი, ალბათ ვფიქრობდი, რომ ის ოპტიმალური და ყველაზე კარგი იყო, მაგრამ როდესაც ვშორდებოდი, გული მწყდებოდა. ჩემი ბოლო ქორწინება კი მყარი აღმოჩნდა და ურთიერთობამ უფრო დიდხანს გასტანა. ნინა ძალიან ღვთისმოსავი, წესიერი, კეთილი და გულმოწყალეა, იმის უნარი გააჩნია, ამქვეყნად სიკეთე თესოს. ის არის ადამიანი, რომელიც ჩემზე ზრუნავს, ნამდვილად შეუძლია მეგობრობა, გვერდში დგომა. ძალიან ნიჭიერი და წიგნიერი გახლავთ. პროფესიით მხატვარ-დიზაინერია. როცა 70 წლის შევსრულდი, ნინამ ჩემი პორტრეტი დახატა.

— როგორც მივხვდი, ქალში ინტელექტს დიდ ყურადღებას აქცევთ.

— რასაკვირველია, გონიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე — ზომიერებას. ზომიერ ადამიანთან ურთიერთობა უფრო მარტივია, ვიდრე ემოციურთან და ზღვარგადასულ მგრძნობიარესთან. უტვინო ქალი კი ჩემში მხოლოდ სიბრალულს იწვევს და მეცოდება ის ადამიანი, ვისაც მომავალს დაუკავშირებს. თუმცა უტვინო ქალებს საკუთარი თავი სრულფასოვნად მიაჩნიათ და ამ თემაზე დავა ძნელიცაა.

— ქალის თანადგომა ხშირად დაგჭირვებიათ?

— საპირისპირო სქესის ინტელექტუალური, მორალური და ფიზიკური თანადგომა ნებისმიერ ჯანმრთელ ადამიანს სჭირდება. ამის გარეშე მამაკაცები დავკოჭლდებოდით. იღბალი თუ გაქვს, შეგხვდება ისეთი ქალი, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე სიამტკბილობით იცხოვრებ, მაგრამ ასე ყოველთვის არ ხდება და, სამწუხაროდ, ჩემს შემთხვევაშიც არ მოხდა. ჭაბუკობაში ქორწინებამ დიდხანს არ გასტანა, მაგრამ ამის გამო თავს ხომ არ მოვიკლავ?

„ხანდახან, როცა ვბრაზდები, ჩემი ოთი ოჯახის დანგრევას უსიყვარულობას ვაბრალებ — ან მე არ შემიყვარდა საკმარისად, ან მათ არ შეუყვარდი, რომ ყოველგვარი ნგრევა და მარცხი გამოგვერიცხა. ახლა ვისაც გინდა, დააბრალე, წარსული წარსულია და ჯობია, მომავალზე ვიფიქრო. ამ თემაზე ჩემთან რომ მოხვედით სასაუბროდ, გამიკვირდა კიდეც.“

— რატომ?

— ქალების საკითხში გონიერი, ჭკვიანი და ექსპერტი რომ ვყოფილიყავი, დღეს სულ სხვანაირი ცხოვრება მექნებოდა. ახლა დიდი ოჯახითა და ბავშვებით უნდა ვიყო გარემოცული. ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა ტრადიცია, როცა თაობები ერთად ცხოვრობენ, ერთად ხვდებიან ახალ წელს, შობას და ერთად ხალისობენ, მაგრამ თურმე ასეც შეიძლება გაძლება.

პირად ცხოვრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სიმართლე გითხრათ, ჩემი ოჯახის წევრებზე ზრუნვით ყოველდღიურად არ ვარ დაკავებული, მაგრამ, სამაგიეროდ, საქმეებით ვარ დატვირთული. ვაკეთებ იმას, რაც კეთილგონივრულად და სწორად მიმაჩნია. შეიძლება იმის საშუალება არ მაქვს, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება შვილიშვილებს ყოველდღიურად გავუზიარო, მაგრამ ჩემ ირგვლივ ასობით ახალგაზრდაა, რომლებსაც ამ ყოველივეს სიამოვნებით ვაძლევ. სკოლაშიც ვასწავლი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. ადამიანი სისხლით დამიახლოვდება თუ გონებით, რა მნიშვნელობა აქვს? ქართველი ქართველია და თანამემამულე — თანამემამულე.

— ალბათ აკვირდებით, თანამედროვე ახალგაზრდებს, გოგო-ბიჭებს როგორი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან, რა ღირებულებებზე აგებენ ურთიერთობებს.

— როცა გოგონებსა და ბიჭებს ერთმანეთს ვადარებ, ქალების ნაწილი უფრო ძლიერი და თავშეკავებულია, აზროვნებითაც განსხვავდებიან, გაცილებით ნათელი გონება აქვთ, ვიდრე მათ თანატოლ ბიჭებს. ჩემი კლასი რომ მახსენდება, გოგონებს გონებრივად ძლიერი ბიჭები ჭარბობდნენ. ახლა კი პირიქითაა. შეიძლება ეს ფემინისტური მიმართულების შედეგიცაა, რომელიც ჯერ კიდევ უღიმღამოა, მაგრამ მაინც მძლავრობს. ქალების უნარები თვალსა და ხელშუა გაიზარდა, მათ კაცებზე უკეთესად შეუძლიათ მართვა, ალღოც უკეთესი აქვთ, განათლებულებიც არიან და სოლიდურადაც გამოიყურებიან. მათ მამაკაცებზე კარგად შეუძლიათ საქმეს უხელმძღვანელონ.

ამას წინათ სტატია დავწერე, რომელსაც „ქალთა მმართველობა“ დავარქვი. შინაარსი კი ასეთი გახლავთ, რომ ჩვენი სამშობლოს მმართველობა ქალების ხელში გადავიტანოთ. ჩვენ, კაცებმა, უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში იმდენი სისულელე ჩავიდინეთ და ეს ქვეყანა იმდენად არაოპტიმალურად ვმართეთ, ხომ არ დადგა დრო, ეს საქმე ქალებს მოვასინჯვინოთ?! ვენაცვალე ქალს, რომელიც მრავალმხრივ აზროვნებს და ერთად ბევრი რამის გაკეთება შეუძლია.

— ჭკვიანი, კეთილი, ლამაზი, ლიდერი — ასეთია თქვენს თვალში სრულყოფილი ქალი?

— სრულყოფილი ქალი ვერ იქნება, თუ გვერდით ღირსეული პარტნიორი არ ეყოლება. მას პარტნიორი სჭირდება. სხვათა შორის, გაერო-ს მონაცემებით, ქალებში მშობიარობამ იკლო, რაც იმას ნიშნავს, რომ ქორწინებაც შემცირდა. სამწუხაროდ, ჩემ ირგვლივ უამრავი მშვენიერი, განათლებული, გადასარევად აღზრდილი, მაგრამ გაუთხოვარი ქალია, უფრო სწორად, დაუქორწინებელი. ჩემი აზრით, სიტყვა „გათხოვილი“ იმდენად მოძველდა, რომ ვფიქრობ, აღარ უნდა ვთქვათ. თუ ამ სიტყვას დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ დროის შეუსაბამოა. ჯობია, ქალზეც და კაცზეც სიტყვა „დაქორწინებული“ ვიხმაროთ. „გათხოვილი“ რატომღაც შეურაცხმყოფელი მგონია. თუ შინაარსს დაუკვირდებით, მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

„ქალების უნარები თვალსა და ხელშუა გაიზარდა, მათ კაცებზე უკეთესად შეუძლიათ მართვა, ალღოც უკეთესი აქვთ, განათლებულებიც არიან და სოლიდურადაც გამოიყურებიან“.

— ამერიკაში საკმაოდ დიდხანს ცხოვრობ-

Cyan Magenta Yellow Black

დით. იქაური ქალები ქართველებისგან რითი განსხვავდებიან?

— ადამიანები მთელი დედამიწის მასშტაბით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეთნიკურობით და ისტორიული წარმომავლობით. ამერიკელი ქალი ქართველისგან ხასიათით, განწყობითა და აზროვნებით რომ განსხვავდება, ეს ყველასთვის ცხადია. ვფიქრობ, ქართველი ქალები ტრადიციების მიმდევრებად რჩებიან. ბევრს უნდა, ამაში გადამარწმუნოს, მაგრამ, რასაც ვუყურებ,

„იღბალი თუ გაქვს, შეგხვდება ისეთი ქალი, ჰომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე სიამტკბილობით იცხოვრებ, მაგრამ ასე ყოველთვის არ ხდება და, სამწუხაროდ, ჩემს შემთხვევაშიც არ მოხდა".

ასეა. დედის, მამის პატივისცემას არ კარგავს, თავის მოვალეობად მიაჩნია, ქმარს მოემსახუროს, საჭმელი მოუმზადოს, ტანსაცმელი გაუმზადოს. დედაჩემიც ასე იქცეოდა. ჩემს სტუდენტებსა და მოწაფეებშიც ასეთი ტრადიციული ქალები ჭარბობენ. ლეგენდებსაც მიყვებიან, ქართველი ქალი ტრადიციებს აცდაო, მაგრამ სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ, ვერ დავიჯერებ. ჩემი მეგობრები ქართველ ქალებს იმდენ თანამედროვე თვისებას აწერენ, პირი ღია მრჩება.

— თანამედროვე თვისებად რა ითვლება?

— ფემინიზაცია, მამაკაცთან თანასწორობის სურვილი. თანამედროვე თვისებად ითვლება ის, რომ მას შეუძლია მოდურად ეცვას. მაგალითს გეტყვით: ამერიკიდან სხვა ქვეყნის გავლით მოვფრინავდი და რა ქალაქებიც გამოვიარე, ქალებს ზუსტად ისე ეცვათ, როგორც ჩვენთან იცვამენ. დღეს ეს სამოსი უკვე ფორმად გადაიქცა — მაღალყელიანი ჩექმა, შიგნით ჩატანებული მოტკეცილი ჯინსის შარვალი ან ელასტიკი, ზემოდან გადმოფარებული მოკლე მაისური, რომელიც ქალის სხეულს მთლიანად გამოკვეთს. ასეთი ჩაცმულია ქალი თურქეთშიც, ამერიკაშიც, საფრანგეთშიც, გერმანიაშიც და საქართველოშიც.

მოდის თეორეტიკოსი არ გახლავართ და ვერ გეტყვით, ქალები ასე რატომ იცვამენ, მაგრამ მაქვს ეჭვი, რომ თავიანთ სექსუალურობას უსვამენ ხაზს და ამით მამაკაცის ყურადღებას უფრო ადვილად იქცევენ. სექსუალური ადგილების წარმოჩენა მისი ინტიმური განწყობის გამოხატვას ნიშნავს, ამით მამაკაცს იწვევს.

— ასე ჩაცმული ქალი თქვენში რა ემოციას აღძრავს?

— პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ მომწონს. ქალისთვის თავხედური თვალის გაყოლება, განსაკუთრებით ქუჩაში, აღმოსავლელი კაცების თვისებაა. ვერ დაგიმალავთ და საკუთარი თავი გამომიჭერია, როცა ხანდახან მინდა, ქალს თვალი გავაყოლო, მაგრამ თავშეკავებას ვიჩენ. ასე ჩაცმული ქალისთვის თვალის შევლება სასიამოვნოა. ამის ცქერა მსიამოვნებს და ასე მგონია, სიცოცხლეს მიხანგრძლივებს, თუმცა უნდა გითხრათ, რომ უშნო ქალი არ მეგულება. ყველა ქალი ლამაზია, ბანალურად კი ჟღერს, მაგრამ ასეა. მინდა, კაცებს ვუთხრა: დააკვირდით ქალს, რომელიც უშნოდ მოგეჩვენებათ და აღმოაჩენთ, რომ ლამაზია!

✓ სოფიო ბოჭორიძე

ლეგენდარული მეკარე დასაჯეს

■ პიტერ შილტონი

ინგლისის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ლეგენდარულ მეკარე პიტერ შილტონს მართვის მოწმობა 20 თვით ჩამოართვეს, რადგან ავტომობილს არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა.

შილტონი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ანონიმური შეტყობინების საფუძველზე გააჩერეს ქალაქ კოლჩესტერის მახლობლად. იმ დღეს სახელოვანი ფეხბურთელი ოჯახურ ზეიმზე იმყოფებოდა, სადაც დალია და შემდეგ მანქანის საჭეს მიუჯდა.

ქალაქ კოლჩესტერის მაგისტრატურის სასამართლოში შილტონმა აღიარა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა მანქანას, რის გამოც მას მართვის მოწმობა 20 თვით ჩამოერთვა და 1.020 ფუნტი სტერლინგით დაჯარიმდა.

შეგახსენებთ, რომ პიტერ შილტონი ინგლისის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით რეკორდსმენია — მის ანგარიშზე ეროვნული მაისურით ჩატარებული 125 შეხვედრაა. მას 1982, 1986 და 1990 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებში აქვს მონაწილეობა მიღებული.

■ ემილ ჰეგლე

რატომ გაშიშვლდნენ ნორვეგიელი ბეატლონისტები

ნორვეგიელმა ბეატლონისტმა, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ემილ ჰეგლე სვენდენმა, იმ ინციდენტზე ისაუბრა, რაც ხანტი-მანსიისკში გამართულ მსოფლიოს თასის მეცხრე ეტაპის ქალთა მასობრივ სტარტზე მოხდა — რბოლის დროს მამაკაცებმა ტანსაცმელი გაიძრეს. ნორვეგიელმა აღიარა, რომ სწორედ ის და ნაკრებში მისი პარტნიორები იქცნენ იმ ინციდენტის გმირებად.

— ტურემ (ნორვეგიის ბეატლონისტების კავშირის პრეზიდენტი) გაიღიმა, როდესაც გვერდით ჩამირბინა. მას ალბათ მოეწონა ის, რაც დაინახა, — განაცხადა სვენდენმა, — ჩემთან ერთად იყო მთელი ჩვენი მამაკაცების გუნდი იყო, მარტენ და სიმონ ფურკადებიც კი. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც 2010 წელს მსოფლიოს თასი მოვიგე. ქალთა გუნდმა ბოლო რბოლის დროს მკერდი გაიშიშვლა, ამიტომ ჩვენ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდით და სამაგიეროს გადახდა გადავწყვიტეთ. ტანსაცმელი გავიხადეთ და გვსურდა, როცა ქალთა გუნდი ჩაგვიქროლებდა, დედიშობილები ვმდგარიყავით, მაგრამ გვერდი გვეცვალა და სხვა მხარეს აღმოვჩნდით, სადაც დამკვირვებლები და ჟურნალისტები იდგნენ. ვცდილობდით, ტყეში დავმალულიყავით, მაგრამ არ გამოგვივიდა. კარგად გვესმოდა, რომ შეიძლებოდა შევემჩნიეთ და ჩვენთვის სურათები გადაეღოთ...

შესაძლოა ჩვენ ზღვარს გადავედით, როდესაც საზოგადოებაში შიშვლები გამოვჩნდით, მაგრამ მოთხილამურე გოგონები უფრო მძიმე პორნოთი არიან დაკავებულები! — განაცხადა ნორვეგიელმა სპორტსმენმა.

ნორვეგიის ბეატლონისტების კავშირის პრეზიდენტმა ტურე ბეიგარდმა მომხდარის შესახებ კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ ამ ინციდენტის თაობაზე მისთვის არაფერია ცნობილი.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ფაქტით რუსი სამართალდამცავები დაინტერესდნენ, რომლებიც მომხდარის გამოძიებას აწარმოებენ. ნორვეგიის ნაკრებს არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილება ემუქრება. თავად გარბენის მონაწილე გოგონებს კი მომხდართან დაკავშირებით უკმაყოფილება არ გამოუხატავთ.

იტალიის ნაჯახები ჯატასტროფას გადაუჩა

იტალიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელთა გუნდი ავიაკატასტროფას გადაურჩა. თვითმფრინავს, რომლითაც „სკუადრა აძურა" შვეიცარიაში ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგური მატჩის გასამართად მიემგზავრებოდა, მეხი დაეცა.

სახიფათო ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც თვითმფრინავი ჟენევის აეროპორტში ეშვებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, თვითმფრინავში მყოფმა ნაკრების უკლებლივ ყველა წევრმა მომხდარი ღირსეულად გადაიტანა. ისინი პანიკაში არ ჩაცვენილან, მიუხედავად იმისა, რომ მომხდარით შოკირებული იყვნენ. არც მფრინავები შედრკნენ და თვითმფრინავი უსაფრთხოდ დასვეს დასაფრენ ზოლზე.

ამ ინციდენტს იტალიის ნაკრების გეგმებზე გავლენა არ მოუხდენია.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

ჭამის შემდეგ ქალი ორსულს ემსგავსება

23 წლის ბრიტანელ კერი დაუდსუელს საჭმლის ჭამის ეშინია, რადგან ყოველი ულუფის მიღების შემდეგ მუცელი საშინლად ეზრდება და უკვე მეათე წელია, ყველას ორსული ჰგონია.

კერიმ ჯერ კიდევ ბავშვობაში შენიშნა, რომ საკმარისი იყო, ეჭამა, მუცელი ორსულივით ებერებოდა. ასაკის მატებასთან ერთად კი მუცლის ზომაც იზრდებოდა. ყველა საჭირო ანალიზისა და გამოკვლევის ჩატარების შემდეგ ექიმებმა დაასკვნეს, რომ გოგონა ვერანაირ საკვებს ვერ იტანდა, განსაკუთრებით კი ცომეულს, ამიტომ გამუდმებით სხვადასხვა სახის დიეტაზე იყო.

მიუხედავად კვების ასეთი რეჟიმისა, კერის მუცელი მაინც ებერებოდა. ბოლოს გადაწყვიტა, ყველაფერი ეჭამა, რაც მოესურვებოდა. მას მუცელი სხვადასხვაგვარად ებერება და მის ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნებასაც განსხვავებული დრო სჭირდება — ხანდახან 15 წუთში იფუშება, ხან კი „ორსულობა“ რამდენიმე საათი გრძელდება.

101 კარატიანი ბრილიანტი იყიდება

მსოფლიოში ყველაზე დიდი ბრილიანტი 15 მაისს კრისტის აუქციონზე გაიყიდება. ბრილიანტი მსხლის ფორმისაა და განსაკუთრებული ბრწყინვალეება აქვს.

101,73 კარატის ზომის ბრილიანტი თითქმის ორჯერ აღემატება ბრილიანტს, რომელიც ცოტა ხნის წინ 9,4 მილიონ დოლარად გაიყიდა. ეს ბრილიანტი ბოტსვანას მაღაროში ნაპოვნი 236 კარატის ზომის უხეში ალმასისგან გამოთალეს, რომლის დამუშავებასაც 21 თვე დასჭირდა.

კაბა 17 მილიონ დოლარად

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კაბა დუბაიში შექმნეს. მისი ფასი 17,6 მილიონი დოლარია. კაბა 2.000 ბრილიანტის თვლითაა გაფორმებული, მათ შორისაა წითელი ბრილიანტი, რომლის ფასიც 8 მილიონი დოლარია.

კაბის დიზაინი ბრიტანელ დები ბინგჰემს ეკუთვნის. მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული კაბის ხილვის შესაძლებლობა ნებისმიერ მსურველს 21-25 მარტს დუბაის ერთ-ერთ სასტუმროში ჰქონდა.

ქალი ყველაფერს თავდაყირა ხედავს

28 წლის სერბი ქალი ბოჟანა დანილოვიჩი ყველაფერს თავდაყირა ხედავს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაზეთებსა თუ წიგნებს ქვემოდან ზემოთ კითხულობს. მისი დაავადებით ექიმებიც კი გაოცებულები არიან. მათი განმარტებით, ბოჟანა ყველაფერს კარგად ხედავს, მაგრამ დაავადების გამო, ფიგურები და ნივთები მის აღქმაში ფორმას იცვლის. ქალი სპეციალურად მისთვის შექმნილ ტელევიზორს უყურებს.

— ეს შესაძლოა სხვებისთვის წარმოუდგენელი იყოს, მაგრამ ჩემთვის ნორმალური და ბუნებრივია. ასეთი დავიბადე, აი, ასე ვხედავ მე მსოფლიოს, — განაცხადა ბოჟანამ.

ნევროლოგების განცხადებით, აღნიშნული დაავადება სივრცითი ორიენტაციის ფენომენის სახელწოდებითაა ცნობილი.

დელფინებმა ქალი და ძაღლი დახხჩობას გადაარჩინეს

ავსტრალიის ერთ-ერთი პატარა ქალაქის მცხოვრები ქალი, კარინ გითმაში, რომელიც ოკეანეში ძაღლთან ერთად იხრჩობოდა, დელფინებმა გადაარჩინეს. ქალი ერთ ჩვეულებრივ დილას თავის ორ ძაღლთან ერთად კლდოვან სანაპიროზე სეირნობდა. უცებ ერთი ძაღლი წყალში ჩახტა, პატრონი კი შეეცადა, დახმარებოდა. სველ ქვებზე ფეხი დაუცურდა და ისიც ჩავარდა.

კარინმა ცურვა არ იცოდა. ის იყო, ჩაძირვა დაიწყო, რომ მოულოდნელად მასთან დელფინთა გუნდი მიცურდა. მათ ისეთი რგოლი შექმნეს, რომ ძაღლმა პატრონამდე მისვლა შეძლო, შემდეგ კი ორივეს დაეხმარნენ გაცურვაში.

Cyan Magenta Yellow Black

ყავა სიკვდილის მსურველთათვის

მსოფლიოში ყველაზე მაგარი ყავა ნიუ იორკში არსებულმა ერთ-ერთმა კომპანიამ გამოუშვა. ეს ყავა ჩვეულებრივთან შედარებით 200%-ით მეტ კოფეინს შეიცავს და მას „სიკვდილის სურვილი“ ჰქვია.

კომპანიის წარმომადგენლები მის ინგრედიენტებზე ბევრს არაფერს ამბობენ. მათი განცხადებით, ყავის მარცვლები ჩვეულებრივ იზრდება, შემდეგ მარცვლებს მანამ ხალავენ, სანამ მუქ ფერს არ მიიღებს. „სიკვდილის სურვილის“ შეძენა 19,99 დოლარადაა შესაძლებელი.

ზღვის ლომმა რიო დე ჟანეიროს ქუჩებში გაისეირნა

17 მარტს რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთ ცენტრალურ გამზირზე საავტომობილო მოძრაობა თითქმის 2 საათით გაჩერდა. ამის მიზეზი გზაზე გაწოლილი უზარმაზარი ზღვის ლომი გახდა. 3 მეტრი სიგრძის ნახევარტონიანი ცხოველი ოკეანიდან პირდაპირ გზაზე გადავიდა და მანქანებს გადაადგილების საშუალებას არ აძლევდა.

სამართალდამცავები და მაშველები ზღვის ლომს წყალს ასხამდნენ, რათა კანი არ გამოშრობოდა და ცდილობდნენ, ოკეანეში დაებრუნებინათ. ქალაქის ცენტრალურ უბანში საათნახევრიანი გასეირნების შემდეგ, როგორც იქნა, ცხოველი ოკეანეში დააბრუნეს.

დუბაიში მსოფლიოში ყველაზე დიდი ბაღი გაიხსნა

დუბაიში მსოფლიოში ყველაზე დიდი ბაღი გაიხსნა. ის 72 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზეა გაშენებული და 45 მილიონზე მეტი ყვავილია დარგული. ბაღს გინესის რეკორდების წიგნში მალე ოფიციალურად შეიტანენ.

ულამაზესი ბაღი საზოგადოებისათვის უკვე ღიაა, იქ შესვლა ნებისმიერ მსურველს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე სრულიად უსასყიდლოდ შეუძლია. ადმინისტრაციის განცხადებით, დამთვალიერებლებისათვის ბაღი მაისის ბოლოს დაიკეტება და ოქტომბრის შუა რიცხვებში გაიხსნება.

ეს იცოდით?

- ჩინელი კომუნისტების ლიდერი მაო ძედუნი კბილებს არასდროს იხეხავდა, რასაც ასე ხსნიდა: „გინახავთ, ვეფხვი კბილებს იხეხავდეს?“.
- თურმე ალექსანდრე მაკედონელი თავის მეომრებს ასე არჩევდა: მეომარი შეჰყავდათ ლომთან გალიაში, თუ გაფითრდებოდა, იწუნებდა, თუ გაწითლდებოდა, მაშინ ირჩევდა.
- ჩინგიზ ხანი შვილებს უცხო ენების სწავლას აიძულებდა, რომ დაპყრობილი ქვეყნების მართვისას თარჯიმნებს არ მოეტყუებინათ.
- მადაგასკარის დედოფალმა რანავალონამ თავისი რამდენიმე ქვეშევრდომი იმისთვის დასაჯა, რომ ყოველგვარი ნებართვის გარეშე ეცხადებოდნენ სიზმარში.

ყველაზე პატარა მასწავლებელი

ინდოეთის ქალაქ ჰარიანის ქალთა სკოლის მასწავლებელი, 22 წლის აზად სინგჰი, 5 წლის იყო, როცა გენეტიკური დაავადების გამო სიმაღლეში ზრდა შეწყვიტა. ამჟამად აზადი 6 წლის ბავშვივით გამოიყურება, მისი სიმაღლე 90 სმ-ია, წონა კი — სულ რაღაც 15 კილოგრამი.

მიუხედავად ყველაფრისა, აზადი ამაყობს, რომ მსოფლიოში ყველაზე პატარა მასწავლებლად აღიარეს. მისი ხელფასი თვეში 140 ევროა, რაც ინდოეთში საშუალოზე მაღალ ანაზღაურებად ითვლება. აღსანიშნავია, რომ გაკვეთილის ჩასატარებლად აზადის მაგიდაზე ასვლა უწევს.

Cyan Magenta Yellow Black

ის დროს უთმობთ გართობას?

ტესტის თითოეულ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში ერთი ქულა დაიწერეთ, შემდეგ კი ქულები შეაჯამეთ.

1. გიყვართ სეირნობა?
2. გიყვართ სტუმრების გამასპინძლება?
3. არ გიჭირთ მეგობრების ხათრით წვრილმანებზე უარის თქმა?
4. შინ ყოველთვის მოგეპოვებათ რამე მოულოდნელი სტუმრების გასამასპინძლებლად?
5. სასურველ ადამიანთა კომპანიაში შეგიძლიათ დალიოთ უფრო მეტი, ვიდრე ისურვებდით?
6. გიყვართ სამზარეულოში ტრიალი და საჭმლის კეთება?
7. ხშირად მართავთ წვეულებებს?
8. გყავთ მეგობრები, რომლებსაც რეგულარულად ხვდებით?
9. გიყვართ მეგობრების წრეში სიმღერა?
10. გიყვართ კარგ კომპანიაში ყოფნა?
11. ადვილად მოდიხართ გუნებაზე?
12. ადვილად ურიგდებით ადამიანს, რომელთანაც უთანხმოება მოგივიდათ?
13. როდესაც წარსულზე საუბრობთ, უმეტესად სასიამოვნო ამბებს იხსენებთ?
14. როგორ ფიქრობთ, სახის კარგი ფერი გაქვთ?
15. როდესაც თავს შეუძლოდ გრძნობთ, შეგიძლიათ, ეს არ შეიმჩნიოთ და თავი ისე დაიჭიროთ, თითქოს ყველაფერი რიგზეა?
16. სათანადო ყურადღებას უთმობთ საკუთარ ჯანმრთელობას?
17. ხშირად იღვიძებთ თავატკიებული, გამოუძინებელი?
18. ხდება ისე, რომ დილით სამსახურში წასვლის ძალა არ შეგწევთ, რადგან წინა ღამით მოიღხინეთ და მეტისმეტად გვიან დაწექით დასაძინებლად?
19. თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ექიმი მოწევასა და დალევას აგიკრძალავთ, შეძლებთ, უარი თქვათ ამ მავნე ჩვევებზე?
20. ერთხელ მაინც გითქვამთ: „არასოდეს დავიცავ დიეტას, რაც უნდა მოხდეს“?
21. ჭარბი წონა ხომ არ გაქვთ?
22. ხშირად მიბრძანდებით გასართობად მეუღლის, პარტნიორის გარეშე?
23. გიყვართ კომედიები?
24. ღამით გვიან დაწოლა გჩვევიათ?
25. დილაობით ადგომა გიჭირთ?
26. გიყვართ კლოუნადა?
27. ხშირად იგვიანებთ შეხვედრებზე?
28. სამსახურში ხშირად ხუმრობთ?
29. ყოველთვის ხართ მზად, საქმე მეორე დღისთვის გადადოთ და გასართობად გეშურეთ?

შედეგები:

18-22 ქულა — გართობის დიდი მოყვარული ბრძანდებით. იმდენად დიდი, რომ მზად ხართ, მას სამსახური და ჯანმრთელობაც კი შესწიროთ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ მეტისმეტად ლაღ ცხოვრებას ეწევით?

13-17 ქულა — გონიერი ბრძანდებით და ზომიერება არც მხიარულებისა და გართობის დროს გღალატობთ, თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ თავი დაკარგოთ. ეს კატასტროფა არ არის — გააჩნია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას და სამსახურებრივ წარმატებებს.

8-12 ქულა —შეგიძლიათ დატკბეთ სიცოცხლით, მაგრამ ზომიერად. სამსახური და ოჯახი თქვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე გართობა. შეგიძლიათ, კარგად დაისვენოთ, თუ, რა თქმა უნდა, ეს ზიანს არ მიაყენებს თქვენს მოვალეობას.

3-7 ქულა —იშვიათად ერთობით. ალბათ ამიტომაც გიჭირთ იმ სიამოვნებათა დაფასება, ცხოვრება რომ გვთავაზობს. მეტისმეტად გონიერი ხართ და მშვიდ, გაწონასწორებულ, კარგად ორგანიზებულ ცხოვრებას ამჯობინებთ. თითქოს გეშინიათ კიდეც გადაჭარბების, ჩარჩოების დამსხვრევის.

1-2 ქულა — შექმნილი ხართ ისეთი ცხოვრებისთვის, რომელიც გართობის მოყვარული ადამიანისთვის აუტანელი იქნებოდა. თქვენ ამ უკანასკნელის საპირისპირო კატეგორიას ეკუთვნით. თქვენმა ასეთმა ხასიათმა შესაძლოა ბევრი დაიფრთხოს.

სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

	7		4	5				9
2							6	
		3		1		8		
8					6			
		9			4	2		7
1	5				3			
			7			3	4	
		6		2				
		5	9		8			1

№ 2

		2	3			7		
	7			1				5
4			6			9		8
		4			7		8	
						1	6	2
1	6		8					
	9		5			4		
		8		7	1			3
3			2		6			

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

რას ჭამს თქვენი საყვარელი მამაკაცი?

ის მომზადებას გთხოვთ ყველაზე ხშირად პარტნიორი, ტკბილს ეტანება თუ ცხარეს? დააკვირდით და ბევრ რამეს შეიტყობთ მისი ხასიათის შესახებ.

მჟავეს მოყვარული

უკიდურესად ერთგული ადამიანია. თუ ერთხელ გადაწყვიტა, რომ გიყვართ და უყვარხართ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს სიყვარული სამუდამოდ გაგრძელდება. ყოველგვარი უთანხმოების სასტიკი წინააღმდეგია და მის გვერდით მშვიდი ცხოვრება გელით.

მღაშეს მოყვარული

ასეთი ადამიანები მღაშეს სიყვარულს დედის სხეულშივე ეზიარებიან — ეს ამნიონის სითხეა და მას მღაშე გემო აქვს. თეორიულად, ის ადამიანები, რომლებიც მღაშე საჭმელს ეტანებიან, ექსპერიმენტებისკენ სწრაფვით ნამდვილად არ გამოირჩევიან და ტრადიციების მოყვარულნი არიან. შეგიძლიათ „დიდ ბავშვთან“ ურთიერთობა? თუ პასუხი დადებითია, მაშინ მოემზადეთ — მთელი ცხოვრება ერთით მეტი ბავშვის მოვლა მოგიწევთ.

ტკბილის მოყვარული

მამაკაცი, რომელსაც ტკბილეულის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, გარშემომყოფებისგან განსაკუთრებულ მოპყრობას ითხოვს, თუმცა რჩეულს არც თვითონ აკლებს ყურადღებას და სითბოს. საკმაოდ რისკიანია. თუ მასთან გადაწყვეტთ ცხოვრებას, დარწმუნებული იყავით, რომ მთელ სიცოცხლეს რომანტიკულ ზღაპარში გაატარებთ.

ცხარეს მოყვარული

ცხარე საჭმელი ენაზე განთავსებული ნერვული დაბოლოებების სტიმულირებას ახდენს. ეს სწორედ ის ნერვებია, რომლებიც გვაიძულებენ ვიტიროთ, როცა ხახვს ვჭრით, მეორე მხრივ კი, გვაფხიზლებენ და სიცოცხლის სურვილით გვავსებენ. ცხარე საჭმელი უყვარს თქვენს მამაკაცს? მაშინ ჩათვალეთ, რომ მასთან არასოდეს მოიწყენთ, ისიც გაითვალისწინეთ, რომ თავგადასავლების მოყვარულია და მშვიდი ცხოვრება თუ გიყვართ, მის გვერდით არაფერი გესაქმებათ.

Cyan Magenta Yellow Black

თქვენი „გეომეტრიული“ ხასიათი

ადამიანის ხასიათის თვისებები ნებისმიერ წვრილმანში ვლინდება. ეს შეიძლება გამოჩნდეს გეომეტრიული ფიგურის შერჩევის დროსაც. ერთი შეხედვით, არაფრისმთქმელი ფიგურები ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით პიროვნული თავისებურებების შესახებ.

აირჩიეთ ერთ-ერთი გეომეტრიული ფიგურა, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ.

- კვადრატი
- მართკუთხედი
- სამკუთხედი
- წრე
- ტეხილი

შედეგები:

კვადრატი — შრომისმოყვარეობა, სიბეჯითე, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის მოთხოვნილება, სიჯიუტე, რომელიც ხელს უწყობს საქმის დასრულებას — ეს ის თვისებებია, რომლებიც „კვადრატებს“ ახასიათებს. ამტანობამ, მოთმინებამ და მეთოდურობამ შესაძლოა „კვადრატი“ თავის საქმიანობაში ნამდვილ პროფესიონალად აქციოს. უყვარს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესები — ყველაფერი თავის ადგილზე უნდა იდოს და თავის დროზე კეთდებოდეს. მისი იდეალი წინასწარ დაგეგმილი და გათვლილი ცხოვრებაა. არ უყვარს სიურპრიზები და ყოველდღიურობაში ცვლილებების შეტანა.

მართკუთხედი — ეს ფიგურა დროებითი ფორმაა, რომელსაც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე სხვა ფიგურები ატარებენ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც უკმაყოფილო ბრძანდებიან არსებული ვითარებით და უკეთესი მდგომარეობისკენ ილტვიან. „მართკუთხედისთვის“ დამახასიათებელია ცნობისმოყვარეობა, ცხოველი ინტერესი მიმდინარე მოვლენებისადმი და გამბედაობა. მუდამ მზად არიან, ახალი იდეების, ღირებულებების, აზროვნებისა და ცხოვრების სტილის მისაღებად.



სამკუთხედი — ეს ფიგურა ლიდერობის სიმბოლოა. მისთვის დამახასიათებელია ცხოვრების მთავარი მიზნისკენ მიმავალ გზაზე კონცენტრირება. ენერგიული, თავშეკავებული, ძლიერი პიროვნებები არიან, რომლებიც კონკრეტულ მიზანს ისახავენ და, როგორც წესი, აღწევენ კიდეც. ისინი პატივმოყვარე და პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანები არიან, შეუძლიათ ხელმძღვანელ პირებს საკუთარი საქმიანობისა და დანარჩენი დაქვემდებარებული პირების მნიშვნელობა დაანახონ. მათ მუდმივად სურთ, ყველაფერში მართალი იყვნენ და სიტუაციას აკონტროლებდნენ. სწორედ ეს თვისებები აყალიბებს „სამკუთხედს“ მუდმივად მებრძოლ და კონკურენტუნარიან პიროვნებად.

წრე — სხვა ფიგურებს შორის ყველაზე კეთილგანწყობილი ფიგურაა. მგძნობიარე, ემპათიური ადამიანია, ანუ მისთვის დამახასიათებელია თანაგრძნობა, სხვის პრობლემებზე ემოციური რეაგირება, სხვის სიხარულსა და ტკივილს ისე განიცდის, როგორც საკუთარს. მხოლოდ მაშინაა ბედნიერი, როცა გარშემომყოფები თავს კარგად გრძნობენ, ამიტომ, როცა ვინმესთან კონფლიქტი აქვთ, სწორედ ისინი თმობენ პირველები. ისინი განსხვავებული შეხედულებების მქონე ხალხთანაც კი ცდილობენ, რაღაც საერთო გამონახონ.

ტეხილი — ეს არის ფიგურა, რომელიც შემოქმედებითობის სიმბოლოა. უყვარს განსხვავებული, ერთი შეხედვით, შეუსაბამო იდეების კომბინაცია, რომლის საფუძველზეც სრულიად ახალი და ორიგინალური იქმნება. მას არასოდეს აკმაყოფილებს მეთოდები, რომლებითაც სხვადასხვა საგნები კეთდება. ყველაზე უფრო გაღიზიანებადი და ადვილად აღგზნებადი პიროვნებაა სხვა ფიგურებს შორის. როდესაც ახალი და საინტერესო იდეები მოსდის, სურს, რომ მთელმა ქვეყანამ იცოდეს ამის შესახებ. მუდმივად პროპაგანდას უწევს საკუთარ აზრებს და გარშემომყოფებს თავისი გავლენის ქვეშ აქცევს.

ისწრაფვით დომინანტობისკენ?

1. ადვილად ღიზიანდებით?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) არ ვიცი — 1

2. ყოველთვის იმას ამბობთ, რასაც ფიქრობთ, თუნდაც ეს გარშემომყოფებს აღიზიანებდეთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) როდის, როგორ — 1

3. გიყვართ გარშემომყოფების შეცბუნება?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) არ ვიცი — 1

4. თვლით, რომ გაცილებით უკეთესი ტელეშოუს გაკეთებას შეძლებდით, ვიდრე ტელევიზიით უყურებთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) არ ვიცი — 1

5. საზოგადოებრივი სამუშაოს დროს ლიდერობას საკუთარ თავზე იღებთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ყოველთვის არა — 1

6. არსებული წესებით უკმაყოფილო ხართ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) არ ვიცი — 1

7. სხვათა იდეებს უნდობლად უყურებთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ყოველთვის არა — 1

8. ყოველთვის ისე იქცევით, როგორც თქვენ გსურთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) გააჩნია სიტუაციას — 1

9. ხშირად იყენებთ უწმაწურ სიტყვებს?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) თუ სხვა გამოსავალი არ არის... — 1

10. სწრაფი მოგების მისაღებად ფულს სააქციო საზოგადოებებში დებთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) გააჩნია სიტუაციას — 1

11. იგნორირებას უკეთებთ წარწერებს, მაგალითად, „ეზოში ავი ძაღლია“ და მისთ.?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) როდის როგორ — 1

12. სხვა მძღოლებთან კამათი ხშირად გაქვთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) პერიოდულად — 1

13. გაღიზიანებთ აზრი, რომელსაც არ ეთანხმებით?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) არ ვიცი — 1

14. თვლით, რომ თქვენი სქესის ადამიანები უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე საწინააღმდეგო სქესისა?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) არ ვიცი — 1

15. ადამიანთა უმრავლესობაზე გაცილებით ჭკვიანად მიგაჩნიათ თავი?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) არ ვიცი — 1

შედეგები:

14-10 ქულა — გიუდებით, ისე გიყვართ დომინანტის როლში ყოფნა და ყველაფერში საკუთარი აზრის გატანა.

9-6 ქულა — საკმაოდ მშვიდობისმოყვარე ბრძანდებით და დომინირებისკენ არასოდეს ილტვით.

5-0 ქულა — იმდენად მოკრძალებული ხართ, რომ დომინანტის როლში თავი ვერც კი წარმოგიდგენიათ. ლიდერობა რომ დაგაკისრონ, შეიძლება, ისე შეშინდეთ, იტიროთ კიდეც.

Cyan Magenta Yellow Black

ᲨᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

წერტილოვანი მასაჟი

აკუპრესურა (ანუ წერტილოვანი მასაჟი) ძალიან ძველი ტექნიკაა და პირველად ჩინეთში გაჩნდა. სწორედ ჩინელმა მკურნალებმა შექმნეს ორგანიზმზე წერტილოვანი ზემოქმედების მეთოდიკა, რომლის წყალობით, მადა ითრგუნება და ნივთიერებათა ცვლა რეგულირდება. წერტილოვანი მასაჟი კარგია იმითაც, რომ დამოუკიდებლად შეგიძლიათ გაიკეთოთ. გარდა ამისა, მისი ეფექტურობა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებითაა დამტკიცებული.

ᲧᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝ

შიმშილის გრძნობის გასაყუჩებლად ცერა და სალოკი თითებით ყურის ბიბილო დაიზილეთ. აღმოსავლურ მედიცინაში უფრო მოქმედად ითვლება წერტილი ყურისა და ქვედა ყბის შეერთების ადგილზე. ეს წერტილი სწორად რომ განსაზღვროთ, ყბა ზევით და ქვევით ამოძრავეთ. მოსინჯეთ ყურთან ადგილი, სადაც ყბის მოძრაობა იგრძნობა. წერტილი ჭამამდე 5-10 წუთით ადრე დაისრისეთ. შედეგად, დანაყრების გრძნობა სწრაფად დგება და იმაზე ნაკლებს შეჭამთ, ვიდრე აპირებდით.

ᲮᲔᲚᲔᲑᲖᲔ

კვირაში 500 გრამს დაიკლებთ, თუ ყოველ საღამოს 15 წუთით, არათითის ბალიშის ქვეშ მასაჟს გაიკეთებთ, მაგრამ ამ წერტილის ხანგრძლივად დასრესა არ ღირს. გადამეტება დაღლის შეგრძნებას იწვევს. აკუპრესაში, ისევე როგორც ნებისმიერ საქმეში, საჭიროა ზომიერების დაცვა.

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲒᲐᲓ ᲮᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲝᲓᲔᲗ

გსურთ, მოხდენილად გამოიყურებოდეთ? დიეტასა და ფიტნესს აკუპრესურის სეანსები დაუმატეთ. დილა-საღამოს გაიკეთეთ მასაჟი, რომელიც 10 წუთზე მეტს არ წაგართმევთ.

დაძაბულობის მოხსნა. ორივე ხელის თითები შუბლის შუა ადგილას დაიდეთ, მსუბუქად დააწექით და თითები საფეთქლებისკენ წაიღეთ. 6-ჯერ გაიმეორეთ.

შუბლზე ნაოჭები. ორივე ხელის სალოკი თითებით წარბებს მთელ რკალზე დააწექით. შემდეგ წარბებზე თითები გადაისვით.

ნაოჭი ცხვირის ფუძეზე. შუათითით ცხვირის ფუძეს დააწექით და წრიული მოძრაობით, საათის ისრის მიმართულებით, ერთი წუთის განმავლობაში დაისრისეთ.

ფერუმარილის მაგივრად. ორივე ხელის თითებით, მსუბუქი წრიული მოძრაობებით, ლოყებისა და ნიკაპის მიდამო ნელა დაისრისეთ.

ᲐᲠᲝᲛᲐᲗᲔᲠᲐᲞᲘᲐ ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

ᲧᲔᲕᲠᲘ მცენარის ეთერზეთს გამოხატული ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვს, ზოგსაც — ტკივილგამაყუჩებელი.

გამოიყენეთ ისინი მტკივნეული კბილის ღრძილების მასაჟისთვის ან ზეთში დასველებული ბამბა კარიესულ კბილში ჩაიდეთ.

მიხაკის ზეთი ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას ფლობს. გამოიყენება კბილის ტკივილისა და ღრძილების ანთების დროს. ამიტომ მიხაკის ზეთი ხშირად შედის პირში გამოსავლები საშუალებებისა და კბილის პასტების შემადგენლობაში. მიხაკის ზეთში ბამბა დაასველეთ და კბილთან დაიდეთ.

პიტნის ეთერზეთი შეშუპებას ამცირებს, კბილის ტკივილს აყუჩებს. ბამბა ზეთში დაასველეთ და მტკივნეულ კბილთან დაიდეთ, პერიოდულად შეცვალეთ, სანამ ტკივილი არ გაივლის.

შეგიძლიათ გამოიყენოთ ზეთების ნარევი. 1 წვეთი მიხაკის ზეთი, 2 წვეთი პიტნის ეთერზეთი, 2 წვეთი ლავანდის ზეთი შეურიეთ. ყველაფერი 1 ჩაის კოვზ ნუშის ზეთში გახსენით, ნარევში ბამბის ტამპონი დაასველეთ და მტკივნეულ კბილთან დაიდეთ. ან კიდევ, გვირილისა და მიხაკის ზეთის თითო წვეთი აურიეთ, ბამბის ბურთულა დაასველეთ და მტკივნეულ კბილში ჩაიდეთ.

ᲙᲣᲭᲖᲔ ᲡᲢᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲗ

ტყუილად არ ამბობენ, ყველა დაავადება ნერვებიდან მოდისო. ინერვიულეთ და მაშინვე დიარეა და გულის ფრიალი დაგეწყოთ? სამედიცინო პრაქტიკაში მას გაღიზიანებუოი კუჭის სინდრომს უწოდებენ.

რატომ ხდება კუჭის აშლა სტრესის ფონზე? საქმე ისაა, რომ გაღიზიანებული კუჭის სინდრომი ნერვული სისტემის ინდივიდუალური თავისებურებაა. ვიღაცას შიშის გამო გულის ტკივილი ეწყება, ზოგიც მაშინვე ტუალეტში გარბის. ამ დაავადების წამალი არ არსებობს. ამიტომ ეს თავისებურება უნდა მიიღოთ, როგორც მოცემულობა და კომფორტულად ცხოვრება ისწავლოთ.

ყოველთვის თან გქონდეთ დიარეის საწინააღმდეგო წამალი.

თუ იცით, რომ წინ ნერვული დღე გელით, კუჭს ნუ გადატვირთავთ. შემოიფარგლეთ, მაგალითად, ჩაით და ორცხობილით.

დილით რეკომენდებულია კონტრასტული შხაპი. ეს მარტივი პროცედურა ნერვულ სისტემას შესანიშნავად ამაგრებს.

კარგი იქნება, სტრესის მშვიდად გადატანა ისწავლოთ. ამაში დაგეხმარებთ სუნთქვითი ვარჯიში, მედიტაცია, იოგა. მაშინ თქვენი კალაპოტიდან ამოვარდნა ადვილი არ იქნება.

ᲠᲐ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲣᲨᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲡᲡ

ᲐᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ მოსახლეობის 98% კარიესით იტანჯება. დაავადება თანაბარი ალბათობით შეიძლება აღმოცენდეს როგორც მოზრდილებში, ასევე ბავშვებში.

კარიესი — ეს არის კბილის ზედაპირზე ადგილი, სადაც კბილის ქსოვილში არსებული მინერალების გახსნა-გაქნის შედეგად „ხვრელი“ წარმოიქმნება (ამ პროცესს დემინერალიზაცია ეწოდება).

როგორც წესი, კბილის დემინერალიზაციას იწვევს მჟავები, რომლებსაც პირის ღრუში კბილის ნადებზე ბინადარი ბაქტერიები გამოყოფენ. ბაქტერიები (სტრეპტოკოკები და ლაქტობაცილები) საკვებად იყენებენ შაქარს (გლუკოზას, საქაროზას, ფრუქტოზას, ლაქტოზას ან საკვებ სახამებელს). შაქრის მოხმარების შედეგად ბაქტერიების მიერ წარმოქმნილი ცხოველქმედების ნარჩენები სწორედ ის მჟავებია (განსაკუთრებით რძის მჟავა), რომლებიც კბილის დემინერალიზაციას იწვევს. ამიტომ შაქრით მდიდარი საკვების შემდეგ კბილები ჯაგრისითა და ძაფით გაისუფთავეთ ან, უკიდურეს შემთხვევაში, პირში წყალი გამოივლეთ.

პირის ღრუში სტერილურობის დაცვა შეუძლებელია, მაგრამ კარიესის აღმოცენების შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანა შეგვიძლია. ამისთვის საჭიროა კბილის ნადებს წარმოქმნის საშუალება არ მივცეთ. საქმე ისაა, რომ ნადები კბილის ზედაპირზე ბაქტერიების მიერ წარმოებულ მჟავას აკავებს. სწორედ ასეთ ადგილებში ჩნდება კარიესი.

ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲐ

კარიესის პროფილაქტიკური ზომების შესახებ ბავშვობიდან გვესმის, მაგრამ მარტივ და ბრძნულ რჩევებს ყოველთვის არ ვიცავთ.

კბილები დღეში 2-ჯერ გაისუფთავეთ (დილით, საუზმის შემდეგ და ღამით). გამოიყენეთ კბილის ძაფი არანაკლებ 3-4 წუთისა.

ჭამის შემდეგ პირში წყალი გამოივლეთ.

წელიწადში 4-ჯერ კბილის ჯაგრისი შეცვალეთ.

მეტი ხილი და ბოსტნეული მიირთვით (ტკბილეულის მაგივრად).

წელიწადში 2-ჯერ სტომატოლოგს ეწვიეთ.

ყურადღება დაუთმეთ ღრძილების მკურნალობას.

დროულად უმკურნალეთ კბილებს (ზედაპირული კარიესი ბევრად უფრო ადვილად იკურნება, ვიდრე ღრმა).

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გვჰასუხობს ექიმი



— გავიკეთე სისხლის საერთო ანალიზი. ყველაფერი რიგზე მაქვს, მხოლოდ ეოზინოფილები მაქვს მომატებული საკმაო რაოდენობით. რისი ბრალი შეიძლება იყოს?

— ეოზინოფილების მატების მიზეზი ხშირად ალერგიაა, რომელიც სხვადასხვა ორგანიზმში სხვადასხვა სიმპტომით ვლინდება. სისხლის საერთო ანალიზის მხოლოდ ერთი მაჩვენებლით დაზუსტებით არაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ალერგია მაინც უნდა გამორიცხოთ, რომელიც, შეიძლება ჯერ შემაწუხებელი არ არის და ამიტომ ყურადღებას ნაკლებად ამახვილებთ.

— ვარ 23 წლის, ბულსი სულ აჩქარებული მაქვს, ზოგჯერ 150-მდე ამდის, მაქვს აკვიატებული შიშები, რისი ბრალი შეიძლება იყოს?

— თქვენი სიმპტომები შეიძლება ენდოკრინოლოგიური, კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური ცვლილებებით იყოს გამოწვეული, ამიტომ გირჩევთ, მიმართოთ ენდოკრინოლოგს, რომლის კონსულტაციის შემდეგ შეიძლება ნევროპათოლოგის კონსულტაციაც დაგჭირდეთ, რომ გამოირიცხოს ვეგეტონევროზიც.

— მაქვს მაღალი წნევა, ამ დროს მარცხენა ხელ-ფეხში ძალა მეცლება, გულის არეში ვგრძნობ ტკივილს. რა შეიძლება იყოს?

— მაღალი წნევის დროს აღნიშნული სიმპტომები ბუნებრივია, უნდა მიმართოთ კარდიოლოგს და ჩაიტაროთ გამოკვლევა. საჭიროა სწორი მკურნალობა. თვითნებურად მიღებული პრეპარატები და ერთჯერადად, მყისიერად წნევის დაწევა დიდ შედეგს არ მოგცემთ. საჭიროა გულის კარდიოგრამის გადაღებაც, ექიმი თუ საჭიროდ ჩათვლის, შეიძლება თირკმლების გამოკვლევაც დაგჭირდეთ.

— ციკლი მქონდა დარღვეული. ვიკურნალე და მომიწესრიგდა. ჩავიტარე ჰორმონალური მკურნალობა, სახეზე გამონაყარი შემიმცირდა, მაგრამ ცოტა თმიანობა დამრჩა. ასევე უკვე ერთი წელია, სამაღლეში არ ვიმატებ, რაც გენეტიკური არ არის. რას მირჩევთ?

— მთავარია, რომ ციკლი მოგიწესრიგდათ, შესაბამისად, ორგანიზმის ჰორმონალური მდგომარეობა ძირეულად გამოსწორდა. რაც შეეხება თმიანობას, მისი ბოლომდე გაქრობა შეიძლება არ მოხერხდეს, მთავარია, აღარ მოგემატოთ, რაც იმის ნიშანია, რომ ჰორმონალური დისბალანსი აღარ მიმდინარეობს თქვენს ორგანიზმში. ჰორმონალური პრეპარატები სიმაღლეში ზრდის შეჩერებას ნაკლებად იწვევენ, მაგრამ მაინც უნდა გადაიხედოს ჩატარებული მკურნალობის კურსი. მიმართეთ ენდოკრინოლოგ-გინეკოლოგს, თუ რომელიმე პრეპარატმა ასეთი გვერდითი მოვლენა გამოავლინა, მისი გამოსწორება შეიძლება.

— მაქვს ქაფილი და გამონადენი. რას მირჩევთ?

— აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგს, ჩაიტარეთ ნაცხის ანალიზი და მკურნალობაც შესაბამისი დაგენიშნებათ. გამონადენი და ქავილი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც სოკოვანი დაავადებით, ასევე ტრიქომონიათაც. საჭიროა დროული მკურნალობა.

— რა არის კბილის ქვები, როგორ ჩნდება და რა პრობლემას უქმნის იგი მოზარდს?

— ადამიანთა 80%-ს აქვთ კბილის ნადები — კბილის ქვა. ყველაზე ხშირად კბილის ქვა ვითარდება იმ კბილებზე, რომლებიც ნაკლებად მონაწილეობენ ღეჭვით პროცესში, რის გამოც ბუნებრივი თვითწმენდა გართულებულია. კბილის ქვის წარმოშობის მიზეზებია: პირის ღრუს ჰიგიენის დარღვევა, მხოლოდ რბილი საკვების მიღება, ერთ მხარეს ღეჭვა. ნივთიერებათა ცვლის დარღვევაც ხელს უწყობს ღრძილზედა და ღრძილქვეშა ქვების წარმოქმნას. ასევე კბილების ქვების წარმოშობის ფაქტორებია არასწორი თანკბილვა და უხარისხო პასტებისა და ჯაგრისების გამოყენება. კბილის ქვები ახდენენ ზეწოლას ღრძილებზე და სისხლდენას ღრძილებიდან. აღინიშნება უსიამოვნო სუნი პირის ღრუში. თუკი დროულად არ იქნება მოცილებული კბილის ქვა, მას შეუძლია გამოიწვიოს ღრძილების ისეთი მძიმე დაავადება, როგორიცაა პაროდონტიტი.

— ვარ 25 წლის. მყავს 2 შვილი. მეორე ბავშვს შევუწყვიტე ძუძუთი კვება. დღემდე ძუძუსთავზე ხელის მოჭერით რძე გამომდიოდა. შევამჩნიე, რომ რძესთან ერთად ერთ-ერთი სადინარიდან სისხლიც გამოდის. არის თუ არა ეს საშიში და ვის მივმართოთ?

— დაუყოვნებლივ მიმართეთ მამოლოგს, სადინარიდან სისხლის, თუნდაც მცირე რაოდენობით წამოსვლა ზოგჯერ პაპილომა ვირუსის არსებობაზე მიუთითებს.

— მთელ სხეულზე, განსაკუთრებით ხელებზე მეტყობა ვენები ძალიან. რითი შეიძლება იყოს გამოწვეული?

— პათოლოგიას ნამდვილად არ მიეკუთვნება. ზოგ ადამიანს ვენები კანთან უფრო ახლოს აქვს, ამიტომ მკვეთრად შესამჩნევი ხდება. თუ გაწუხებთ, მიმართეთ ანგიოლოგს, სისხლძარღვების სპეციალისტს.

— ვარ 26 წლის, გაკეთებული მაქვს საკეისრო. მაქვს ტრიქომონა. შეიძლება თუ არა ეს იყოს უშვილობის მიზეზი?

— საკეისრო კვეთა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უნაყოფობის მიზეზი არ ხდება. რაც შეეხება ტრიქომონას, მისი სწორი და სრულფასოვანი მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ დაფეხმძიმება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

— ჩემს შვილს აღმოაჩნდა C ჰეპატიტი. გთხოვთ მიპასუხოთ, იკურნება თუ არა ეს დაავადება და სახლის პირობებში როგორ ვუმკურნალო?

— C ჰეპატიტი არის ვირუსული დაავადება, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მხოლოდ კვალიფიციური ჰეპატოლოგის დანიშნულებით იმკურნალეთ. სახლის პირობებში კი დაიცავით ექიმის მიერ მითითებული დიეტა და არ მიიღოთ არც ერთი წვეთი ალკოჰოლი. სწორი მკურნალობით დაავადება თუ ბოლომდე არ განიკურნება, არც საგანგაშო აღარ იქნება. არც ერთ შემთხვევაში არ მიიღოთ ე.წ. შინაური წამლები. ღვიძლს ექსპერიმენტები არ სიამოვნებს.

— მაქვს პირველი ჯგუფის რეზუს-უარყოფითი სისხლის ჯგუფი, მაინტერესებს საშიშია თუ არა ფეხმძიმობისას.

— ქალბატონების დიდ ნაწილს აქვს რეზუს-უარყოფითი ჯგუფის სისხლი, რაც ფეხმძიმობის დროს არანაირ პრობლემას არ უქმნით. ფიზიოლოგიურადაც მშობიარობენ და ნაყოფიც სრულყოფილი იბადება. სასურველია, ასეთი ქალბატონები ფეხმძიმობის დროს კონსულტაციას სპეციალურ კლინიკაში გადიოდნენ. დღეს პრობლემას არც ის წარმოადგენს, თუ ქმარს სხვა ჯგუფის სისხლი აღმოაჩნდება.

ხის მძივები წნევის ნორმალიზაციას ეხმარება

წიწვოვანი ხეები და მათგან დამზადებული ნივთები ცნობილია გამაჯანსაღებელი თვისებებით, მაგალითად, გაციებით გამოწვეული დაავადებების დროს, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ასევე გავლენას ახდენენ ნერვულ სისტემაზე და წნევას ნორმაში აყენებენ.

თუ დაბალი წნევა გაქვთ, ძლიერი დონორის — ფიჭვის მძივები ატარეთ. ის თავის ძალას გადმოგცემთ და ენერგიით გამოგკვებავთ. ფიჭვის მძივები კანთან შეხებისას ტონუსსა და შრომისუნარიანობას ამაღლებს.

ვისაც მომატებული წნევა აქვს, ვურჩევთ „ხე-ვამპირების“ ბაზაზე დამზადებული ნივთები ატარონ. ისინი ზედმეტ ენერგიას შთანთქავენ და დაძაბულობას ხსნიან. წიწვოვანთა შორის ასეთ თავისებურებებს ფლობს ნაძვი. მისგან დამზადებული მძივები შეიძინეთ ან ნაძვის ტოტებისგან კულონი გამოჭერით. ატარეთ, როდესაც წნევა აიწევს.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 1779 მაგთიდან ან ჯეოსელიდან. თქვენს კითხვებს შეძლებისდაგვარად გავცემთ პასუხს. ერთი სმს-ის ფასია 50 თეთრი.

Cyan Magenta Yellow Black

1. დილის ჰანგი; 2. გასართობი სანახაობა; 3. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 4. მცირე არია; 5. „ასწიე“ პორტის მუშის ლექსიკიდან; 6. ქართველი შოუმენი; 7. იაპონური თეატრი; 8. სხვადასხვა ტიპის სიგნალების გადამცემი მოწყობილობა კომპიუტერში; 9. ფარული დაცინვა; 10. ... გრეკო; 11. ერთგვარი სირაქლემა; 12. იასონის ხომალდი; 13. ძალადობა; 14. უუფლებო ადამიანი; 15. ძიუდოს გასამართი ხალიჩა; 16. ფთორიდების ჯგუფის მინერალი; 17. ლომების ოჯახი; 18. „... მიუნჰაუზენის თავგადასავალი“; 19. ტაილანდის ფულის ერთეული; 20. ჯინა ლოლობრიჯიდას კინოროლი; 21. ყაიმი; 22. ციტრუსების დაშაქრული ქერქი; 23. ესპანელი მხატვარი; 24. მცენარის ცალკეული ნაწილის მოძრაობა რაიმე გამაღიზიანებლის მოქმედების შედეგად; 25. საგვარეულო ან ბოძებული საპატიო წოდებულება; 26. მკბენარი; 27. ადამიანის სხეულის ზედა ნაწილის ქანდაკება; 28. ჯარისკაცების გადასხმა მტრის ზურგში; 29. საბალეტო ტანსაცმელი; 30. ბედისწერის სამი ქალღმერთიდან რომელიმე; 31. საგრილობელი; 32. ალკოჰოლური სასმელი; 33. ვაზების მწკრივი; 34. ცხოველთა ბინადრობის ადგილი; 35. მთათა სისტემა აზიაში; 36. ქალაქი საუდის არაბეთში; 37. პარკოსანი მცენარე; 38. კლიენტის დასაფარი საფოსტო ხარჯები; 39. თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 40. ... გეიტსი; 41. ლურჯი მინერალური საღებავი; 42. შაშხი; 43. შოტლანდიელ მამაკაცთა ჩასაცმელი; 44. ორი ერთმანეთში გაუხსნელი სითხის ნარევი; 45. ნული ქულა; 46. რომის პაპის გვირგვინი; 47. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი; 48. ... რიშარი; 49. ქართული საშობაო სიმღერა; 50. სმენადობის პირობები შენობაში; 51. სიტყვათა ერთგვარი თამაში; 52. შხამიანი გველი; 53. ალგორითმული ენა; 54. ისრაელის ბრძენი მეფე; 55. ალმოსავლეთი; 56. მდიდრული აგარაკი; 57. აღფრთოვანება, მგზნებარება; 58. სპექტაკლის ან კონცერტის მოკლე წინასწარი განცხადება; 59. გემის ბორტი; 60. ... სუხიტაშვილი; 61. დედმამიშვილი; 62. ბოსტნეული მცენარე; 63. ბუნებრივი საღებავი; 64. პატარა იალქნიანი გემი; 65. კანონთა კრებული შუა საუკუნეების შვეიცარიაში.

სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

მანქანის დაპროგრამების ენა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ნები; 2. აცხა; 3. ცინკი; 4. კანოე; 5. აბაკა; 6. ციკლი; 7. ლამბი; 8. ყაურმა; 9. ანდები; 10. რონიკო; 11. აკინაკი; 12. ფოსტა; 13. ბერიკაობა; 14. ჩიხი; 15. იანძი; 16. ეტი; 17. ტიარა; 18. ბჭე; 19. სინტაქსი; 20. ნიში; 21. როჭო; 22. ამიმია; 23. იენა; 24. „ფაუსტი“; 25. ლიდერი; 26. ნომი; 27. საამური; 28. ისინდი; 29. ილჰამ; 30. რისი; 31. პადრე; 32. ბაირონი; 33. დუ; 34. მამრი; 35. ყაიმი; 36. გნომი; 37. სქესი; 38. პი; 39. რა; 40. ლიბია; 41. ამნერისი; 42. ფრამუგა; 43. რომენ; 44. „სალამბო“; 45. ოლქი; 46. პრაიდი; 47. ბილ; 48. კლიპი; 49; ქაფშია; 50. არია; 51. ატავიზმი; 52. ავანსი; 53. ფიგუ; 54. აგნი; 55. ბი; 56. დიეზი; 57. მაუდი; 58. ქაოსი; 59. შაქარი; 60. შუ; 61. ქრია; 62. „რაიმონდა“; 63. არტისტი.**სურათებზე:**ნიკო მუსხელიშვილი; აკაკი შანიძე; სიმონ ჯანაშია; პეტრე მელიქიშვილი.

ჯოდი: ჰეხაბა.

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. ნაბიჯი ცეკვაში
2. ღამის ფრინველი
3. რითაც თვითმფრინავიდან ხტებიან
4. ამერიკის კოსმოსური სააგენტო
5. ომის უკუსიდიდე;
6. პირისახე გვერდიდან
7. ასო ფ-ს სახელი
8. ... ჯაგერი
9. სარწყავი არხი
10. ბატონი ინგლისურად
11. ბრუნი ცეკვისას
12. ცხელი მაგარი სასმელი
13. რინიტი
14. დიახ
15. ბერძნული ცეკვა
16. ჩასაბერი საკრავი
17. ნიავი
18. ძვირფასი ლითონი
19. ზრუნვა, ღვაწლი
20. იტალიის საფეხბურთო კლუბი
21. მდინარე იტალიაში
22. ნოტი
23. სკის წებო

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. სი; 2. არ; 3. იარა; 4. ვაქირი; 5. ოსი; 6. ერა; 7. რუმბა; 8. მისის; 9. ბუერა; 10. „ალია“; 11. უჯრა; 12. ლემა; 13. „ვარიაგი“; 14. მა; 15. გორა; 16. სპა; 17. კიი; 18. არა; 19. მაია; 20. „სამაია“; 21. კარმა; 22. ომარ; 23. არსი; 24. სლაი; 25. იო; 26. კი. **სურათებზე:** სპირტქურა; სინჯარა; მენზურა; მიკროსკოპი.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ მოვთოკოთ ეგოიზმის შემოტევები

ხელაქსი

ბევრი ჩვენგანი ეგოისტია, მაგრამ ყველა ეგოისტში არ შეინიშნება ე.წ. „ავადმყოფური მე“.

ხშირად ადამიანი ავადმყოფურად ეგოისტი ხდება მაშინ, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში სტრესის მდგომარეობაში იმყოფება. მუდამ იბრძვის თავის ადგილისთვის მზისქვეშ, სამუშაოსა და სახლში. დარწმუნებულია, მის პიროვნებას ჯეროვნად არ აფასებენ.

დაისვენეთ. იდეალურია, შვებულება აიღოთ და ბუნებაში გახვიდეთ. ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ თქვენს ცხოვრებაში რამდენიმე დღეს თამამად უწოდოთ „რელაქსი“.

ეითი მსახიობის თეატრი

გაიხსენეთ ნებისმიერი ბოლო სიტუაცია, რომელშიც თქვენმა ეგოიზმმა თავი ცუდი მხარით გამოავლინა.

სარკის წინ დადექით ან ოთახში ჩაიკეტეთ და ის სცენა ხელახლა გაითამაშეთ. მთავარი პირობა — თქვენი ქცევის უტრირება მოახდინეთ. მიზანი — საკუთარ თავში ზიზღი უნდა აღძრათ. ამიერიდან ეს დაგეხმარებათ, ანალოგიურ სიტუაციაში თქვენი ქცევა დასაწყისშივე შეასწოროთ.

თქვენი მსგავსი

ირგვლივ მიმოიხედეთ და ნაცნობებს შორის იპოვეთ ადამიანი, რომელიც თქვენი აზრით, ავადმყოფური ეგოიზმით იტანჯება. მასთან უფრო დაახლოების გზები მოძებნეთ. შექმენით სიტუაციები, რომლებშიც თავის ავადმყოფურ ეგოიზმს გამოავლენს. დაფიქრდით, მისი ქცევა რამდენად გაგონებთ საკუთარს, თავი გვერდიდან დაინახეთ, შეაფასეთ და დასკვნები გააკეთეთ.

აღიარება

პრობლემის დაძლევა შეუძლებელია, თუ არ აღიარებთ. ყველაზე მთავარი, თავს გამოუტყდით იმაში, რომ ხალხთან ურთიერთობებში ყოველთვის ადეკვატურად არ იქცევით. თქვენს ამ თავისებურებას მიუდექით, მაგალითად, როგორც ანგინას: „დიახ, ანგინა მაქვს. ეს ცუდია, მაგრამ მისგან გავთავისუფლდები“. მხოლოდ ასეთი მტკიცე რწმენა დაგეხმარებათ ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად ბრძოლაში.

დაიჭირეთ მუსტანგი

წარმოიდგინეთ, თქვენში ცხოვრობს მუსტანგი, რომელიც გარეთ გამოსვლას ესწრაფის, ცდილობს, გარშემომყოფებს რაღაც დაუმტკიცოს, აგრძნობინოს, რომ მათზე აღმატებულია. დაიჭირეთ მუსტანგი და მოათვინიერეთ. მოეფერეთ, აგრძნობინეთ, რომ მის მიმართ კეთილმეგობრულად ხართ განწყობილი. დაარწმუნეთ, რომ მიზეზი არ აქვს, თქვენ (ე.ი. თავის თავს) გებრძოლოთ.

მტკიცებულებები

შეარჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება, რომელსაც სრულად ეთანხმებით და წარმოთქვით (გულში ან ხმამაღლა), როდესაც ამის აუცილებლობა აღმოცენდება.

„ყველას აქვს თავისებურებები. ჩემი ავადმყოფური ეგოიზმი ცუდი თვისებაა, მაგრამ ამისგან აუცილებლად გავთავისუფლდები“.

„გარშემომყოფები ჩემ მიმართ აგრესიულები და უსამართლოები არ არიან. ხშირად თვითონვე არასწორად ვხატავ სიტუაციას“.

„თუ მეპასუხებიან და მეკამათებიან, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ როგორც პიროვნებას არ აღმიქვამენ“.

„მდიდარი წარმოსახვა მაქვს, ხშირად არაფერზე და უსაფუძვლოდ განაწყენება მჩვევია“.

ღამეული შიშის დამარცხება

ნებისმიერ გრძნობას აქვს არსებობის უფლება. არც შიშია გამონაკლისი. შიშის პროვოცირება შეუძლია კონკრეტულ ეპიზოდს თქვენს ან სხვის ცხოვრებაში. ან კიდევ, მაგალითად, ნანახ ფილმს, წაკითხულ წიგნს. შეიძლება მიზეზი არც გახსოვდეთ და არც იცოდეთ. შიში, როგორც წესი, სერიოზულ ყურადღებას ითხოვს. იდეალურია, ფსიქოლოგს ეწვიოთ. სპეციალისტი შიშის ფესვების პოვნაში და მათგან გათავისუფლებაში დაგეხმარებათ. მაგრამ თუ ასეთი შესაძლებლობა არ არის, თავზე დამოუკიდებლად იმუშავეთ.

ეცადეთ, გაიხსენოთ, რის შემდეგ დაგჩემდათ შიში. შეიძლება ყველაფერს ნათელი მოჰფინონ ახლობლებმა ან ბავშვობის მეგობრებმა. თუ მიზეზის გახსენებას შეძლებთ, შესანიშნავია! ყველაფერი, რაც საშინელ მოვლენას ეხება, დაწვრილებით წარმოიდგინეთ. მის შესახებ რაც შეიძლება მეტ ადამიანს მოუყევით. შეგიძლიათ დღიურშიც ჩაიწეროთ. ჩახშობის მაგივრად, ეცადეთ, ყველა ემოცია ხელახლა განიცადოთ. ამით თქვენს შიშს უფლებას აძლევთ გარეთ გამოვიდეს. ამგვარად, შიგნიდან თქვენს წვალებას შეწყვეტს.

თუ შიშის მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდა, „სიმპტომატური მკურნალობა“ მოსინჯეთ. მაგალითად, სამზარეულოში ღამით შუქი დატოვეთ, ძილის წინ რადიოს მოუსმინეთ ან ტელევიზორს უყურეთ, თუმცა ეს მავნეა, მაგრამ მაინც უმჯობესია, ვიდრე მთელი ღამე თვალი არ მოხუჭოთ. შესანიშნავი ვარიანტია ძაღლი ან კატა იყოლიოთ. მაშინ თქვენ გვერდით ყოველთვის იქნება ცოცხალი არსება.

და კიდევ ერთი რჩევა. თუ ღამე მარტომ უნდა გაათიოთ, ის დღე ემოციურად და ფიზიკურად მაქსიმალურად დატვირთეთ. ჩაატარეთ გენერალური დალაგება, სპორტდარბაზში ყველა რეკორდი მოხსენით ან დიდხანს ისეირნეთ. რაც უფრო მეტად დაიღლებით, მით უფრო სწრაფად დაიძინებთ, შეშინებასაც ვერ მოასწრებთ.

თუ ვაჟიშვილს დაკაცება არ სურს

ალბათ არის, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა მამაკაცი თინეიჯერივით იქცევა. მთელი დღე კომპიუტერთან თამაშობს და ვერ აცნობიერებს, რომ უკვე მოზარდი აღარ არის და ცხოვრებაში პასუხისმგებლობები აკისრია?

საქმე ისაა, რომ დანაშაულის გარკვეული წილი მშობლებზე მოდის, რომლებიც შვილებს ცხოვრებისგან იცავენ, უბრალოდ, ნებას არ აძლევენ, მოზრდილები გახდნენ. „დაკაცდი, მაგრამ ბავშვად, ჩემს ძვირფას პატარად დარჩი“, — ასე მოძღვრავენ მოსიყვარულე დედები.

როგორ დავეხმაროთ შვილს დაკაცებაში?

შვილს სხვა თვალით შეხედეთ. პირველ რიგში, მასში მამაკაცი დაინახეთ, რომელსაც თავისი ცხოვრება აქვს.

იდეალური ვარიანტია, მარტომ იცხოვროს და საყოფაცხოვრებო პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრა ისწავლოს. თუ ასეთი შესაძლებლობა არ არის, უბრალოდ მასზე მეურვეობა შეწყვიტეთ. თავს თავად მიხედოს (გაირეცხოს, დაიუთოვოს, თავისი ოთახი დაალაგოს). შეიძლება თქვენზე განაწყენდეს, მაგრამ, დათმობაზე არ წახვიდეთ. ორივესთვის ასე უკეთესი იქნება. გახსოვდეთ, თქვენ საკუთარი ცხოვრება გაქვთ, რომელსაც შეუძლია ბევრი სიხარული მოგანიჭოთ.

დასაწყისში ადვილი არ იქნება, შვილს დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება მისცეთ და ამავდროულად თბილი ურთიერთობა შეინარჩუნოთ, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მისი სიყვარული დაგიბრუნდებათ. ის იქნება არა — ბავშვური, უმწეო, არამედ ძლიერი და მამაკაცური. მაშინ შვილი უკვე თქვენზე იზრუნებს და ყოველთვის შეგეძლებათ მამაკაცის ძლიერ მხარს დაეყრდნოთ.

მადლიერება ბედნიერებას მოგიტანთ



ღვეგრძელობის ყველაზე მთავარი საიდუმლო — ეს არის ბედნიერების შეგრძნება. ბედნიერი შეუძლია იყოს ყოველი ადამიანს, მაგრამ ყველამ ამის განცდა არ იცის.

ყოველ დილით, გაღვიძებისას, მადლობა თქვით ახალი დღისთვის, იმისთვის, რომ გაიღვიძეთ და ცხოვრებას აგრძელებთ. მართალია, იდეალური დღეები ყოველთვის არ არის, მაგრამ როდესაც რაღაც არ ეწყობა, გაიხსენეთ სასიამოვნო მომენტები, რომლებიც თქვენს ცხოვრებაში მოხდა. მაგალითად, როდესაც მნიშვნელოვანი გამოცდა ჩააბარეთ (ან კონკურსში გაიმარჯვეთ), თქვენს სიყვარულს შეხვდით, მიიღეთ ის, რაზეც დიდი ხანი ოცნებობდით. ყველაზე მთავარი — ოპტიმიზმი და საკუთარი ძალების რწმენა არ დაკარგოთ. ნუ დაელოდებით ნათელ მომავალს, არამედ ახლავე იყავით ბედნიერი.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ჯართული ანეკდოტები

— მე ისეთი სექსუალური ვარ, ვერასოდეს დამანებებ თავს, — ეუბნება ქალი ქუთაისელს.

— ჯერ, ახლა, შენ გეხვეხვალე, მერე ნამეტანი მოგივიდა. შენ ჯერ არა, მეექვსე ყლასამდე სოსკას ვნოვდი და იმას დავანებე თავი!

— ალო, პარმენიჩს სთხოვეთ, თუ შეიძლება.

— თქვენ სხვაგან მოხვდით.

— როგორ გეკადრებათ, ალბათ თქვენ ცხოვრობთ სხვაგან!

❖ ❖ ❖

ტაქსში უკანა სავარძელში მჯდარმა კლიენტმა მძღოლს მხარზე ხელი შეახო:

— აქ გამიჩერე, რა!

— ვაი, გული გამისკდა, როგორ შემაშინე!

— რამ შეგაშინა, კაცო?

— რამ და ადრე კატაფალკაზე ვმუშაობდი.

❖ ❖ ❖

მთვრალი პატრული: რატომ ზიხართ საჭესთან ორი ერთად?

მთვრალი მძღოლი: როდის იყო, ოთხი პატრული ერთად ლაპარაკობდა?!

❖ ❖ ❖

— ნათქვამია, თუ გინდა, კაცი მეიშორო, ფული უნდა ასესხო, — ეუბნება ერთი გურული მეორეს.

— მაი კაი მითხარი... რამდენი გასესხო?

❖ ❖ ❖

რესტორანში თამადა ყვირის:

— ოფიციანტ, თასი მომიტანე აქანა!

— რომელი თასი, ბატონო?

— რომელი და სეულის ოლიმპიადაზე რომ მეიგე. რამე

— მოჯელდა, ანგელოზი ცოლი მყამ, გუშინ მაგარი სიამოვნება მომანიჭა.

— მანამდე არ მოუნიჭებია?

— ეე, სახელდახო, ყოველდღე ქათამ ჰომელი ცოლი დაგიჯერამს?!

განსხვავებული მეიტანე!

❖ ❖ ❖

ბებია შვილიშვილს აძინებს.

— ბებო, ასეთი დიდი ცხვირი რატომ გაქვს?

— იმიტომ, რომ კარგად ვისუნთქო.

— ბებო, ასეთი ბასრი კბილები რატომ გაქვს?

— იმიტომ, რომ ხორცი კარგად დავღეჭო.

— ბებო, ასეთი დიდი ბრჭყალები რატომ გაქვს?

— ბავშვო, გადამრევ მე შენ! გაიგე ერთხელ და სამუდამოდ, მგლები ვართ ჩვენ, მგლები!

❖ ❖ ❖

— ოფიციანტ, რა გაქვთ მენიუში?

— ხალადეცი, საცივი და ნაყინი.

— კარგად გამიცხელეთ სამივე და მომიტანეთ!

❖ ❖ ❖

— ალო, ფსიქიატრიულია?

— არა, შეგეშალა, შეროოთო, შენი სიდედრი ვარ!

— მეც მაგას გეკითხები.

❖ ❖ ❖

რესტორანში:

— თქვენ ყოველდღე ასეთი უგემური კერძები გაქვთ?

— არა, ბატონო, ორშაბათობით ვისვენებთ ხოლმე.

❖ ❖ ❖

კახეთში ჟურნალისტი ჩავიდა რეპორტაჟის გასაკეთებლად და მიხოს ეკითხება:

— ვის ჰყავს ყველაზე სექსუალური ცოლი?

— ვისა და მე!

— რით დაამტკიცებ?

— აგე მიტოი, აგე კოლაი, აგე კიდენა ჯიმშერაი... კითხეთ, ვისაც გინდათ!

❖ ❖ ❖

— რა ქნა ჩვენმა გუნდმა გუშინ?

— 0:12 წააგო?

— გავიგე, შენი სიდედრი მათთვის მონმობის ასაღებად გაგიშვია. მანქანა უნდა უყიდო?

— რა მანქანა, ის ნიშანი უნდა ისნავლოს, ჩემს ჯარზე ჰომ ავაჯარი: „შესვლა აკრძალულია"!

ეკითხება:

— მიპასუხეთ, ბატონო, ბედნიერი ხართ?

— მეტი რა გზაია, შვილო!

❖ ❖ ❖

— კაცო, გავგიჟდები და ისაა! ამ დილით ბანკომატს მივაკითხე ფულის გამოსატანად და იცი, მონიტორზე რა დამიწერა?

— რა?

— თუ კაცი ხარ, კვირამ-

ზესტაფონელი ბარში შევიდა და ოთხი ქიქა ჯონიაჯი ზედიზედ დალია. ბარმენი ენად გაიკრიფა:

— შენ აღბათ ძალიან დადარდიანებული ხარ და იმიტომ მიექეცი სასმელს. აქეთ აქ ბოგოსთან ერთად მოდიოდი. ის ბოგო ხომ არ გათხოვდა?

— ჯი.

— ვერ დაგმარითნია ჯარგი საქმე. ვის გაჰყვა?

— მე... დამისხი ჯიდევ ერთი ქიქა.



— ოცა მე გრიპი მაქვს, მთელი სანათესაო თავს მევლება, — ეტრაბახება ძროხა ღორს.

— ეგ რა არის, — ჰასუხობს ღორი, — მე ჰომ გრიპი დამემარითება, მთელი მსოფლიო ფეხზე დგება.

— თამაშზე მეკარე არ წაიყვანეს?

❖ ❖ ❖

სვანს ცოლის მოკვლისთვის ასამართლებენ.

— ჩვენ გაგაფრთხილეთ თუ არა ადრე, რომ ცოლს დანით არ დამუქრებოდი? — ეკითხება მოსამართლე.

— მერედა, ხომ დაგიჯერეთ?! დანით არ მომიკლავს!

❖ ❖ ❖

ჟურნალისტი გურულს

დე 20 ლარი მასესხეო.

❖ ❖ ❖

ორი ბიჭი დიდულვაშიან ბიძას ეჩალიჩება:

— ბიძაჩემო, ხვალ მასკარადზე მივდივართ და ულვაშებს ვერ გვათხოვებ?

— ვერა.

— რათა, ძია?

— დედითქვენისას მიირთმევთ და დამისვრით.

✓ **შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარაბიშვილის ნახატები**

Cyan Magenta Yellow Black

ვერნერ შტაინბერგი

კომისრის ქუდი

დასაწყისი №5-12

როცა კომისარი დაბრუნდა, წინა კარი გამოაღო და გრისბულის გვერდით მოკალათდა. ამ უკანასკნელს არაფერი უკითხავს, რაც გროლს, როგორც ჩანს, მოეწონა და, მისკენ არც გაუხედავს, ისე თქვა:

— გრისბულ, მგონი, ახალგაზრდული მოუთმენლობის მოთოკვა ისწავლეთ, რაც დამწყები კრიმინალისტისთვის აუცილებელი მოთხოვნაა და ნამდვილად მისასალმებელია.

ასისტენტს არც შექება მოსწონდა და არც ჭკუის სწავლება, ამიტომ არაფერი უპასუხია, გროლმა კი თემა შეცვალა:

— ჩვენ მეტცენდორფერის „მერსედესით“ წავალთ, თქვენი ბარახლო კი აქ დარჩება.

— საწყენია, — შენიშნა გრისბულმა, მაგრამ ეს მისთვის სულერთი იყო.

ამასობაში საკმაოდ გამხიარულებული ადვოკატიც გამოჩნდა და ორივეს მიმართა:

— ბატონებო, გთხოვთ, ჩემს ავტოში გადმობრძანდეთ! — და დაამატა, — ყველაფერი რიგზეა, ბრუმერუსი შინაა.

გროლი შავი „მერსედესის“ უკანა სავარძელში მოკალათდა, მეტცენ-დორფერის გვერდითა ადგილი კი, რომელსაც სასიკვდილოდ განწირუ-ლის სავარძელს ეძახდა, თავის ასისტენტს დაუთმო.

მანქანას ადვოკატი მიაქროლებდა, დანარჩენები კი ჩუმად იყვნენ. მდუმარება გროლმა დაარღვია:

— გრისბულ, ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენი მანქანა ძალიან გაცვდა და ახლით უნდა შეცვალოთ?

— არ მეჩვენება! — იყო მოკლე პასუხი.

— ამ „მერსედესს“ შეხედეთ! — განაგრძო შეტევა კომისარმა, — როგორც სპიდომეტრიდან ჩანს, უკვე 70 ათასი გაუვლია, მანქანა კი ახალივითაა! მიუხედავად ამისა, თუ ბატონი მეტცენდორფერი „ბორგვარდ იზაბელას“ შეიძენს, ამ „მერსედესს“ ალბათ დამშვიდობება ანუ გაყიდის, — კომისარმა ჩაახველა და ადვოკატს მიმართა, — თუ ჩემი ვარაუდი გამართლდა, ამ მანქანაში რამდენი მოგესურვებათ?

— ალბათ 800, — მაშინვე მიუგო მეტცენდორფერმა, — მეტი არ გამოვა. ნახმარი ავტომობილების გაყიდვის მსურველი საკმაოდ ბევრია.

გროლი გამოცოცხლდა, ასისტენტს მხარზე ხელი დაჰკრა და შესძახა:

— გრისბულ! თქვენს ადგილზე არც კი დავფიქრდებოდი! ამ თანხად ასეთი მანქანა ნაჩუქარივითაა!

— იქნებ ასეცაა, მაგრამ... ფულის მარაგი საერთოდ არ მაქვს, — მოწყენით ჩაილაპარაკა ასისტენტმა.

მცირე პაუზის შემდეგ კომისარმა ენთუზიაზმით თქვა:

— მაგას ეშველება! ფულს მე გასესხებთ, ვალს კი ნაწილ-ნაწილ დამიბრუნებთ, აუჩქარებლად. თანახმა ხართ?

გრისბული სწრაფად შემოტრიალდა და კომისარს შეაცქერდა.

— ამას სერიოზულად ამბობთ?

— ოდესმე მიხუმრია? — შეაგება გროლმა, — ამგვარი რამ გახსენდებათ?

— მგონი, არა, — აღიარა ასისტენტმა.

— ჰოდა ასე.

სალონში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ამჯერად მეტცენდორ-ფერმა დაარღვია:

— ბატონო გროლ, თხუთმეტ წუთში მიუხეხენში ვიქნებით, სადაც ბრუმერუსს უნდა შევხვდე. იქნებ ცოტა მეტი ინფორმაცია...

— გასაგებია, — მოუჭრა კომისარმა, — ერთი ეჭვი მაქვს, რომლის დადასტურების შემთხვევაშიც მარანს შეიძლება ბრალდება მოეხსნას.

— რას გულისხმობთ? — ჩაეძია ადვოკატი.

— მინდა გავიგო, იყო თუ არა ბრუმერუსი მკვლელობის დღეს აგარაკზე.

— როგორ იქნებოდა? — გაოცდა გრისბული, — მაშინ ის მისი ტელეგრამა...

— ის მან მეორე დილას გაგზავნა, — განუმარტა გროლმა, — იმ დროის მანძილზე ბერნეკიდან შტუტგარტში ჩასვლას თავისუფლად მოასწრებდა.

— რა სისულელეა! — წამოსცდა მეტცენდორფერს, მაგრამ მაშინვე გამოასწორა, — მაპატიეთ!

ჩაფიქრებული გრისბული გზას გასცქეროდა. გროლის აზრთა დინებას ვერაფრით ჩასწვდომოდა.

— მიუხეხენში რა გვინდა? — იკითხა ბოლოს ანგარიშმიუცემლად.

— რა გვინდა? — გაიმეორა გროლმა, — ბატონი მეტცენდორფერი ალბათ ახალ „ბორგვარდ იზაბელას“ იყიდის, რის შერჩევაშიც ბუმერუსი დაეხმარება. თქვენ კი, გრისბულ, გამიგებთ, როდის გაიარა ბოლო ტექდათვალიერება ბრუმერუსის მანქანამ და რამდენი კილომეტრი ჰქონდა მაშინ გავლილი. ეს ყველაფერი, ცხადია, მანქანის ტექნიკურ პასპორტში ფიქსირდება, ხოლო პასპორტი სადაც ინახება, ეს თქვენ ჩემზე კარგად იცით.

— კი, მაგრამ სალონში როგორ შეაღწევს? — დაინტერესდა ადვოკატი.

— ჩემი ასისტენტის ფანტაზია რომ ვიცი, ეს არ გაუჭირდება, — მიუგო გროლმა, — რაც შეეხება თავად მის თანხლებას, ბრუმერუსს აუხსნით, რომ მანქანებში ცუდად ერკვევით და ბატონი გრისბული ამიტომ იახლეთ.

— გასაგებია, — თქვა მეტცენდორფერმა.

— ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ, — განაგრძო კომისარმა, — ბრუმერუსის გამოაშკარავება არც ისე იოლი იქნება. მას ალიბი აქვს, იმ დროს შტუტგარტში იყო, რისი მოწმეებიც არსებობენ. აზრი არავის გამოუთქვამს, კომისარმა კი დაამატა:

— ვიდრე თქვენ თქვენი საქმეებით დაკავდებით, მე მიუნხენის მაღაზიებს შემოვივლი და ახალ ქუდს ვიყიდი. ჩემი უკვე ისე დაძველდა, მართლა ნახმარ სომბრეროს დაემსგავსა.

ადვოკატმა კომისარი, მისივე თხოვნით, ქალაქის ცენტრში ჩამოსვა, თავად კი გეზი რიხარდ ბრუმერუსის სახლისკენ აიღო.

ისინი ერთმანეთს სადარბაზოს კართან შეხვდნენ.

— იოლად მომაგენით? — შეეკითხა ბრუმერუსი.

— არც ისე. ცოტა კითხვა დაგვჭირდა, — მიუგო მეტცენდორფერმა.

— თქვენი „მერსედესი“ ზემოდან დავინახე და, დრო რომ არ დაგვეკარგა, ლიფტით ჩამოვედი.

— დრო მართლაც ფული ღირს, — გაუღიმა ადვოკატმა, — წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ჩემი მანქანით რომ წავიდეთ?

— ცხადია, არა.

მათ ქუჩა გადაჭრეს, ბრუმერუსმა კი მხოლოდ მაშინ შენიშნა ასისტენტი, როცა „მერსედესში“ ჩაჯდა.

— ბატონო გრისბულ, თქვენც აქ ხართ? — გაოცებით შეეკითხა, მერე კი დამცინავად დაამატა, — ახლა არ მითხრათ, მეც „ბორგვარდ იზაბელას“ შეძენას ვაპირებო!

— რას ამბობთ, ბატონო ბრუმერუს?! პოლიციის დაბალი რანგის მუშაკი მაგას როგორ გეტყვით? ბატონ მეტცენდორფერის „მერსედესზე“, რომ იტყვიან, შეყვარებული ვარ და რაკი გასეირნების საშუალება მომეცა, როგორ არ ვისარგებლებდი? ჩემმა უკვე თავი მომაბეზრა და...

— მართალია, — ჩაიცინა ბრუმერუსმა, — თქვენსას მანქანა აღარც კი ეთქმის, ამიტომ ახალზე უნდა იფიქროთ.

— მარტო ფიქრი რომ არ კმარა?

— ესეც მართალია, — დაეთანხმა ბრუმერუსი და ადვოკატს მიუბრუნდა, — აბა, წავედით, გზას მე გიჩვენებთ!

ამასობაში კომისარმა სხვადასხვა მაღაზიები შემოიარა, უამრავი ქუდი მოისინჯა, რომელიღაცა თითქოს მოეწონა კიდეც, სარკეშიც ჩაიხედა, მაგრამ ბოლოს...

— მაპატიეთ, ფროილაინ, — მიმართა ახალგაზრდა გამყიდველს, ქუდი დაუბრუნა, თავის ძველი ჩამოიფხატა და დაამატა, — მაგრამ შეჩვეული მირჩევნია.

— სამწუხაროა, — ნაწყენი ხმით დაადევნა კლიენტდაკარგულმა ქალიშვილმა.

უკვე ქუჩაში იყო, როცა კოკისპირულმა წვიმამ დასცხო, მაგრამ ამას კომისრისთვის ხათიათი არ გაუფუჭებია. მისი სომბრეროს ყოველი მხრიდან კი ისევე მოთქრიალებდა წყალი, როგორც სწრაფად მოძრავი ადამიანების გაშლილი ქოლგებიდან.

საგამოფენო პავილიონის პირდაპირ ავტოსადგომიც იყო. მეტცენდორ-ფერმა მანქანა სწორედ იქ დაყენა. ისინი, სამნი, მეორე მხარეს გადავიდნენ და უზარმაზარი ვიტრინების წინ ჩაიარეს, სადაც იმდენნაირი და ისეთი ავტომობილები გამოეფინათ, თვალს ვერ მოაცილებდით.

ისინი დარბაზში შევიდნენ და იმ „იზაბელას“ მიაშურეს, რომელიც ადვოკატს ყველაზე მეტად მოეწონა. ბრუმერუსმა დარდიმანდული ჟესტით ნაცნობ გამყიდველს უხმო და ისიც მაშინვე მათთან გაჩნდა.

— რით გემსახუროთ, ბატონებო! — გამყიდველის ღიმილიც და შეკითხვაც სტანდარტული იყო.

— აი, ეს მანქანა გვაინტერესებს, — მიანიშნა მეტცენდორფერმა.

— მშვენიერი არჩევანია, — შენიშნა გამყიდველმა და მოდელის ღირსებების ჩამოთვლას შეუდგა, რაც, ცხადია, ადვოკატს უფრო აინტერესებდა, ვიდრე დანარჩენ ორს.

ახალთახალი ლიმუზინი მეტცენდორფერს ისე მოეწონა, ამას ვეღარც მალავდა, ბოლოს კი გამყიდველს მიმართა:

— იქნებ ცოტა გავატაროთ, ჰა? ასე უფრო დარწმუნებული ვიქნები.

— სიამოვნებით, — მიუგო გამყიდველმა, მანქანის კარი გააღო, საჭეს მიუჯდა და გამოსძახა, — დასხედით!

ბრუმერუსი უკან მოკალათდა, მეტცენდორფერი კი მძღოლის გვერდით.

— თქვენ? — მიმართა ბრუმერუსმა გრისბულს.

Cyan Magenta Yellow Black

— მე მანქანებში ცოტათი ვერკვევი და თუ მეტყვით, ამ „იზაბელას“ ტექნიკურ დეტალებს სად გავეცნობი, მადლობელი დაგრჩებით.

— აი, იქ, ბოლოში, სახელოსნოა, სადაც ჩემი მანქანაც დგას. მას ჰანსი უვლის. კარგი ხელოსანია და ყველაფერში გაგარკვევთ.

„იზაბელა“ ადგილიდან დაიძრა, მალე სვლას უმატა და ცოტა ხანში თვალსაც მიეფარა.

ჰანსი ქერა ახალგაზრდა აღმოჩნდა ყურადღებით მომზირალი თვალებით. როგორც კი ასისტენტმა ბრუმერუსი უხსენა, ქერამ კმაყოფილება ვერ დამალა:

— ეს კაცი თავის მანქანაზე მართლა შესაშურად ზრუნავს. ზოგი ალბათ ცოლ-შვილზე არ ფიქრობს იმდენს, რამდენსაც ბატონი ბრუმერუსი თავის „ბორგვარდ იზაბელაზე“.

— ბატონი მეტცენდორფერი ასეთ ავტოს ყიდულობს და მე მთხოვა, დეტალებში ცოტა მეტად გავრკვეულიყავი. ბატონმა ბრუმერუსმა კი თქვენთან გამომაგზავნა, მაგარი სპეციალისტიაო.

შექება, თუნდაც ყალბი, ყველას სიამოვნებს და არც ჰანსი აღმოჩნდა გამონაკლისი.

— რაკი მთხოვთ, უარს როგორ გეტყვით? — თქვა მან, — ახლა მანქანა უნდა შევარჩიო.

— იქნებ ბატონ ბრუმერუსის „იზაბელათი“ გვესარგებლა? — შეაპარა გრისბულმა, — მაგ ბატონს ორივე ვიცნობთ და...

— რატომაც არა? ეს ჩემთვის უფრო მოსახერხებელიც იქნება, სხვა კლიენტები აღარ მოგვადგებიან. აბა, წავიდეთ.

ისინი მეორე სართულზე ავიდნენ და მეთორმეტე ბოქსს მიადგნენ. კარი ავტომატურად აიწია მაღლა და შუქიც მაშინვე აინთო.

შიგ შევიდნენ თუ არა, ჰანსი მანქანის დეტალურ აღწერას შეუდგა, გრისბულმა კი თავი მოაჩვენა, თითქოს ყურადღებით უსმენდა.

ამ ახსნა-ახსნაში ასისტენტმა იმდენი მოახერხა, რომ მანქანის წინა სავარძელზე დაჯდა, ჰანსის შეუმჩნევლად ტექნიკურ პასპორტსაც მიაგნო, იქიდან გროლის მითითებული მონაცემებიც დაიმახსოვრა, პასპორტი უკან დადო, მანქანიდან გადავიდა და თქვა:

— ყველაფერი ნათელია. ახსნაც ჩინებული გაქვთ.

— ძალიან კარგი, — გაიღიმა ჰანსმა.

ისინი ბოქსიდან გამოვიდნენ. შუქი ჩაქრა. კარი თავისით დაიკეტა.

— გმადლობთ, ჰანს. მისტერ მეტცენ-დორფერი ასეთ კარგ მანქანას აუცილებლად შეიძენს, — ამ სიტყვებით ასისტენტმა წინასწარ მომზადებული ათმარკიანი კუპიურა ხელოსანს წინა ჯიბეში ჩაუცურა.

— არა, არა... ეს რა საჭირო იყო! — „იუარა“ ჰანსმა და ხელი იმავე ჯიბეში ჩაიყო. ალბათ შეეშინდა, ფული არ ამომივარდესო.



ქეშმა ისევე მალე გადაიღო, როგორც დაიწყო. გაშლილი ქოლგები აღარ ჩანდა, დათქმულ ადგილზე მდგარი კომისარი კი თავის სომბრეროს აქეთ-იქით იქნევდა, თუ არ გაშრება, წყალს მაინც გამოვაცლიო.

ანაზდად მის წინ მუქწითელმა „ბორგვარდ იზაბელამ“ დაამუხრუჭა, საიდანაც მეტცენდორფერის მხიარული ხმა მოესმა:

— დაჯექით! რაღას უცდით?

გროლი წინ დაჯდა და როცა მანქანების მდინარეს შეერივნენ, ადვოკატმა აღტაცებით შესძახა:

— აბა, როგორია?!

— შესანიშნავია! მომილოცავს! უკვე იყიდეთ?

— ჰო, მაგრამ ჯერ არ გადამიხდია. ბრუმერუსის წყალობით ათპროცენტიანი ფასდაკლებაც გამიკეთეს!

— გრისბული სადაა? — გაახსენდა კომისარს.

— ჩემ უკან, ჩემს შავ, უფრო სწორად, თავის შავ „მერსედესში“.

— ანუ დამიჯერა, — გაიღიმა გროლმა, — საერთოდ ჯიუტია, ახლა კი ნორმალურად მოიქცა. მართლა, ბრუმერუსს ვალტერ მარანზე რამე ხომ არ უთქვამს?

— ამ თემაზე საერთოდ არ გვილაპარაკია, — მიუგო ადვოკატმა.

კომისარს განწყობა გაუფუჭდა. ცოტა ხნის შემდეგ ყრუდ წარმოთქვა:

— აქ გამიჩერეთ. არა მგონია, ჩემი ასისტენტი ისეთი გახარებული იყოს, ამხელა კაცი ვერ შემამჩნიოს.

ამდენიმე წამში „მერსედესიც“ გამოჩნდა. გრისბულმა შეფი წინ ჩაისვა და სწრაფად აკრიფა სიჩქარე. ის ადვოკატზე არანაკლებად გახარებული ჩანდა და მთელი ყურადღება მანქანაზე გადაეტანა.

ბოლოს, როგორც იქნა, შეფის დავალება გაახსენდა, სვლა შეანელა, მოხუცს გახედა და თქვა:

— რაც დამავალეთ, ყველაფერი დავიმახსოვრე, მერე კი ჩავიწერე.

მან ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და გროლს გადასცა.

— ბოლო გვერდზეა, — დაამატა.

კომისარი ჩანაწერს ყურადღებით გაეცნო, ბლოკნოტი პატრონს დაუბრუნა და დაიწყო:

— აქ მოყვანილი კილომეტრაჟი მიუნხენი-შტუტგარტი-ბერნეკისა და პირუკუ გარბენს არ ემთხვევა. სამაგიეროდ, თითქმის ზუსტად ემთხვევა მიუნხენი-ბერნეკი-შტუტგარტი-ბერნეკისა და პირუკუ გარბენს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მეორე პირი აგარაკზე ბრუმერუსი იყო. მაგრამ ის იტყვის, რომ ტექპასპორტში მცდარი ჩანაწერია, თან ალიბი აქვს.

— ალიბი? ეს კიდევ გასარკვევია, ჭეშმარიტია თუ ყალბი, — თქვა გრისბულმა.

— ამას თქვენ გადაამოწმებთ, — გადაწყვიტა კომისარმა, — ხვალ შტუტგარტში ბრიოზელტაუსთან გაემგზავრებით, სადაც ბრუმერუსმა მაშინ თითქოს ღამე გაათია.

— მისი ნათქვამი რომ გამართლდეს?

— მაშინ აგარაკზე სხვა სატყუარა გვაქვს, რომელიც მას მიიზიდავს და ეს სატყუარა მხოლოდ 18-19 ოქტომბრის შუალედი კი არ არის, არამედ კალენდარი, რომელიც იქ არის.

გრისბულს გაახსენდა და სწრაფად თქვა:

— მაგრამ იმ დღის ფურცელზე „მმ“ არ ზის.

გროლმა თვალები მოჭუტა და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თქვა:

— ბრუმერუსმა კი თქვა, ამ აღნიშვნებს მარგიტ მარანის ვიზიტების შემდეგ ვაკეთებდიო, მაგრამ იქნებ დაფიქრდეს, ეს სხვა დროსაც ხომ არ ვქენიო. ვცდები თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე, ეს ბრუმერუსი ხაფანგში გაბმულ იმ მელას მაგონებს, რომელიც თათს გადაიღრღნის და სამ ფეხზე ივლის, ოღონდ კი ცოცხალი გადარჩეს, — კომისარი გაჩუმდა, მერე კი უცებ დაამატა, — მართლა, მომილოცავს, ახალი არ არის, მაგრამ იმ ძველმანს კი ჯობია. რას უპირებ?

— ალბათ ჯართში ჩავაბარებ, — მიუგო ასისტენტმა და სიჩქარეს მოუმატა.

წერლისა და მთარგმნელის პეტერ პაულ ბრიოზელტაუს ორი დიდი ოთახი უსისტემოდ დახვავებული წიგნებით იყო სავსე. მას ცოლი ჰყავდა, შვილები კი არა.

მათი საუბარი ძირითადად ლიტერატურას ეხებოდა, მაგრამ გრისბული მაინც ვერ მიხვდა, რატომ თარგმნიდა ეს კაცი: რომელიმე ნაწარმოები მოსწონდა თუ რომელიმე გამომცემელი. როგორც მასპინძელმა უთხრა, ერთი გრძელი თარო მის თარგმანებს ეკავა და რომ მომავალში ალბათ მეორე თაროც დასჭირდებოდა ანუ ძალიან პროდუქტიული მთარგმნელი გახლდათ. თარგმანის ხარისხზე კი არც თავად უთქვამს რამე (ანუ არ უტრაბახია), ხოლო ასისტენტი ასეთ რაღაცეებში საერთოდ ვერ ერკვეოდა.

რაკი ლიტერატურის თემა სტუმრისთვის უცხო აღმოჩნდა, მასპინძელს კი ყელში ამოსვლოდა, ამ უკანასკნელმა კონიაკი შესთავაზა, თუმცა მაშინვე მოუბოდიშა, გაგვითავდა და აღარც ფული გვაქვს, რომ ვიყიდოთო. თავად ბრიოზელტაუ ალკოჰოლის საკმაოდ მძაფრ სუნს გამოსცემდა, რაც მწერალ-მთარგმნელისგან გასაკვირი არც იყო და ისიც გასაგები გახდა, კონიაკი რატომ გაუთავდათ.

მათი უაზრო საუბარი ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, კარი რომ არ გაღებულიყო და ოთახში ფრაუ ბრიოზელტაუ არ შემოსულიყო. ქმარმა, თავის ორ ტაქსასთან ერთად, რომლებსაც მატილდა და გრიზელდა ერქვათ, მაშინვე დატოვა ოთახი, მადამ ბრიოზელტაუმ კი, როგორც მას ქმარიც მიმართავდა, სტუმარს გაუბა მასლაათი.

— პეტერი, რაკი ამდენი რამ თარგმნა, ალბათ კარგი მთარგმნელია, მაგრამ... — ქალი შეყოვნდა, — სვამს! აღარ ვიცი, რა მოვუხერხო. განსაკუთრებით კონიაკი მოსწონს. სადაც უნდა დავმალო, მაინც მიაგნებს! წარმოგიდგენიათ? ხომ ამბობენ, ძაღლებს კარგი ყნოსვა აქვთო, თუნდაც მატილდასა და გრიზელდას, მაგრამ... ჩემს ქმართან რას მოვლენ! ხანდახან თავს იმით ვიმშვიდებ, მწერალი რომაა და რომ სვამს, ანუ იმიტომ სვამს, რომ წერს და თარგმნის. კიდევ კარგი, არ ეწევა, თორემ საერთოდ გავგიჟდებოდი! თუმცა, როგორც მითხრეს, ელიტა სვამს კიდეც, ეწევა კიდეც და... მოდით, დანარჩენს ნუ მათქმევინებთ. თქვენ ინტელიგენტი კაცი ჩანხართ და ამას თავადვ მიხვდებით. სხვათა შორის, ჩვენი კლიენტებიც, აქ რომ ღამეს ათევენ, სვამენ კიდეც და ეწევიან კიდეც, მაგრამ მე ხომ ვერ დავუშლი? ბოლოს და ბოლოს, კლიენტები არიან და ფულს მიხდიან. ანგარიში ხომ უნდა გავუწიო? თან, თუ კლიენტი ბრუმერუსის გამოგზავნილია, ის ყოველთვის ინტელიგენტია და საინტერესო.

— სხვათა შორის, თქვენთან მეც ბრუმერუსმა გამომგზავნა.

— მართლა? რა საინტერესოა!

— სამწუხაროდ, ახლა უსიამოვნებებშია. მის აგარაკზე მკვლელობა მოხდა!

— ღმერთო, რა აღარ ხდება ქვეყანაზე, — თითქოს გულგრილად შენიშნა არცთუ უემოციო ქალმა, — მართლა, ყავას ხომ არ მიირთმევთ?

— რაკი აქ დარჩენას ვაპირებ, ალბათ დავლევ, — მიუგო ასისტენტმა.

მადამ ბრიოზელტაუმ სწრაფად დატოვა ოთახი და მალე დაბრუნდა უკან სინით ხელში. მან ის პატარა მაგიდაზე დადგა და ღიმილით თქვა:

— ნაღდი ბრაზილიურია. მოგეწონებათ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ **თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი**

Cyan Magenta Yellow Black

www.facebook.com/Tinatinbonney
თინათინ ბონი

ეიფორია

დასაწყისი №7-12

მესამე ნაწილი

„Just Let Him Be Him“[1]

ალეწილი სახე. მახველებს და ამიტომაც არ წავედი სამსახურში. ირამ ცხელი ჩაი გამიკეთა და სალონში გაიქცა. ნანუკა სამსახურშია. ზოსის სძინავს. ეს ძაღლი დამამშვიდებლებს ხომ არ იღებს ნეტა? წკარუნობს ტელეფონი.

„რას შვრები?“ — მარანძანა.

„ვაგდივარ საწოლში“, — მე.

„საჩკაობ სამსახურში, როგორც ყოველთვის?“ — მარანძანა.

„მახველებს, რას ვსაჩკაობ“, — მე.

„გინდა, რამე მოგიტანო?“ — მარანძანა.

„არა, ნუ შეწუხდები“, — მე.

ხომ მშვიდობაა ნეტა ამის თავს? რაღაცნაირია, არასანდროსეული.

„რომ ვწუხდებოდე, არ შემოგთავაზებდი“, — მარანძანა.

„არა, არ მინდა. ბევრი ქალი გეყოლება მისახედი“, — მე.

„ეჰ, ლენა, ლენა. ძირითადად არის მამაკაცების ორი ტიპი. პირველი, შენი ძვირფასი ყოფილის კატეგორია, რომლებსაც ჩალიჩი სჭირდებათ ქალის დასათრევად და მეორე ჩემი — ვისაც მთელი ცხოვრება იქით ეხვეწებიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უკვდავები ვართ და არ გვაქვს სურვილი, მეგობარს მივართვათ ლოგინში სუპი“, — მარანძანა.

მეცინება სანდროს მესიჯზე. მაგრამ არა, არ მინდა ახლა არავინ.

„მადლობა, სანდრო, თუ მომინდა სუპი, მოგწერ“, — მე.

ველოდები პასუხს და არაფერი მომდის. პრინციპში, რაღა უნდა მოეწერა? ასე ვართ რა ეს ქალები, მუდამ უარზე და თან გვინდა, რომ გაუთავებლად გვეხვეწონ კაცები. ერთხელ უცხოელმა კოლეგამ მითხრა, ქართველი ქალი, თუ გინდა, ინტიმზე დაითანხმოო, უნდა მისცე საშუალება, იზუზუნოს, რომ არ უნდაო. ვხუჭავ თვალებს და ენდი მახსენდება. ვიცნობდი კი ენდის? იყო ის ისეთი, როგორიც მე მეგონა? თუ მე მისგან შევქმენი იდეალი, მიუწვდომელი იდეალი? შეიძლება მასთან რომ გამეტარებინა ცხოვრება, ისიც რიგით კაცად ქცეულიყო.

კარზე ზარია. ალბათ დამლაგებელი მოვიდა. დედაჩემი შემპირდა, რომ გამომიგზავნიდა. საბანს ვიხვევ და მივაბოტებ კარისკენ. ვაღებ. არავინაა. ვიხედები დაბლა და დევს პარკი. ვიღებ. ქილა. ვხდი თავსახურს. ტომატის კრემსუპი და პატარა პარკში კრუტონები. სანდრო! კმაყოფილს მეღიმება. რითი დავიმსახურე ამ ბიჭის კეთილგანწყობა? იმდენი რამე გავაკეთე, ზედაც არ უნდა მაფურთხებდეს.

შევდივარ სამზარეულოში, ვისხამ სუპს და ვსინჯავ. ძალიან გემრიელია. ვიღებ მობილურს და ვფიქრობ, რა მივწერო სანდროს.

„მადლობა“, — ვწერ მოკლედ.

„არაფრის“, — მპასუხობს ასევე მოკლედ.

ვბრუნდები საწოლში. ვრთავ მუსიკას,Gotye - Somebody That I Used Knov. ვიძინებ.

საღამოა. ვიღვიძებ. სახლში სიჩუმეა. ძაღლიც კი არ ჩანს. ეტყობა, გაიყვანა ირამ. ვრთავ ტელევიზორს. რაღაც შოუა. ოჰ, კესარია ბიჭიკაშვილი ჰყავთ სტუმრად. ეს საინტერესოა. გადამაკიაჟებული კესარია, უმოკლეს კაბაში, 30 სანტიმეტრიან ქუსლებზე. ვუწევ ხმას.

— კესარია, სიმართლე გვითხარით, ვინ არის თქვენი მამაკაცი, რომელზეც მთელი თბილისი საუბრობს? — კითხულობს წამყვანი.

— კარგით, რა, მე მის სახელს სახალხოდ ვერ გავამხელ, — კესარია თვალებს ატრიალებს და თხასავით იცინის.

მე ეს არ მსიამოვნებს. არა, სანდროს ბევრი ქალი ჰყავს, მაგრამ ერთი და თანაც ასეთი?

— როგორია, აგვიღწერეთ მაინც! — არ ეშვება წამყვანი.

— ძალიან „სიმპატიჩნი“ და „სექსაპილნი“, — ჭიხვინებს კესარია და დარბაზი გუგუნებს ტაშისგან. ვთიშავ ტელევიზორს. თუ ასეა საქმე, მე რას მიგზავნის სუპს? მივწერ ახლა ორ ტკბილ სიტყვას!

„შენი თხა იყო ტელევიზორში!“ — ვაგზავნი და იმ წამსვე მინდა, დრო უკან დავაბრუნო. ჯერ რა გოიმობა მივწერე და მერე რა მინდა საერთოდ?

„რა გინდა, გოგო?“ — მარანძანა.

„შენ არასოდეს შეიცვლები! არასდროს!“ — მე.

პასუხს აღარ მცემს და აი, სულ მკიდია! მაგიტომაც არ გავყევი ცოლად, რომ ასეთია და ყოველთვის ასეთად დარჩება. მე ხომ ეს ვიცოდი. კიდევ კარგი, გონს მოვეგე. დათოს ცოლობამ ბევრი ხეირი მანახა-მეთქი, ტყუილია, მაგრამ სანდროზე მე მაინც მართალი ვიყავი. საკუთარ თავზე შეყვარებული ნარცისი, რომლის გვერდით პატიოსან ქალს მშვიდად ვერ ჩაუვლია. და ენდი? რომელი კაცი არ იცავს თავს საწოლში? რას აორსულებდა, თუ მე ვუნდოდი? ყველა კაცი იდიოტია!

კარზე ზარია. მივჩოჩავ საბნით. ირკამ ალბათ ძაღლი ამოიყვანა. დავსხდებით ახლა და გავჭორავთ უვარგის კაცებს.

ვაღებ კარს და მრჩება გამოწკეპილი სანდრო. აცვია თხელი ნაქსოვი ზოლიანი ზედა, ჯინსები და ჩემი საყვარელი არმანის კედები. თმა შეუმოკლებია, ეტყობა, პირდაპირ სალონიდან მოვიდა. დგას და მიღიმის.

— ვინ დაგპატიჟა? — ვეუბნები გაღიზიანებული.

— შეიძლება შემოვიდე? — სერიოზულდება.

— მოდი, ჰა, — ვამბობ და მივდივარ საძინებლისკენ. საერთოდ არ მაღელვებს, როგორ გამოვიყურები. ვწვები საწოლზე და გემრიელად ვიფარებ საბანს. სანდრო შემოდის და ჩემს ფეხებთან ჯდება.

— მეტყვი, რა გჭირს? — მეკითხება მშვიდად.

— მე რა მჭირს? შენ რა გინდა საერთოდ?

— მე რაც მინდა, იმას ვუყურებ ახლა, — მეუბნება სერიოზულად და ფეხზე იხდის.

— რას აკეთებ? — საბანს კისრამდე ვიფარებ.

— კომფორტულად ვჯდები, — სანდრო ლოგინზე ლოტოსის პოზაში ჯდება, — აი, ახლა ვილაპარაკოთ. რა ხდება?

— ის ხდება, რაც ყოველთვის. არ მესმის, ჩემგან რა გინდა!

— აი, ასეა მუდამ. ყველა მისმენს და ძალიან ცოტას თუ ესმის. ამჯერად რა დავაშავე?

— კესარია, სანდრო! ქალი სახალხოდ აცხადებს რაღაცეებს და შენ მე მიგზავნი სუპს!

— და სუპის გამოგზვნა ღალატის ტოლფასია? — ეცინება სანდროს, — ჯერ ეგ ერთი, რომ კესარიასთან არაფერი მაქვს. არ ვიცი, ვისზე რას აცხადებს, მაგრამ მე სულ ორჯერ მყავს კლუბში ნანახი.

— აბა, ცოლად მომყავსო?

— ვინ გითხრა ეგ? — სანდრო წარბს წევს, — თამარამ გნახა?

— შეიძლება, — ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს.

— შემჭამა შენზე შეკითხვებით, სად ხარ და რა ხდება და კესარიაზე ვუთხარი, რომ თავი დაენებებინა. არ მეგონა, ასე თუ გაღიზიანდებოდა. ყოჩაღ დედას, როგორი ნაბიჯები გადადგა ჩემ გადასარჩენად.

ვაღებ საწოლის გვერდით მდგომ ტუმბოს უჯრას და სანდროს ფულს ვაწვდი.

— ეს დამიტოვა და, როგორც ხედავ, ხარჯები არ მქონია. წაიღე.

ვდებ კონვერტს სანდროს ფეხებთან.

— თამარამ მოგცა და თამარამ წაიღოს. თანაც იმსახურებ ამ ფულს, ხომ დამაშორე კესარიას, — მეუბნება სანდრო ცინიკურად და პატარა ეშმაკუნები დაურბის თვალებში.

რატოა ასეთი ღამაზი, რატოოო?

— დამშვიდდი ახლა, რომ არავინ მყავს? — სანდრო თვალს მიკრავს.

— ნუ მიშლი ნერვებს! — ვამბობ ვითომ მკაცრად და მეღიმება.

— მე რომ მიტრაკებ, შენ თვითონ იცი, რა გინდა?

კარგი შეკითხვაა, სანდრო. არ ვიცი. ნამდვილად არ ვიცი.

— მე ყოველთვის ვიცი, რა მინდა!

— მაინც?

— შემეშვი! — თავზე ვიფარებ საბანს.

— შეიძლება ერთხელ მაინც ზრდასრულებივით ვილაპარაკოთ? — სანდრო საბანზე მქაჩავს.

— კარგი, — ვიხდი საბანს ისე, რომ წელამდე მფარავდეს.

— მე არ მაინტერესებს, რა ჰქონდათ სხვებს და რითი მოგხიბლეს. მე მაინტერესებს, რა არ მქონდა მე? დღე არ გადის, რომ ამაზე არ ვიფიქრო, — სანდრო სერიოზულდება.

რა ვუპასუხო? დაბნეული ვარ. ასეთი საუბრები სანდროს არ უხდება. სანდროს სექსი და გრიალი უხდება.

— სანდრო, შენ... შენ ისეთი სიმპათიური ხარ, ისეთი

[1]მიეცი უფლება, ისეთი იყოს, როგორიც არის (ინგ.).

Cyan Magenta Yellow Black

ცინიკური, ისეთი უზრუნველყოფილი, რომ ცოტა წარმოუდგენელია, ქალმა შენ გვერდით მშვიდად იგრძნოს თავი. მისთვის ეს მუდმივი ბრძოლაა შენს ყოფილებთან თუ აწმყოებთან, მაგრამ უფრო დიდი ბრძოლაა საკუთარ თავთან, მუდმივი მტკიცებით, რომ ის შენზე ნაკლები არაა, — აი, ამოვთქვი და მომეშვა.

— რატომ მიქმნის ყველა სტერეოტიპს, სანამ გამიცნობენ? ეს ჩემ ირგვლივ ყველა ქალმა გააკეთა შენი ჩათვლით, ლენა. მიმაჩვიეს იმას, რომ ასე ვიქცეოდე, უბრალოდ ითხოვენ ამას ჩემგან. ვინმემ მაცალა, რომ ჩემი პიროვნებიდან გამომდინარე შექმნოდა ჩემზე აზრი? არავინ არასდროს მაცლის! ჩემი ქცევის მოლოდინი შექმნილია ყველა ქალის მიერ საკუთარ ფანტაზიასთან მიმართებაში.

მსუბუქი შოკი მაქვს. ის მართალია, მაგრამ კარგი, რა! ახლა წაიბაცნებს და ეცდება, გამხადოს. ასეთი სერიოზული საუბრები მხოლოდ დასატყვევებლად სჭირდება სანდროს. მე ხომ ვიცნობ!

— და რატომ იქცევი ისე, როგორც სხვებს უნდათ?

— მე ყოველთვის ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, რომ ვყოფილიყავი „ლიუბიმჩიკი“. ძალიან ძნელია, აღიარო, რომ რამის გეშინია, მაგრამ რატომ არ უშვებ იმ აზრს, რომ მე არ ვიყავი დარწმუნებული, მიმიღებდნენ თუ არა ისეთს, როგორიც ვარ? ყველას უნდა, რომ ვიყო მხიარული, ცინიკური, თავზეხელაღებული. კი, შეიძლება ახალგაზრდობაში, როცა გავერკვიე, რომ შემეძლო ნებისმიერი ქალი მყოლოდა, მომწონდა ეს. ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა. მაგრამ მე რომ ასეთი ვიყო, ნუთუ მოვძებნიდი თურქეთში, სემინარზე გაკვრით დანახულ ქალს? ნუთუ ვაპატიებდი მას იმას, რომ ორჯერ სხვასთან დაიწყო იმის ძებნა, რაც ცხვირწინ ჰქონდა ჩემი სახით? კი, ჩემი ბრალია, ბევრი რამეა ჩემი ბრალი! მაგრამ მე ხომ ვცდილობდი. სხვა თუ არაფერი, შენ ერთადერთი ხარ, ვინც ჩემს შვილს იცნობს.

ვუყურებ მის თვალებს და ჰაერი აღარ მყოფნის. ეს ის სანდროა, ბანკომატთან რომ დავინახე. ის სანდროა, საბურავს რომ ვცვლიდით ერთად.

— ჩემი შეცდომაა, რომ იმიჯმა ისე შემითრია, ჩემი ნაწილი გახდა და შენთანაც კი ვერ გამოვედი ამ მდგომარეობიდან, არადა მთელი გულით მინდოდა.

ხმას ვერ ვიღებ. ვუყურებ სანდროს და არ ვიცი, მოვეფერო, ვაკოცო თუ რა გავაკეთო. რით დავიმსახურე ასეთი სიყვარული? მე ხომ არაფერს ისეთს არ წარმოვადგენ.

— შენ იცი, შენი მესიჯი რომ მომდის, გული რომ მიჩქარდება? იცი, რომ როცა შენ და დათო გაიპარეთ, მე სახლში ყველაფერი დავამტვრიე? მაჯა მოვიტეხე, ისეთი ვხიე ხელი კედელს. იცი, რომ მალიბუში როცა გაფრინდი, მე აეროპორტში ვიდექი და ვფიქრობდი, შემეჩერებინე თუ არა? ყველა შენი ნაბიჯი ყოველთვის ვიცოდი.

— სანდრო, არ ვიცი, რა ვთქვა. შენ ყოველთვის ისეთი მიუწვდომელი იყავი, ჩემ გვერდითაც როცა იყავი, მე თითქოს სადღაც მიწაზე ვიწექი და ქვემოდან გიყურებდი, — ცრემლი მაწვება.

— წინაზე ბავშვობის მეგობარი შემხვდა და მეკითხება, რას ჩალიჩობო, ნაშები და რამეო. მეთქი, არა, აღარ. პასუხად მივიღე ისტერიული სიცილი და კომენტარი: მიდი რა, ეღადავე სხვებს! აი, ცოცხალი მაგალითი, ლენა, ყველა მარტო ფუტლიარს და წარსულს ხედავს. მე სანდრო არ ვარ, თუ ერთდროულად ასი ქალი არ მკიდია და ფულებს არ ვისვრი აქეთ-იქით. სხვანაირი მე არავის ვჭირდებოდი არასდროს და დრო დამჭირდა, რომ ამას მივხვედრილიყავი.

— სანდრო, მაპატიე...

— ის, რაც მე ვიგრძენი შენ მიმართ, ჩემთვის ანომალია იყო. მე არამარტო მიყვარდი შენ, მე მიყვარდა ის, თუ როგორს მხდიდი, როცა ჩემ გვერდით იყავი. მხოლოდ შენთან ვპოულობდი ჩემს თავს. იქნებ მზად ვიყავი, ერთ ქალთან გამეტარებინა მთელი ცხოვრება და მის გარდა არავინ მინდოდა.

— სანდრო, მე არ ვიცი, რას ვეძებდი, მაგრამ ასე მოხდა, დათოზე გავგიჟდი. მერე ენდის ამბავიც და საერთოდ ავირიე. თანაც დათომ რაც მომაძახა, რომ შენ იყავი ჩემი პირველი... შენც ოდესმე მომაძახებ, რომ მე ორი კაცი მყავდა, შენ კი იტანჯებოდი... — ღაპაღუპით ჩამომდის ცრემლები.

— შენ გგონია, მე რამე პონტში მაღელვებს, რომ ჩემ გარდა ვინმესთან გქონდა სექსი? კარგი, რა! მე იმაზე ფიქრი მკლავს, რომ შენ ის გიყვარდა... ახლა კი სხვა გიყვარს... და მე არა!

— სანდრო ლოგინიდან დგება ისე, რომ მისი სახე ვერ დავინახო. სწრაფად იცვამს ფეხზე და მიდის.

გაუნძრევლად ვწევარ და ვტირი. რატომ ვარ ასეთი იდიოტი? რატომ ვჩქარობ მუდამ? რატომ ვერ ვხედავდი ამას სანდროში? ვიფარებ საბანს თავზე და ტირილს ვაგრძელებ.

ღამე. საწოლში ვბორგავ. ვერ ვისვენებ. რამე უნდა ვუთხრა, მივწერო რამე. უნდა იცოდეს, რას ვგრძნობდი მის მიმართ. ვგრძნობდი თუ ვგრძნობ? როგორ შეიძლება მარანძანამ ყოველ ჯერზე თავდაყირა დააყენოს ჩემი სამყარო? ვიღებ მობილურს და ვფიქრობ, რა მივწერო.

„სანდრო, ვიცი, გძინავს და ალბათ მარტო არ ხარ...“ — ვშლი მესიჯს.

მარტოა, აბა, რა და შეიძლება სულაც არ სძინავს.

„სანდრო, უბრალოდ მინდოდა, მეთქვა, რომ როცა პირველად მაკოცე, ჩემთვის უბედნიერესი წამი იყო“, — ისევ ვშლი.

„მაპატიე“, — ვაგზავნი.

ახლა მინდა, რომ მომწეროს, რა გაპატიოო, მე ხომ მუდამ მეყვარები, რაც არ უნდა ჩაიდინოო. პასუხი არ მოდის. ლოგიკურია, ღამეა! ვხუჭავ თვალებს და გულზე ვიდებ მობილურს. ვუყურებ მობილურს, რომ შევამოწმო, იქნებ მოვიდა მესიჯი და მე ვერ გავიგე. არაფერია.

„სანდრო, გძინავს?“ — ვაგზავნი. ვითვლი ასამდე.

პასუხი არ მოდის. გიჟად ვარ. მგონი, სიცხემ ამიწია. დავურეკო? აპ, აპ, აპ! არ გაბედო, ლენა! ძალიან რომ მინდა? ვდებ მობილურს ბალიშის ქვეშ და ვიძინებ. ერთი დღისთვის საკმარისი ემოციები გამოვცადე.

ალეწილი ვიღვიძებ. ვავლებ ხელს მობილურს. არაფერია. ღმერთო, ამ ერთხელაც დამეხმარე და მერე მე ვიცი! რატომ არ მპასუხობს? გუშინდელის მერე აღარ ვჭირდები? არ არსებობს. ვდგები და სამზარეულოში შევდივარ. ყავა გაგვთავებია. სპორტულებში ჩავდივარ მარკეტში. ვიღებ ყავას და მივდივარ სალაროსთან. შემოდის დათო.

— დილა მშვიდობისა, — მესალმება და გზას აგრძელებს.

არ ვცემ პასუხს. ფულს ვიხდი და გავდივარ. რამდენიც უნდა, მიტრიალოს. ჩემი მეგობრობის ღირსი ეგ არ არის. მადლობა თქვას, რომ ბიძამისთან ასე კარგად მოვიქეცი. უბრალოდ ბოღმა არ ვარ და არც მის მიმართ მიტოკავს, ასე რომ, დათო აბსოლუტური წარსულია.

ავდივარ სახლში. ვეძგერები მობილურს. არაფერია. გავგიჟდები ახლა! გოგოებს სძინავთ და მე კი მინდა, ვიყვირო ბოლო ხმაზე და მივლეწ-მოვლეწო ქილები. ვადუღებ წყალს, ვისხამ ყავას და ვჯდები მაგიდასთან. გეხვეწები, სანდრო, ის მაინც მომწერე, რომ მპატიობ. მე ხომ მეტი არაფერი მინდა. თუ მინდა?!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქალური ბედნიერება

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს სპეციფიკური გენი, რომლის წყალობით ქალის ტვინი ე.წ. სიამოვნების ჰორმონების მეტ რაოდენობას შეიცავს. სწორედ ამიტომ, ზოგადად ქალები თავს უფრო ბედნიერად გრძნობენ, ვიდრე მამაკაცები.

ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ცხოვრების მთელი მშვენიერების განცდაში ხელს უშლის ტესტოსტერონი. მამაკაცის ორგანიზმში არსებული ამ ჰორმონის მაღალი დონე ბედნიერების გენის მოქმედებას თრგუნავს.

Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

ქმარი, რომელიც გაქრა



ჩემი ქმარი გაქრა!
დიახ, გაქრა.
აი, ასე, გაქრა.

ცამ დაუღო დიდი, ცისფერი პირი და გადაყლაპა თუ მიწამ დიდი შავი პირი და გადაყლაპა, ვინ იცის, ვინ?! არავინაც არ იცის: არც ძმაკაცებმა, არც ნათესავებმა, არც თანამშრომლებმა, არც პატრულმა, არც სამაშველო სამსახურმა, არც სასწრაფომ, არც საავადმყოფომ, არც მაღაზიის ყოვლისმცოდნე გამყიდველმა, უკაცრავად, კონსულტანტმა...

აი, მაგან როგორ არ იცის, მიკვირს. ყველაფერი იცის, დარწმუნებული ვარ, იმ რვეულში, დახლქვეშით რომ ინახავს და დღეში რატომ ორმოცდაათჯერ არ ამოქვს ზევით (ნეტავ რა ძალა ადგას, დადოს პირდაპირ დახლზე და ის იქნება), მარტო ნისია კი არ უწერია, არამედ მთელი უბნის ჭორ-მართალი, თანაც დაწვრილებით. აბა, როგორაა, რომ ყოველთვის ყველაფერი იცის, სანამ პროდუქტს სასწორზე გილაგებს, უკვე თავადაც იმდენი რამ იცი, თითქოს ერთი კი არა, ასი ოჯახის წევრი ხარ. თან სულ დაფარული, კარგად შეფუთული ამბებია, მართლა დახლქვეშ დადებული, კარადებში მიკუჭული, საკუჭნაოებში მურაბისა და კომპოტების ქილებს უკან გადამალული...

ჰოდა, ამ გამყიდველმა, უკაცრავად, კონსულტანტმა, როგორ არ იცის, სად გაქრა ჩემი ქმარი?!

— მართლა არ იცი? — ვკითხე გამომცდელად.

საყიდელი არაფერი მქონდა და მაინც ჩავედი მაღაზიაში, უკაცრავად, მარკეტში, როგორც ხავსს, ჩავებღაუჭე, მაგრამ შენც არ მომიკვდე!

— არაა, — გადააქნია თავი, ანუ ხელი მკრა და პირდაპირ შუა მორევში ჩამაგდო.

ჩავვარდი, ჩავყურყუმელავდი, ამოსვლა ვცადე:

— სულ არაფერი?

— არა, მე რატომ უნდა ვიცოდე? — ახლა უფრო ღრმად ჩამაყვინთვინა.

პრინციპში, მართალი იყო, რატომ უნდა სცოდნოდა გამყიდველს, უკაცრავად, კონსულტანტს, სად იყო ჩემი ქმარი? მაგრამ მან ხომ ყველაფერი იცოდა, ყვე-ლა-ფე-რი!

— არაფერიც, — მხრები აიჩეჩა თეკომ.

— რა არაფერიც? — ღამის ფეხები დავუბაკუნე, უბრალოდ ვიჯექი და ეს არ გამომივიდა.

— არაფერიც არ იცის ყველაფერი, — ახლა ტუჩები ასწია ზევით.

ჰო, კი არ გამობერა, ზევით ასწია, აიტანა, ცხვირს შეეხო ზედა ტუჩით. არადა ცხვირი აქვს? აფრენილი, ამკრთალი, ათლილი, ამაღლებული, მოკლედ, როგორც ამბობენ, ასეთ ცხვირზე. „კურნოსაა“, შეიძლება უფრო მეტიც.

— ახლა რას ამბობ, ნეტავ, თავად თუ გაიგე? — ჩავიქნიე ხელი. ჩაქნეული ხელი თავისით მიცოცდა ჯერ სიგარეტთან, მერე სანთებელასთან...

— აბა, კარგად ამიხსენი, — გავაბოლე, გვერდულად, ცხვირ-პირში ხომ არ შევაბოლებ, გარშემო მესერივით აქვს შემოვლებული წარწერა:

„სიგარეტი მავნეა თქვენი ჯანმრთელობისთვის! სიგარეტი მავნეა თქვენი შვილების ჯანმრთელობისთვის! სიგარეტი მავნეა თქვენი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისთვის! სიგარეტი მავნეა თქვენი მეგობრებისთვის...“.

თეკო არც ოჯახის წევრია, არც შვილი, რაც ბოლოში ვთქვი, ისაა — მეგობარი.

— სწორი არ არის, რომ ყველაფერი იცის-მეთქი, — როგორც ჩანს, ყელში ამოუვიდა ჩემი „ბატი ტასიკო“ სახე თეკოს, — აი, ხომ არ იცის, სადაა ახლა შენი ქმარი? ესე იგი ყველაფერი არ იცის, გაიგე?

— იცის, მაგრამ მალავს! — „ევრიკასავით“ წამოვიძახე უცებ.

არა, რა, ნამდვილი დეტექტივი ვარ! დეტექტივი ანანო! მოიცა, ასე ცუდად ჟღერს, იქნებ დეტექტივი ანნა? აუცილებლად ორი ნ-თი... არა, არც ეს მომწონს, რაიმე უფრო კრეატიული მინდა, ახალი, უცხო, ამ სიუცხოვისგან სწრაფად რომ გაჟღერდება, ისეთი... ეს „გაჟღერდება“ სიამაყით გამოვიყენე, რა მნიშვნელობა აქვს, საჭიროა თუ არა? მოდაშია და მოდას ხომ არ ჩამოვრჩები?!

აჰ, ისე, ჩემი ქმარი რომ გაქრა, ასეთი ისტორიებიც მოდაშია..

ქმარი! ჩემი ქმარი გაქრა! დავუბრუნდი საწყის პოზიციას და ამ საქმეს გამოიძიებს დეტექტივი ანაბელ სოლო!

აბა, ვინმე შემომედავოს, აბა, ვინმემ მითხრას, რა ანაბელი და მით უმეტეს, რის სოლო, ანანო სიმონიშვილო...

— როგორ გეკადრებათ, — რაც შეიძლება მშვიდად და ირონიულად უნდა შევხედო, თვალმოწკურულმა, — პუუჰ, — ტუჩგამობერილმა.

არ მიყვარს გონშეზღუდული არსებები (იეს! რა ზედმიწევნით სწორი სიტყვა მივუსადაგე!), ანნა მე ვარ, აუცილებლად ორი ნ-თი, თუ შეიძლება, ბელა დედაჩემია და სოლოლაკში ვცხოვრობ, ზევით, კორტოხზე...

აი, ეს კორტოხი რა შუაში იყო ახლა? ამ გოიმურ სიტყვას ვინ მიხვდება ჩემ გარშემო? კარგი, მოკლედ, სოლოლაკში ვცხოვრობ და მშვენიერი, კრეატიული ფსევდონიმი შევკარი, შევკონე მაგიურად, მისნურად, კოდირებულად — ანაბელ სოლო... ისე მომწონს, მართლა ხომ არ დავიწყო დეტექტივობა? დავფიქრდები მაგაზეც, ჯერ ქმარს მივხედო.

ქმარი! კიდევ ერთხელ გამახსენდა ის, ვის გამოც ღამის ნარატიული ტექსტი დავწერე (ესეც რა კრეატივია! ყოჩაღ, ანაბელ სოლო!). ჩემი ქმარი გაქრა!

— და პატრულმა რაო? — მკითხა თეკომ.

— პატრულმა არაფერი, — სახე მივიღე „ოჰ, ეგ საძაგლები!“

— როგორ არაფერი?! — გაბრაზდა თეკო, — მართლა „ჯერ სად ვართ“? რა უპასუხისმგებლობაა, ღმერთო ჩემო, ადამიანი გაქრა...

— პატრულისთვის არ მითქვამს, — ვუთხარი ჩუმად და თვალი კარისკენ გავაპარე. ვინ იცის, დგას კართან ჩემი დედამთილი, ინგა და გვაყურადებს, — ინგა მოვატყუე, რომ პატრულს ვუთხარი.

— რატომ? — პირი დააღო თეკომ, გაოცებისგან — არა, ჩიპსი ჩაიხვავა პირში.

ქალია თუ წისქვილი, ვერ გავიგე. არანაირი კულტურა, არანაირი ზრდილობა...

— რას აკეთებ? — ღამის დავუყვირე.

— რას უნდა ვაკეთებდე? ჩიფსს ვჭამ, — ამოიხრაშუნა.

— ამდენს რომ იტენი, უზრდელობაა!

ცხვირი ავწიე, თავიც, უფრო ზევით, უფრო ზევით... ჭერზე აბლაბუდა დავინახე.

„ეგ ქალია? — გავიფიქრე დედამთილზე, — ამხელა აბლაბუდა კიდია ჭერზე და ეგ კი... ვითომც არაფერი! მე მელოდება? მე სად მცალია! ქმარზე ვნერვიულობ, რომელიც გაქრა!“.

დიახ, გაქრა. გაქრა ჩემი ქმარი!

— მკიდია, რა, — ამ დროს უდარდელად ჩაიხრაშუნა თეკომ.

— ჩემი ქმარი? — თვალები ჭერზე ამიხტა, ახლა მარტო აბლაბუდა კი არა, ზედა მეზობელიც დავინახე — კომპიუტერის მაგიდასთან იჯდა და ფეხებს აბაკუნებდა. ღმერთო, ეს ნევროზული ტიკები ოდესმე ხომ შეიძლება მოიშალონ ადამიანებმა, განსაკუთრებით მეზობლებმა და განსაკუთრებით ზედა მეზობლებმა?!

— რა შენი ქმარი? — თეკომ ახლა პარკი ჩაიპირქვავა.

უზრდელი! ეს ჩემი მეგობარი როგორაა?! არა, ამასთან როგორ ვმეგობრობ?!

— ჩემი ქმარი გკიდია-მეთქი?! — მივახალე ტყვიასავით.

— შენი ქმარი რა შუაშია?

როგორც ჩანს, აცდა ჩემი ნასროლი ტყვია, „ჭრაალ-ჭრუუჭ“, გადახეთქა მეორე პარკი, მერე „შხრრრრრრ“, ისევ მუჭით ჩაიტენა პირში ჩიფსები და ისევ ახრაშუნდა.

ამ შხრიალმა ნერვებზე გადამიარა. პარკს ხელი ვტაცე და იგივე გავაკეთე, ჩიფსები მუჭით ჩავიტენე.

— მოგწონს, მოგწონს?! — ხრაშუნით ვკითხე.

— ვინ? შენი ქმარი? — ხრაშუნით

Cyan Magenta Yellow Black

მკითხა.

— რა ჩემი ქმარი, შენ ხომ არ გარეკე! — ავხრაშუნდი უფრო ხმამაღლა.

თითქმის დამავიწყდა, რომ ეს უზრდელობაა.

— დაწყნარდი, მინდოდა, მეთქვა, ხალხის აზრი მკიდია-მეთქი, ახლა დავამატებ, რომ შენი ქმარიც მკიდია უკვე. ამოვიდა ყელში შენი უაზრო ისტერიკები, — თქვა სავსებით მშვიდად, ნორმალურად, ნეტავ ასე სწრაფად სად გააქრო ჩიფსები? წამოდგა, ხელები გაიწმინდა, — ტუალეტში შევალ და რომ გამოვალ, ბოლოს და ბოლოს მითხარი, საერთოდ რაშია საქმე.

ჰმ, ხომ ვამბობ, ეს ჩემი მეგობარი არაა, შეიძლება ახლა მშვიდად იყოს?! აი, გამოვა და ვეტყვი, იცი, რა...

— რა? — თეკო უკვე ოთახში იყო, სანამ პასუხს გაცემდი, უკვე პუფში ჩაშვებული, ჩაღუნღულებული.

— რა და ეგ რა მეგობრობაა, არ მესმის, — თამამად წავუყენე პროტესტი, დიახ, „წავუყენე პროტესტი“ და არა „გავაპროტესტე“, ჟურნალისტი ვარ ბოლოს და ბოლოს, ახალი სიტყვათშეთანხმებანი უნდა ავიტაცო და გავითავისო, დროს არ ჩამოვრჩე, — რატომ არ განიცდი იმას, რასაც მე?

— რა უნდა განვიცადო? — იმის მაგივრად, რომ დარცხვენილს თავი ჩაეღუნა, უტიფრად მომაფრინა თვალები სახეზე, — შენ მართლა ხომ არ შეიშალე?! ამდენი ხანია აქ ვზივარ, მოთმინებით ვუსმენ შენს აბდაუბდას, აქედან ვერც აბდა გავიგე, ვერც უბდა. შენ ხარ ერთი ისტერიკიანი გოგო. არ ვიცი, ნევროზი გაქვს თუ ნევრასთენია, მაგაში ვერ ვერკვევი. ერთი ის ვიცი, რომ უკვე ყველა გადაღალე გარშემო. ვერ ატყობ, რომ თავებს გიქნევენ და გაგირბიან?

— გამირბიან?! — უცებ მოვდუნდი, — მე გამირბიან? და ვის რას ვუშავებ?

ნეტავ მართლა ვის რას ვუშავებ...

პასუხი ვერ მივიღე.

დავფიქრდი, კი, მაინცდამაინც ანგელოზი არ ვარ. კი, მეც ვატყობ, რომ ამ ბოლო დროს ნერვები მღალატობს, ამიტომ გადაწყვეტილი მაქვს, ექიმთან მივიდე, დამამშვიდებლები გამოვაწერინო, რაც შეიძლება ბევრი, დავლიო, გონება მომიდუნდეს და სულ აღარ მაინტერესებდეს, ქმარი გაქრება თუ არ გაქრება...

— კარგი, შეიძლება რაღაცას ვაჭარბებ, მაგრამ, ფაქტი ხომაა, რომ ჩემი ქმარი გაქრა? — ვთქვი უკვე ჩუმად, ყოველგვარი ისტერიკის გარეშე.

ახლა მეორე უკიდურესობა დამეწყო: წეღანდელი ისტერიკული განწყობა სადღაც გაქრა და უსაშველო სევდა მომერია.

— კარგი, რა, — თეკომ ჩათვალა, რომ ზედმეტი მოუვიდა და ტონი შეცვალა, — აბა, წყნარად მომიყევი, რა მოხდა?

— ვერ ვუკავშირდები, — ჩავიბუტბუტე.

— რამდენი ხანია?

— დილიდან, — ისევ ჩავიბუტბუტე.

— ღმერთო, — ამოიოხრა თეკომ, საათს დახედა, — ჯერ მხოლოდ პირველი საათია. შენ კი ქვეყანა შეყარე.

— არავინაც არ შემიყრია, — ბუტბუტის მეტი რა დამრჩენოდა, — ეს ისე, ნუ... ისე... მოვიტყუე... ჯერ მარტო შენთან დავრეკე, აბა, ვინმესთვის ხომ უნდა მეთქვა?

— რა უნდა გეთქვა, რომ ქმარს ვერ უკავშირდები, ვთქვათ, სულ რაღაც სამი საათი?!

— უკვე ოთხი, — საათს დავხედე.

— მერე? იქნებ გაეთიშა მობილური?

— შეიძლება, მაგრამ იქნებ არ გაეთიშა? ან იქნებ სპეციალურად გათიშა და ახლა ვინმესთანაა?

— აჰ, აი, თურმე რა. ეჭვიანობ?

მიმიხვდა. მე კი სულაც არ მინდოდა, რომ მიმხვდარიყო. თეკო კი არა, საკუთარ თავს არ ვუტყდები, რომ ვეჭვიანობ, თან ძალიან. აბა, მართლა გიჟი ხომ არ ვარ, დილას გასული კაცის ძებნა დავიწყო მაშინ, როცა შუადღეც არ მოსულა. თანაც ქვეყანა შევყარო.

— არაფერსაც არ ვეჭვიანობ, მეტი საქმე არ მაქვს, მაგაზე ვიეჭვიანო! — ვთქვი ამაყად და უცებ იქვე გამოვტყდი, — ხო, ვეჭვიანობ. საიდან მიხვდი?

— მაგას რა მიხვედრა უნდა, რა, პირველი შემთხვევაა? — გაეცინა თეკოს, — თუ გგონია, დამავიწყდა, რამდენჯერ გაედევნე ჩუმად.

— ახლა ვერ მოვასწარი, — დანანებით ვთქვი, — შხაპს ვიღებდი და სწორედ მაშინ გავიდა. რატომ გავიდა ამ დროს? ან მობილური რატომ აქვს გათიშული?

— ღმერთო, — ისევ ამოიოხრა თეკომ, — რატომ არის მაინცდამაინც ჩემი მეგობარი ეს ისტერიჩკა?

— სულაც არ ვარ ისტერიჩკა, — როგორც კი თეკოს ტონი დაურბილდა, მაშინვე თავისმართლების რეჟიმზე გადავედი.

— შენ იმდენს იზამ, ბოლოს მართლა გაგიხდება საეჭვიანო, თანაც ძალიან სერიოზული საეჭვიანო.

— შენ, რა, რამე იცი და მიმალავ? — დავცქვიტე ყურები.

— რა უნდა ვიცოდე? — გაბრაზდა თეკო, — მე ის ვიცი, რომ ეჭვიანობის საბაბი არ მოუცია და მე მგონი, ძალიან უყვარხარ.

— ეგ საიდან იცი? — ცოტა გულზე მომეფონა.

— რომ გიძლებს, ესე იგი უყვარხარ, აბა, შენ როგორი გასაძლები ხარ?

არ მესმის, რატომ ვარ ცუდი გასაძლები? ეჭვიანობა რა შუაშია, მაგრამ როგორ, ქმარი არ უნდა გავაკონტროლო? დიახაც, ყოველ ერთ საათში ვურეკავ და ვამოწმებ, უკან დავყვები, სახლში დროზე მოსვლას მოვითხოვ. ჩემ გარეშე არსად მინდა წავიდეს! მე რა ვიცი, ვის დაადგამს თვალს ან პირიქით, ვინ დაადგამს თვალს? და საერთოდ ქმარი იმიტომაა, რომ სულ ჩემ გვერდით იყოს. დიახ, მიყვარს, ხო, ძალიან მიყვარს და რადგან მიყვარს, ვეჭვიანობ კიდეც, აბა, როგორ?! რა, რამეში ვცდები?!

— იცი, რა, — თეკო წამოდგა, საათს დახედა, — მე მეჩქარება, წავედი. შენ რაც გინდა, ის ქენი.

— მოიცა, მეც წამოვალ შენთან ერთად, იქნებ რამე გავარკვიო, — მეც წამოვხტი.

— სად უნდა გაარკვიო, რას აპირებ?

გამოვედით გარეთ. ეჰ, მშვენიერი ამინდია, სითბო, მზე, სინათლე, კვირტებით დახუნძლული ნუში და ტყემალი. მე კი ქმარი გამიქრა, ფაქტობრივად თვალსა და ხელშუა.

— სად და მაგის საუკეთესო ძმაკაცთან, რომლის ცოლმაც, ჩემი გამყიდვლის არ იყოს, ყველაფერი იცის. იქნებ რამე გავიგო. წამომყევი რა, არ მინდა მარტო მისვლა, — სანამ ჩაჯდებოდა, მე უკვე მანქანაში ვიჯექი.

— მოდი, იცი, რა ვქნათ? — უცებ მითხრა თეკომ, — წამოდი ახლა, ერთ ადგილზე წავიდეთ, აი, სიურპრიზი ის იქნება.

— მერე, გაგება რომ მინდოდა, სად გაქრა ჩემი ქმარი? — შევყოყმანდი, ცოტა არ იყოს.

— მოიცა ერთი, თუ გასაგებია რამე, ისედაც გაიგებ.

უკვე ეზოდან ვიყავით გასული.

გზაში გავიგე, რომ მივდიოდით მარიშასთან. ჩვენ სამივე ერთად დავდიოდით მუსიკაზე ბავშვობაში და მარიშა ცოტა ხნის წინ აღმოაჩინა თეკომ სოცქსელში.

— თურმე აქ არც ცხოვრობდა. ერთი წელია, რაც ჩამოვიდა, — მიყვებოდა გზაში, — სულ მეხვეწება, გამომიარეო. დღეს ვაპირებდი სწორედ მისვლას. მარტო ცხოვრობს, კარგად თან, — გადმომხედა მრავალმნიშვნელოვნად.

— არ გათხოვილა? — მართლა გამიკვირდა, — რა კარგი გოგო იყო.

— რად უნდა გათხოვება? — თეკომაც გაიკვირვა, — ისედაც მშვენივრად გრძნობს თავს. ვიღაც ჰყავს და ის ვიღაც თან ჰყვება.

— საყვარელი ჰყავს? — ეს რაღა გასაკვირი იყო, მაგრამ მე ხომ ნევროზი თუ ნევრასთენია მჭირდა. ვაითუ...

— მოვედით, — ფიქრი გამაწყვეტინა თეკომ და მანქანიდან გადავიდა.

რას არ მოიგონებს ქალის გონება. მივდიოდი და ვფიქრობდი (ხმამაღლა როგორ ვიტყოდი!) აი, ახლა, შევედი სადარბაზოში, შევედი ლიფტში, ავედი... მოიცა, ვნახო, ჰო, მეშვიდე სართულზე. გამოვედით ლიფტიდან. ჩავედით კიბეებზე. დავრეკეთ ზარი. გააღო კარი მარიშამ, გაიცინა, აკივლდა:

— ვაიმე, როგორ ხაართ? როგორ გამახარეეთ! თეეკ, რა კარგი გოგო ხარ, რომ ანანოც წამოიყვანე, როგორ გამიხარდაა...

მპუა — მეც ვკოცნი მარიშას სადღაც ჰაერში და თვალი მიშტერდება: იქ, ოთახში ჟურნალების მაგიდა დგას. რაში მაინტერესებს მაგიდა, მე ამ მაგიდაზე შემოლაგებული ფეხები მაინტერესებს, ჩემი ქმრის ფეხები!

ეს როგორ გამომეპარა, მე ხომ სულ დავდევდი! ესაა გამქრალი?! თუმცა ჩემთვის გაქრა, დიახაც გაქრა!

— ტყულად ვეჭვიანობდი, არა? ტყუილად ვეჭვიანობდი, არა? — მივუტრიალდი თეკოს ყვირილით, — რა უნდა ამას აქ?! ჩემს ქმარს აქ რა უნდა?!

იმ წამს მობილურმა დარეკა, ინსტინქტურად ამოვიღე და იქაც ყვირილით ჩავძახე:

— არ მცალია! — და ის იყო, გათიშვას ვაპირებდი, რომ:

— ანანო, რა გჭირს, რა არ გცალია? გასვლა მომიწია ქალაქიდან და კავშირი გაწყდა. ათასჯერ დაგირეკია, რამე გინდოდა? — ჩემი გამქრალი ქმარი რეკავდა...

— რა გჭირს, რა შენი ქმარი, შენ მართლა სულ გარეკე, სად ხედავ შენს ქმარს?! — ახლა თეკო ამიყვირდა.

— მოიცა, — ხელები საფეთქლებზე მივიჭირე, — მგონი, მართლა ვერ ვარ.

— რა მოგივიდა? — ახლა მარიშა მეკითხება, ცოტა არ იყოს, დაეჭვებული, — გოგის ცოლი არ ჰყავს, — და ოთახისკენ გაიხედა, სადაც, როგორც აღმოჩნდა გოგი, უკვე ფეხზე იდგა და გაოცებული გვიყურებდა.

— არა, არა, გოგი რა შუაშია, გოგი ვინაა, მე სულ სხვა რამ მეგონა, მე... ბოდიში, რა, — ვეღარაფერი ვთქვი.

როგორ უნდა მეთქვა, რომ როგორც კი მარიშას საყვარლის თუ ბოიფრენდის შესახებ გავიგე, იმის მერე სულ ვფიქრობდი, რომ ეს ჩემი ქმარი იქნებოდა და რომ ამ სახლში ახლა, ამ წუთას, სწორედ ჩემი გამქრალი ქმარი დამხვდებოდა... და ამაში იმდენად დავრწმუნდი, რომ ოთახში მყოფი უცხო ადამიანი რეალურად მომეჩვენა ჩემს ქმრად.

ისე სადღაც, გულიც კი დამწყდა, რომ ჩემი ეჭვი არ გამართლდა, ოღონდ სულ სადღაც, შორ კუნჭულში. ვინც ეჭვიანია, ის გამიგებს.

Cyan Magenta Yellow Black

გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადა: 30 მარტი 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ და შეხვედრებისთვის გავიცნობ 25 წლამდე გოგოს, ვარ თბილისელი, 28 წლის ბიჭი. 558349310. ნიკა

2. გავიცნობ სერიოზულ და ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გათხოვილ ან განათხოვარ ქალს. 593127105

3. გავიცნობ გოგოს შეხვედრებისთვის. 555326286. მამუკა

4. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-30 წლამდე გოგოს. 593166802

5. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, განათხოვარ გოგოს. ვარ 30 წლის, თბილისელი. 555139796. დათო

6. გავიცნობ გოგოს შეხვედრებისთვის. 555359781. მამუკა

7. გავიცნობ 22-დან 42 წლამდე ქალს სამეგობროდ, მხოლოდ ქუთაისელს ან იმერეთის რომელიმე კუთხიდან. 599456981. გიო

8. ლამაზი ურთიერთობისთვის გავიცნობ 35 წლამდე ქალს. ვარ 47 წლის, სამსახურით უზრუნველყოფილი მამაკაცი. 558548743. ლევანი

9. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35-დან 45 წლამდე ქალს, სასურველია იყოს ბათუმელი და სუსტი, ქერა ქალი. 557536562. ლევანი

10. ვარ ქუთაისელი, ცოლიანი ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 555355911

11. გავიცნობ თბილისელ, ერთგულ, სანდო და სიმპათიურ გოგოს. ვარ 18 წლის ბიჭი. 598757643

12. ვარ 35 წლის, მომხიბვლელი მამაკაცი, გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 30-დან 40 წლამდე ქალს. 557540072

13. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მარტო მცხოვრებ ქალს, მყავს ავტომანქანა. 555507904

14. გავიცნობ თბილისელ, თბილ და ალერსიან, არამზეველ, პუტკუნა და დიდმკერდიან 40 წლამდე ქალს. ვარ 23 წლის. 598978588

15. ვარ 30 წლის, ვცხოვრობ თბილისში, ვარ სპორტული აღნაგობის, მაქვს სამსახური. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 35 წლამდე ქალს. 558488044. თემური

16. გავიცნობ ბათუმელ, განათხოვარ ქალს 30-დან 40 წლამდე. ვარ 33 წლის. 557578395. მამუკა

17. გავიცნობ 23 წლამდე გოგოს სამეგობროდ, მხოლოდ სმს-ვირტუალური ურთიერთობისთვის. ვარ 23 წლის. 555315039. გიგა

18. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, პუტკუნა გოგოს. 558556489

19. ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გვიცნობ თბილისში მცხოვრებ მოსიყვარულე ქალს. ვარ დასაქმებული, მოწესრიგებული 32 წლის მამაკაცი. 599361382

20. გავიცნობ მოწესრიგებულ, სუფთა ქალს, შეხვედრის ადგილით. ვარ წყნარი და სიმპათიური 35 წლის ბიჭი. 557326446

21. გავიცნობ 25-დან 35 წლამდე თბილისელ, განათხოვარ, გამხდარ, ლამაზ გოგოს, ლამაზი ურთიერთობისთვის. ვარ 36 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 599480471

22. შეხვედრებისთვის გავიცნობ ლამაზ ქალს იმერეთიდან 25-დან 42 წლამდე, ვარ 37 წლის სიმპათიური მამაკაცი. 557728894

23. ვარ სასიამოვნო გარეგნობის, 52 წლის, წყნარი, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ დასავლეთში. სამეგობროდ გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 45 წლამდე მარტოხელა, სასიამოვნო გარეგნობის ქალს. 555388214

24. სამეგობროდ გავიცნობ 22-დან 32 წლამდე გოგოს დასავლეთიდან. 557199076

25. ვარ 39 წლის, კარგი გარეგნობის მამაკაცი, გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს. 555248769. გოჩა

26. გავიცნობ 30 წლამდე ქალს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 30/183, სპორტული აღნაგობის მამაკაცი. 593158282. გიორგი

27. ვარ მაღალი, სპორტული აღნაგობის, სიმპათიური მამაკაცი, გავიცნობ თბილისელ, 35 წლამდე გათხოვილ ქალს. 557330883

28. გავიცნობ 25-დან 35 წლამდე თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ თბილისელი, 26 წლის. 593009686. ბექა

29. სამეგობროდ გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 35 წლამდე გოგოს. ვარ 31/187/75. 555455053. ნიკა

30. გავიცნობ 25 წლის გოგოს. ვარ თბილისელი, 28 წლის ბიჭი. 555478934. იკა

31. შეხვედრებისსთვის გავიცნობ სერიოზულ გოგოს. 598201308. ლუკა

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, მიმზიდველ ქალს. ვარ 28 წლის, ვცხოვრობ თბილისში. 555582290

2. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ ლამაზ, პატიოსან გოგოს, თბილისში ბინით უზრუნველყოფილს. ვარ 35 წლის, თბილისთან ახლო რაიონიდან. 555732484

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 60 წლამდე მარტოხელა ქალს. ვარ 49/185/70, რაიონიდან, უბინაო და უცოლშვილო. 555354757

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 18-20 წლამდე ლამაზ გოგოს, კარგ მეოჯახეს, თელაველს. 593470258. ნიკა

5. ვარ 66 წლის ქვრივი მამაკაცი, მაქვს ორსართულიანი ბინა, საუკეთესო ხეხილის ბაღით, ფუტკრით, ვცხოვრობ მარტო თიანეთის რაიონში, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50-დან 65 წლამდე ქალს. 555524122. მოთა

6. ვარ 37/65/175, დასაოჯახებელი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალს. 555103564. გიორგი

7. ვარ 40 წელს გადაცილებული, საქმიანი, თბილისელი მამაკაცი, მაქვს ბინა და კარგი სამსახური, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32 წლის, რაიონელ, ქალიშვილ გოგოს, მინდა იყოს გულახდილი და სადა პიროვნება. 558215498

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე წესიერ ქალს. ვარ 37 წლის, ვცხოვრობ თბილისში, ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი. 557561363

9. გავიცნობ 18-დან 30-წლამდე გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით. 5578589930

10. ვარ თბილისელი, 42/176/70, ქორწინებაში არმყოფი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ კარგი გარეგნობის გაუთხოვარ, განათლებულ 40 წლამდე ქალიშვილ ქალს. 595214546

11. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 24-დან 28 წლამდე პატიოსან ქალიშვილ გოგოს. 598632513

12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 30 წლამდე გაუთხოვარ, სუფთა წარსულის მქონე თბილისელ გოგოს. 558735395

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-დან 35 წლამდე თბილისელ მამაკაცს. 555422547

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, თბილისელ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ 55 წლის ქალი. 551133729. ვიკა

3. ვარ 29 წლის, სიმპათიური, პატიოსანი გოგო, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32-35 წლამდე, დახვეწილი მანერების მქონე, შეგნებულ მამაკაცს. 557438836

4. ვარ 40 წლის, განათხოვარი ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ მამაკაცს, დასაქმებულს და ბინიანს. 593396599

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ კარგ ადამიანს. 598789583. თეონა

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ 40 წლამდე, წესიერ, ფინანსურად უზრუნველყოფილ მამაკაცს. 555198424

სხვადასხვა

1. გავიცნობ მხიარულ მეგობარ ადამიანს 43 წლიდან, სამეგობროდ. 598822639

გილოცავ

საჩხერეში, სოფელ კორბოულში მცხოვრებ ზურა ჯალაბაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 1 აპრილს, ღმერთმა მრავალი დაბადების დღე გაგითენოს შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გფარავდეს უფალი. გივი გაფრინდამვილი ოჯახით.

ჩემს ერთადერთ შვილ დათოს. გილოცავ დაბადების დღეს, 23 მარტს, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულსა და სიყვარულს. შენი დედა ნანა. გკოცნი ბევრს.

მიყვარხარ, მენატრები

ვანიკო, ძალიან გვენატრები, გვიყვარხარ, იმედია, მალე შევხვდებით, ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნით. ნანა, ბაბო ტანია

დათუჩა, ჩემო სიცოცხლე, როგორ ხარ? მაგრად უნდა იყო, ამ განსაცდელით უფალი უფრო გაძლიერებს, ხომ იცი, მე და კუკუშა უკვე დღეებს ვითვლით, ისე გვენატრები. გკოცნი ბევრს, ჩემო ლამაზო. ელზა

დათუნა, როგორ ხარ? როგორ მენატრები, როგორ მინდა, რომ ჩემთან იყო. ჩემზე რა გითხრა, ჭკვიანად ვარ, ხშირად ვნახულობ ხოლმე ალეკოს. ძალიან, ძალიან მენატრები. გკოცნი.

დათო, ჩემო რეზო პაპა, ჩემო საყვარელო, ხომ ყოჩაღად ხარ? ცოტაც და ყველაფერი ძველებურად იქნება, უცბად გაივლის ეს დღეებიც, შენ მარტო კარგზე იფიქრე, ცუდი არ გაიხსენო. უფალი გფარავდეს. გკოცნი ბევრს. ელზა

დათუჩი, ძალიან მიყვარხარ და მენატრები, დეიდა, თავს გაუფრთხილდი, არაფერზე არ ინერვიულო, ხომ იცი, მალე ჩვენს გვერდით იქნები. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს. მაიკო

ალეკო, ჩემო ლამაზთვალებავ, უზომოდ მიყვარხარ და მენატრები. გთხოვ, არაფერზე არ იდარდო, მხნედ იყავი, ცოტა მოითმინე და მალე ყველაფერი კარგად იქნება, უფალმა დაგლოცოს. ნინო

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჰაიმე ან გაუმხიაროთ თქვენი გრძნობები ფეხნაღ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 30 მარტის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნებისმიერ, ჰომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისადმი მინერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

ჩაის საუკეთესო დანამატები

ჩვეულებრივი ჩაი შეიძლება სამკურნალო სასმელად იქცეს, თუ მათ სასარგებლო ინგრედიენტებს დაუმატებთ. მაგრამ უნდა იცოდეთ, რომელ შემთხვევაში რა დაუმატოთ.

გარგარის ჩირი: სისხლნაკლულობა, ყივანახველა, ბრონქიტი, თირკმლების ანთება.

ანისი: სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის ანთება, ხველა, ფილტვების, მსხვილი და წვრილი ნაწლავების, თირკმლის, შარდის ბუშტის ანთება, მუცლის შებერილობა.

ჟასმინი: რევმატიზმი, ძალის საეროთ გამოლევა, დაბალი არტერიული წნევა, გასტრიტი დაბალი მჟავიანობით, ცუდი მადა.

კოჭა: უმადობა, პირღებინება, ბრონქიალური ასთმა.

ლავანდა: დამამშვიდებელი საშუალებაა ნევროზისა და უძილობის დროს.

მარწყვი: (ქორფა, გაყინული, მურაბა) ღვიძლისა და თირკმლის დაავადებები, ძალის გამოლევა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა.

ჟოლო: (ქორფა, გაყინული, მურაბა) სურდო, გაციება, სისხლნაკლულობა, კუჭისა და ნაწლავების ანთება, ნევრასთენია და ნევროზი.

ხახვის სუნი თავბრუს ხსნის

თავბრუს დროს ხახვის დაყნოსვა სასარგებლოა. რით აიხსნება მისი ეფექტურობა? ხახვი შეიცავს ძლიერ აქროლად ნივთიერებებს, რომლებიც შესუნთქვისას სისხლძარღვებზე მოქმედებენ. თვით უმცირესი კაპილარებიც კი ფართოვდება. შედეგად ყველა ქსოვილის, მათ რიცხვში ტვინის სისხლით მომარაგება უმჯობესდება. გარდა ამისა, მძაფრ სუნს მასტიმულირებელი მოქმედება აქვს ნერვულ სისტემაზე და ადამიანს სამუშაოდ განაწყობს.

გახსოვდეთ, ამ სამკურნალო სუნის შესუნთქვისას თვალები აუცილებლად დახუჭეთ, ვინაიდან აქროლადი ნივთიერებები მათ ლორწოვანს აღიზიანებს.

რატომ გვტკივა კისერი

კისერში განთავსებულია 7 მალა (რომლებიც ხერხემლის ღერძის კისრის განყოფილებას წარმოქმნიან) და მრავალრიცხოვანი კუნთების ხლართი. სწორედ მათი წყალობით თავს ვაბრუნებთ, ვსუნთქავთ, ვიცინით, საკვებს ვღეჭავთ. კისერში გადის ზურგის ტვინი, მსხვილი არტერიები, ნერვული ღეროები. ასევე არის ლიმფური სისხლძარღვებისა და კვანძების მთელი ქსელი. კისერი სხეულის არამხოლოდ მნიშვნელოვანი, ამავდროულად მეტად სუსტი ნაწილია, ვინაიდან მუდამ მოძრაობაში იმყოფება. ყველაზე ხშირად კისრის ტკივილს რა იწვევს და თავს როგორ დავეხმაროთ?

კუნთებს ვჭიმავთ

ტკივილის ყველაზე გავრცელებული მიზეზია კისრის კუნთების დაჭიმვა-დაძაბვა, რომელიც ერთ პოზაში ხანგრძლივად ყოფნისას (მაგალითად, კომპიუტერთან მუშაობისას) აღმოცენდება.

ტკივილის მოსახსნელად საჭიროა მტკივნეული კუნთის გაჭიმვა. ამაში შემდეგი სავარჯიშო დაგეხმარებათ:

ორივე ხელის თითები ერთმანეთს გადააჭდეთ და კეფაზე დაიდეთ, ღრმად შეისუნთქეთ და სუნთქვა რამდენიმე წამი შეიკავეთ. ამავე დროს ეცადეთ, ზურგი გააქანოთ, მაგრამ კეფაზე შემოწყობილი ხელის თითებით ამ მოძრაობას შეეწინააღმდეგეთ. კისრისა და ზურგის მტკივნეული კუნთები უნდა შეიგრძნოთ. 5-7 წამი ამოისუნთქეთ. ხელებით კეფას დააწექით და წინ ოდნავ გადაიხარეთ. ეს სავარჯიშო დღის განმავლობაში დროდადრო გააკეთეთ.

კუნთების დაჭიმვა-დაძაბულობით გამწვეული ტკივილის დროს რეკომენდებულია ზოგიერთი წამლის მიღება. მაგალითად, B ჯგუფის ვიტამინების შემცველი პრეპარატები და მიორელაქსანტები, რომლებსაც ექიმი ნიშნავს.

კისრის მიოზიტი

ორპირში იჯექით, დილით კი კისერს ძნელად ამოძრავებთ და გტკივათ? მაშასადამე, კისრის კუნთები გაგიცივდათ (კისრის მიოზიტი). ტკივილი კეფას, მხრებს გადაეცემა. მკურნალობას ნევროლოგი ნიშნავს. გამოიყენება მშრალი სითბო, მასაჟი, ფიზიოპროცედურები.

კისრის მიოზიტის დროს დაგეხმარებათ კომბოსტოს კომპრესი. 2 ფოთოლს მდუღარე წყალი გადაავლეთ, რომელშიც გახსნილია 1-2 სუფრის კოვზი საჭმელი სოდა. თბილი ფოთლები საბავშვო საპნით გასაპნეთ, ცოტა სოდა მოაფრქვიეთ და მტკივნეულ ადგილზე დაიდეთ. ზემოდან პოლიეთილენი დაიფარეთ და შალის ქსოვილით შეიხვიეთ. კომპრესი 30-40 წუთი გაიჩერეთ.

მარჯანი – ქალის ქვა

მიჩნეულია, რომ მარჯანი ცუდი თვალისა და ყველა ქალური დაავადებისგან იცავს, ორსულობის დროს და მშობიარობისას ბავშვის მშვიდობიანად გაჩენას ეხმარება, ამიტომ მას ქალის ქვას უწოდებენ.

მარჯანი თავის მფლობელის ჯანმრთელობის კარგი ინდიკატორია. ჯანმრთელი ქალის ყელზე ქვა ბრწყინავს, ფერსა და სტრუქტურას ინარჩუნებს. მაგრამ, თუ მძივზე ლაქები ან ბზარები ჩნდება, ეს შინაგანი ორგანოების დაავადებებზე მიუთითებს. თუ ქვა მიწისფერს იძენს, ეს მისი მფლობელში სიმსივნის აღმოცენებაზე მეტყველებს, ხოლო მარჯანზე გამჭვირვალე ნაწილების გაჩენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტში უთანხმოების მაჩვენებელია. ყველა ამ თვისებას ქვა მხოლოდ იმ შემთხვევაში ავლენს, თუ მას გარედან დასანახად ატარებთ. სამოსის ქვეშ ქვა დამცავ და სამკურნალო თვისებებს არ ავლენს. თუ ქვა გატყდა, მისი ნატეხები სამკურნალო ძალას მოკლებულია. მიჩნეულია, მარჯნის სამკურნალო თვისებები მრავალჯერ იზრდება, თუ მძივს ღამით, მთავრის შუქის ქვეშ დადებთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ჩვენ წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლაც ღვთის პროგრამის ნაწილია, ჩვენდა სასიკეთოდ მომართული

ცხოვრება ღირსისა მამისა ჩვენისა მარტინიანესი

ღირსი მამა მარტინიანეს ხსენებას ეკლესია ახალი სტილით 13 თებერვალს აღნიშნავს. ჩავთვალეთ საჭიროდ, ამ წმინდანის შესახებ მოგვეთხრო, რადგან შეუძლებელია თვალი გადაავლო წმინდა მამის ცხოვრებას და არ მოგინდეს, მისი მოღვაწეობის თანაზიარი გახდე ფიქრით მაინც, რადგან ცხოვრების მიხედვით მისი მიმსგავსება შეუძლებელი არაა, მაგრამ არცთუ მაინცდამაინც ადვილია.

ღირსი მამა დაიბადა პალესტინის კესარიაში მეფე თეოდოსი მცირის მეფობისას 408-450 წლებში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, თვრამეტი წლისას გადაუწყვეტია ასკეტური მოსაგრეობა და გასულა სამოღვაწეოდ უდაბნოში. ახლა თანმიმდევრობით მივყვეთ მოვლენებს და ვნახავთ ნამდვილი მოღვაწის სახეს.

პალესტინის უდაბნოში მდებარეობს მთა, სახელად კივოტი. მის შემოგარენში უდაბნოში უამრავი მოღვაწე, მეუდაბნოე მოსაგრეობდა, რომელთა რიცხვშიც თვრამეტი წლის ჭაბუკიც ჩაწერა და შეუდგა უმძიმეს მოღვაწეობას. ბევრი წინააღმდეგობა დაძლია ამ ურთულეს და ეკლიან გზაზე, მიაღწია იმდენს, რომ კურნავდა არა მხოლოდ ხორციელი უძლურებებისგან დასნეულებულებს, არამედ სულიერად დაავადებულებსაც. მთელ პალესტინაში ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, ყველამ იცოდა მამა მარტინიანეს შესახებ, ყველა ბედნიერი იყო წმინდა მამასთან ურთიერთობით, გარდა ერთისა.

ვისაც არ სიამოვნებდა ღირსი მამის წარმატება, ეს იყო ეშმაკი, რომელიც სხვადასხვანაირი ხერხით ცდილობდა წმინდანის ღვთივსათნო გზიდან ჩამოშორებას. ხშირად დრაკონის გამოსახულებით ეცხადებოდა და ცდილობდა წმინდა მამის დაშინებას, ხშირად ქალის სახეს მიიღებდა და ეს იყო ბრძოლის მეთოდი მის წინააღმდეგ. წმინდა მარტინიანეს სასოება კი მიმართული იყო იესო ქრისტესადმი და არასდროს ფიქრობდა ბოროტის მიერ მოვლენილ განსაცდელებზე.

ერთხელ დემონმა გლახაკი მათხოვარი ქალის სახე მიიღო და დაფლეთილ-დაგლეჯილი ჩასაცმლით მიადგა წმინდა მამის სენაკს. „წმინდაო მონაო უფლის იესო ქრისტესო, შემიწყალე მე ცოდვილი და უღირსი მონა შენი, ვინძლო თავი დავაღწიო ამ საშინელი ღამის წყდიადს და მხეცების მსხვერპლი არ შევიქნა შენი მონა-მორჩილი! — გაიძახოდა გლახაკის სამოსში გამოწყობილი ბოროტი სული, — თუ ჩემს გასაჭირს არ მიიტან გულთან და არ შემიფარებ მე, გზააბნეულს, მაშინ შენი მეუფე ქრისტეც არ მოგისმენს განკითხვის დღეს მეორედ მოსვლისას“.

დაფიქრდა ღირსი მამა მგზავრის სიტყვებზე და წარმოიდგინა, ვაითუ მართლა გზააბნეული მგზავრია და ჩემი დახმარება ესაჭიროებაო. არც ის გამორიცხა, რომ შეიძლება ეშმაკის მანქანა ყოფილიყო და კეთილის სანაცვლოდ ბოროტება არაფერი შეემთხვია მისთვის. მოიყარა მუხლი, აღაპყრო ზეცად ხელები და შეჰღაღადა უფალს ჩვეული თავმდაბლობით: „შენ ხარ, უფალო, ნუგეში ჩემი, შემიწყალე მე, რათა დასაცინი და აბუჩად ასაგდები არ გავხდე კაცთა მოდგმის მტრისგან, დამიფარე მე მარჯვენისაგან შენისა, შემიწყალე მე უღირსი და ცოდვილი მონაი შენი, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ საუკუნითგან და უკუნისადმე, ამინ!“.

დაამთავრა ლოცვა და ამის შემდეგ გააღო სენაკის კარი, რათა შემოეშვა გზააბნეული მგზავრი. აუნთო ცეცხლი, გამოუღო სტუმრისთვის გადანახული ფინიკის ნაყოფი: „მირთვი, გათბი და ნუ ჰზრუნავ განსაცდელზე“. ამის შემდეგ ჩვეულებისამებრ განმარტოვდა ლოცვისთვის და გამთენიისას ჩაეძინა.

გამოღვიძებული წმინდანი ხორციელმა ვნებამ შეიპყრო, რადგან დაძონძილი ქალი, რომელიც ღამით მიიღო სტუმრად, ისე გალამაზებულიყო და ისე ვნებიანად გამოიყურებოდა, ცდუნებამ სძლია წმინდანს. მაშინვე ჰკითხა ქალს, საიდან ეს ძვირფასი შესამოსელი, წუხელ დაძონძილ-დახეულის მეტი არაფერი გებადა, ახლა კი ასე მაცდურად როგორ გამოიყურებიო.

ავისმზრახველმა ბოროტმა, რომელსაც ქალის ფორმა მიეღო, მიუგო წმინდანს: „მე ვარ ქალაქ კესარიიდან, შევიტყე რა შენი კეთილშობილი საქმეების შესახებ, შენზე შემივარდა გული და ამიტომაც მოგაკითხე. უარი ვთქვი ყველაფერზე და სურვილი მაქვს, შენთან გავიზიარო სარეცელი. რატომ იტანჯავ თავს ასეთი მკაცრი მარხვით და თავშეკავებით, რატომ ითრგუნავ შენს მშვენიერებას და სილამაზეს? რომელი სწავლებით ხელმძღვანელობ, რომ არც ჭამო და არც სვა, არც შენი რჩეული მდედრი გყავდეს გვერდით. განა არ ბრძანებს მოციქული, რომ კურთხეულია ერთი ქორწინება, რომელი წინასწარმეტყველი ან ერის მამათმთავარი, პატრიარქი არ იყო ძველად ქორწინებაში, განა ნოეს, ჩვენ დიდ წინაპარს, რომელსაც დღემდე პატივს ვცემთ, არ ჰყავდა ცოლი და შვილები, განა აბრაამს თვით ღმერთმა ზღვის ქვიშასავით არ გაუმრავლა შთამომავლობა, იგივე, თუნდაც იაკობს ან მოსეს ჰყავდათ ცოლი, რომელიც დარჩა წინასწარმეტყველთა მშვენებად, რომელიც ლაპარაკობდა ღმერთთან და გამოიხსნა ებრაელი ხალხი ფარაონთა ტყვეობისაგან, ან იქნებ დავით წინასწარმეტყველი და მეფე ისრაელის არ იყო მეუღლე ან თუ არ გაკმაყოფილებს ძველი რჯულიდან მაგალითები, მაშინ ახალი რჯულიდან მაინც გაიხსენე მოციქულთა თავი პეტრე, რომელიც იყო თავისი ცოლის ქმარი და უამრავი ღვთისთვის სათნო მოღვაწე, რომელთაც ჰყავდათ ოჯახიც და ცათა სასუფეველიც დაიმკვიდრეს“.

ეს და კიდევ უამრავი რამ თქვა ქალის სქემით შემოსილმა უხსენებელმა და კაცობრიობის მტერმა. ღირსი მამაც თითქოს მოდუნდა, ძალა დაკარგა. ისე იქცეოდა, თითქოს ეთანხმებოდა ბოროტის შემოთავაზებას, რადგან, როგორც ადამიანის, ადვილი აღმოჩნდა ქალის სქემით მოღვაწის ერთი შეხედვით დაყოლიება. ქალის სიტყვები, როგორც ეშმაკის თესლი, ბოროტებად ჩაითესა წმინდა მარტინიანეს სულში, მიუგო ქალს: „რომ შეგირთო ცოლად, შენც ხედავ, ამ უდაბნოში, უკაცრიელ ადგილზე მე თვითონ არაფერი გამაჩნია, შენ რით შემიძლია, რომ დაგაპურო?“.

ბოროტებით გახარებულმა ეშმაკმა მაშინვე მიუგო: „შენ ნუ ფიქრობ, მე ასე ვჩანვარ გზააბნეული, თორემ, როგორც კი გათენდება, ყველაფერი ბევრი მაქვს — მიწები, მამულები, ოქრო-ვერცხლი, მოსამსახურეები, სიმდიდრე არ მაკლია, ზღვის ქვიშასავით ბევრი მაქვს ყველაფერი, მხოლოდ ერთი, რაც მაკლია, ის არის, რომ ვიცხოვრო შენნაირი კეთილშობილი ადამიანის გვერდით“.

ისმენდა რა ქალის სიტყვებს წმინდა მამა, თანდათან უფრო ღრმად ეფლობოდა ეშმაკის მიერ დაგებულ მახეში, უფრო და უფრო კარგავდა საღად აზროვნების უნარს. ერთი, რაც მოახერხა, ითხოვა განმარტოებისთვის რამდენიმე წუთი, დარჩა საკუთარ თავთან მარტო და მაშინვე ლოცვა დაიწყო, რისთვისაც შეებრალა უფალს მისი ამდენი წლის შრომა და გარჯა, რომელიც შეიძლებოდა წუთიერ ტკბობასთან ერთად გამქრალიყო. მისცა უფალმა გული და სული გონიერი და მაშინღა მიხვდა თავის დანაშაულს.

წუთიც არ დაუკარგავს წმინდანს, პირველი, რაც მოიფიქრა, იყო ის, რომ ფეხებზე გაიხადა, კელიაში აანთო ცეცხლი და შიშველი ფეხებით ჩადგა შიგ, რათა განედევნა ხორციელი ტკივილის შედეგად ის სულიერი ტკივილი, რომელსაც განიცდიდა ბოროტის შეთავაზების შემდეგ. რამდენიმე საათი გაჩერდა ცეცხლში, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ ბოლომდე თავისუფალი იყო საკუთარი გულისთქმებისგან.

დადგა ფეხებდამწვარი წმინდანი და საკუთარ თავს დაუწყო ლაპარაკი: „როგორ გეჩვენება, მარტინიანე, მოგწონს გავარვარებული ნაღვერდალი? თუ გსურს, კიდევ უფრო საშინელი ცეცხლი იხილო, მაშინ მიეკარე მაგ ქალს, რომელმაც აგირია გონება და გამზადებდა წარსაწყმედელად. თუ ვერ უძლებ ამ ცეცხლს, რომელიც შეიძლება წყლით ჩააქრო, მაშ, როგორღა გაუძლებ ჯოჯოხეთის ცეცხლს, რომელიც წყლითაც კი არ ქრება და რომელიც ელოდება ყველას, ვინც არ შეინანებს საკუთარ ცოდვებს, ვიდრე დედამიწაზე ცხოვრობს?“

ამას გაიძახოდა წმინდანი ხმამაღლა, რათა მოესმინა იმ ქალსაც, ვინძლო მასაც გასჩენოდა სინანულის სურვილი მომხდარის შემდეგ. როგორც კი იგრძნო ცოტა შვება ტკივილისგან, მაშინვე ისევ ცეცხლი დაანთო და იგივე გაიმეორა, ვიდრე საბოლოოდ არ გათავისუფლდა ბოროტი გულის ზრახვისაგან. „ვითარ კეთილ არს ისრაელისა ღმერთი გულითა წრფელთათვის. ხოლო ჩემი კნინღა და შემიძრწუნდეს ფერხნი, მცირედღა და შემიცთეს სლვანი ჩემნი“ (ფს. 72. 1-2).

ეს ყოველივე მოისმინა ქალმაც, მიხვდა საკუთარ ღირსებას და თვითონაც წმინდა მამის მსგავსად გადაწყვიტა, ცეცხლში ჩამდგარიყო, რათა სინანულს მისცემოდა, ვინძლო ეპატიებინა უფალ ღმერთს მისი აურაცხელი შეცოდებანი. სთხოვდა წმინდანს, ბოროტი სულებისგან გაეთავისუფლებინა, რომელიც ასე ძლიერ სახლობდა მასში. წმინდანმა მისცა სულიერი რჩევები და გამოემშვიდო-

Cyan Magenta Yellow Black

ბა იმ პირობით, რომ წავიდოდა და პატიებას ითხოვდა ყველა იმ ადამიანისგან, ვისთვისაც კი რამე უწყენინებია.

დაარიგა წმინდანმა, კეთილი საქმით და მოწყალებით იცხოვრე, თუ გსურს, რომ უფალმა შეისმინოს შენი ვედრებაო. მაშინ მიუგო მონანულმა: „სად მიბრძანებ მივლინებას შენს მონა-მორჩილს?“ მიუგო წმინდანმა: „წადი იერუსალიმში და ბეთლემში. როცა მიხვალ იქ, იკითხავ წმინდა ქალწულ პავლინას, ასე ეძახიან, რომელმაც ააგო იესო ქრისტეს სახელობის ტაძარი. მას მოუყევი შენი ცოდვების შესახებ და ის მოგცემს შენდობას“.

დაჰპირდა ქალი წმინდა მამას, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდა მის რჩევას, ითხოვა შენდობა და გამოემშვიდობა მამა მარტინიანეს იმ იმედით, რომ ბეთლემში გაემგზავრებოდა პავლინასთან შესახვედრად. რამდენიმე ფინიკის ნაყოფი გაატანა მოგზაურობისას და თან დააბარა: „გაემგზავრე და მშვიდობით იარე. იცოდე, უკან აღარასოდეს მობრუნდე, იღვაწე, ვინძლო შეიბრალოს შენი ცოდვით დამძიმებული სული უფალმა“. დედაკაცმა თვალზე ცრემლმომდგარმა უპასუხა: „მწამს ქრისტე ღმერთის და შენი ლოცვა-კურთხევის, ღირსო მამაო, რათა აღარასდროს მიეცეს ადგილი ჩემს გულსა და სულში საგნების ან პიროვნებების ყოფნის, არსებობის სურვილს“.

ამის შემდეგ შებრუნდა ღირსი მარტინიანე საკუთარ სენაკში, დაემხო მიწაზე და აქვითინდა ცხარე ცრემლებით დავით წინასწარმეტყველის მსგავსად საკუთარ ცოდვებზე. ქალი კი მართლაც მივიდა ბეთლემში დედა პავლინას მონასტერში და გადასცა ღირსი მარტინიანეს დანაბარები. დაემოწაფა პავლინას და ზედმიწევნით ასრულებდა მონასტრის წესებით ცხოვრებას, მონაზვნის სქემით შეიმოსა და იმდენს მიაღწია მოღვაწეობით, რომ ღვთის შეწევნით თვითონაც სასწაულებს იქმოდა. რამდენიმეს ჩვენც შევეხებით, რათა სანუგეშოდ ჰქონდეთ ცოდვილებს, რომელთაც საკუთარ თავს უმკაცრესი განაჩენი გამოუტანეს და არ უნდათ, თავი ინუგეშონ. არა არს ცოდვა, რომელიც სინანულით, მონანიებით არ დამარცხდება.

ერთხელ მათ მონასტერში მივიდა ერთი ქალი, რომელიც საშინლად იტანჯებოდა თვალების ტკივილით. დედა პავლინამ იწყო ქალისთვის ლოცვა-ვედრება და თან სინანულისკენ მოუწოდა ავადმყოფს. ავადმყოფთან ერთად იმ ქალსაც მოუწოდა ლოცვისკენ, რომელიც ღირსი მარტინიანეს ლოცვა-კურთხევით იმყოფებოდა მონასტერში. ისმინა უფალმა სწორედ ამ ქალის ვედრება და თითქმის დაბრმავებული ავადმყოფი სრულიად გამოჯანმრთელდა.

წმინდა მარტინიანე შვიდი თვის მანძილზე საშინელ მდგომარეობაში იყო, გადაადგილებასაც კი ვერ ახერხებდა, ისე სტკიოდა ფეხები. როცა ცოტა უკეთესობა იგრძნო, მაშინვე მუხლი მოიყარა უფლის წინაშე და სთხოვა: „უფალო, შენ, რომელიც განაგებ ცასაც და დედამიწასაც და მთელ სამყაროს, აკურთხე ჩემი მოგზაურობა და ნუ დამტოვებ, რათა არ განმცადოს ბოროტმა, შენ მიკურთხე გზა საუკუნო ნეტარებისკენ“. ეს იყო თხოვნა, რათა საცხოვრისი შეეცვალა, რომ აღარასდროს ჰქონოდა ქალს მასთან მიკარების შესაძლებლობა არც ნებსით და არც უნებლიეთ, როგორც ეს მოხდა აღნიშნულ შემთხვევაში.

გზად მიმავალ წმინდა მამას შემოესმა ბოროტის ხმა: „სად მიდიხარ, მარტინიანე? იცოდე, სადაც არ უნდა წახვიდე, მაინც მოგძებნი და შენ გვერდით ვიქნები. აქედან ხომ გაგაგდე, სადაც იქნები, იქ შევეცდები, ბოლომდე დაგამდაბლო სამარცხვინოდ“. მაშინ უპასუხა წმინდანმა: „ოჰ, უსუსურო და მართლაც უძლურო, ფიქრობ, რომ შენ მაიძულე, ჩემი გამოქვაბულიდან წამოვსულიყავი? არა, ამის მიზეზი ჩემი უძლურება იყო და შენ არაფერ შუაში ხარ, ტყუილად ნუ ტრაბახობ და ტყუილებს ნუ ლაპარაკობ. რამდენჯერაც უნდა შემებრძოლო, ყოველთვის იძლევი ჩემი უფლის მიერ ისე, როგორც მოხდა იმ ქალის შემთხვევაში, რომელიც გამომიგზავნე. ის უფლის გზას დაადგა და დარჩი შენივე ბოროტებით გაწბილებული“.

ამ სიტყვების შემდეგ დემონი განერიდა წმინდა მამას, თვითონ კი ფსალმუნთა გალობით განაგრძო გზა მშვიდობით: „აღდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი“ (ფს. 67,1). მიუახლოვდა ზღვის ნაპირთან მდგარ გემს და ჰკითხა გემის პატრონს: „ხომ არ იცი ისეთი კუნძული, რომელზეც შევძლო განმარტოება და მშვიდად ცხოვრება დემონთაგან შორს“. გემის პატრონმა მიუგო: „არის ერთი, ხრიოკ კუნძულს ეძახიან. ძალიან შორს არის ხმელეთისგან, ძალიან ვიწროა და საშინლად მაღალი. რისთვისაც შენ გსურს, მაგისთვის კი ნამდვილად გამოდგება, რადგან არის უზომოდ მშვიდი და წყნარი ადგილი, თუმცა ვფიქრობ, ელემენტარული საარსებოს შოვნაც გაგიჭირდება და რით უნდა იარსებო?“

მაშინ წმინდა მამამ უპასუხა, შენ მაგაზე ნუ იდარდებ, ღმერთი მოწყალეა, მხოლოდ ორი სათხოვარი მაქვს, შენი მოგზაურობისას წელიწადში სამჯერ წყალი და პური მომაწოდე და თან კანაფიც მომიტანე, რომ თოკები მოვქსოვო და ამით გადავიხადო შენი გასამრჯელოო. მიხვდა გემის პატრონი, რომ ეს კაცი ნამდვილი ღვთისკაცი იყო და აიყვანა გემზე, ზურგის ქარიც კარგი ჰქონდათ და შებინდებამდე უკვე ხრიოკ კუნძულთან იყვნენ. მისცა გემის პატრონმა დანაპირები პური და წყალი და გააგრძელა გზა, ღირსი მარტინიანე კი დარჩა კუნძულზე უზომოდ ბედნიერი და გალობდა: „თქენით დაუთმე უფალსა და მომხედნე მე და ისმინა ლოცვისა ჩემისაი და აღმომიყვანა მე მღვიმისაგან გლახაკებისა და თიხისაგან უყისა და დაამტკიცნა კლდესა ზედა ფერხნი ჩემნი და წარჰმართნა სლვანი ჩემნი“ (ფს. 39, 1-3).

დაპირებისამებრ, გემის პატრონი მიდიოდა წელიწადში სამჯერ და მიჰქონდა პური და წყალი და ხედავდა უზომოდ ბედნიერ მამა მარტინიანეს. ამ ბედნიერებას კი ვერ იტანდა კაცობრიობის დაუძინებელი მტერი და წმინდანს ემუქრებოდა მოჩვენებებით, თითქოს ისეთ ტალღებს გააჩენდა ზღვაზე, რომ შიგ ჩაიხრჩობოდა წმინდანი. ღირსი მამა კი ფსალმუნთა გალობით პასუხობდა: „მაცხოვნე მე, ღმერთო, რამეთუ შევიდეს წყალნი სულად ჩემდადმე“ (ფს. 68,1).

ექვსი წელი იცხოვრა წმინდანმა ხრიოკ კუნძულზე. ბევრ გაჭირვებას და ბოროტის შემოტევას გაუძლო ღვთის მოწყალებით, მაგრამ კაცთა მოდგმის მტერი როდი ისვენებდა. ერთხელ ხრიოკ კუნძულთან ახლოს მეჩეჩს შეეხეთქა მგზავრებით დატვირთული გემი და ხალხიანად ჩაიძირა. არავინ გადარჩენილა ერთი ახალგაზრდა ქალის გარდა, რომელიც საშველად კუნძულთან მიცურდა უზომოდ შეშინებული და შველას ითხოვდა. წმინდა მამა მიხვდა, რომ ბოროტის ხრიკი იყო და ლოცვით შეევედრა უფალს: „შენი ოინებია, ბოროტო სულო, თუმცა იესო ქრისტეს ძალით შესაძლებელი იქნება ამ წინააღმდეგობის დაძლევა“. ამ სიტყვების შემდეგ ჩავიდა ნაპირთან გოგონას გადასარჩენად.

უთხრა გოგონას, ჩვენ ერთად ვერ ვიცხოვრებთ, ამიტომ იქ არის პური და წყალი, ვიდრე რამე საშველი გამოჩნდებოდეს, მე უნდა დაგტოვოო. თვითონ კუნძულის მეორე მხარეს გადავიდა და ილოცა: „უფალო ღმერთო ჩვენო, რომელსაც გემორჩილება ზღვაც, ხმელეთიც, ქარიც, დამიხსენ ამ განსაცდელისგან, რათა კიდევ არ აღმოვჩნდე სირცხვილში უწინდელის მსგავსად“. მივიდა ზღვასთან და გადაეშვა წყალში, რადგან კუნძულზე არ უნდოდა დარჩენა ქალთან ერთად. მართლაც მოუვლინა უფალმა ორი დელფინი, რომლებმაც მიიყვანეს ნაპირამდე. ხმელეთზე ამოსულმა წმინდანმა შეჰღაღადა უფალს: „უფალო, გამოქვაბულში ჩემი გაჩერება ვარ აიტანა ბოროტმა სულმა, იქნებ ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში ქადაგება და ღვთის სიტყვის ხარება იყოს ჩემი საქმე“.

მართლაც, ორ წელიწადში ასსამოცდაოთხ ქალაქში იქადაგა ღვთის სიტყვა წმინდანმა. ბოლოს იყო ქალაქი ათენი თავისი უცნაურობებით და თანაც სილამაზით. შეხვდა ადგილობრივ ეპისკოპოსს, რომელზეც ეუბნებოდნენ, რომ იყო შეურაცხადი. ეპისკოპოსმა სულით იგრძნო, რომ მათ წინ იდგა ღვთისგან მოვლენილი ადამიანი, რომელიც უდიდეს სულიერ საგანძურს მალავდა. ეპისკოპოსის გაცნობის შემდეგ წმინდანმა მარტინიანემ მალევე მიაბარა სული თვისი უფალს. სწორედ უფალმა განადიდა ღირსი მოღვაწის სახელი, რომელმაც ღვთივსათნოდ გალია თავისი მოღვაწეობის წლები.

ახლა კი ორიოდე სიტყვით შევეხოთ ხრიოკ კუნძულზე დარჩენილ გოგონას, თუ რა ბედი ეწია, როცა წმინდანმა უკაცრიელ კუნძულზე დატოვა ღვთის ანაბარა, ცოტაოდენი პურის და წყლის იმედად. ორი თვე მარტოდმარტო იცხოვრა უკაცრიელ კუნძულზე, რის შემდგომაც მოადგა ნაპირს გემი, რომელსაც საზრდო მოჰქონდა ხოლმე ღირსი მარტინიანესთვის. გემის მეპატრონემ როგორც კი შენიშნა ქალი, ეგონა, მოჩვენებას ხედავდა და შეშინებულმა გადაწყვიტა, გასცლოდა ნაპირს. ქალმა პირჯვარი გამოისახა და იესო ქრისტეს სახელით სთხოვა გემის პატრონს, მოესმინა მისთვის.

ქალმა სწორედ ის სთხოვა, რაც წლების წინ წმინდა მარტინიანემ ითხოვა გემის მეპატრონისგან, რომელმაც აღუთქვა დახმარება და ყოველ სამ თვეში ერთხელ მოდიოდნენ თვითონ და მისი მეუღლე და მოჰქონდათ პური, წყალი და კანაფის ძაფი, რითაც ხელსაქმობდა ეს ქალი, რომლის სახლიც კი არ არის ცნობილი. ოცდახუთი წლის იყო გოგონა, როცა კუნძულზე მოხვდა და უმკაცრეს პირობებში ექვსი წელი გაატარა, რის შემდგომაც მიაბარა სული თვისი თავის შემოქმედს.

როცა გემის პატრონი და მისი ცოლი კუნძულზე მივიდნენ, ნახეს გარდაცვლილი ქალი, რომელიც იყო უხრწნელი და კეთილსურნელება ასდიოდა მის სხეულს. მიაბარეს მიწას ღირსი დედის წმინდა სხეული და არასდროს ივიწყებდნენ მის საფლავს, რომელიც, წმინდა მარტინიანეს მოღვაწეობის შემხედვარე, თვითონაც უბადლო მოღვაწედ ჩამოყალიბდა. უბედური შემთხვევის წყალობით კუნძულზე მოხვედრილმა ქალმა წმინდანის საფეხურამდე მიაღწია განდეგილის მოღვაწეობით.

ეს იყო მოკლე ისტორია, რაც არის შემონახული წმინდა მარტინიანეს შესახებ, რომელმაც არაერთ ბოროტის ცდუნებას გაუძლო და არა მარტო გაუძლო, თავისი ცდუნების ობიექტებიც კი მოაქცია ქრისტეს რჯულზე. ერთი უსახელო ქალი ბეთლემის წმინდა მიწაზე მოღვაწეობდა ღვთივსათნოდ, მეორე კი უკაცრიელ კუნძულზე.

წმინდანნო, ღვთისანნო, ევედრენით ჩვენთვის ღმერთსა და მამასა უკუნისამდე!

ქრისტესმიერი სიყვარულით
პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

Cyan Magenta Yellow Black

„ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲣᲪᲮᲝ ᲡᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ“

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲛᲐ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲛ, ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲚᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲐ. ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲙᲘᲓᲝᲑᲐᲜᲘ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘ, ᲡᲘᲡᲣᲡᲢᲔᲔᲑᲘ, ᲛᲐᲜᲙᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲓᲠᲔᲙᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲪᲠᲣ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ. ᲢᲔᲚᲔᲡᲘᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲗᲔᲡᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲔᲕᲚᲐᲓ ᲘᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲠᲝ�გᲝᲠ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲘ ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲜᲐ�გᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ? ᲐᲛ ᲡᲐᲭᲘᲠᲑᲝᲠᲝᲢᲝ ᲗᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ, **ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠ�გᲘ** (ᲡᲮᲘᲠᲗᲚᲐᲫᲔ) ᲒᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ.

— ᲛᲐᲛᲐᲝ, ᲠᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ?

— ᲢᲔᲚᲔᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲐᲦᲐᲠᲘᲑᲔᲑᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲛᲐᲗᲘ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲮᲐᲖᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲐ �გᲕᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲫᲐᲚᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲡ. ᲑᲘᲑᲚᲘᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲥ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ, ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲣᲑᲠᲐᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲜᲥᲢᲔᲑᲐᲛᲓᲔᲐ ᲓᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ. ᲐᲛ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲐᲠᲗ, ᲮᲕᲐᲚ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔ. ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲮᲝᲛ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲐ. ᲘᲒᲘ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲭᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲗᲣ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲒᲐᲬᲧᲔᲜᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲡ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲒᲧᲕᲐᲠᲔᲑᲘᲐ, ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲮᲠᲝᲪᲘᲔᲚ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠ ᲐᲧᲝᲚᲘᲚᲘ. ᲔᲡ ᲮᲝᲛ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ? ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲐᲠᲩᲘᲝᲡ.

ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲮᲐᲖᲡ ᲣᲡᲕᲐᲛᲔᲜ ᲠᲘᲡᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ

„ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲨᲝᲠᲡᲐᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲓᲐᲜ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲡ ᲨᲝᲠᲡᲐᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡᲒᲐᲜ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜᲐᲪ“.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲜᲘᲭᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲜᲔᲑᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲦᲕᲘᲠᲐᲮᲡᲜᲘᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲓᲘ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ. ᲨᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲗᲣ ᲮᲐᲠ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲒᲔᲫᲚᲝᲡ. ᲗᲣ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲛᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ, ᲨᲣᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲰᲧᲕᲔᲑᲐ, ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲛᲝᲜᲐ �გᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲪᲝᲓᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲩᲐᲓᲘᲡ. ᲜᲣᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲜᲣ ᲛᲝᲘᲪᲧᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲜᲣ ᲘᲪᲧᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲘᲡᲘᲡᲢᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲡ.

— ᲠᲝ�გᲝᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲣᲪᲮᲝᲣᲠ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲗᲣ ᲐᲠ ᲘᲙᲘᲓᲔᲑᲡ ᲤᲣᲚᲡ?

— ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲮᲐᲚᲮᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲑᲐᲫᲝᲡ. ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲫᲐᲚᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ ᲛᲐᲖᲚᲘ, ᲓᲔᲓᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲒᲔᲫᲚᲝᲡ. ᲗᲣ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲛᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ, ᲨᲣᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲰᲧᲕᲔᲑᲐ, ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲛᲝᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲩᲐᲓᲘᲡ. ᲜᲣᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲘᲡᲘᲡᲢᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲡ.

„ᲜᲣᲗᲐᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲪᲧᲣᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲜᲣ ᲘᲪᲧᲕᲘᲡ, ᲰᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲐ, ᲰᲝᲪᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲰᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲘᲡᲘᲡᲢᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲡ“.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲐᲕᲙᲐᲠᲒᲘᲐᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ?

— ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲡ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲪᲠᲣᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲣᲓᲒᲔᲑᲐ. ᲐᲠᲘᲡ ᲘᲛᲒᲒᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲪ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲪ ᲙᲘ ᲡᲐᲨᲘᲨᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚᲘ. ᲐᲛᲒᲒᲐᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲘᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲐᲪ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲔᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲣᲠ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲙᲘᲡᲠᲘᲐ. ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲣ ᲜᲘᲗᲧᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲐᲠᲩᲘᲝᲡ.

ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲖᲘ ᲣᲡᲕᲐᲛᲔᲜ ᲠᲘᲡᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘ, ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ ᲒᲘᲜᲔᲕᲡ. ᲐᲦᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲞᲐᲠᲗᲜᲘᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲮᲕᲐ. ᲐᲛ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲡᲐᲪ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲔᲥᲪᲔᲑᲐ. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲓᲘᲡ ᲐᲜ ᲡᲐᲪᲘᲕᲡ ᲐᲠ ᲐᲭᲛᲔᲕᲡ. ᲔᲪᲓᲔᲑᲐ, ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲡᲐᲗᲣᲗᲣᲠᲘ �გᲝᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲜᲒᲠᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲡ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘᲡ ᲡᲣᲚᲡ. ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲕᲔᲗᲓᲐᲜᲔᲑᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ �გᲝᲜᲔᲑᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲘᲰᲧᲠᲝᲑᲡ ᲛᲐᲡ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲣᲤᲐᲡᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲮᲠᲘᲪᲘᲔᲚᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ.

— ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲐᲕᲙᲐᲠᲒᲘᲐᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ?

— ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲡ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲪᲠᲣᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲣᲓᲒᲔᲑᲐ. ᲐᲠᲘᲡ ᲘᲛᲒᲒᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲪ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲪ ᲙᲘ ᲡᲐᲨᲘᲨᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚᲘ. ᲐᲛᲒᲒᲐᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲘᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲐᲪ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲔᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲣᲠ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲙᲘᲡᲠᲘᲐ. ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠ ᲘᲪᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲚᲘᲛᲘᲢᲘᲗᲔᲑᲘ.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲕᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲜᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ. ᲐᲓᲠᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚ ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ. ᲗᲣᲙᲘ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲓᲦᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲬᲣᲮᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ.

ᲗᲣ ᲐᲓᲠᲔ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲘᲠᲩᲔᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ

„ᲜᲣᲗᲐᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲪᲧᲣᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲜᲣ ᲘᲪᲧᲕᲘᲡ, ᲰᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲐ, ᲰᲝᲪᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲰᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲘᲡᲘᲡᲢᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲡ“.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘ, ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ ᲒᲘᲜᲔᲕᲡ. ᲐᲦᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲞᲐᲠᲗᲜᲘᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲮᲕᲐ. ᲐᲛ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲡᲐᲪ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲔᲩᲕᲔᲕᲘᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲔᲡᲛᲝᲓᲔᲜ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ Ა.Შ. ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲠᲩᲔᲒᲐ.

✓ ᲛᲐᲜᲜᲐ ᲜᲝᲓᲘᲐ

Cyan Magenta Yellow Black

„უწმინდესი ყველა მცენარეს ეთაყვანება, ესაუბრება და შვილივით ზრდის“

როგორ გაშენდა საპატრიარქოს წალკოტი

საქართველოს ნებისმიერ მონასტერში რომ მიხვიდეთ, სიმწვანე, მცენარეების სიმრავლე თვალს მოგჭრით. ეს პატრიარქის კურთხევაა, რომ სასულიერო პირებმა და მრევლმა ბაღის გაშენებაზე იფიქრონ. მცენარეებს თავად უვლის, შვილივით ეფერება, ელაპარაკება. მისი მებაღე, გიორგი აბულაძე, ამ ყველაფრის თვითმხილველია. მას ხშირი ურთიერთობა აქვს უწმინდესთან, მისგან რჩევებს იღებს, როგორ მოუაროს ამა თუ იმ მცენარეს.

გიორგი აბულაძე თერჯოლიდან თბილისში წლების წინ ჩამოვიდა და საპატრიარქოსთან ახლოს, პატარა სხვენში დასახლდა. დედა ზოილემ, რომელთან ერთადაც წირვაზე ხშირად დადიოდა, საპატრიარქოს ბაღის მოვლა სთხოვა. საქართველოს პატრიარქისგანაც მიიღო კურთხევა და უკვე 20 წელია, რაც უწმინდესის მებაღეა. ის მხოლოდ მცენარეებს არ უვლის, ბევრი შეჭირვებულის დამხმარეცაა, ყოველდღე არაერთ ადამიანს აპურებს. ბაღის ტერიტორიაზე გაჭირვებულთა სასადილოა, სადაც ყველა მოყვასს უმასპინძლდებიან, ვისაც ეს სჭირდება. მებაღეს დაოჯახებაზე ბევრჯერ უფიქრია, მაგრამ დღესაც მარტოა. თვლის, რომ მისი ცხოვრება უფლის ნებისამებრ წარიმართა.

ინტერვიუ სწორედ იმ ბაღში ჩავწერეთ, რომელსაც უვლის. ბაღს ირგვლივ რამდენიმე კარი აქვს. თითქმის ყველასთან ვიღაც იდგა და მებაღეს შეჰყურებდა. ჩემში იმედს ხედავენ, მაგრამ ის კი არ იციან, მე კი არა, ამ ყველაფერს უფალი უგზავნითო, გვითხრა მან.

— ბატონო გიორგი, პირველ რიგში, თქვენ შესახებ გვაამბეთ, სანამ პატრიარქის მებაღე გახდებოდით, რას აკეთებდით, როგორ ცხოვრობდით.

— თერჯოლაში დავიბადე და გავიზარდე, სკოლაც იქ დავამთავრე. შემდეგ სასწავლებლად მაშინდელ ლენინგრადში წავედი, სადაც სამხედრო სამედიცინო აკადემია დავამთავრე. მერე შუა აზიაში სამხედრო ჰოსპიტალში ვმუშაობდი. საქართველოში რომ დავბრუნდი, სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტი დავამთავრე. რამდენიმე წელი ერთ-ერთ ტექნიკუმში მასწავლებლად ვმუშაობდი. თეატრალური კურსებიც მაქვს დამთავრებული, მაგრამ ვაღიარებ, რომ უვიცი და არაფრისმცოდნე ვარ. რაც ვისწავლე, ყველაფერს ვიყენებ, მაგრამ ვთვლი, რომ ამქვეყნად უვიცი მოვედი და უვიცი წავალ... ინტერვიუები და ტელევიზია სასტიკად არ მიყვარს. სხვადასხვა გადაცემებში არაერთხელ მიმიწვიეს, მაგრამ უარი ვთქვი. გოგი ქავთარაძეს და ლეილა გორდელაძეს უნდოდათ, ფილმებში მეც ჩავერთე, რამდენჯერმე ეპიზოდურ როლებში გადამიღეს, მაგრამ მალე უარი ვთქვი, რადგან ეს არ არის ჩემი საქმე. როცა ამგვარი შემოთავაზებები მქონდა, უკვე სასულიერო სამყაროში ვიყავი. მას შემდეგ კი, ანუ 1993 წლიდან, საპატრიარქოში ვარ.

— ასეთი მრავალფეროვანი ცხოვრებიდან როგორ მოხვედით საპატრიარქოში?

— წირვა-ლოცვაზე სიონში დავდიოდი. საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი მონაზონი, დედა ზოილე ცხოვრობდა. მას ხშირად ვსტუმრობდი, დედა-შვილივით ვიყავით და, შეიძლება ითქვას, რომ აქ მან წამომიყვანა. ბოლოს საპატრიარქოსთან ახლოს, სხვენში დავსახლდი და მებაღედ დავიწყე მუშაობა.

— ბაღის მოვლა ჯან გთხოვათ?

— ეს ბაღი თითქმის მიტოვებული იყო და დედა ზოილემ მთხოვა, მომეკლო. პატრიარქის კურთხევით, მუშაობა დავიწყე და ამისთვის უფლის მადლობელი ვარ. მარტო ვუვლი ყველაფერს, ზოგჯერ ცოტ-ცოტას ბავშვებიც მეხმარებიან და მოხალისეებიც. ისეც ხდება, რომ ხელსაწყოებს, ცოცხს და ბარს მპარავენ... ჩემი ბაღის გარეშე არ შემიძლია. ეს კვიპაროსები, რასაც უყურებთ, ჩემი ხელითაა დარგული, ყველანი ჩემი შვილები არიან, ზოგიერთი ხე მოსაჭრელია და ვერ ვჭრი, ვერ მივაგენი ადამიანს, რომელიც უმტკივნეულოდ შემასრულებინებს ამ საქმეს და სხვა მცენარეებს არ დამიზიანებს. მცენარეები ბავშვობიდან მიყვარდა, ყოველთვის თავს ვევლებოდი — ვრგავდი, ვრწყავდი. როცა ცხელოდა, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მათაც სწყუროდათ და წყალი უნდა მიმეწოდებინა. ღმერთმა ალბათ ამიტომაც მოგიყვანა აქ.

— ალბათ პატრიარქსაც ხშირად ხვდებით.

— კი, უწმინდესს ვნახულობ ხოლმე. საქმეზე დამიძახებს, გამომკითხავს, რა ხდება, ბაღში რა როგორ უნდა გავაკეთოთ. დავალებებს მაძლევს. პატრიარქს სასწაული იუმორის გრძნობა აქვს. ის ბრძენი, უდიდესი ფილოსოფოსია და სიყვარულითაა სავსე. თუ რამე კარგი ვიცი, ყველანაირი ცოდნა მისგან მაქვს შეძენილი. ყველაფრისმთქმელია მისი სიტყვები: „ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება“ და „ჰმადლობდეთ უფალს ყველაფრისთვის“.

— ჩვენი პატრიარქი მცენარეების განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევა, ცნობილია, რომ თავადაც უვლის.

— უწმინდესს ცხოველები და მცენარეები ძალიან უყვარს. ის ყველა მცენარეს ეთაყვანება, ესაუბრება და შვილივით ზრდის. თავის მცენარეებს თვითონ უვლის, ჩვენ მიგვითითებს ხოლმე, რა როგორ გავაკეთოთ. გვასწავლის, ესა თუ ის მცენარე რა დროს არის გასაკრეჭი და რა დროს გასასხლავი.

— განსაკუთრებით რომელი მცენარე უყვარს?

— ერთი მელნისფერი ყვავილი იმდენად უყვარს, რომ თავისი საძინებლის სიახლოვეს დაიდგა. ის ყვავილიც ადამიანივითაა — ღამით იძინებს და დღისით იღვიძებს.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პატრიარქი დიდი ბოტანიკოსი, ზოოლოგი და ბიოლოგია. მის უწმინდესობას მცენარეთა მთელი დასი უყვარს. ბევრი ქოთნის ყვავილიც აქვს, მათთვის საზაფხულო და ზამთრის რეზიდენციები მოაწყო, რაც საოცარ ბოტანიკურ ბაღსა და სანახაობას წარმოადგენს. მომსწრე ვარ იმისა, პატრიარქმა ჰოლანდიიდან თუ ინგლისიდან ბალბის ტოტები გულისჯიბით როგორ ჩამოიტანა. თითქმის ყველანაირი ჯიშის კაქტუსი და სხვადასხვა ჯიშის ეზოს მცენარეები აქვს.

— საპატრიარქოს ეზოში ძირითადად რომელი ჯიშის მცენარეები ხარობს?

— საპატრიარქოში ყველგან ყვავილები და მცენარეებია, პატრიარქი ცარიელ ადგილს არ ტოვებს. ძირითადად ნაძვები და კვიპაროსები დგას. უწმინდესმა სამების საკათედრო ტაძარში ასი ათასი ძირი კვიპაროსი გაახარა. ამაში მას პროფესიით ბოტანიკოსი, დედა თეკლე დაეხმარა. უწმინდესმა კვიპაროსის ნერგები თავისი ქოთნებით გასამრავლებლად ხალხს დაურიგა.

საპატრიარქოში, ამ ადგილას გადმოვედით თუ არა, უწმინდესი ბაღის გალამაზებასა და მცენარეების გაშენებას შეუდგა. ეზო ძალიან მოუვლელი იყო, მხოლოდ ვერხვები იდგა, ახლა კი, მადლობა ღმერთს, დიდი სილამაზეა. უწმინდესს ჰოლანდიიდან სხვადასხვა ჯიშის მცენარეები ჩამოაქვს. სოხუმიდანაც ბევრი რამ ჩამოიტანა. ყვავილებისა და ვარდებისთვის სოჭშიც კი გვაგზავნიდა. კარგად მახსოვს მისი სიტყვები, ქალაქი მცენარეებით გაღარიბებულია და მთელი

თბილისის ჩიტები ამიტომაც მოფრინავენ ჩვენთანო.

ეზოში ერთი ტირიფის ხე იდგა, რომელიც პატრიარქს განსაკუთრებულად უყვარდა. მახსოვს, ზამთრის პირი იდგა, როცა პატრიარქი ეზოში დაბრძანდებოდა, მივიდა ტირიფის ხესთან და უთხრა, ტირიფო, არა უშავს, ახლა დაიძინე, გაზაფხულდება და ისევ გამოიღვიძებო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ის ტირიფი გახმა და მოჭრეს, რაც უწმინდესმა ძალიან განიცადა. სამაგიეროდ მის ადგილს ახალი ტირიფი დარგო.

— ცნობილია, რომ პატრიარქი მცენარეების სამკურნალო თვისებებშიც კარგად ერკვევა და ბევრი რეცეპტიც იცის.

— კი, ასეა. საპატრიარქოში ფიტოთერაპიის კაბინეტიც ფუნქციონირებს, რომელსაც ნაილი ხეთერელი ხელმძღვანელობს. ის უწმინდესის ლოცვა-კურთხევით მთის მცენარეებისგან მალა-

„ზამთრის პირი იყო, როცა პატრიარქი ეზოში დაბრძანდებოდა, მივიდა ტირიფის ხესთან და უთხრა, ტირიფო, არა უშავს, ახლა დაიძინე, გაზაფხულდება და ისევ გამოიღვიძებო“.

მოებს ამზადებს. უწმინდესი ხალხურ მედიცინაში ღრმად არის განსწავლული. როცა ვინმეს რაღე გვაწუხებს, თვითონვე მიგვითითებს, თუ რა უნდა მივიღოთ. მისმა მშობლებმა ფიტოთერაპია ძალიან კარგად იცოდნენ და ეს ცოდნა მას მემკვიდრეობით გადაეცა. ხშირად პატრიარქი თავის ოჯახურ საიდუმლოებებს გასცემს და ქალბატონ ნაილის წამლების დამზადებაში შესაწორებებსაც აძლევს.

— მებაღეობის გარდა კიდევ რას საქმიანობთ?

— შინდისში კეთილ ადამიანებთან ერთად თამარწმინდას დედათა მონასტერს ვაშენებთ. ამის გარდა, ვცდილობ, ადამიანებს დავეხმარო. უწმინდესმა საპატრიარქოსთან უპოვართათვის სასადილო იმ დიდი გაჭირვების პერიოდში გახსნა, როცა ქვეყანაში არეულობა იყო და დღემდე ფუნქციონირებს. ყველას აქვს უფლება, მოვიდეს და დაპურდეს, უწმინდესი ყველას უმასპინძლდება. მზარეულებად ძირითადად შვილმკვდარი დედები მუშაობენ. არსებობენ ადამიანები, ვისაც აქამდე მოსვლაც არ შეუძლიათ. ასეთებთან თვითონ დავდივარ, მიმაქვს საკვები და ვანუგეშებ. მათი სახლის გასაღებებიც კი მაქვს და როცა მივდივარ, კარსაც თვითონ ვაღებ. თბილისის თითქმის ყველა რაიონში დავდივარ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

ლაბირინთი

გაიკვლიეთ გზა ლამბრინთში

გაიფერადეთ

Cyan Magenta Yellow Black

სალათა გრეიპფრუტითა და თინუსით

მასალა:
დაკონსერვებული თინუსი — 1 ქილა
სალათის ფოთლები — 1 კონა
წითელი ხახვი — 1/2 თავი
კიტრი — 1 ცალი
გრეიპფრუტი — 1 ცალი
თაფლი — 2 ს.კ.
სოიას სოუსი — 2 ს.კ.
მდოგვი — 3 ს.კ.
მცენარეული ზეთი — 2 ს.კ.
მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: სალათის ფურცლები გარეცხეთ, შეაშრეთ ქაღალდის ხელსახოცზე, შემდეგ ხელით დაფლითეთ, ჩაყარეთ სასალათეში და შეურიეთ თინუსი.

გრეიპფრუტი გაფცქვენით, მოაშორეთ თეთრი საფარი, კუბიკებად დაჭერით და სალათას ჩაუმატეთ. მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კიტრი, ნახევარრგოლებად დაჭრილი ხახვი და მოურიეთ. თაფლი და სოიას სოუსი აურიეთ, დაუმატეთ მდოგვი, გრეიპფრუტისგან დარჩენილი წვენი, მცენარეული ზეთი და კარგად მოურიეთ. მოასხით სალათას, შეაზავეთ მარილითა და პილპილით, ამოურიეთ და სუფრასთან მიიტანეთ.

ბრინჯი პომიდვრითა და ტომატით

მასალა:
ბრინჯი — 1 კგ
ტომატი-პასტა — 2 ს.კ.
ნიორი — 2 კბილი
პომიდორი — 400 გ
ნიახური — 4-5 ძირი
ზეთი, მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ტომატის-პასტა წყალში გახსენით, დაასხით ბრინჯს და დაბალ ალზე თავდახურული ხარშეთ. ცეცხლიდან გადმოდგმამდე 5 წუთით ადრე მარილით შეაზავეთ.

ნიორი დანაყეთ, პომიდორს კანი გააცალეთ. ტაფაზე ცოტა ზეთი მოასხით და შიგ ნიორი და პომიდორი მოშუშეთ, შეაზავეთ მარილითა და პილპილით. ბოლოს დაუმატეთ აკეპილი ნიახური და ტაფა ცაცხლიდან გადმოდგით. ეს სოუსი ბრინჯს მოასხით და სუფრასთან მიიტანეთ.

კარტოფილი თაფლითა და მდოგვით

მასალა:
ახალი კარტოფილი — 500 გ
მდოგვი — 2 ს.კ.
თაფლი — 1 ს.კ.
სოიას სოუსი — 1 ს.კ.
ზეთი — 2 ს.კ.
მწარე წითელი წიწაკა, მარილი — გემოვნებით

მომზადება: კარტოფილი გაასუფთავეთ, შუაზე გაჭერით და მოხარშეთ.

თაფლი და მდოგვი ერთმანეთს შეურიეთ, დაუმატეთ წიწაკა და მოურიეთ. ამ ნარევში მოხარშული კარტოფილები ამოავლეთ, შემდეგ გამოსაცხობ ფორმაში ჩაალაგეთ და წინასწარ 200 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში 30-40 წუთი გამოაცხვეთ, სანამ ოქროსფერ კანს არ გაიკეთებს.

კარტოფილისა და ბოლოკის სალათა

მასალა:
ბოლოკი — 7-8 ცალი
კარტოფილი — 2 ცალი
მწვანე ხახვი — 1 კონა
კამა — 2-3 ძირი
მცენარეული ზეთი — 4 ს.კ.
მდოგვი, მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: კარტოფილი გათალეთ და მსხვილ კუბიკებად დაჭერით. ჩაყარეთ მდუღარე წყალში და მოხარშეთ. შემდეგ ამოიღეთ და გააცივეთ.

ბოლოკი გაასუფთავეთ და თხელ რგოლებად დაჭერით. კამა და ხახვი აკეპეთ. ყველა ინგრედიენტი სასალათეში მოათავსეთ, შეაზავეთ მარილით, პილპილით, მდგოვით, მოასხით ზეთი და ამოურიეთ.

ხილის სამარხვო დესერტი

მასალა:
ფორთოხალი — 1 ცალი
ვაშლი — 1 ცალი
ბანანი — 1 ცალი
კივი — 2 ცალი
დაკონსერვებული ანანასი — 1 ქილა
კისელის ფხვნილი — 250 გ
წყალი — 1,5 ლ
ქოქოსის ფანტელები — 1 შეფუთვა

მომზადება: ხილი გაასუფთავეთ, კუბიკებად დაჭერით და პატარა ჭიქებში გადაანაწილეთ.

კისელის ფხვნილი ქვაბში ჩაყარეთ და წყალი დაასხით. მოადუღეთ და გააცივეთ. როცა გაგრილდება ჭიქებში მოთავსებულ ხილს მოასხით. შედგით მაცივარში. სუფრასთან მიტანის წინ ქოქოსის ფანტელები მოაყარეთ.

სამარხვო ჩაროზი

მასალა:
ქერის ბურღული — 1 ჭიქა
ჩირეული (ჭერამი, ქლიავის ჩირი) — 300 გ
მიხაკი — 3 ს.კ.
ნიგოზი — 50 გ
თაფლი — გემოვნებით

მომზადება: ქერის ბურღულს ცივი წყალი დაასხით და 10-12 საათი გააჩერეთ. შემდეგ წყალი გადაწურეთ, ახალი დაასხით და 1 საათი ხარშეთ. როცა მოიხარშება, ცივი წყალი გაავლეთ.

მიხაკს მდუღარე დაასხით, გააჩერეთ 15 წუთი, შემდეგ დანაყეთ ან ბლენდერში დააქუცმაცეთ.

ჩირეული წვრილად დაჭერით, მოათავსეთ ჭურჭელში, დაუმატეთ ქერის ბურღული, მიხაკი, დაუმატეთ 40 მლ წყალი და 5 წუთით ცეცხლზე შემოდგით.

ნიგოზი მოშუშეთ, დაჭერით, ჩაუმატეთ ჩირეულიან ქვაბს, შეაზავეთ თაფლით, მოურიეთ და დაბალ ალზე კიდევ რამდენიმე წუთი გააჩერეთ.

Cyan Magenta Yellow Black

გულსაბნევი "ტოტები"

ყველას გვინახავს გაზაფხულზე მდგნალის ტოტები, რომლებიც ყვავილებთან ერთად იყიდება. დამეთანხმებით, რომ ძალიან ლამაზია. ჩვენც შეგვიძლია ტყავისა და ბეწვისგან მისი დამზადება.

ამისთვის დაგჭირდებათ: ტყავისა და ბეწვის ნაკუწები, წებო, მავთული, სანთებელა ან სანთელი, პინცეტი, ნემსი და მაგარი ძაფი, ლითონის გულსაბნევი.

დავჭრათ ტყავი თასმებად და პატარა ფოთლებად. ფოთლებს ფორმის მისაცემად შემოვუწვათ კიდეები. ბეწვისგან დავამზადოთ პატარა ბურთულები ისე, როგორც მე-3 ფოტოზეა ნაჩვენები.

ტყავის თასმას წავუსვათ წებო, დავახვიოთ მავთულზე და ბოლოსკენ ჩავაყოლოთ:

1. ბეწვის ბურთულა (მე-4 ფოტო).
2. რამდენიმე ტყავის ფოთოლი და ბეწვის ბურთულა (მე-5-6 ფოტო).
3. ასე დავამზადოთ იმდენი ტოტი, რამდენიც მოგინდებათ.

მზა ტოტები ერთმანეთს გადავაჭდოთ ტყავის თასმებით. მივაკეროთ წებოწასმული ლითონის გულსაბნევი. სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე



წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

3	9	2	5	1	8	6	4	7
7	4	5	2	9	6	3	1	8
1	8	6	3	4	7	9	5	2
9	1	3	6	8	4	2	7	5
2	6	7	1	5	3	8	9	4
8	5	4	9	7	2	1	3	6
4	2	1	8	3	5	7	6	9
6	7	9	4	2	1	5	8	3
5	3	8	7	6	9	4	2	1

№ 2

9	2	5	1	8	3	7	6	4
1	3	8	6	7	4	9	2	5
4	6	7	2	5	9	1	8	3
3	5	4	7	2	6	8	1	9
8	7	9	4	1	5	6	3	2
2	1	6	3	9	8	5	4	7
5	4	1	9	6	2	3	7	8
6	9	3	8	4	7	2	5	1
7	8	2	5	3	1	4	9	6

ზეითუნის ზეთი – ბუნებრივი კოსმეტიკური საშუალება

ზეითუნის ზეთი კანს შესანიშნავად წმენდს, ატენიანებს და კვებავს. არ შეიცავს მავნე დანამატებს. პრაქტიკულად არ იწვევს ალერგიულ რეაქციას და სრულად შეუძლია კრემი შეცვალოს. შეიძინეთ ცივად გამოხდილი ყველაზე საუკეთესო ხარისხის ზეითუნის ზეთი. გამოიყენეთ როგორც ნიღბისთვის, ასევე ყოველდღიური პროცედურებისთვის.

დილით ოდნავ შემთბარ ზეთში ბამბის დისკი დაასველეთ და პირის დაბანის შემდეგ, სახე და ყელი გაიწმინდეთ. 5 წუთი გაიჩერეთ, შემდეგ ქაღალდის ხელსახოცით მოიწმინდეთ. ამის შემდეგ მაკიაჟი გაიკეთეთ.

გამოიყენეთ ყველაზე ცნობილი დამატენიანებელი ნიღაბი: 1 კვერცხის გული, 1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი და 1 სუფრის კოვზი თაფლი კარგად აურიეთ. ნარევი დაბანილ სახეზე, ყელზე დაიდეთ. 15 წუთის შემდეგ თბილი წყლით ან გვირილის, ცაცხვის ყვავილის ნახარშით ჩამოიბანეთ.

თანაბარი რაოდენობის ზეითუნის ზეთი და გაზიანი მინერალური წყალი შეურიეთ. ნარევი კარგი საშუალებაა საღამოს მაკიაჟის მოსაცილებლად და არავითარი საპონი არ დაგჭირდებათ.

Cyan Magenta Yellow Black

ნაჩუქარი 2 თვე
ცხოვრებისთვის მორგეთ

| პირველად საქართველოში | უპრეცედენტო აქცია | ორი თვე საშეღავათო პერიოდი |



აქცია 10 მაისამდე!

გადმოიტანეთ არსებული ან აიღეთ ახალი სესხი ბანკ "რესპუბლიკაში" ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალში" და ისარგებლეთ დაფინანსების საუკეთესო პირობით: აირჩიეთ სასურველი 2 თვე და არჩეულ პერიოდში გათავისუფლდით სესხის ყოველთვიური შენატანისგან (როგორც პროცენტული ნამატისგან ისე ძირი თანხის შენატანისგან).

- ვალუტა: ლარი, აშშ დოლარი, ევრო;
- სესხის თანხა-100-დან 100 000 დოლარამდე;
- სესხის ვადა–120 თვემდე;
- ბიზნესზე მორგებული საპროცენტო განაკვეთი;
- გამარტივებული პროცედურა.

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

290 90 90 | * 90 90 | BR.GE

SILKNET

DREAM პაკეტი

საუკეთესო ინტერნეტ შემოთავაზება

50 MB/წმ - 30 ლარი

+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ



22 MB/წმ - 30 ლარი

ჩაერთეთ
30 აპრილამდე !

+ ექსტრა 2 მბ/წმ ყოველთვიურად

სრულიად უფასოდ, 31 დეკემბრამდე

Silk Optic

Find us on: facebook.

2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები